

ქართველი
კომიტეტი

3

დაკავშირი

ს. ს. ს. რ. ბანსახაომი 1929-30 ტფილი



ს.ს.ს.მ. ბანათების სახარეო კომისარიატის
ყოველი მომღერალი და მუსიკოსი შეარჩეოს

FIG. VII

საქართველო

883

3 (52)

1929-30

© 30/3 0601



მარქსიზმისა და ლენინიზმისათვის თავდადე-
ბული გეგმების დაგადეგიდან
50 წლის მცხოვრებლის გამო



სტალინი

ამბ. სტალინს.

ლენინის საუკეთესო მოწაფეს და თანამეგარეოლს, მისი თეო-
რიისა და პრაქტიკის უძილეს გენერალს, საკავშირო კომუნისტური
პარტიის (გ) ბალანს და მსოფლიო პროლეტარული რევოლუცი-
ის მესამეს, ფოლადისებური ნიჩისცოვით ლენინიზმის ძლევამო-
სილად გამოარიგებულს და დამცველს ყოველგვარი გადახერხისა
და სიცელეთაგან დაშინებულ - დაცვიანებულთა ზონააღმდეგ მე-
ბრძოლს. კომუნისტური აღზრდის გზაზე დამდგრადი ახალგაზრდო-
ბის უძილეს მასშავლებელს და კომუნიზმისათვის ბრძოლაში გზის
მაჩვენებელს და უძილეს აღმართებელს — ამბ. სოსო სტალინს, მისი
დაბადებიდან 50 წლის შესრულების გამო, მხურვალედ ესალგება
საბჭოთა კავკასიონის განათლების სახალხო კომისარი.

საკავშირო კომისართა ბეჭა და ც. ს. კ.

აშხ. სტალინს.

მოსკოვი, 20 დეკემბერი. ძვირფასო მეგობარო, მებროლო
ამხანაგო!

ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური
საკონტროლო კომისია მუშავალედ მოგესალმებიან შენ, საუკეთესო
ლენინელს, ცენტრალური კომიტეტისა და მის პოლიტბიუროს უძვე-
ლეს წევრს.

შენი 50 წლის სიცოცხლე, ოცდაათ წელიწადზე მეტი შენი აქ-
ტიური ბოლშევიკური მუშაობა განუყრელად და კავშირებულია ჩვენი
პარტიის მთელ გმირულ ბრძოლასთან და ლენინიზმის გამარჯვებას-
თან. როგორც პროფესიონალური რევოლუციონერი, შენ ლენინის
ხელმძღვანელობით ჰქონიდი ბოლშევიკური ორგანიზაციის უჯრედებს
და შენი მუშაობის პირველი დღეებიდანვე გამოიჩინე თავი როგორც
ლენინის ერთგულმა, საუკეთესო მოწავემ. ლენინის უშუალო მოწა-
ფებიდან; მისი თანამებრძოლებიდან შენ აღმოჩნდი ყველაზე შეუდ-
რეკელი, ბოლომდე თანამიმდევარი ლენინელი. მთელ შენს მუშაობაში
შენ არც ერთხელ არ გილალატნია ლენინისათვის როგორც თეორი-
ულ პრინციპულ პოზიციებში, ისე მთელ პრაქტიკულ მუშაობაში.

არალეგალური მუშაობის სუსტიანმა წლებმა, ცარიზმის სას-
ტიქმა დევნამ, საპურობილებებმა და გადასახლებამ გამოაწვრთო შენი
ფოლადისებური ნებისყოფა და რევოლუციონური სიმტკიცე. და-
მარცხებათა მძიმე წლებში თუ რევოლუციონური ტალღის აზვირ-
თების წლებში შენ ყოველთვის რჩებოდი მტკიცე და შეუდრეკელი,
ყოველთვის ლენინთან ერთად, მისი ხელმძღვანელობით ანხორცი-
ელებდი თანმიმდევარ ბოლშევიკურ ხაზს და გადაჭრით ილაშქრებდი
ოპორტუნიზმის, ინტელიგენტური ფრაზიორობის, გულგატებილობის,
მერყეობისა და აშკარა რენეგატობის წინააღმდეგ. დიდი ოქტომ-
ბრის ძლევამოსილ დღეებში, ლენინის ზოგიერთი მოწაფის მაგალი-
თის წინააღმდეგ, შენ აღმოჩნდი ლენინის ყველაზე მახლობელი, ყვე-
ლაზე ერთგული თანაშემწე, როგორც ოქტომბრის გამარჯვების ერთ-
ერთი ყველაზე თვალსაჩინო ორგანიზატორი.

ბრესტის მძიმე დღეებში, როდესაც რევოლუციის ბედი სწყდებოდა, შენ ლენინთან ერთად მტკიცედ იცავდი ბოლშევიკურ სტრატეგიას იმ ოპორტუნისტების წინააღმდეგ, რომელთაც განხეთქილება შეჰქონდათ პარტიაში და რომელნიც ძირს უთხრიდებ ბოლშევიკურ მთლიანობას წვრილ-ბურუუაზიული მემარცხენეობის დროშით. სამოქალაქო ომის წლებში პარტია შენ გგზავნიდა გამარჯვების მოსაპოებლად ყველაზე უფრო გადამწყვეტ ფრონტებზე. შენი სახელი დაკავშირებულია ჩვენი წითელი არმიის ყველაზე უფრო სახელოვან გამარჯვებებთან.

სიკვდილმა მოაშორა ჩვენ რიგებს ჩვენი უდიდესი ბელადი და მასწავლებელი ლენინი სახალხო მეურნეობის აღდგენის სწორედ ყველაზე უფრო მძიმე წლებში. ლენინიზმისაღმი მტრულად განწყობილმა ტროცკიზმა იერიში მიიტანა პარტიაზე, სკადა ხელთ ჩაეგდო პარტიის ხელმძღვანელობა და გადახვევინებინა მისთვის ლენინიზმის გზიდან. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ლენინიზმის მტრებთან პირველივე შეტაკების დროს ცენტრალური კომიტეტი პარტიის ლენინური მთლიანობისათვის ბრძოლაში დაირაზმა შენს ირგვლივ, როგორც ლენინის საქმის ყველაზე უფრო ერთგული და გამობრძმედილი განმეგრძობის ირგვლივ.

პარტიამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა ტროცკიზმთან და ზინოვიევ-კამენევის ყალბი ლენინიზმის ახალ ოპოზიციისთან, — საქმით კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის აშკარა აგენტურასთან, — ბრძოლაში.

ისევე, როგორც 1923 წელს, შენ თამამად ამხილე ტროცკიზმის ანტიპარტიული მენშევიკური შინაარსი, ისევე, როგორც მაშინ, 1928 წელსაც შენ გამოამჟღავნე მემარჯვენე გადახრის ანტიპარტიული კულაკური შინაარსი.

სწორედ ამიტომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შესძლო შემოეკრიბა თავის ირგვლივ მილიონიანი მასები, სწრაფად დაემარცხებინა მემარჯვენე გადახრა და საქმით და პრაქტიკაში გაეტარებინა გენერალური ლენინური ხაზი.

აღდგენისა და რეკონსტრუქციის პერიოდის უდიდესი სიძნელეებიდან პარტიამ გამოიყვანა ჩვენი ქვეყანა ბუმბერაზული მასშტაბის სოციალისტური მშენებლობის გზაზე. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის სწრაფი განვითარება ნათლად აღასტურებს ლენინის იმ თეორიას, რომ შესაძლებელია სოციალიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში, იმ თეორიას, რომელიც შენ დაიცავი წვრილ-ბურუუაზიულ ტროცკიზმთან ბრძოლაში.

სოციალისტურ მშენებლობაში პარტიის მიერ მიღწეული უდიდესი წარმატება განუყრელად დაკავშირებულია შენს სახელთან და შენს შეუდრეველ და შეურიგებელ ბრძოლასთან პარტიის გენერალური ხაზისათვის. შენს სახელთან განუყრელად დაკავშირებულია კაცობრიობის ისტორიაში უნახავი ტემპები ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა, სოფლის გადაჭრით გადაყვანისა კოლექტიური და მსხვილი სოციალისტური მეურნეობის ლიანდაგზე, გაბედული იერიში კულაკზე და სოციალისტური შეჯიბრების და თვითკრიტიკის გაშლა. შენ, როგორც არავინ სხვა, აერთებდი ლენინიზმის ღრმა თეორიულ ცოდნას იმის უნართან, რომ გაბედულად გაგეტარებინა იგი ცხოვრებაში რევოლუციონური ბრძოლის. სხვადასხვა ეტაპზე. ამან საშუალება მისცა პარტიას უმცირესი დროისა და ძალების დახარჯვით წარმატებით გადაეჭრა ისტორიული ამოცანები, ამან საშუალება მისცა პარტიას დაეცვა თავისი რიგების ნამდვილად ლენინური მთლიანობა. როგორც ნამდვილი ლენინელი, შენ პარტიის მთლიანობისათვის იბრძოდი არა ოპორტუნიზმის მიმართ დათმობების საშუალებით, არამედ გაბედული შეურიგებელი ბრძოლით ოპორტუნიზმის ყოველგვარ გამოხატულებასთან. სწორედ ამიტომ გაცამტვერდა პარტიის მტრების ყველა უბადრუკი ცდა — შენთვის დაეპირისპირებინათ ცენტრალური კომიტეტი. ლენინიზმის მტრებს არა ერთხელ ჰქონდათ შემთხვევა დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ ცენტრალური კომიტეტი და სტალინი ერთ განუყრელ ლენინურ მთლიანობას წარმოადგენენ.

დღევანდელი დღე უფრო მტკიცედ შეამჭიდროებს მილიონიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ, შეამჭიდროებს პროლეტარიატისა და მშრომელთა მრავალმილიონიან მასებს პარტიის ლენინური გენერალური ხაზის ირგვლივ, იმ ხაზის ირგვლივ, რომლისთვისაც შენ იბრძოდი და იბრძვი, რომელსაც შენ აძლევ მთელ შენს ძალ-ლონეს, ენერგიას და ცოდნას. პროლეტართა მილიონიან მასებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ, რომ ბოლშევკიური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც თავის რიგებში ჰყავს ისეთი ხელმძღვანელი, როგორიც არის ამხ. სტალინი, მიიყვანს ჩვენ ქვეყანას სოციალიზმის დამყარებამდე და პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამდე მთელ მსოფლიოში. გაუმარჯოს ლენინურ ბოლშევკიურ პარტიას!

გაუმარჯოს რევოლუციის რკინის ჯარისკაცს — სტალინს!

ს ტ ა ლ ი ნ ი

კომუნისტური პარტია, მუშათა კლასი და მსოფლიო ოევოლუციონური მოძრაობა დღესასწაულობენ თავისი ხელმძღვანელის, ბელადის, მეგობრისა და მებრძოლი ამხანაგის — სტალინის ორმოდაათი წლის იუბილეს.

ამს. სტალინის სახელი ლენინის უახლოეს, ერთგულ მოწაფებსა და თანამებრძოლებს შორის, რევოლუციის უერთგულეს შეიღებს შორის იქცა ბოლშევიკური სიმტკიცის, შეუდრეკელობისა და შეურიგებლობის სინონიმად. ის წარმოადგენს დროშას დაუზოგავი ბრძოლისა ბოლშევიზმისა და ლენინიზმისათვის.

ძნელია ბოლშევიკური პარტიის გზა. ჩვენმა პარტიამ გადალაწა ყველა სიძნელე, დალეწა ყველა ზღუდე, აღმართული ცარიზმის უსაშინელესი სისხლიანი ოეჟიმის მიერ და მიუხედავად ფეოდალურ-ბურუჟიულ მონარქიის უსასტიკესი დევნისა, თავისი არსებობის გარიერაუზე გაიკაფა გზა მუშებისაკენ და იქცა ოევოლუციონურ მუშათა კლასის პარტიად. ლენინის გენერალური ხელმძღვანელობით ჩვენმა პარტიამ განვლო გრძელი გზა, განვლო 1905 წლის რევოლუცია, გადაიტანა შემდეგ ოეჟიმის თარეში, განვლო ახალი რევოლუციონური ამხედრების პერიოდი 1912-14 წლებში და იმპერიალისტური ომის ხანაში იქცა მილიონიან პარტიად და ეს პარტია, რომელმაც დამხმა კაპიტალიზმი და ხალხთა ციხე, როგორიც იყო მეფის რუსეთი და აქცია ის საბჭოთა ქვეყნად, განუზომელ სივრცეზე ანხორციელებს სოციალიზმის მშენებლობას. ჩვენი პარტიის ამ განუწყვეტელ, სახელოვან, გმირულ ბრძოლაში გაიზარდა და შეიარაღდა ამს. სტალინი. მეფის ციხეებმა, გადასახლებამ, რაც მან გადიტანა, ორმოცი წლის რევოლუციონური ბრძოლის გამოცდილებამ და ლენინის შეუდარებელმა გამოცდილებამ გამოსჭედა ეს რკინისებური ბოლშევიკი, რომელმაც ლენინის სიკვდილის შემდეგ დაიკავა პარტიის ხელმძღვანელისა და ბელადის ადგილი.

ათეულ წლების რევოლუციონური ბრძოლის მანძილზე ლენინის ხელმძღვანელობით და ლენინთან ერთად აგურზე აწყობდა და ამავრებდა ჩვენს პარტიას ამს. სტალინი, რომელიც ყოველთვის განირჩოდა, როგორც პროფესიონალური რევოლუციონერი — ორგანიზატორი.

რომ უხელმძღვანელოთ ისეთ პარტიას, როგორიც არის ჩვენი პარტია, ძალიან ბევრია საჭირო, და ეს ბევრი ახასიათებს ამს. სტალინს. ამს. სტალინში გაერთიანებულია ჩვენი პარტიის პრაქტიკო-

სის, ორგანიზატორის და იშვიათი თეორეტიკოსის თვისებები. ამხ. სტალინი იჩენს ლენინიზმის იშვიათ გარკვეულ გაგებას ოპორტუნიზმთან ბრძოლაში, ის აყენებს და ნათელს ხდის იმპერიალიზმისა და პროლეტარული დიქტატურის მთელ რიგ თეორიულ პრობლემებს.

ამხ. სტალინი სათავეში უდგას ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს. ამიტომაც მას ცოფმორევით თავს ესხმიან მსოფლიო ბურუუაზია და სოციალ-დემოკრატია. ყველა ოპოზიცია პარტიის შიგნით ყოველთვის თავის ისარს მიმართავს ამხ. სტალინის წინააღმდეგ, რადგან ის ლენინიზმის ყველაზე შურიგებელი დამცველია ყოველგვარი გადამახინჯებისაგან.

პარტიის მტრებმა იციან, რომ ამხ. სტალინზე თავდასხმით ისინი თავს ესხმიან ბოლშევკიურ პარტიას — მთელი სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელს, რომელიც თავის ლენინურ დროშის ქვეშ აერთიანებს მუშების და მშრომელი ხალხის სულ ახალ და ახალ მილიონებს. ფუჭია მტრების ყველა იმედი: კომუნისტური ინტერნაციონალის ავტორიტეტი, ამხ. სტალინის ავტორიტეტი შეუჩერებლად იზრდება და მსოფლიოს ყველა კუთხეში ჩაგრულთა და გაპარტახებულთა მილიონების გული ისე მუშაობს, როგორც კომუნისტური პარტიის გული.

უკანასკნელ წლებში, მეურნეობის აღდგენისა და რეკონსტრუქციის უმძიმეს და ურთულეს პირობებში, ებრძოდა რა გადაჭრით მერყევ ელემენტებს და სპობდა რა რენეგატებს, ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომლის სათავეში ლენინის სიკვდილის შემდეგ ამხ. სტალინი სდგას, მტკიცედ და შეუდრევებელად მიჰყავდა ქვეყანა სოციალიზმის გზით. ისტორიული გარდატეხა, რომელიც მოახდინა მე-15-ე ყრილობამ, უკვე იძლევა რეალურ ნაყოფს სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებით, რომელშიაც მილიონები მონაწილობენ.

სოციალიზმი ძვალ-ჩბილში გაუჯდათ მილიონებს და ამიტომ მისი გამარჯვება დღითი-დღე უფრო უზრუნველყოფილად ითვლება. მაგრამ გადაკარწახებული სოციალისტური მშენებლობა, რომელიც ასე წარმატებით ტარდება ჩვენს ქვეყანაში, იმ უდიდეს სიძნელეთა დაძლევა, რომელიც სოციალიზმის გზაზე გველობებიან და რევოლუციონურ არმიების ძლევამოსილი წინსვლა საერთაშორისო მასშტაბით საჭიროებენ, როგორც უმნიშვნელოვანეს დაუზოგავს ბრძოლას ოპორტუნიზმთან, რანაირი დროშითაც გინდა გამოდიოდეს ის, იქნება ის „მემარცხენე“, თუ მემარჯვენე.

ამხ. სტალინის სახით პარტიას და მთელს საერთაშორისო მუშათა კულასს ჰყავს გამობრძმედილი ლენინელი და შეურიგებელი, რკინისებური ბოლშევიკი.

ამხ. სტალინის მაგალითი და მუშაობა კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავს ჩვენი პარტიის საერთაშორისო რევოლუციის რაზმებს ახალ ბრძოლების წინ, რომლებშიაც შედის საერთაშორისო პროლეტარიატი.

გაუმარჯოს მთლიან რკინისებურ ლენინურ პარტიას!
გაუმარჯოს მის ბელადს — ამხ. სტალინს!

იოსებ ბესარიონის ქ ს ტ ა ლ ი ნ ი.

(ბიოგრაფია).

იოსებ ბესარიონის ქ ს ტ ა ლ ი ნ ი (ჯულაშვილი) დაიბადა ქ. გორ-ში 1879 წ. ეროვნებით ამხ. სტალინი ქართველია. მამა მისი იყო ტფილისის გუბერნიის და იმავე მაზრის სოფელ დიდი ლილოს გლეხი, მუშაობდა ტფილისში ადელხანოვის ფეხსაცმელების ფაბრიკაში.

1893 წ. სტალინმა დაასრულა გორის სასულიერო სასწავლებელი და იმავე წელს შევიდა ტფილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარია ამ დროს წარმოადგენდა განმათავისუფლებელი (როგორც ხალხოსნურ-ეროვნული, ისე მარქსისტულ-ინტერნაციონალური) იდეების კერას. სემინარიის მოსწავლეთა შორის არსებობდა რამდენიმე წრე. 1897 წ. სტალინი უდგება სათავეში მარქსისტულ წრეებს. ის იქერს კავშირს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტფილისის არალეგალურ ორგანიზაციასთან, ღებულობს არალეგალურ ლიტერატურას და ესწრება ტფილისის რკინის გზის მთავარი სახელოსნოების მუშების არალეგალურ კრებებს.

1898 წ. სტალინი შედის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ტფილისის ორგანიზაციაში. ამ დროს ის ეწევა პროპაგანდას მუშებს შორის რკინის გზისა და საფამრიკა-საქართველო რაიონებში. სემინარიაში არ დარჩა შეუმჩნეველი სტალინის არალეგალური მუშაობა და ის, როგორც არაკეთილსამედო მოსწავლე, გამორიცხეს სემინარიიდან.

1899 — 1900 წ. სტალინი აწარმოებს ინტენსიურ მუშაობას მუშათა წრეებში. 1900 წ. არსდება რუსეთის სოციალ-დემოკრატი-

ული მუშათა პარტიის ტფილისის კომიტეტი. სტალინი არის ამ კო-
მიტეტის წევრი და ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი. ამ დროს
ტფილისის მუშათა მოძრაობაში ხდება გარდატეხა: მოძრაობა გა-
მოდის ძევლი პროპაგანდისტული მუშაობის ჩარჩოებიდან.

აგიტაცია მასებში, პროკლამაციების ფართოდ გაერცელება და პო-
ლიტიკური დემონსტრაციები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხდება
დღის საჭიროობით საკითხებად. გაჩაღდა ბრძოლა „მოხუცებუ-
ლებსა“ და „ახალგაზრდებს“ შორის მუშაობისა და ბრძოლის მეთო-
დების ირგვლივ. „ახალგაზრდები არ კმაყოფილდებიან მუშაობის ძევ-
ლი მეთოდებით და მოითხოვენ მუშაობის ქუჩებში გადატანას. ამ
ბრძოლაში სტალინი „ახალგაზრდების“ მხარეზეა.

ახალი მეთოდების გამარჯვებისა და სტალინის რევოლუციო-
ნური აღზრდის საქმეში დიდი როლი ითამაშა ამ. ლენინის ახლო-
ბელმა თანამებრძოლმა და მისი იდეების პირველმა გამაერცელებელმა
ამიერკავკასიაში, ამ. კურნატოვსკიმ.

გაფიცვების ტალღებს ტფილისში 1900 — 1901 წ. და ცნობილს
საპირველმასო პოლიტიკურს დემონსტრაციას მოჰყვა პარტიის ტფი-
ლისის კომიტეტის განადგურება.

1901 წ. გაჩხრიკეს სტალინის ბინა და ის იძულებული შეიქნა
გადასულიყო არალეგალურ მდგომარეობაში. ამ დროიდან დაწყე-
ბული, სტალინი ხდება არალეგალურად მომუშავე პროფესიონალუ-
რი რევოლუციონერი და არალეგალურ მდგომარეობაში ჩეხბა თე-
ბერვლის რევოლუციამდე (1917 წ.). ამ მუშაობის დროს ის ატარებ-
და სხვადასხვა სახელს: „დავითი“, „კობა“, „ნიუარაძე“, „ჩიუკო-
ვი“, „ივანოვიჩი“, „სტალინი“.

1901 წლის ბოლოს სტალინი გადადის ბათომში და აარსებს
რესეტის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათომის კომი-
ტეტს. იქ ის ხელმძღვანელობს მუშების გაფიცვებს როტშილდისა და
მანთაშვის ქარხნებში. 1902 წ. სტალინმა მოაწყო ცნობილი დემონ-
სტრაცია, მუშების თებერვლის დემონსტრაცია. იმავე წლის მარტში და-
ატუსალეს სტალინი და მოათავსეს ბათომის საპყრობილები. აქ მან დაჰყო
1903 წლამდე, როდესაც ის გადასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში, ირკუ-
ტსკის გუბერნიაში, სოფელ ახალ უდაში. აქედან ერთი თვის შემდეგ
(1904 წ. იანვარი) სტალინი გაიქცა, დაბრუნდა ტფილისში და და-
იწყო მუშაობა როგორც ამიერკავკასიის საოლქო ორგანიზაციის
წევრმა. 1904 — 1905 წლებში სტალინი აწარმოებს გაშმაგებულ ბრძო-
ლას მენშევიზმის წინააღმდეგ (ბათომში, ჭიათურაში, ქუთაისში,
ტფილისში, ბაქოში), ის ებრძვის აგრეთვე ესერებს, ანარქისტებს და

ნაციონალისტებს. ჯერ კიდევ 1903 წელს, ციხეში ყოფნის დროს, გაიგო სტალინმა პარტიის მეორე ყრილობაზე მომხდარი განხეთქილება და იმთავითვე მიემზრო ბოლშევიკებს. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ კი, როდესაც ბრძოლა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის მეტად ვამწვავებული იყო, ისე ხელმძღვანელობს ბოლშევიკების ამიერკავკასიის ორგანიზაციებს. 1905 წ. სტალინი ხელმძღვანელობს ბოლშევიკების არალეგალურ ორგანოს „პროლეტარიატის ბრძოლა“ და აქტიურ მონაწილეობას იღებს პარტიის მესამე ყრილობის მომზადების საქმეში. 1905 წ. „ოქტომბრის მანიფესტის“ სტალინს ტფილისში მოუსწრო, ფრაქციული ბრძოლის ვამწვავების მომენტში. ამ მომენტს ეკუთვნის სტალინის ბროშურა ქართულ ენაზე „მოკლედ პარტიული განხეთქილების შესახებ“. 1905 წლის ბოლოს სტალინი, როგორც ბოლშევიკების ამიერკავკასიის ორგანიზაციების დელეგატი, გაემგზავრა რუსეთის ბოლშევიკების კონფერენციაზე ტაშერფორსში (ფინეთი). აქ სტალინი დაუახლოვდა ლენინს.

1906 წელი იყო პერიოდი 1905 წლის რევოლუციის დამარცხების, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების და პარტიის სტოკჰოლმის ყრილობის მომზადების. ბოლშევიკებმა სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტი გამოუცხადეს. ბრძოლა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ახალი სიძლიერით ჩაღდება. სუენაზე ჩნდებიან ანარქო-სინდიკალისტური ელემენტები; ისინი განსაკუთრებით ხმაურობენ ტფილისში. სტალინი ამ მიმდინარეობათა წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ცენტრშია. ამ დროს სტალინის ხელმძღვანელობით იწყებს გამოსვლას ბოლშევიკების ყოველდღიური არალეგალური გაზეთი „დრო“. ამავე დროს ეკუთვნის სტალინის წერილების მთელი სერია ქართულ ენაზე „ანარქიზმი და სოციალიზმი“. სტოკჰოლმის ყრილობას (1906 წ.) ესწრება სტალინი („ივანოვიჩის“ სახელით) როგორც ბოლშევიკების ამიერკავკასიის ორგანიზაციების დელეგატი.

1907 წელს, ლონდონის ყრილობიდან (რომელსაც ის დაესწრო როგორც ამიერკავკასიის ორგანიზაციების დელეგატი) დაბრუნების შემდეგ, ის სტოკვებს ტფილისს და გადადის ბაქოში. აქ ის ეწევა ინტენსიურ მუშაობას და რაზმავს ბაქოს ორგანიზაციას ლონდონის ყრილობის ლოზუნების ირგვლივ. სტალინი აძვებს მენშევიკებს მუშათა რაიონებიდან და ხელმძღვანელობს ბოლშევიკურ არალეგალურ ორგანოს „ბაკინსკი რაბოჩი“. ის ხელმძღვანელობს აგრეთვე დიდ კამპანიას ნავთიმწარმოებელთა და მუშებს შორის კოლხელშეკრულების დადების საქმეში და ახერხებს ბოლშევიზმის სრულ გამარჯვებას.

ვებას ბაქოს ორგანიზაციაში. ამ დროიდან ბაქო ხდება ბოლშევიზმის ციტადელი.

1908 წლის მარტში აპატიმრებენ სტალინს და რვა თვის პატიმრობის შემდეგ ასახლებენ სამი წლით ვოლოგდის გუბერნიაში, რამდენიმე თვის შემდეგ სტალინი გაიქცა და დაუბრუნდა არალეგალურ მუშაობას ბაქოში.

1910 წ. სტალინს კვლავ აპატიმრებენ და გზავნიან ვოლოგდის გუბერნიაში.

1911 წ. სტალინი ახერხებს გადასახლების აღვილიდან გაპარვას და, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით, იწყებს მუშაობას პიტერში, სადაც ხელმძღვანელობს ბოლშევიკების არალეგალურ მუშაობას. 1912 წ. პრალის კონფერენციამ სტალინი აირჩია ცენტრალური კომიტეტის წევრად. ცეკას დავალებით სტალინმა შემოიარა რუსეთის სხვადასხვა რაიონი და ჩატარა მოსამზადებელი მუშაობა მორიგი საპირველმაისო დემონსტრაციისთვის. ლენის გაფიცების დღეებში ის ხელმძღვანელობს „ზევზდას“ და მხურვალე მონაწილეობას იღებს ბოლშევიკების ორგანოს „პრავდას“-ს დაარსებაში.

1912 წლის აპრილში სტალინს აპატიმრებენ და ასახლებენ ოთხი წლით ნარიმის ოლქში. იმავე წლის ზაფხულზე სტალინი ახერხებს გაქცევას და მიღის ჯერ პიტერში, შემდეგ კი კავკავში ლენინთან. აქ ის იღებს მონაწილეობას ბოლშევიკების თათბირში 1912 წლის ბოლოს და შემდეგ ბრუნდება პიტერში. პიტერში სტალინი ხელმძღვანელობს სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკურ ფრაქციას და ბოლშევიკების ორგანოებს „ზევზდა“-ს და „პრავდას“-ს. ამ პერიოდს ეკუთვნის სტალინის ბროშურა: „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“

1913 წლის გაზაფხულზე სტალინს კვლავ აპატიმრებენ და აგზავნიან ტურქეთანის ოლქში, სოფ. კურეიქაში, სადაც ის რჩება თებერვლის რევოლუციამდე. თებერვლის რევოლუციის შემდეგ სტალინი ბრუნდება პიტერში და, როგორც ცეკას წევრი, იღებს მონაწილეობას პარტიის ხელმძღვანელ მუშაობაში. ბოლშევიკების აპრილის კონფერენციაზე, სადაც თავი იჩინა ორმა მიმღინარეობამ, სტალინი გადაჭრით დგება ლენინის პოზიციაზე 1917 წლის მაისში არსდება ცეკას პოლიტბიურო, და სტალინს ირჩევენ პოლიტბიუროს წევრად. აქედან დაწყებული სტალინი ცეკას პოლიტბიუროს წევრია. იქტომბრის სამზადისის პერიოდში სტალინი ლენინთან მუშაობს.

კორნილოვშინის, დემოკრატიული თათბირის, „პრედპარლამენტის“ და შეიარაღებული აჯანყების პერიოდში, როდესაც პარტიის ერთი ნაწილი მერყეობდა (ზინოვიევი, კამენევი), სტალინი მედგრად უდგა ლენინს გვერდში, მისი ახლობელი თანაშემწე იყო. ივლისის დემონსტრაციის შემდეგ თითქმის ოქტომბრიამდე, როდესაც ლენინი არალეგალურ მდგომარეობაში იყო, სტალინი ხელმძღვანელობდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოებს („რაბოჩი-ი სოლდატ“, „პროლეტარი“, „რაბოჩი“, „რაბოჩი პუტ“ და სხვა). სვერდლოვთან ერთად სტალინი ხელმძღვანელობდა პარტიის ნახევრად არალეგალურ მეექსე ყრილობას. ოქტომბრის დღეებში ცეკამ აირჩია სტალინი „ხუთეულის“ (აჯანყების პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის) და „შვიდეულის“ (აჯანყების ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის) წევრად.

1917 წ. სტალინი არის რუსეთის ცავის წევრი. 1917 — 1923 წლებში სტალინი არის ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი, 1919 — 1922 წლებში მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი, 1922 წლიდან — ცეკას მდივანი. 1925 წლიდან — კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი.

სამოქალაქო ომის პერიოდი სტალინმა ფრონტზე გაატარა. 1918 წ. (გაზაფხული და ზაფხული) სტალინი ვოროშილოვთან და მინინთან ერთად ხელმძღვანელობს ცარიცინის დაცვის საქმეს კრასნოვის ჯარების თავდასხმების დროს. 1919 წ. გაზაფხულზე სტალინი მუშაობს პიტერის ფრონტზე და ხელმძღვანელობს იუდენიჩის ჯარზე თავდასხმის საქმეს. 1919 წლის ზაფხულზე სტალინი მუშაობს დასავლეთის ფრონტზე, სმოლენსკში, საღაც ხელმძღვანელობს პოლონელთა შემოტევის უკუგდების საქმეს. 1919 წლის ზამთარში სტალინი ხელმძღვანელობს სამხრეთის ფრონტს დენიკინის წინააღმდეგ (სანამ წითლები არ იკავებენ როსტოვს და ოდესას).

1920 წ. სტალინი მუშაობს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე. აქ ის ხელმძღვანელობს პოლონეთის ჯარების ფრონტის გარღვევას უიტომირის რაიონში, ათავისუულებს კიევს. ამის შემდეგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ჯარები მიეშურებიან ლვოვისაკენ. 1920 წელშივე სტალინი ხელმძღვანელობს უკრაინის დაცვის საქმეს გრანგელის ჯარების შემოტევისაგან.

1920 — 23 წ. სტალინი არის რევოლუციონური სამხედრო საბჭოს წევრი. სამხედრო დამსაურებისათვის დაჯილდოვებულია წითელი დროშის ორდენით.

1923 — 1924 წ. სტალინი ხელმძღვანელობს ჯერ ტროცკის-ტული, შემდეგ კი „ლენინგრადის“ (კამენევი, ზინოვიევი) და გაერთიანებული ოპოზიციის (1925 — 1927 წ.) საწინააღმდეგო ბრძოლას და დაუზოგავად ააშკარავებს მათ ანტილენინურ და ოპორტუნისტულ სახეს.

პარტიის მე-14 ყრილობაზე სტალინი პარტიის ცენტრალურ ამოცანად აყენებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეს. რეკონსტრუქციის პერიოდში (მე-1.5 ყრილობის პერიოდი) პარტია სტალინის მეთაურობით აყენებს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხს და აწარმოებს სასტიკ შეტევას სოფლისა და ქალაქის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ. 1928 წ. სტალინი დროულად იწყებს პარტიისა და მუშათა კლასის მობილიზაციას მემარჯვენე გადახრის (ბუხარინი, რიკოვი, ტომსკი) წინააღმდეგ და ახერხებს მემარჯვენე ოპოზიციის სრულ გაკოტრებას და განადგურებას. ამ ორ ფრონტზე წარმოებული ბრძოლის ყველა პერიოდში სტალინი პარტიისა და კომინტერნის რიგებში მედგრად იცავს ლენინის ხაზს და დაუზოგველად ააშკარავებს ოპოზიციის რევიზიონიზმისა და ოპორტუნიზმის სახეს.

სტალინს ეკუთვნის მთელი რიგი წიგნები და ბროშურები: „ლენინიზმის საკითხები“, „ოქტომბრისაკენ“, „ოპოზიციის შესახებ“, „შმარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ და სხვა, სადაც ის ნათლად და სრულად აშუქებს ლენინიზმის საკითხებს. ის, გამოდის რა ლენინიზმის თეორიიდან, თავის ნაწერებში აყენებს პროლეტარიატის დიქტატურის კონკრეტ ამოცანებს და ააშკარავებს ტროცკიზმისა და მემარჯვენე გადახრის ოპორტუნისტულსა და წვრილბურჟუაზიულ სახეს.

სტალინი არის ყველაზე უფრო დიდი ორტოდოქსალური მოწაფე ლენინის, მისი საქმის გამგრძელებელი და პარტიის უმთავრეს ლონისძიებათა სულისჩამდგმელი სოციალიზმის შენების საქმეში. სტალინი არის პარტიისა და კომინტერნის ყველას მიერ აღიარებული ბელადი.

ლენინის დროშის ქვეშ.

**დღეს საზღვრება თრიოდიათი ფელი ამხ. ს ტალი ი ი ს
დაბადების დღიდან.**

ამხ. სტალინის ცხოვრება და მისი მრავალწლოვანი რევოლუციონური მუშაობა მცირდროდ არის გადამტული რუსეთის და ს. ს. რ. კ. მუშათა კლასის ამ უკანასკნელი ოცდაათი წლის. ბრძოლის ყველა მთავარ ეტაპთან და ლენინურ-ბოლშევიკური პარტიის მთელს ისტორიასთან, რომლის ბელადთა შორის ამხ. სტალინმა, ლენინის გარდაცვალების შემდეგ, პირველი ადგილი დაიჭირა.

ჯერ კიდევ 1905 — 06 წლების რევოლუციის ხანებში და თვით რევოლუციის დროს ამხ. სტალინი ამიერკავკასიაში ბოლშევიზმისათვის მებრძოლთა პირველ რიგში დგება. აქ იწყება მისი მრავალწლოვანი შეურიცებელი ბრძოლა მენშევიზმთან, რომლის ციხე-სიმაგრე იმ დროს საქართველო იყო. ამ ბრძოლამ სტალინს ამიერკავკასიის მუშათა რევოლუციონური მასების უდიდესი სიყვარული და ნდობა დაუშესახურა და თან ოპორტუნისტ-მენშევიკების, საერთაშორისო იმპერიალისტების დღევანდელი პირდაპირი აგენტების — წერე-თლის, უორდანიასი და „მმათა მათთა“ მწვავე სიძულეილი. ამხ. სტალინი მათ დაუზოგად ამხელდა. აქ, ეროვნებათა შორის უაღრესად დახლართული დამოკიდებულების ატმოსფერაში და გამწვავებულ ბრძოლაში, რომელსაც ალვიგებდა ცარიზმი და ბურუუაზია რევოლუციონური და მუშური მოძრაობის ჩაქრობის მიზნით, — იწყო გამოკვეთა ამხ. სტალინში ლენინის შემდეგ პარტიაში უდიდესბა თეორეტიკოსმა ეროვნულს ხაკითხში და პარტიის ეროვნული პოლიტიკის ხელმძღვანელმა.

გამარჯვებულმა რეაქციამ მთელი რიგი სასტიკი მარცხი დაატეხა პარტიულ ორგანიზაციას. მისი აღდგენა უსაშინელესი რეაქციის და მასების აპატიის უძნელეს პირობებში ხდებოდა. მენშევიზმი, აშკარა ლიკვიდატორობად გარდაიქცა და მან რევოლუციონური ბრძოლის უარყოფის და არალეგალური ორგანიზაციის დაშლის ლოშუნგი გამოიისროლა. ბოლშევიკური პარტიის კადრები მეტის-მეტად შეთხელდა. ერთი ნაწილი სრულიად ჩამოშორდა მუშაობას, ზოგი კი მენშევიკების წახედულობით ლიკვიდატორული და ნახევრადლიკვიდატორული სულისკვეთებით გაიმსჭვალა. ამ ნიაღაგზე აღმოცენდა საკმაოდ გავლენიანი მიმდინარეობა ე. წ. შემრიგებლებისა, რომელნიც მხარეს აკრიტიკულ ლიკვიდატორებთან შეთანხმებას, რაც გინდა

ყოფილიყოს და რაც მსხვერპლიც გინდა მოეთხოვა ამ შეთანხმებას; ამნაირად, ფაქტიურად, ისინი მხარს უჭერდენ პარტიის მიერ რევოლუციონური პოზიციების დათმობას. მეორე მხრით ბოლშევიკების ერთი გავლენიანი ჯგუფი გადაიხარა „მარცხნივ“ და ბრძოლის ახალ ფორმებთან შეგუების უნარდა კარგული, ე.წ. მემარცხენე ოტოვისტურ-ულტიმატისტურ“ სულისკვეთებას დაემორჩილა; ეს მიმღინარეობა ზურგს აქცევდა ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენებას (სა-თათბირო, პროფესიულური) და, საესებით უტოვებდა რა ყოველივე ამას მენშევიკებს, ცხოვრებიდან განყენებულ, სექტანტურ ჯგუფად ბოლშევიზმის გარდა აქცევის საშიშროებას ჰქმნიდა.

და აი სწორედ ამ უძნელეს პერიოდში, მეფის რეაქციის უსასტიკესი თარეშის ხანაში, როდესაც ბოლშევიზმი სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლას აწარმოებს ლიკვიდატორულ მიმღინარეობასთან და ორ ფრონტზე (ერთი მხრით შემრიგებლებთან, ხოლო მეორე მხრით კი — „ოტოვისტურ-ულტიმატისტურ“ მიმღინარეობასთან) იბრძვის თვით ბოლშევიზმის ფარგლებს შიგნით, — ამხ. სტალინი ვ. ი. ლენინის ერთ-ერთ უახლოეს და უერთგულეს თანაშემწედ ხდება ძველი იატაკქვეშა ორგანიზაციის აღდგენის და განმტკიცების საშინალდ მძიმე მუშაობაში. ამ უახლოესი მუშაობის პირველი ნაბიჯების წარმატებით ჩატარების შემდეგ, 1912 წელს მომხდარ პარიზის კონფერენციის შემდეგ, როდესაც ბოლშევიზმა უკანასკნელი ორგანიზაციული კავშირი გასწყვიტა მენშევიკებთან, ახალი რევოლუციონური აღტყინების დასაწყისში სტალინი შედის პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში და ლეგალურ ბოლშევიკურ „პრავდა“-ს და მე-IV სახელმწიფო სათათბიროს ლეგალური ს.-დ. ფრაციის ერთ-ერთი პირველ ხელმძღვანელთაგანი ხდება. დაპატიმრებამ და შემდეგ ციმბირის უშორეს მხარეში რამდენიმე წლით გადასახლებამ ჩამოაშორა ამხ. სტალინი ცოცხალ პრაქტიკულ მუშაობას და სწორედ მაშინ, როდესაც პარტიის განსაკუთრებით ესაჭიროებოდა მისი მაშინ უკვე ფართოდ გაშლილი ლენინური სკოლის ორგანიზატორის და პირველხარისხოვანი პოლიტიკოსის ნიჭი და გამოცდილება

და მაშინ, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის აპრილის დასაწყისში, როდესაც ლენინი დაბრუნდა რუსეთში და საჯაროდ გამოვიდა თავისი ცნობილი თეზისებით ბურუჟაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციიად ვარდაქმნის და საბჭოთა რესპუბლიკისათვის ბრძოლის შესახებ, მან ამხ. სტალინში უახლოესი თანამოაზრე და უშუალო თანაშემწე იპოვა.

ლენინთან ერთად ამხ. სტალინი მედგრად ებრძოდა 1917 წლის აპრილში მომხდარ პეტროგრადისა და შემდეგ სრულიად რუსეთის კონფერენციებზე და აგრეთვე მთელი ოქტომბრის წინა პერიოდის განმავლობაში პარტიაში არსებულ მერყევ და მომაპორტუნისტო ელემენტებს. ლენინთან ერთად ან მისი უახლოესი ხელმძღვანელობის ქვეშ სტალინი დღითი-დღე ატარებდა უდიდეს მუშაობას პარტიულ თუ საბჭოთა ხელმძღვანელ ორგანიზაციებში. და, როდესაც იყვნისის დღეების შემდეგ აღვირახსნილი იმპერიალისტური ხროვა შენშევიკებისა და ესერების შემწეობით თავს დაატყდა ჩეპჩესიების მთელი სეტყვით ზოლშევიკურ პარტიას და ლენინი აიძულა დროებით მაინც გადასულიყო არალეგალურ მდგომარეობაზე, ამხ. სტალინი მე-VI პარტიულ ყრილობაზე გამოდის პოლიტიკური ანგარიშით, სადაც, ლენინის ხაზის სწორი დაცვით, ის შემდგომი რევოლუციონური ბრძოლის ბურჯუაზიულ დიქტატურაზე თავდასხმის და ხელისუფლების ხელში ჩაგდების გეგმებს ავითარებდა.

და მე-VI ყრილობის შემდეგაც ამხ. სტალინი ერთი იმათგანი იყო, ვინც ლენინური ცენტრალური კომიტეტის რიგებში ლენინის თან მიყოლით მიუძღვდა პარტიას ყოველივე დაბრკოლებების წინააღმდეგ, მიუხედავად მრავალთა ქანაობის და მერყეობისა მიუხედავად იმისა, რომ ოპორტუნისტებს არ სწამდათ ძალ-ლონე მუშათა კლასისა, რომელსაც პარტია ხელმძღვანელობდა, ძალა-უფლების დასაპყრობად და შესანარჩუნებლად, ოქტომბრის გამარჯვებისკენ. ყველასათვის ცნობილია, თუ რა უდიდესი როლი ითამაშა ამხ. სტალინმა ოქტომბრის გადატრიალების უშუალო მომზადება-სა და ჩატარებაში.

იმავე სიმტკიცით და შეურყეველობით, როგორითაც ამხ. სტალინი ლენინთან ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძოდა ოქტომბერში კაპიტალისტურ აპორტუნისტულ ნახევრად ლიკვიდატორული სულისკვეთების წინააღმდეგ, აგრეთვე მათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა ხელში არ აეღო პარტიას ძალა-უფლება ან ურჩევდა უკვე ხელში ჩაგდებული ხელისუფლება ბურჯუაზიისა და მენშევიკებისათვის გადაეცა მეორე დღესვე და იმავე სიმტკიცით ილაშქრებდა ამხ. სტალინი ბრესტის შძიმე დღეებში „მემარცხენე“ კაპიტულიანტების წინააღმდეგ, რომელთაც სწადდათ გერმანიის იმპერიალიზმთან ომის ავანტურისტული ტაქტიკა მოეხვიათ თავს პარტიისათვის, ომის, რომელიც უეჭველად დამთავრდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობით.

უდიდესი მუშაობა ჩაატარა ამხ. სტალინმა, ლენინის გვერდით, ოქტომბრის შემდეგ პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში პარ-

ფიის ორგანიზაციის პროლეტარული დაქტატურის სახელმწიფოებრივი აპარატის ჩამოყალიბების და ამ დიქტატურის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტის — მუშარ-გლეხური წითელი არმიის ორგანიზაციის საქმეში.

განსაკუთრებით უნდა იქნეს აღნიშნული ამხ. სტალინის როლი, როგორც ამავე წლებში, ისე შემდგომაც, როგორც პარტიის ეროვნული პოლიტიკის უშუალო ხელმძღვანელისა, რამაც მოუხვეჭა პარტიის მხურვალე თანავრჩნობა და მხარის დაჭერა ცარიზმის მიერ დაჩაგრული ერების მშრომელი მასების მხრივ; ამ პოლიტიკამ მთელი ეს მასები მუშათა კლასის მხარეზე დააყენა, ხოლო მეფის რუსეთის ყოფილი განაპირია კუთხეების კონტრრევოლუციონური ბურჟუაზია კი, რომელიც ცდილობდა ბრძოლა გაეჩაღებინა პროლეტარულ რევოლუციის წინააღმდეგ ეროვნული დროშის ქვეშ — სრულიად განამხოლოვა მათგან.

პარტიის სწორი ლენინური ეროვნული პოლიტიკა, რომელსაც პარტია ამხ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ატარებდა, სამოქალაქო ომში საბჭოთა ხელისუფლების სრული გამარჯვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა.

ამ სამოქალაქო ომში ამხ. ხტალინი წითელი არმიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო.

მისი სახელი დაკავშირებულია საბჭოთა რესპუბლიკის თეთრ-გვარდიელთა კონტრრევოლუციის და უცხოელთა ინტერვენციის წინააღმდეგ სამხედრო ბრძოლის ისტორიის მთელ რიგ ბრწყინვალე ფურცლებთან (ცარიცინის დაცვა 1918 წ., გადამწყვეტი და თან ძლევა-მოსილი ეტაპი დენიკინთან ბრძოლაში სამხრეთის ფრონტზე 1919 წლის დასასრულს, თეთრ პოლონელებთან ბრძოლა უკრაინაში 1920 წელს).

ლენინის და ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით პარტია გამარჯვებით ამთავრებს სამოქალაქო ომს, გადადის ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე და უდიდესი შრომით იწყებს განადგურებული მეურნეობის ალორძინებას. ჯერ კიდევ ამ ალორძინებითი პერიოდის გადამწყვეტ შედეგებამდე პარტია კარგავს თავის უდიდეს ბელარს და ორგანიზატორს — ვ. ი. ლენინს.

მაგრამ ჯერ კიდევ ორი წლით ადრე, ვიდრე ლენინი სამუდამოდ დაშორდებოდა პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობას, პარტიის შიგნით იწყებს გალვიცებას ტროკიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც იმ მიმართულების წინააღმდეგ, რომელიც წვრილბურჟუაზიული სტიქიონის წნევის გამოხატულებას წარ-

მოადგენდა. ლენინის ხელმძღვანელობით პარტია მე-Х ყრილობაზე სასტიკად ამარცხებს ტროცკიზმს პროფკავშირების საკითხში, და ამხ. სტალინი იბრძვის ამ ლენინის მიერ დასახული ხაზისათვის თავის მასწავლებელთან ხელიხლაკიდებული. მე-Х ყრილობაზე დამარცხებული ტროცკიზმი, პარტიის უდიდეს უმრავლესობას ჩამოშორებული, დროებით აჩერებს პარტიის წინააღმდეგ ბრძოლას.

და მხოლოდ ლენინის ავადმყოფობა და 1923 წ. დასასრულის ალორძინებითი პერიოდის სიძნელენი აძლევენ ხელახალ საშუალებას ტროცკიზმს კვლავ გადავიდეს პარტიის წინააღმდეგ გენერალურ შეტევაზე, ის ცდილობს მემარცხენე ხასიათის ფრაზებით გააბრუოს პარტიული მასები, ჩაიგდოს ხელში პარტიული ხელმძღვანელობა და დააყენოს პარტია მენშევიკურ გზაზე.

1923 წლის დასასრულს პარტია გადადის ტროცკიზმთან გააფიტორებული ოთხწლიანი ომის მეორე, ლენინის შემდეგს, პერიოდში. ეს ბრძოლა გადადის კომინტერნის უკვე სხვა სექტიებში. საბჭოთა ხელისუფლების უკველა მტერი მთელს თავის იმედებს ამ ხელისუფლების დამხობაზე უკვე ტროცკიზმის გამარჯვებას უკავშირებს, მაგრამ პარტია ამს. სტალინის ხელმძღვანელობით გამანადგურებელ წინააღმდეგობას უწევს ტროცკიზმს, ააშკარავებს მის იდეოლოგიას პარტიული მასების წინაშე, როგორც მენშევიკურ იდეოლოგიას, და ბოლოს სრულიად აქცებს უკველა ტროცკისტს თავისი წრიდან.

ტროცკიზმი ცდილობდა გაეხრიწნა პარტიული რიგები მით, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ამშენებლობის საქმე მას არა სწამდა, ის ცდილობდა გაესინჯა ლენინის მოძღვრება მუშათა კლასის გლეხობასთან კავშირის შესახებ, ცდილობდა დაემსხვრია პარტიული აპარატი და ამით გზას უკაფავდა პროლეტარული დიქტატურის მტრებს.

ამს. სტალინმა მისცა პარტიას ლენინის მოძღვრების საფუძველზე ჩამოსხმული გარკვეული ლოზუნგები ს. ს. რ. კავშირის ინდუსტრიალიზაციისა და მასში სოციალიზმის სრული განხორციელების შესახებ.

ამჟამად არა თუ მერიგე ტროცკისტული უმრავლესობა, არამედ იმავე ტროცკისტების ხელმძღვანელი კადრების თვალსაჩინო ნაწილიც კი იძულებულია ჩამოშორდეს თავის ლიდერს და იცნოს პარტიის ხაზის სისწორე, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებები უკვე თავისთავად ლალადებენ მათ შეცდომებზე. ხოლო თვითონ ის კი, ვინც ცდილობდა ხელში ჩაეგდო პარტია ლენინის გარდაცვალების შემდეგ და თავს მოეხვია მენშევიკური ტაქ-

ტიკა მემარცხენე ფრაზების მეოხებით, — სამარცხვინოდ ამთავრებს თავის პოლიტიკურ ცხოვრებას ყვითელი ბურუუაზიული პრესის ფურცლებზე.

ტროცკიზმის განადვურების შემდეგ პარტია ამს. სტალინის ხელმძღვანელობით სასტიკად ამარცხებს მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრას, რომელიც, შეუშინდა რა რეკონსტრუქციული პერიოდის სიძნელეებს, გამოვიდა ნეპმანის და კულაკის წინაშე კაპიტულიაციის ფართო პროგრამით. პარტიამ აიძულა მემარჯვენე გადახრის ლიდერები საჯაროდ ეცნოთ თავისი შეცდომები და უარეყოთ ისინი.

მარცხნით და მარჯვნით მოწოლილი კაპიტულიანტების ძალების შეუბრალებლად დაძლევის გზით ლენინის გარდაცვალების შემდეგ პარტია, ამს. სტალინის ხელმძღვანელობით, მტკიცე სისწორით ატარებდა ლენინურ გენერალურ ხაზს, და ამ ხნის განმავლობაში მან შესძლო არა თუ აღედგინა მრეწველობის ოზამდე არსებული დონეები, არამედ გადაეჭარბებინა კიდეც მათოვის. პარტია, მე-XV ყრილობიდან დაწყებული, ამს. სტალინის ინიციატივით შეუდგა სოფლის მეურნეობის ფართო სოციალისტური რეკონსტრუქციის საქ-

ს, გაშლილ კოლექტივიზაციას და ძლიერი საბჭოთა მეურნეობების შექმნას, მიუხედავად ყველა კაპიტალისტური ელემენტის გააფთრებული წინააღმდეგობისა. ჩვენ დღეს უკვე მოწმენი ვართ სოფლად სოციალისტური მშენებლობის ბრწყინვალე წარმატებისა, სოფლად, სადაც ჯერ კიდევ სულ ახლო წარსულში ბატონობდა წერილი, დაქაქსული გლეხური მეურნეობა და მის საფუძველზე იზრდებოდენ სოციალიზმის მოქიშე აპიტალისტური ელემენტები.

პარტია ხედავს ამს. სტალინში თავისი უდიდესი მეთაურის და ორგანიზატორის ვ. ი. ლენინის ყველაზე უფრო ერთგულს და თავდაცემულს მოწაფეს და თანამებრძოლს, ლენინიზმის უგამოჩენილეს თეორეტიკოსს არა მარტო სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიისათვის (ბ), არამედ მთელი კომუნისტური ინტერნაციონალისათვის. ამს. სტალინის მიერ დაწერილი „ლენინიზმის საფუძვლები“ დიდი ხანია უკვე რაც ყოველი ლენინელის განუშორებელ წიგნად გადაიქცა მთელს მსოფლიოში.

1923 წელს გერმანიაში მომხდარი ამბების და განსაკუთრებით კი კომინტერნის მე-V კონგრესის შემდეგ, ამს. სტალინი სისტემატიურად უშუალო მონაწილეობას იღებს კომინტერნის მუშაობაში. ამს. სტალინის ხელმძღვანელობით მე-V კონგრესის შემდეგ კომინტერნის ძირითად სექციებში წარჩინებით ჩატარდა ბრძოლა ტროცკიზმის

წინააღმდეგ. ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობითი მონაწილეობით იქნა შედგენილი მე-VI კონგრესის უმთავრესი დოკუმენტები და აღებულ იქნა ძირითადი გეზი მთელი კომინტერნის ფარგლებში მემარჯვენე გადახრისა და შეძრივებლობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

პარტია ხედავს ამხ. **სტალინში** პოლიტიკოსის და ორგანიზატორის თვისებათა ბრწყინვალე შეთავსებას, რომელიც ასე საჭიროა მუშათა კლასის ბელადისათვის, ვინაიდან მუშათა კლასი იბრძვის თავისი გამარჯვებისათვის მთელი მსოფლიო მასშტაბით უამრავი და უძლიერესი მტრის წინააღმდეგ და მტკიცე ორგანიზაციის გარეშე ის წარმოადგენს ცალკეული ადამიანების მტვერს. ეს შეთავსება განსაკუთრებული სიძლიერით გამოიჩინა ამ უკანასკნელ წლებში, როდესაც ამხ. **სტალინშა** დაიწყო მუშაობა ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამდებობაზე, რა თანამდებობაც მან მე-XI ყრილობის შემდეგ დაიყავა. პროლეტარული დიქტატურის იმ ძლიერია აპარატის შექმნაში, რომელიც საბჭოთა კავშირში არსებობს ამჟამად და რომელსაც მეთაურობს პარტია მთელი რიგი ამძრავი ღვედით (საბჭოები, პროფკავშირები) დაკავშირებული მუშათა და ლარიბ და საშუალო გლეხთა მილიონიან მასებთან, პირველი ადგილი ლენინის შემდეგ ეკუთვნოდა ამხ. **სტალინს** და ახლაც ეკუთვნის.

ბოლოს, არა მარტო ჩვენი პარტია, არამედ მთელი კომუნისტური ინტერნაციონალი ხედავს ამხ. **სტალინში** პარტიული ერთიანობისათვის, შემჭიდროებისა და ბოლშევკიური ხაზისათვის შეურიგებელ მებრძოლს, რომელიც არ დაინდობს არავითარ თპორტუნიზმს და შემრიგებლობას, არ დაინდობს არავითარ გადახრას ლენინიზმისაგან.

პარტია დარწმუნებულია, რომ უახლოეს ხანაში, ცენტრალური კომიტეტის და მისი გენერალური მდივნის ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით საბოლოო და სრულ გამარჯვებას მიაღწევს კაპიტალისტურ ელემენტებზე პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში და ამით მძლავრ ბიძგს მისცემს საერთაშორისო მასშტაბით რევოლუციის გამარჯვებას.

ფოლადისებური ლენინის პარტია ცენტრალური კომიტეტისა და მისი გენერალური მდივნის ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით მიაღწევს კიდეც ამ გამარჯვებას და ვლადიმერ ილიასძის საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

სტალინი და პარტია

მთელი მსოფლიოს პოლიტიკური პარტიების სტორიას არ ახსოეს ისეთი მძლავრი და ძლიერამოსილი პარტია, როგორიც არის ჩვენი პარტია.

თუ პარტიამ უდიდეს გამარჯვებასა და წარმატებებს მიაღწია, ეს აიხსნება პირველ ყოვლისა მისი სწორი პოლიტიკითა და ტაქტიკით, პარტიის ორგანიზაციის სწორი სისტემით.

რეაქციის შავბნელ წლებში, როდესაც თითქოს არსაიდან შუქი არ მოჩანდა, როდესაც ძალიან ბევრი ჰერგავალა რევოლუციის რწმენას და შორდებოდა რევოლუციას, ხოლო ზოგიერთი ხელმძღვანელი მერყეობას იჩენდა და გადადიოდა ოპორტუნიზმის მხარეზე ბოლშევიზმის წინააღმდეგ, — ლენინს მიერ შექმნილი პარტია აწარმოებდა მედგარ თავგამოდებულ ბრძოლას და ამზადებდა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას.

პატარა წრეებში ჩასახული პარტია ლენინშა გადააქცია მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფოს ხელმძღვანელად, იმ სახელმწიფოს ხელმძღვანელად, რომელიც ძლიერამოსილად აშენებს სოციალიზმს, რომელიც წარმოადგენს მთელი მსოფლიო პროლეტარიატის მიმზიდველ ძალას და საფრთხეს მსოფლიო ბურჟუაზიისათვის.

როდესაც ლენინი მოკვდა, ძალიან ბევრს დაებადა ეჭვის მძიმე გრძნობა. ბევრი ფიქრობდა: შევძლებთ თუ არა დავამყაროთ ლენინის საქმე ულენინოდო. როდესაც ამხანაგები ასე ფიქრობდენ, ვერც კი წარმოედგინათ, რომ ამით სასტიკად აქრიტიკებდენ თვით ლენინს.

ლენინი აშენებდა ჩვენს პარტიას როგორც მასიურ, პროლეტარულ პარტიას, რომელიც აერთებს რკინისებურ დისციპლინას და ცენტრალიზაციაქმნილ ორგანიზაციას, რომელშიაც ბელადების — პროფესიონალური რევოლუციონერების — ხელმძღვანელობა შეერთებულია პროლეტარული მასების უფართოეს აქტივობასთან და ბოლშევიკურ პარტიაში პროლეტართა უფრო და უფრო მეტი რიცხვის ჩაბმასთან.

ლენინმა გამოსჭედა პარტიის მრავალი ასი და ათასი აქტიური მშენებელი, რომლებიც გამოსულნი იყვნენ, არალეგალურ მუშაქთა წრეებიდან, რომლებიც მუშაობდენ ლენინთან ერთად და სწავლობდენ მასთან, თუ როგორ ეშენებინათ პარტია, როგორ წაეყვანათ იგი სიძნელეებისა და დამარცხებებიდან გამარჯვებებისაკენ.

ძველ პროფესიონალურ რევოლუციონერთა სწორედ ეს რაზმი გახდა იმ ძალად, რომელიც, უფართოეს მასებზე დაყრდნობით, განაკრძობს ლენინის საქმის დაგვირგვინებას.

თავისი ბელადის სიკვდილის შემდეგ პარტია განსაკუთრებული ყურადღებითა და სიმწვავით აღევნებდა თვალყურს პარტიის ხელმძღვანელობის საკითხებს. პარტიამ იცოდა, რომ ამ ხელმძღვანელობის რიგებში იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე დღეებში მერყეობას იჩინდენ და შორდებოდენ ლენინს. პარტიამ იცოდა, რომ პარტიის ხელმძღვანელობაში იყო გუშინდელი მენშევიკი ტროცკი, მაგრამ პარტიამ ისიც იცოდა, რომ ხელმძღვანელობის რიგებში დარჩა ლენინის ერთ-ერთი უშუალო მოწაფე, რომელიც მთელი თავისი 32 წლის ბოლშევიკური მოღვაწეობის განმავლობაში. არ მოშორებია ლენინს, თანმიმდევრობით ანხორციელებდა ლენინურ პოლიტიკას და განსაკუთრებით მძიმე წლებში, რეაქციის წლებში, იყო პარტიის ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე მშენებელთაგანი. ლენინის ეს მოწაფე არის სტალინი.

ამხ. სტალინი ეკუთვნის იმ ძველ პროფესიონალურ რევოლუციონერთა კატეგორიას, რომელნიც დღითი-დღე მუშაობდენ ჩვენი პარტიის მშენებლობისათვის დამარცხებათა და სიძნელეთა პირობებში, მტკიცედ და შეუდრევებად მიდიოდენ მიზნისაკენ და დარწმუნებული იყვნენ, რომ ბოლოს პარტია გაიმარჯვებს.

ამხ. სტალინის, როგორც ჩვენი პარტიის ერთ-ერთი საუკეთესო ორგანიზატორისა და მშენებლის, როლი გამოირკვა პარტიის განვითარების გარიურავებევე, როდესაც პარტიის ჯერ კიდევ საძირკველი ეყრებოდა, როდესაც იქმნებოდენ მისი ჯერ კიდევ პირველი წრეები.

რეაქციის წლებში, როდესაც ზოგიერთი ჯგუფები სკლილობდენ მოეხდინათ პარტიის აშკარა ლიკვიდაცია, როდესაც მეორენი „მემარცხენე“ ფრაზების რახა-რუხით არსებითად აქეთკენვე მიისწრაფოდენ, როდესაც მესამენი შემრიგებელთა სამოსელში ეხვეოდენ და ცდილობდენ შეერიგებიათ პარტიის სხვადასხვა მიმდინარეობა, ლენინის ერთგულად დარჩენილ პარტიილთა, ჩვენს ქვეყანაში პარტიის აღდგენისათვის მომუშავეთა პატარა ჯგუფის როლი ჭეშმარიტად გმირული და მხსნელი იყო. ამხ. სტალინი იყო ერთ-ერთი უერთგულესი ხელმძღვანელთაგანი იმ მრავალი ათასი ბოლშევიკისა, რომელნიც თავგანწირულად ანხორციელებდენ ლენინის საქმეს განუწყვეტილი, მედგარი მუშაობით ჩვენი ქვეყნის შიგნით.

შემთხვევითი როდია, რომ მუშათა მოძრაობის მძლავრი აზ-ვირთების წლებში, როდესაც ჩვენი პარტია ხელახლა შეივსო „პრავ-დისტების“ ახალი კადრებით, ამ მძლავრი აზვირთების უშუალო ხელ-მძლვანელი, „პრავდა“-ს ორგანიზაციონი ამხ. სტალინი იყო.

მისი ყველაზე შესანიშნავი და დამახასიათებელი თვისება სწო-რედ ის არის, რომ იგი მთელი თავისი პარტიულ-პოლიტიკური მო-ლვაწების განმავლობაში არ ჩამოშორებია ღენის, არ გადახრილა არც მარჯვნივ, არც „მარცხნივ“ და მტკიცედ და შეუდრეველად ან-ხორციელებდა სწორ ბოლშევიკურ პოლიტიკას როგორც არალეგა-ლურად მუშაობის დროს, ისე ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ.

ამხ. სტალინში განსაკუთრებით მკაფიოდ განსახიერებულია ბოლშევიკური პარტიის ყველა უმთავრესი თვისება. როგორც ხელ-მძლვანელი, იგი რჩება ძველი ბოლშევიკური ტრადიციების, ბოლშე-ვიური თეორიის, პრაქტიკისა და ორგანიზაციის ერთგული. პარ-ტიის სწორ ხელმძღვანელობას საფუძვლად უძევს: 1) ბრძოლა პრო-ლეტარული რევოლუციის მტკიცე მარქსისტული თეორიისათვის; 2) კლასობრივი ბრძოლის თანმიმდევრობითი პოლიტიკა და პრაქტიკა; 3) დასახული პოლიტიკური ამოცანების პრაქტიკულად განხორციე-ლების ორგანიზაცია და ამ პოლიტიკური ამოცანების შესაფერისი სისტემა პროლეტარული პარტიის ორგანიზაციისა.

მოღალატეობა პოლიტიკაში ყოველთვის თეორიის რევიზიით იწყება. სოციალ-დემოკრატიის მოღალატეობა დაიწყო მარქსის მო-ძღვრების რევიზიით. მენშევიზმთან და რევიზიონიზმთან გააფთრებულ ბრძოლაში ღენისმა დაიცვა მარქსის თეორიის სიწმინდე. რევიზიო-ნიზმა და ოპორტუნიზმს ის თვისება აქვთ, რომ ისინი ხელის წარმოიშობიან ახალი ფორმებით, ახალი სახით და პროლეტარული დიქტატურის ახალ პირობებშიაც კი.

ჩვენი პარტიის პროლეტარული დიქტატურის არსებობის 12 წლის განმავლობაში, როგორც „მარცხნიდან“, ისე მარჯვნიდან, სხვა-დასხვა ფორმით იჩენდენ თავის იმის ცდები, რომ მოეხდინათ მარ-ქსის მოძღვრებისა და ლენინის მოძღვრების რევიზია კლასობრივი ბრძოლის ძირითად საკითხებში. იმ აშკარა დალატის დაძლევის მე-ორე დღეს, რომელიც მოხდა ოქტომბრის დღეებში, ოქტომბრის გა-მარჯვების შემდეგ წარმოიშვა ნახევრად ანარქისტული გადახრა, რო-მელმაც „მემარცხენე“ კომუნიზმის დროშით გაილაშქრა იმ ზომე-ბის წინააღმდეგ, რასაც ჩვენი პარტია ატარებდა პროლეტარული სახელმწიფოებრივობის განმტკიცებისა და დისკიპლინისა და რე-ვოლუციონური წესრიგის დამყარების საქმეში. დემოკრატიული ცენ-

ტრალიზმი, მუშათა ოპოზიცია, ტროცკისტული ოპოზიცია — ყოველივე ეს იმის ცდები იყო, რომ „შეესწორებიათ“ მარქსისა და ლენინის მოძღვრება. პარტიამ ლენინის ხელმძღვანელობით წარმატებით მოიგერია ყველა ეს იერიშები რევოლუციონურ მარქსიზმსა და ლენინიზმზე. ლენინის უახლოესი, ყველაზე აქტიური და ყველაზე ერთგული თანაშემწე ამ ბრძოლაში უცვლელად იყო ამხ. სტალინი. მაგრამ განსაკუთრებით დიდია ამხ. სტალინის დამსახურება ლენინიზმის თეორიული და პრინციპული პოზიციების დაცვაში ლენინის სიკვდილის შემდეგ, როდესაც ლენინის ქველი მოწინააღმდეგე ტროცკი, რომელიც მენშევიზმის ერთგული დარჩა და რომელიც სიცოცხლეშივე ებრძოდა ლენინს, გათავსედდა და იერიში მიიტანა პარტიაზე თეორიისა და პოლიტიკის ძირითად საკითხებში.

როდესაც ტროცკის ავტორიტეტი ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი იყო, და როდესაც ჯერ კიდევ ბევრს შეუძლებლად მიაჩნდა მისი გაკრიტიკება, ამხ. სტალინმა პირველად გადაჭრით და აშკარად მთელი პარტიის წინაშე აღნიშნა ტროცკიზმის მენშევიზმი და მოუწოდა პარტიას გადაჭრით შებრძოლებოდა ტროცკიზმს და მის ცდებს — მოეხდინა ლენინის რევიზიზია ძირითად საკითხებში: ჩვენი რევოლუციის ხასიათის, გლეხობისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულების და პარტიის მშენებლობის საკითხებში. ამ ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ფორმა მიიღო, როდესაც ამხ. ზინოვიევმა და კამენევმა, რომლებსაც თავი მოჰქონდათ — ჩვენ ლენინის უახლოესი მოწაფენი და თანამებრძოლნი ვართო, სცადეს ტროცკისათვის მიეშველებინათ ეს თავიათო კაბიტალი და როდესაც მათ, თვალთმაქურად და ფარისევლურად, ლენინიზმის სამოსელში გახვევით, გაიღაშქრეს პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ და ბლოკი შეკრეს კონტრრევოლუციისკენ მიმავალ ტროცკისთან.

საჭირო იყო რკინისებური ნებისყოფა და სიმტკიცე, ხოლო, რაც უმთავრესია, ლენინიზმის ღრმა თეორიული ცოდნა და რწმენა. თავისი სიმართლისა გადამჭრელი ბრძოლისათვის ლენინიზმის მტრების ამ იერიშების ინააღმდეგ. და არა მარტო მტრების იერიშების წინააღმდეგ, არამედ უფართოესი მასების დასარაზმავად ლენინის ანდერძის შესრულების, პროლეტარული დიქტატურის განმტკიცებისა და სოციალიზმის მშენებლობისათვის. აი აქ ამხ. სტალინის უდიდეს თეორიულ დამსახურებას წარმოადგენ ის, რომ მან შესძლო მთელი სიგრძე-სიგანითა და მნიშვნელობით წამოეყენებინა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობის საკითხი. ამხ. სტალინმა დაიცვა ეს ლენინური თეორია ბრძოლაში იმ

წვრილ-ბურეულაზიულ, მენშევიკურ ოპორტუნისტებთან და მოწუწუნებულებთან, რომლებიც გადაჭრით უარყოფდენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობას. იმისათვის, რომ ამხესტალინი თანამიმდევრობით იცავდა ლენინის მიერ წამოყენებულ თეორიას ერთს ქვეყანაში რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ, მის წინააღმდეგ წამოყენეს ბრალდება ნაციონალური შეზღუდულობისა, მსოფლიო რევოლუციის დავიწყებისა და სხვ. შესახებ. მაგრამ ახლა მთელი პარტიისა და მრავალმილიონიანი უფართოოსი მასების უდიდესი უმრავლესობისათვის სრულიად ცხადია, რომ ისინი, ვინც ამ ბრალდებებს აყენებდა, აღმოჩნდენ საბჭოთა სახელმწიფოს მტრების და არა მსოფლიო რევოლუციის მხარეზე, პარტიამ კი უდიდეს წარმატებებს მიაღწია სოციალისტური მშენებლობის, ჩვენი ქვეყნის გარდაქმნის და საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც მომავალი მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ბურჯის, განმტკიცების საქმეში.

სოციალიზმის ზრდას ჩვენს ქვეყანაში თან სდევს იმ სიძნე-ლეთა ზრდა, რომლებიც თავს იჩენენ დიადი მშენებლობის პროცესში. კლასობრივი ბრძოლა, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის დროს გრძელდება, ახალი ფორმებით მწვავდება. ბრძოლა განვითარების გზაზე შემდგარ სოციალიზმსა და მომაკვდავ კაპიტალიზმს. შორის თანდათან უფრო მწვავე ფორმებს იღებს. ნაკლებად რთული ამოცანებიდან პარტია გადადის უფრო რთულ ამოცანებზე. პარტია და პროლეტარიატი იწყებენ კაპიტალიზმის ფესვების აღმოფხერას. სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდის დასასრული-მოითხოვდა ნათელ, მეტიონ პროგრამას მისი განვითარების შემდგომი გზებისათვის. და აქ ამხ. სტალინის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მან თავის დროზე და მწვავედ დასვა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპების, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საკითხი. ეს გენერალური ამოცანები უაღრესად მჭიდროდ დაკავშირებულნი იყვნენ პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის ძალების მობილიზაციის ამოცანასთან შეტევაზე გადმოსულ კლასობრივ მტერთან—კულაკთან და ნებმანთან საბრძოლველად, იმ სიძნელეთა დასაძლევად, რომლებიც ბუნებრივად იჩენენ თავს იმ გრანდიოზული ისტორიული ამოცანების გადაჭრის დროს, რომლებსაც პარტია ახლანდელ პერიოდში ანხორციელებს. წვრილ-ბურეულაზიული ფენების მერყეობა ბუნებრივად პოულობს თავის გამოხატულებას აპორტუნიზმის ახალ მოვლინებაში, ახალ იერიშებში:

ლენინიზმსა, მის თეორიასა და პრაქტიკაზე. ყალიბდება. მემარჯვენე გადახრა, რომელიც ჩემალავს კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას, რომელიც ცდილობს თეორიული და ეკონომიური დასაბუთების საფუძველზე დაამტკიცოს, რომ შეუძლებელია ჩენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ასეთი სწრაფი ტემპები. პურის დამზადების საქმეში წამოჭრილ სიძნელეთა ზეგავლენით მემარჯვენენი დგებიან კულაკის მხარეზე და არა მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშენებლობის მხარეზე. აქ ამხ. სტალინის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მან გადაჭრით და შეურიგებლად გამოაშარავა მემარჯვენე გადახრის კულაკური ანტიპროლეტარული რაობა და ბოლომდე გამოამჟღავნა. იგი თეორიულად და პრაქტიკულად ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების ნათელი და მკაფიო ანალიზით. იგი ეხმარებოდა პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს წარმატებით დაერაზმათ უფართხოესი მასები პარტიის გენერალური ხაზის ენერგიული განხორციელებისათვის.

ჩვენი პარტიის დამახასიათებელ თვისებას მოელი მისი ისტორიის მანძილზე წარმოადგენს თეორიისა და პრაქტიკის შეთანხმება პოლიტიკაში. კარგ პოლიტიკის ესაჭიროება კარგი გაშლილი მასიური ენერგიული ორგანიზატორული მუშაობა. პოლიტიკოსი—ხელმძღვანელი აღჭურვილი უნდა იყოს სწორედ ამ თვისებებით—მას უნდა შეეძლოს თავისი პოლიტიკური აზრის შეთანხმება ორგანიზატორული მუშაობის სათანადო გაშლასთან და წამოყენებული ლოზუნგების პრაქტიკულად განმტკიცებასთან. სწორედ ამ თვისებებით მაქსიმალურად აღჭურვილია ამხ. სტალინი. თავისი ორგანიზატორული ნიჭი, რომელსაც იგი ჯერ კიდევ არალეგალური მუშაობის პერიოდშიაც იჩენდა, ამხ. სტალინმა განსაკუთრებით გაშალა იმ პერიოდში, როდესაც პარტია ხელისუფლების სათავეში ჩადგა. მის სახელთან დაკავშირებულია ნაციონალური პოლიტიკის ურთულესი ამოცანების გადაჭრა, პროლეტარული რესპუბლიკების ორგანიზაცია და პირველი ნაბიჯები მუშათა და გლეხთა. ინსპექციის, როგორც მასიური ორგანიზაციის, მოწყობაში, წითელი არმიის საბრძოლველი დარაზმეა ფრონტებზე და, დასასრულ, პარტიის უშუალო საორგანიზაციის მუშაობა ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდიგნად მისი ყოფნის ჩვა წლის განმავლობაში. ჩვენი განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე ამხ. სტალინი აყენებდა უდიდეს როგანიზაციულ ამოცანებს. ახალ პირობებში ამხ. სტალინი არა ერთხელ აღნიშნავს იმ

ახალ მოთხოვნებს, რომლებიც ხელმძღვანელობას ეკისრება. ეს აშო-
ცანები მან შემდევნაირად განმარტა:

„საჭესთან ჯდომა და ისე ცქერა, რომ ვერაფერი ვერ დაინახო,
სანამ გარემოებები რაიმე ახალ უბედურებასთან არ შეგახვედრებენ,
კიდევ არ ნიშნავს ხელმძღვანელობას. ბოლშევიზმს ასე როდი ესმის.
ხელმძღვანელობა. საქმეს რომ ხელმძღვანელობდე, გათვალისწინებაც:
უნდა შეგეძლოს. ხოლო გათვალისწინება, ამხანაგებო, ყოველთვის
ადვილი როდია. ერთი საქმეა, როდესაც ერთი-ორი ათეული ხელ-
მძღვანელი ამხანაგი ხედავს და ამჩნევს დეფექტებს ჩვენს მუშაობაში,
ხოლო მუშათა მასებს არ სურთ ან არ შეუძლიათ დაინახონ და შე-
ამჩნიონ ეს დეფექტები. აქ ყველა შანსია იმისათვის, რომ ნამდვი-
ლად გამოუშვებ მხედველობიდან და ყველაფერს ვერ შეამჩნევ. სხვა.
საქმეა, როდესაც ერთ-ორ ათეულ ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად
ჩვენს მუშაობაში დეფექტებს ხედავენ და ამჩნევენ ასეული ათასი და
მილიონი მუშები, ააშკარავებენ ჩვენს შეცდომებს, ებძებიან მშენებ-
ლობის საქმეში და სახავენ გზებს საქმის გასაუმჯობესებლად“ (მო-
სხენება საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტი-
ვის კრებაზე საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის
აპრილის პლენურმის მუშაობის შესახებ, 13 აპრილი, 1928 წელი).

ამასთან მჭიდროდ დაკავშირებულია ის ახალი დიდი, მთელი
რიგი წლებისათვის ნავარაუდევი, ლოზუნგები, რომლებსაც გვა-
ძლევდა ამხ. სტალინი მასების გამოცდილების აღრიცხვის საფუძველ-
ზე, მაგალითად: საბჭოების გამოცოცხლება, თვითკრიტიკა, პროფ-
კავშირთა მუშაობის გაუმჯობესება, სოციალისტური შეჯიბრება,
ბრძოლა კადრებისათვის და სხვ. თვითკრიტიკის გაშლას, მასიური
პროლეტარული ორგანიზაციების მუშაობის გაშლას ამხ. სტალინი
მჭიდროდ აკავშირებს იმ აუცილებელ პირობასთან, რომ განმტკი-
ცებულ და გაძლიერებულ უნდა იქნას პარტიის ხელმძღვანელობა. ბრძო-
ლა პარტიის რიგების გახრწის ყოველგვარ ელემენტებთან და ოპორ-
ტუნისტულ სიდამცლესთან, თუნდაც ეს უკანასკნელი მხოლოდ ჩა-
ნასახ მდგომარეობაში. იყოს, წარმოადგენს აუცილებელ პირობას
ჩვენი პარტიის შემდგომი წარმატებისათვის. ეს წითელი ზოლივით
არის გავლებული ამხ. სტალინის მთელ მოღვაწეობაში. აქედან გა-
მომდინარეობს სასტიკი ბრძოლა პარტიის მონოლიტობისათვის, მისი
რიგებისა და პრინციპების სიწმინდისათვის. და თუ ლენინის სიკვდი-
ლის შემდეგ ჩვენმა პარტიამ წარმატებით გაართვა თავი უძნელეს
ამოცანებს,—ეს აიხსნება იმ გადამჭრელი და ულმობელი ბრძოლით

გადახურებთან ლენინური ხაზიდან, რომელსაც აშარმოებდა ცენტრალური კომიტეტი, ხოლო მის რიგებში სტალინი, როგორც პარტიის ყველაზე ოვალსაჩინო ხელმძღვანელი. თანამიმდევარი ლენინელობა პოლიტიკური ნიშნავს თანამიმდევრობას ორგანიზაციაში. ჩვენი პარტია არასოდეს არ ურიგდებოდა ფრაქციებს თავის რიგებში, არასოდეს არ ურიგდებოდა ერთიერთიმანეთის უარმყოფელ შეხედულებათა პრინციპულ შეგუებას. არ შეიძლება, მაგალითად, უარყოფდე ტროცკიზმის პრინციპებს, ხოლო ორგანიზაციულად ეგუებოდე მას პარტიის ხელმძღვანელობაში—ეს იქნებოდა არა ლენინური პოლიტიკა, არიმედ წვრილბურუჟუაზიული პოლიტიკა. ლენინიზმი მოითხოვს მონოლიტობასა და მთლიანობას პროლეტარული პარტიის რიგებში ყველა წვრილბურუჟუაზიული მიმდინარეობის გადამჭრელი და ულმობელი აღმოცხვრის საფუძველზე. სწორედ პარტიის ასეთი მთლიანობა გვაქვს ამჟამად. ეს თვალსაჩინოდ აისწება ლენინის საქმის პირველი და საუკეთესო გამგრძელებლის—ამხ. სტალინის სწორი და მოხერხებული ლენინური ხელმძღვანელობით. აი რატომ ესამება პარტია, ხოლო მასთან ერთად მთელი მუშათა კლასიც, ამხ. სტალინს, როგორც თავის საერთოდ აღიარებულ ბელადს.

პ. ვოლოშილოვი

სტალინი და წითელი არმია

ჩვენი ისტორიის მშვიდობიანი საალმშენებლო პერიოდი უდიდესი მნიშვნელობის ამბებითაა აღსავსე. უკანასკნელი წლების განმავლობაში წყალმა მართლაც რომ მდინარეებით კი არა, ოკეანეებით ჩაიარა. ჩვენს გარშემო დიდი ცვლილებები მოხდა, ჩვენმა პერსპექტივებმა სულ სხვა სახე მიიღო, მთლად შეტრიალდა ყველასაგან აღიარებული მასშტაბები და საზომები. ყველა ამ ამბავთან განუშორებლადაა დაკავშირებული ამხ. სტალინის მდიდარი და მრავალმხრივი რევოლუციონური მოღვაწეობა. უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში ამხ. სტალინი გაშლილისა და მქუხარე ბრძოლის ფოკუსში იყო მოქცეული. მხოლოდ ამ გარემოებით შეიძლება აისწას, რომ ამხ. სტალინის, როგორც სამოქალაქო ომის გამარჯვებათა ერთერთი გამოჩენილი ორგანიზატორის, მნიშვნელობა რამდენადმე დაჩრდილული იყო და სათანადოდ არ ყოფილა შეფასებული.

დღეს, როდესაც ჩვენს მეგობარს ორმოცდათი წელი შეუსრულდა, მე მსურს ნაწილობრივ მაინც შევავსო ეს ხარვეზი.

ცხადია, საგაზეთო წერილში ამბ. სტალინის სამხედრო მუშაობის სრულ დახასიათებაზე მე პრეტენზიას არ ვაცხადებ. მხოლოდ მსურს ამხანაგების მეხსიერებაში აღვადგინო რამდენიმე ფაქტი ახლო წარსულიდან, გამოვაქვეყნო რამდენიმე ნაკლებადცნობილი საბუთი, რომ ფაქტების უბრალო მოწმობით მივუთითო იმ ჭეშმარიტად განსაკუთრებულ როლზე, რომელიც შეასრულა ამბ. სტალინმა სამოქალაქო ომის უმეტესად დაჭიმულ მომენტებში.

1918-20 წ. წ. პერიოდში ამბ. სტალინი, ვგონებ, ერთადერთი კაცი იყო, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი ისკრილა ბრძოლის ერთი ფრონტიდან მეორეზე, გზავნიდა ისეთ ადგილებზე, რომლებიც რევოლუციისათვის ცველაზე სახიფათო და საშიში იყო. იქ კი, სადაც შედარებით მშვიდობინაბა იყო და სადაც ჩვენ ვიმარჯვებდით, სტალინს ვერასოდეს ვერ ნახავდით. მაგრამ იქ, სადაც სხვადასხვა მიზეზის გამო წითელი არმიების საქმე ცუდად იყო, სადაც კონტრ-რევოლუციური ძალები იმარჯვებდენ და ძლიერდებოდენ და ამით უმჯერებოდენ თვით საბჭოთა ხელისუფლების არსებობას, სადაც არევ-დარევა და პანიკა ყოველ წამს შეიძლებოდა უმწეობად და კატასტროფად ქცეულიყო, ამბ. სტალინი იქა ჩნდებოდა. მას ღამეობით არ ეძინა, იგი რაზმავდა, თავის მტკიცე ხელში ხელმძღვანელობას იღებდა, იგი ამსხვრევდა, ჟლმობელი იყო და ჰქმნიდა გარდატეხას, მღვმარეობას აჯანსალებდა. თვით ამბ. სტალინი ცკ-სადმი მიმართულ ერთ-ერთ წერილში 1919 წ. სწერდა: „სამხედრო უწყების საჯინიბოთა წმენდის სპეციალისტად მხდიანო“.

ვარიცინი

თავისი სამხედრო მუშაობა ამბ. სტალინმა დაიწყო ცარიცინის ფრონტიდან და საქმაოდ შემთხვევით. 1918 წ. ინისის დასაწყისში ამბ. სტალინი წითელარმიელთა რაზმით და ორი ჯავშნოსანი ავტომობილით მიემართება ცარიცინისაკენ სამხრეთ რუსეთის მთელი სასურსათო საქმის ხელმძღვანელად. ცარიცინში იგი ხვდება აუწერელ ქაოსს არ მარტო საბჭოთა, პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებში, არამედ უფრო მეტ არევდარევასა და უთავობობას სამხედრო სარდლობის ორგანოებშიაც. ამბ. სტალინი ფეხის ყოველ გადადგმაზე ხვდება ზოგადი ხასიათის დაბრკოლებებს, რომლებიც მას ხელს უშლიან პირდაპირი ამოცანის შესრულებაში. ამ დაბრკოლებების მიზეზი უწინარეს ყოვლისა იყო ყაზახთა სწრაფად მოზარდი კონტრრევოლუცია, რომელიც ამ დროს დიდ დახმარებას დებულობდა უკრაინაში გაბატონებული გერმანელი ოკუპანტებისაგან.

ყაზახთა კონტრრევოლუციონურმა ბანდებმა მალე ხელთ იგდეს ცარიცინის მახლობლად მდებარე მთელი რიგი ადგილები და ამით არა მარტო შეუძლებელი გახადეს დამშეული მოსკოვისა და ლენინგრადისათვის პურის გეგმიანი დამზადება, არამედ თვით ცარიცინს დიდი საფრთხე შეუქმნეს.

ამ დროს საქმე არც სხვა ადგილებში იყო უკეთ. მოსკოვში მოხდა მემარცხენე ესერთა აჯანყება, აღმოსავლეთისაკენ გვილალატა მურავიოვმა, ურალში განვითარდა და განმტკიცდა ჩეხ-სლოვაკთა კონტრრევოლუცია, სამხრეთით — ბაქოსაკენ ინგლისელები მოიწევდენ. ყველაფერი ცეცხლის რკალში იყო მოქცეული. რევოლუცია უდიდეს განსაცდელში იყო. მავთულებს დეპეშა დეპეშაზე გადაჰქმდათ ამბ. სტალინთან ცარიცინში ლენინისაგან და პირიქით. ლენინი აფრთხილებს საშიშროების შესახებ, ამჟანებს, გადამწყვეტ ზომებს თხოულობს. ცარიცინის მდგომარეობას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. დონზე რომ ამბოხება მოხდეს და ცარიცინი რომ დავკარგოთ, ამით ჩვენ დავკარგავთ მთელ მწარმებელს, პურით მდიდარ ჩრდილოეთ კავკასიას. და ამბ. სტალინს ეს კარგად ესმის. როგორც გამოცდილი რევოლუციონერი, ის მალე რწმუნდება, რომ მის მუშაობას რაიმე აზრი მხოლოდ მაშინ ექნება, თუ მას შეეძლება გავლენა. იქნიოს სამხედრო სარდლობაზე, რომლის როლიც არსებულ პირობებში გადამწყვეტი შეიქნა.

„ცარიცინის სამხრეთი ხაზი ჯერ კიდევ არაა აღდგენილი“, — სწერს იგი ლენინს 7 ივლისის თარიღით დაწერილ ბარათში, რომელზეც დამახასიათებელი წარწერაა გაკეთებული: „მივიჩქარი ფრონტზე, ვიწერები მხოლოდ საქმეზე“.

„ვლანძლავ და ვერეკები ყველას, ვისაც ეს სჭირდება; იმედია, მალე აღვადგენთ. დარწმუნებული იყავით, რომ არ დავინანებთ არც ჩვენს თავს, არც სხვას — და პურს ჩაგბარებთ. ჩვენი სამხედრო „სპეციალისტები“ (ფინაჩები!) რომ ფხიზლად ყოფილი ყვენ და არ გადამდგარიყვნ უსაქმურობაზე, ხაზი გაწყვეტილი არ იქნებოდა; და თუ ხაზი აღდგენილი იქნა, ეს ამ სამხედროების წყალობით კი არა, მათ საწინააღმდეგოდ მოხდება“.

შემდეგ კი, ლენინის შეშფოთებაზე ცარიცინში მემარცხნე ესერების შესაძლო გამოსვლის გამო, იგი მოკლედ, მაგრამ მტკიცედ და მკაფიოდ სწერს:

„რაც შეეხება ისტერიულებს, დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენი ხელი არ შედრკება, მტრებს მტრულად გავუსწორდებით“.

რამდენად უფრო აკვირდებოდა ამხ. სტალინი სამხედრო აპარატს, მით უფრო მეტად რწმუნდებოდა მის უმწეობაში, ხოლო მის ერთ ნაწილს იმასაც კი ამჩნევდა, რომ პირდაპირ არა სურდა წინააღმდეგობის გაწევა გათავსედებული კონტრრევოლუციისათვის.

და უკვე 1918 წ. ივლისს ამხ. სტალინი დეპეშით ატყობინებს ლენინს:

„საქმეს ის ართულებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ოლქის შტაბი უვარებისი აღმოჩნდა კონტრრევოლუციისთან ბრძოლის პირობებისათვის. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ჩეგნი „სპეციალისტები“ ფსექოლოგიურად მოკლებული არიან უნარს კონტრრევოლუციისთან გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ, არამედ ისიც, რომ ისინი, როგორც „შტაბის“ მუშავები, რომალებმაც მხოლოდ „ნახაზების ხაზეა“ და ჯარის ნაწილების გადაკეთების გეგმის მოცემა იციან, სულ მთლად გულგრილად ეკიდებიან ოპერატიულ მოქმედებას... და საზოგადოდ ისე გრძნობენ თავს, როგორც უცხო ხალხი, სტუმრები. სამხედრო კომისარებმაც ვერ შესძლეს ხარვეზის შევსება“...

ამხ. სტალინი ამ გამანადგურებელი დახასიათებით არა კმაყოფილდება; ამავე პარათში მას თავისთვის სამოქმედო დასკვნა გამოჰყავს:

„ვუცქირო გულგრილად, როგორ არის კალინინის (მაშინ დელი სარდალი ჩრდილო კავკასიაში. ვ.) ფრონტი მოწყვეტილი მომმარაგებელ პუნქტს, ჩრდილოეთი კი—პურის რაიონს, ვგონებ, მე ამის უფლება არა მაქვს. მე გამოვასწორებ ამ დამრავალ სხვა ნაკლოვანებას ადგილზე, მე ვიღებ მთელ რიგ ზომებს და შემდეგშიც მივიღებ ხოლმე თვით იქამდე, რომ გადავაყენებ საქმის დამღუპველ მოხელეებსა და მეთაურებს, მიუხედავად ფორმალური სიძნელეებისა, რომლებსაც, თუ საჭიროება მოითხოვს, აგრეთვე გადავლახავ. ამასთანავე, ცხადია, რომ ვკისრულობ სრულ პასუხისმგებლობას ყველა უმაღლესი. დაწესებულების წინაშე“.

მდგომარეობა უფრო და უფრო დაჭიმული ხდებოდა. ამხ. სტალინი იჩენს უდიდეს ენერგიას და სულ მოკლე ხანში სასურსათო საქმის განსაკუთრებული რწმუნებულიდან ხდება ცარიცინის ფრონტის ყველა წითელ ძალის ფაქტიური ხელმძღვანელი. ეს მდგომარეობა ჩამოყალიბებულ იქნა მოსკოვში და ამხ. სტალინს დაევალა:

„წესრიგის დამყარება, რაზმების გაერთიანება რეგულარულ ნაწილებად, წესიერი სარდლობის შექმნა, ყველა ურჩის გან-დევნა (რესპუბლიკის სამხ.-სარევოლ. საბჭოს დეპეშიდან, რომელ-საც აქვს წარწერა: „ეს დეპეშა იგზავნება ლენინთან შეთან-ხმებით“).

ამ დროს ცარიცინში მოვიდენ უკრაინის რევოლუციონური არმიების ნარჩენები, რომლებიც გერმანიის ჯარების შემოტკიცის გამო იხევდენ დონის ველებზე.

ამხ. სტალინის მეთაურობით შეიქმნა რევოლუციონური სა-მხედრო საბჭო, რომელიც შეუდგა რეგულარული არმიის მოწყობას. ამხ. სტალინის უსაზღვრო მხნეობამა და ნებისყოფამ ჰქონდა ის, რაც ჯერ კიდევ გუშინ შეუძლებლადა ჩანდა. სულ მოკლე ხნის განმავ-ლობაში შეიქმნა დივიზიები, ბრიგადები, პოლკები. შტაბი, მომა-რაგების ორგანოები და საერთოდ მთელი ზურგი რადიკალურად გაიწმინდა კონტრრევოლუციონური და მტრული ელუმენტები-საგან, საბჭოთა და პარტიული აპარატი გაუმჯობესდა და კალა-პოტში ჩადგა. ამხ. სტალინის გარშემო შემოიქრიბა ძველი ბოლშე-ვიკებისა და რევოლუციონური მუშების ჯგუფი, და უმწეო შტაბის ნაცვლად სამხრეთით, კონტრრევოლუციონური დონის კარიბჭესთან, წითელი ბოლშევიკური ციხე-სიმაგრე აიმართა.

ცარიცინი იმ ხანად ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერებით იყო საესე, დაწყებული მემარჯვენ ესერებიდან და ტერორისტები-დან და დამუავებული მონარქისტებით გათავებული. ყველა ეს ვაუ-ბატონები ამხ. სტალინის გამოჩენამდე და უკრაინიდან რევოლუცი-ონური რაზმების მოსვლამდე თითქმის მთლად თავისუფლად გრძნობ-დენ თავს და ცხოვრობდენ უკეთესი დღეების. მოლოდინში. ფრონ-ტზე წითელი ძალების რეორგანიზაციის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო ზურგის გაწმენდა რკინის დაუნდობელი ცოცხით. რევოლუცი-ონურმა სამხედრო საბჭომ, ამხ. სტალინის მეთაურობით, შეჰქმნა სპეციალური საგანგებო კომისია და დაავალა მას ცარცინის გაწმენ-და კონტრრევოლუციისაგან.

მტრის მოწმობა ზოგჯერ მეტად ძვირფასი და საინტერესოა. ამ როგორ ასწერს ამ პერიოდს და ამხ. სტალინის როლს თეთრგვარ-დიელთა უურნალ „დონსკაია ვოლნა“-ში, 1919 წ. ვ. თებერვლის თარიღით, პოლკოვნიკი ნოსოვიჩი (არმიის ოპერატიული სამმართვე-ლოს ყოფ. უფროსი), რომელმაც გვიღალატა და კრასნოველებ-თან გაიქცა:

„სტალინის მთავარი დანიშნულება იყო ჩრდილო გუბერნია-ების მომარაგება სურსათ - სანოვაგით, და ამ ამოცანის შესასრულებლად მას განუსაზღვრელი რწმუნებები პქონდა...“

გრიაზი — ცარიცინის ხაზი მთლად გადაჭრილი აღმოჩნდა. ჩრდილოეთით დარჩა სურსათის მიღებისა და კავშირის ერთადერთი საშუალება: ეს იყო ვოლგა. სამხრეთით, მოხალისეების მიერ ტიხორეცაიას დაკავების შემდეგ, მდგომარეობა კიდევ უფრო მერყევი შეიქნა. ხოლო სტალინისთვის, რომელიც თავის მარაგებს მხოლოდ და მხოლოდ სტავროპოლის გუბერნიიდან ლებულობდა, ეს უდრიდა მისი მისიის თითქმის დასრულებას სამხრეთით. მაგრამ, ეტყობა, ისეთ კაცს, როგორიც სტალინია, არა სჩევერია ერთხელ დაწყებულ საქმეზე ხელის აღება. უნდა ითქვას სიმართლე, რომ მისი ენერგია შესაშურია თვითეული ძეველი ადმინისტრატორისათვის, ხოლო მდგომარეობაში გარკვევისა და გარემოებისადმი შეწყობის უნარი ხომ კარგი იქნებოდა რომ ბევრს ჩენენგანს ესწავლა.

თანდათანობით, რამდენადაც უსაქმიდ რჩებოდა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, რამდენადაც ვიწროვდებოდა მისი პირდაპირი ამოცანა, სტალინმა დაიწყო ქალაქის მართვა-გამგეობის ცველა განყოფილებაში ჩახედვა და, რაც მთავარია, დაიწყო კერძოდ ცარიცინის და საერთოდ მთელი კავკასიის ფრონტის, ეგრეთწოდებული რევოლუციონური ფრონტის თავდაცვის ფართო ამოცანების შესწავლა“.

შემდეგ, გადადის რა ცარიცინში გაშეფებული მდგომარეობის დახასიათებაზე, ნოსოვიჩი სწერს:

„ამ დროისთვის ცარიცინში ატმოსფერა საერთოდ შეიკუმშა. ცარიცინის საგანგებო კომისია გაცხარებული მუშაობდა. დღე არ გადიოდა ისე, რომ რომელიმე თითქო საიმედო და საიდუმლო ადგილას არ აღმოეჩინათ სხვადასხვა შეთქმულობა. ქალაქის ცველა საპატიმრო გაიცსო...“

ბრძოლა ფრონტზე უკიდურესად ვამწვავდა...“

ცველაფრის მთავარი მამოძრავებელი და მთავარი მესვეური 20 ივლისიდან სტალინი შეიქნა. უბრალო ლაპარაკს ცენტრთან პირდაპირი მავთულით იმის შესახებ, რომ უხერხულია და საქმისათვის შეუფერებელი ამჟამად მხარეში არსებული მმართველობაო, შედეგად მოჰყვა ის, რომ პირდაპირი მავთულითვე მოსკოვმა გასცა ბრძანება, რომლითაც სტალინს აყენებ-

და მთელი სამხედრო... და სამოქალაქო მართვა - გამგეობის სათავეში..."

მაგრამ თვით ნოსოვიჩი ქვემოთ აღიარებს, რამდენად საფუძვლიანი იყო ეს რეპრესიები. აი რასა სწერს ის ცარიცინის კონტრ-რევოლუციონური ორგანიზაციების შესახებ:

„ამ დროსთვის ადგილობრივი კონტრრევოლუციონური ორგანიზაციაც, რომელიც დამფუძნებელი კრების პლატფორმაზე იდგა, საქმაოდ მომაგრდა და, როგორც კი მოსკოვიდან ფული მიიღო, შეუდგა მზადებას აქტიური გამოსვლისათვის ცარიცინის განთავისუფლების საქმეში დონის ყაზახებისათვის დასახარებლად.

საუბედუროდ, მოსკოვიდან ჩამოსული მეთაური ამ ორგანიზაციისა ინკუნერი ალექსეევი და მისი ორი შეიღებულ მდგომარეობას კარგად არ იცნობდენ და, შეცდომით შედგენილი გეგმის გამო, რომელიც ემყარებოდა გამოსვლის აქტიურ მონაწილეთა რიცხვში ბოლშევიკების საგანგებო კომისიასთან სამსახურში მყოფ სერბთა ბათალიონის მოზიდვას, ორგანიზაცია აღმოჩენილ იქნა...

სტალინის რეზოლუცია მოკლე იყო: „დახვრიტეთ“. ინკუნერი ალექსეევი, მისი ორი შვილი, მათთან ერთად ოფიცრების საქმაო რიცხვი, რომელთაგან ნაწილი მონაწილეობდა ორგანიზაციაში, ხოლო ნაწილზე კი ეჭვი იყო მიტანილი, საგანგებო კომისიამ დააპატიმრა და გაუსამართლებლად დაუყოვნებლივ დახვრიტა“.

გადადის რა შემდეგ ზურგის (ჩდილ. კავკასიის ოლქის შტაბისა და მისი დაწესებულებების) დარბევასა და თეთრგვარდიელთაგან გაწმენდაზე, ნოსოვიჩი სწერს:

„ამ გარეკვის დამახასიათებელ თავისებურობას შეადგენდა სტალინის დამოკიდებულება ცენტრიდან მოსული ხელმძღვანელი დეპეშებისადმი. როდესაც ტროცკი შეაშფოთა თავისი დიდი ღვაწლით მოწესრიგებული საოლქო მმართველობის დანგრევამ და მან გამოგზავნა დეპეშა შტაბისა და კომისარიატის წინანდელ პირობებში დატოვებისა და მათთვის მუშაობის შესაძლებლობის მინიჭების შესახებ, სტალინმა წააწერა დეპეშაზე კატეგორიული და დიდმნიშვნელოვანი სიტყვები:

„არ იქნეს მიღებული მხედველობაში“.

ეს დეპეშა არც მიუღიათ მხედველობაში, და არტილერიის მთელი სამსართველო და შტაბის სამსართველოს ნაწილი ისევ ბარჟაზე იმყოფება ცარიცინში“.

ცარიცინის სახე სულ მოკლე დროში მთლად ერთიანად შეიცვალა. ქალაქი, სადაც ცოტა ხნის წინ ბალებში მუსიკა გაისმოდა, სადაც მრავალი მხრიდან თავმოყრილი ბურუუზია თეთრ ოფიცრობასთან ერთად ახდილად დახეტიალობდა ქუჩებში, გადაიქცა წითელ სამხედრო ბანაკად, სადაც უმქაცრესი წესრიგი და სამხედრო ღისციპლინა ყველაფერზე იყო გაბატონებული. ზურგის ეს გამაგრება დაუყოვნებლივ დაეტყო ფრონტებზე მებრძოლი ჩვენი პოლკების განწყობილებას. მეთაურთა და პოლიტიკური შემადგენლობა და წითელაზმიელთა მთელი მასა გრძნობენ, რომ მათ განაგებს მტკიცე რევოლუციონური ხელი, რომელიც აწარმოებს ბრძოლას შუშათა და გლეხთა ინტერესებისათვის და სასტიკად სჯის ყველას, ვინც ამ ბრძოლას გზაზე ელობება.

ამხ. სტალინის ხელმძღვანელობა კაბინეტით არ განისაზღვრება. აუცილებელი წესრიგის დამყარების, რევოლუციონური ორგანიზაციის აღდგენის შემდეგ იგი მიეშურება ფრონტზე, რომელიც იმ დროისათვის 600 კილომეტრზე მეტად გაიჭიმა. და მართლაც სტალინობა და მისი უდიდესი ორგანიზატორული ნიჭი იყო საჭირო, რომ ყოველგვარი სამხედრო მომზადების უქონლად (ამხ. სტალინი არასოდეს არ ყოფილა სამხედრო სამსახურში!) ასე კარგად გარკვეულიყო ადამიანი მაშინდელი უძნელესი მდგომარეობის სპეციალურ სამხედრო საკითხებში.

თითქმი ახლა იყო, ისე მახსოვს 1918 წლის აგვისტოს დასაწყისი. კრასნოვის ყაზახთა ნაწილებს იერიში მრაქვთ ცარიცინზე, კონცენტრული დაკვრით ცდილობენ წითელი პოლკების გადაყრას ვოლგისაკენ. მრავალი დღის განმავლობაში წითელი ჯარები, კომუნისტური დივიზიის მეთაურობით, რომელიც მთლად დონბასის მუშებისაგან შესდგებოდა, იგერიებს ყაზახთა ჩინებულად დარაზმული ნაწილების ძლიერ შემოტევას. ეს ძალების უკიდურესი დაბაბვის დღეები იყო. უნდა გენახათ ამ დროს ამხ. სტალინი. როგორც ყოველთვის, დინჯი, ღრმად წასული თავის ფიქრებში, იგი მთელ ღამეებს უძილოდ ათენებდა, და თავის უინტენსიურეს მუშაობას საბრძოლო პოზიციებსა და არმიის შტაბს შორის ანაწილებდა. მდგომარეობა ფრონტზე თითქმის კატასტროფიული ხდებოდა. კრასნოვის ნაწილები, ფიცხალაუროვის, მამონტოვის და სხვების მეთაურობით, ჩინებულად მოფიქრებული მანერით ავიწროებდენ ჩვენს დაქანცულს ჯარს, რომელიც აუარებელ მსხვერპლს იღებდა. მოწინააღმდეგის ფრონტი, რომელიც ნალის მსგავსად იყო მომართული და რომლის ფლანგებიც ვოლგამდე სწვდებოდა, დღითიდღე ვიწროვდებოდა. ჩვენ

უკან დასახევი გზა აღარა გვქონდა. მაგრამ სტალინი ამ გზაზე არცა ზრუნავდა. იგი გამსჭვალული იყო ერთი შეგნებით, ერთადერთი აზ-ტით, და ეს აზრი იყო—გამარჯვება, მტრის გასრესა, რაღაც არ უნდა დაგვჯდომოდა. და სტალინის ეს შეუდრეველი ნებისყოფა გადმო-გვეცემოდა ხოლმე მის უახლოეს თანამოლაშქრებს და, მიუხედავად თითქმის გამოუვალი მდგომარეობისა, არავის ეჭვი არ შესდიოდა გამარჯვებაში. და გავიმარჯვეთ კიდეც. განადგურებული მტრი დონისაკენ უკუვაგდეთ.

პ მ რ მ ი

1918 წლის დამლევს შეიქნა კატასტროფიული მდგომარეობა აღმოსავლეთის ფრონტზე, განსაკუთრებით კი მე-3 არმიის უბანზე, რომელიც იძულებული გახდა პერმი დაეტოვებინა. ეს არმია, რომე-ლიც თითქმის გარშემორტყმული იყო მტრით, ნოემბრის დამლევისა-თვის მთლად დაძაბუნდა. ექვსი თვის განუწყვეტილი ბრძოლებისა, რამდენადმე საიმედო რეზერვების უქონლობისა, ზურგის არასაი-მედო სიმტკიცისა, სურსათის მოზიდვის სრული მოუწყობლობისა (მე-29 დივიზია ხუთი დღის განმავლობაში ულუქმაბუროდ იგერიე-ბდა მტრებს), 35^o ყინვისა, სრული უგზონობისა, ფრონტის უზარმაზარ-სივრცეზე გაჭიმვისა (400 კილომეტრზე მეტი) და შტაბის სისუსტის გამო მესამე არმიას ძალა აღარ შესწევდა მოწინააღმდეგის უკეთეს ძალებს გამკლავებოდა.

უნუგეშო სურათის სისრულისათვის საჭიროა დაგუმატოთ ყოფ. ოფიცრებიდან მოკრებილ მეთაურთა შემადგენლობის მასიური ლა-ლატი, მთელი პოლკების ტყვედ ჩავარდნა, რაც შემაგსებელი ნაწი-ლების ცუდი კლასიური შერჩევის შედეგი იყო, და ყოვლად უკარ-გისი სარდლობა. ასეთ გარემოებაში მესამე არმია საბოლოოდ დაი-შალა და უწესრიგოდ იხევდა უკან; 20 დღის განმავლობაში მან 300 კილომეტრით დაიხია უკან და დაპყარება 18.000 მებრძოლი, ათეული ზარბაზანი, ასობით ტყვიამფრქვევი და სხვ. მოწინააღმდეგებ სწრა-ტად იწყო წინსვლა და შეუქმნა რეალური საფრთხე ვიატკასა და მთელ აღმოსავლეთ ფრონტს.

ამ ამბებმა ცეკას წინაშე დააყენა კატასტროფის მიზეზების გამორკვევისა და მესამე არმიის ნაწილების წესრიგში მოყვანის აუცილებლობის საკითხი. ვინ უნდა გაიგზავნოს ამ უძნელესი ამოცა-ნის შესასრულებლად? და აი ლენინი დეპეშას უგზავნის ჩესპ. რევო-ლუციონ. სამხედრო საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარეს:

„პერმიდან მრავალი პარტიული ცნობა გვაქვს არმიის კატა-სტროფიული მდგომარეობისა და ლოთობის შესახებ. მე ვფიქრობდი გამეგზავნა სტალინი — მეშინია, ვაითუ სმილგა რბილად მოეპყროსს, რომელიც, როგორც ამბობენ, აგრე-თვე ლოთობს და წესრიგის აღდგენისათვის გამოუსადეგა-რია“.

ცეკამ მიიღო დადგენილება:

„დაინიშნოს პარტიულ-საგამომძიებლო კომისია ცეკ წევ-რების ძერეინსკისა და სტალინის შემაღებელობით პერმის და-თმობის და ურალის ფრონტზე უკანასკნელი დამარცხებების. მიზეზთა დაწვრილებით გამოსაკვლევად, აგრეთვე იმ გარემოე-ბათა გამოსარკვევად, რომლებიც თან სდევდა ამ მოვლენებს.. ც. კ. ავალებს კომისიას მიიღოს ყველა საჭირო ზომა როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა მუშაობის საჩქაროდ აღსაღენად მე-სამე და მეორე არმიების მოელ რაიონში“ (სვერდლოვის დე-პეშა № 00079).

ეს დადგენილება თითქმ ზღუდავს ამხ. ამხ. სტალინისა და ძერეინსკის ფუნქციებს „პერმის დათმობისა და ურალის ფრონტზე უკანასკნელი დამარცხებების მიზეზთა გამოკვლევით“. მაგრამ ამხ.. სტალინს თავისი „პარტიულ-საგამომძიებლო“ მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადააქვს ნამდვილი ზომების მიღებაზე მდგომარეობის აღ-საღენად, ფრონტის გასამაგრებლად და სხვ. ლენინისათვის გაგზავ-ნილ პირველსავე დეპეშაში, 5/I-19 წ. თარიღით, კომისიის მუშაობის შედეგის შესახებ სტალინი ერთ სიტყვასაც არ ამბობს „კატასტრო-ფის მიზეზებზე“, არამედ აქედანვე აყენებს საკითხს, თუ რა უნდა გაკეთდეს არმიის გადასარჩენად. აი ეს დეპეშა:

„თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ლენინს:

კვლევა - ძიება დაიწყო. მისი მსვლელობის შესახებ თანდა-თანობით გაცნობებთ. ახლა კი საჭიროდ მიგვაჩნია გაცნობოთ მესამე არმიის ერთი გადაუდებელი საჭიროება. საქმე ისაა, რომ მესამე არმიიდან (30.000 კაცზე მეტიდან) დარჩა მხოლოდ 11 ათასამდე დაქანცულ - დაბექავებული ჯარისკაცი, რომლე-ბიც ძლიერ-ლა უმკლავდებიან მტრის შემოტევას. მთავარსარ-დლის მიერ გაგზავნილი ნაწილები საიმედონი არ არიან, ნაწი-ლობრივ მტრულადაც კი არიან განწყობილი ჩვენდამი და მათი სერიოზული გადარჩევა საჭირო. მესამე არმიის ნაშთების გადა-სარჩენად და ვიატკამდე მოწინააღმდეგის სწრაფი წაწევის თავიდან ასაცილებლად (ეს საფრთხე, რამდენადაც ფრონტის-

და მესამე არმიის სარდლობისაგან მიღებული ცნობები ადას-ტურებს, სავსებით რეალურია) აბსოლუტურად აუცილებელია სასწრაფოდ გადმოიგზავნოს რუსეთიდან არმიის სარდლის გან-კარგულებაში მთლად საიმედო 3 პოლკი მაინც. დაუინებით გთხოვთ მოახდინოთ ამ მიმართულებით ზეგავლენა სათანადო სამხედრო დაწესებულებებზე. ვიმეორებთ: თუ ასეთი ზომა არ იქნა მიღებული, ვიატკას პერმის ბედი მოელის, ასეთია საქ-მეში ჩახედული ამხანაგების აზრი, რომელსაც ჩვენც ვუერთდე-ბით; რამდენადაც გავეცანით გარემოებას. სტალინი. ძერუინსკი-5/1-19. ვიატკა".

და მხოლოდ 1919 წ. 13 იანვარს ამხ. სტალინი ძერუინსკისთან ერთად გზავნის თავის მოკლე წინასწარ ანგარიშს „კატასტროფის მიზეზების“ შესახებ, რაც უმთავრესად შემდეგში მდგომარეობდა: მოწინააღმდეგის შემოტევის დროსთვის არმია საშინლად მოქანცული იყო, ამ დროს ჩვენ სათადარივო ნაწილები არა გვყავდა, შტაბი არ-მიას მოწყვეტილი იყო; ამის მიზეზი იყო აგრეთვე არმიის უფროსის უთაურობა, რესპუბლიკის რევ. სამხედრო საბჭოს მხრივ ფრონტის ხელმძღვანელობის დაუშვებელი დანამაულებრივი წესი, რომელმაც თავისი ერთომეორის საწინააღმდეგო დირექტივებით დააძაბუნა ფრონ-ტი და ამ უკანასკნელს საშუალება მოუსპო სასწრაფო დახმარება-აღმოეჩინა მესამე არმიისათვის; ამის მიზეზი იყო აგრეთვე ზურგი-დან გამოგზავნილი დამხმარე ნაწილების არასაიმედოობა, რაც ჯა-რისკაცთა მოკრების ძველი წესებით აიხსნება, ზურგის სრული განუ-მტკიცებლობა, რაც საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების სრუ-ლი უმწეობითა და უუნარობით აიხსნება.

ამასთან ერთად ამხ. სტალინმა დაისახა და მისთვის ჩვეული სისწრაფითა და სიმტკიცით გაატარა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიება მესამე არმიის ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად.

„15 იანვრისათვის, — ვკითხულობთ თავდაცვის საბჭოსა-თვის გაგზავნილ მის ანგარიშში, — გაიგზავნა ფრონტზე 1.200 საიმედო მეომარი; ერთი დღის შემდეგ — ცხენოსანთა ორი ესკადრონი. 20-ს გაიგზავნა მე-3 ბრიგადის 62 პოლკი (რო-მელიც წინდაწინ გულდასმით გავწმინდეთ). ამ ნაწილებმა შე-საძლებელი გახადეს მოწინააღმდეგის შემოტევის შეჩერება, მესამე არმიის განწყობილების შეცვლა და ჩვენი გადასვლა იერიშზე პერმის მიმართულებით, რაც ჯერჯერობით წარმა-ტებით მიმდინარეობს. არმიის ზურგში სწარმოებს საბჭოთა და პარტიული დაწესებულებების სერიოზული წმენდა. ვიატ-

კაში და სამაზრო ქალაქებში მოვაწყეთ რევოლუციონური კო-
მიტეტები. დაწყებულია და გრძელდება მტკიცე რევოლუცი-
ონური ორგანიზაციების შექმნა სოფლად. მთელი პარტიული
და საბჭოთა მუშაობა ახალ ყაიდაზე შენდება. გაწმენდილია
და გადაკეთებული სამხედრო ზედამხედველობა, გაწმენდილია
და შეესებული ახალი პარტიული მუშაქებით საგუბერნიო სა-
განგებო კომისია. მოგვარებულია ვიატკის კვანძის განტვირ-
თვა“... და სხვ.

ყოველივე ამ ღონისძიების გატარების შედეგად არა მარტო
შეჩერებულ იქნა მოწინააღმდეგის შემდგომი წინსვლა, არამედ 1919 წ.
იანვარში აღმოსავლეთის ფრონტი შეტევაზე გადავიდა და ჩვენს
მარჯვენა ფლანგზე ურალი იქნა აღებული.

აი როგორ გაიგო და განახორციელა ამხ. სტალინმა თავისი
ამოცანა „კატასტროფის მიზეზების გამოძიებისა“. გამოიძია, გამო-
არკვია ეს მიზეზები და იქვე აღგილობრივ, საკუთარი ძალებით მო-
სპო ისინი და მოაწყო აუცილებელი გარდატეხა.

პეტროზარადი.

1919 წლის გაზაფხულზე გენ. იუდენიჩის თეთრგვარდიელთა
არმია, რომელსაც კოლჩაკის მიერ დავალებული ჰქონდა „ხელში ჩაეგ-
დო პეტროგრადი“ და იძულებული გავეხადეთ რევოლუციონური
ჯარების ნაწილი აღმოსავლეთის ფრონტიდან მოგვეხსნა, ესტონელ
და ფინელ თეთრგვარდიელებისა და ინგლისის ფლოტის დახმარებით
მოულოდნელად გადმოვიდა შეტევაზე და ლენინგრადს რეალური სა-
ფრთხე შეუქმნა. მდგომარეობის სერიოზულობას აგრეთვე ისიც აღრ-
მავებდა, რომ თვით ლენინგრადში აღმოჩენილ იქნა კონტრრევოლუ-
ციონური შეთქმულებანი, რომელთა ხელმძღვანელებიც აღმოჩნდენ
დასავლეთის ფრონტის შტაბში, მე-7 არმიაში და კრონშტადტის სა-
ზღვაო ბაზაში მოსამსახურე სამხედრო სპეციალისტები. ლენინგრად-
ზე იუდენიჩის შემოტევასთან ერთად საკმაოდ დიდ შედეგებს მიაღ-
წია ბულაკ-ბალახოვიჩმაც პსკოვის მიმართულებით. ფრონტზე დაიწყო
ლალატი. რამდენიმე ჩვენი პოლკი მოწინააღმდეგის მხარეზე გადავი-
და; ფორტების „წითელი მთა“ და „ლურჯი ცხენი“-ს მთელი გარ-
ნიზონი აშკარად გამოვიდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.
მთელი მე-7 არმია დაიბნა, ფრონტი შეირყა, მტერი ლენინგრადს
უახლოვდებოდა. საჭირო იყო მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამო-
სწორება.

ცენტრალურმა კომიტეტმა ამ მიზნისათვის ხელახლა ამს. სტალინი აირჩია. სამი კვირის განმავლობაში ამს. სტალინმა მოახერხა გარდატეხის მოხდენა. უთავბოლობა და დაბხეულობა ნაწილებში სწრაფად მოისპო, შტაბების მუშაობა გამოკეთდა, ზედიზედ ჩატარდა პიტერის მუშებისა და კომუნისტების მობილიზაცია, მტრები და მოლალატები დაუნდობლად იქნენ განადგურებული. ამ. სტალინი ერევა სამხედრო სარდლობის ოპერატიულ მუშაობაშიც. აი როგორი შინაარსის დეპეშას უგზავნის იგი ამს. ლენინს:

„წითელ მთას“ შემდეგ ლიკვიდაცია ვუყავით „ლურჯ ცხენ-საც“, ქვემეხები არივეზე სრულ წესრიგშია, სწარმოებს ფორტებისა და სიმაგრეების სწრაფი.....(გაურკვეველია)....მეზღვაური სპეციალისტები გვარწმუნებენ, „წითელი მთის“ აღება ზღვიდან მთელ საზღვაო მეცნიერებას უკუაგდებსო. მე დამრჩენია მხოლოდ გამოვიგლოვო ეგრეთწოდებული მეცნიერება. „მთის“ ასეთი სწრაფი აღება აიხსნება ჩემი და საერთოდ, სამოქალაქო პირების მეტად უხრში ჩარევით ოპერატიულ საქმეებში, რაც იქამდე მიღიოდა, რომ ვაუქმებდით როგორც ზღვის, ისე ხმელეთისათვის გაცემულ ბრძანებებს და ჩვენს საკუთარ ბრძანებებს ვახვევდით თავზე. მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს განვაცხადო, რომ შემდეგშიც ასევე მოვიქცევი, მიუხედავად ჩემი ულრმესი პატივისცემისა მეცნიერებისადმი. სტალინი“.

ექვსი დღის შემდეგ ამს. სტალინი აცნობებს ლენინს:

„ჩვენს ნაწილებში დაიწყო გარდატეხა. მთელი კვირის განმავლობაში ჩვენში არ მომხდარი ნაწილობრივი ან ჯგუფობრივი გაქცევა მტერთან. დეზერტირები ათასობით ბრუნდებიან. მტრის ბანაკიდან ჩვენსაში გადმორბენა გახშირდა. ერთი კვირის განმავლობაში ჩვენთან გადმოირბინა. 400 კაცია, მეტ წილად იარაღიანად. გუშინ დღისით დაიწყო ჩვენი იერიში. თუმცა დაპირებული დახმარება ჯერ არ მოგვსელია, მაგრამ იმავე ხაზზე დგომა, რომელზეც ჩვენ გავჩერდით, შეუძლებელი იყო — პიტერამდე მეტად მცირე მანძილია. ჯერჯერობით იერიში წარმატებით მიმდინარეობს, თეთრები გარბიან, ჩვენ დაგიკავეთ ხაზი კერნოვო — ეორონინო — სლეპინო — კასკოვო. ჩავიგდეთ ტყვეები, 2 თუ მეტი ქვემეხი, ავტომატები, ვაზნები. მოწინააღმდეგის გემები აღარა ჩნდებიან, ეტყობა, „წითელი მთისა“ ეშინიათ, რომელიც ახლა მთლად ჩვენია. სასწრაფოდ გამოვზავნეთ 2 მილიონი ვაზნა ჩემს განკარგულებაში მე-6 დივიზიისათვის...“

ეს ორი დეპეშა იძლევა სრულ წარმოდგენას იმ უზარმაზარი შემოქმედებითი მუშაობის შესახებ, რომელიც შეასრულა ამს. სტალინმა, როდესაც მოახდინა წითელ პიტერთან შექმნილი უკიდურესად სახითათო მდგომარეობის ლიკვიდაცია.

საგხატის ფრონტი

1919 წლის შემოდგომა ყველას მეხსიერებაში ცოცხალია. მთელი სამოქალაქო ომის გადამწყვეტი მომენტი, გარდატეხის მომენტი დგებოდა. „მოკავშირთა“ მიერ მომარაგებული, მათივე შტაბების მიერ წელგამაგრებული დენიკინელ თეთრგვარდიელთა ურდოები ორიოლს უახლოვდებოდენ. სამხრეთის მთელი უზარმაზარი ფრონტი მძიმე ტალღებად უკან მოექანებოდა. შიგნით მდგომარეობა არა ნაკლებ მძიმე იყო. სასურსათო სიძნელეები მეტის-მეტად გამწვავდა. სამრეწველო რაიონები სათბობის უქონლობის გამო გაჩერდა. ქვეყნის შიგნით და თვით მოსკოვშიც კი ამოძრავდენ კონტრრევოლუციონური ელემენტები. საფრთხე მოელოდა ტულას, საფრთხე აღიმართა მოსკოვის წინაშეც.

საჭირო შეიქნა მდგომარეობის გამოსწორება. და სამხრეთის ფრონტზე რევოლუცი. სამხედრო საბჭოს წევრად ც. კ. გზავნის ამს. სტალინს. ახლა რალა საჭიროა იმის დამალვა, რომ თავისი დანიშვნის წინ ამს. სტალინმა ცეკას სამი მთავარი პირობა დაუყენა: 1) ტროცკი არ უნდა ჩაერიოს სამხრეთის ფრონტის საქმეებში და არ უნდა გადასცდეს მის მსაზღვრავ ხაზებს, 2) სამხრეთის ფრონტიდან დაუყოვნებლივ გაწვეულ უნდა იქნენ ის მუშაკები, რომლებიც, ამს. სტალინის აზრით, უვარგისი არიან მდგომარეობის გამოსასწორებლად ჯარებში, და 3) სამხრეთის ფრონტზე დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნონ ახალი შუშაკები ამს. სტალინის ამორჩევით, რომლებსაც შეეძლებათ ამ ამოცანის შესრულება. ეს პირობები მთლიანად იქნა მიღებული.

მაგრამ ამ ვეება საქმის გასაწვდომად, რასაც სამხრეთის ფრონტი ერქვა (ვოლგადან პოლონეთ-უკრაინის საზღვრამდე) და რომლის შემაღებულობაშიც რამდენიმე ასიათასი ჯარისკაცი ითვლებოდა, საჭირო იყო ზუსტი ოპერატიული გეგმა, საჭირო იყო ნათლად ჩამოყალიბებული ამოცანა ფრონტისათვის. მაშინ შეიძლებოდა ამ მიზნის დასმა ჯარების წინაშე და უმთავრეს მიმართულებებში საუკეთესო ძალების გადაჯგუფებისა და თავმოყრის საშუალებით მტრის შემუსრევა.

ამხ. სტალინს ფრონტზე შეტად გაურკვეველი და მძიმე მდგო-
მარება დახვდა. მთავარი მიმართულებით, კურსკ-ორიოლ-ტულას
მიმართულებით, ჩვენები მარცხდებიან, აღმოსავლეთის ფლანგი უმ-
შეოდ სტკეპინის აღილს. რაც შეეხება ოპერატიულ დირექტივებს, მას-
ურჩევენ ძველი (სექტემბრის) გეგმის გატარებას, რომლის მიხედვი-
თაც მთავარი შეტევა უნდა შეასრულოს მარცხენა ფლანგმა ცარი-
ცინიდან ნოვორისიისაკენ დონის ველებზე გავლით.

„სამხრეთის ფრონტის შეტევის ძირითადი გეგმა უცვლელი
რჩება; სახელდობრ, მთავარ შეტევას აწარმოებს შორინის გან-
საკუთრებული ჯგუფი, რომელსაც ევალება მტრის მოსპობა
დონისა და ყუბანში“ (მთავარსარდლის დირექტივიდან, სექტემ-
ბერი 1919 წ.).

ამხ. სტალინმა მდგომარეობის გაცნობისთანავე მიიღო გადა-
წყვეტილება. მან კატეგორიულად უარჲყო ძველი გეგმა, იძლევა ახალ
წინადაღებებს და მოჰყავს ისინი ლენინისათვის გაგზავნილ ბარათში,
რომელსაც განმარტება არ ესაჭიროება. იგი იმდენად საინტერესოა,
იმდენად ნათლად გვიხატავს ამხ. სტალინის სტრატეგიულ ნიჭს, იმ-
დენად დამახსიათებელია საკითხების გაბეჭული დაყენებით, რომ სა-
სარგებლოდ მიგვაჩნია მისი მთლიანად მოყვანა.

„ორიოდე თვის წინ მთავარსარდალს პრინციპიალურად არა
უთქვამს რა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ შეტევის, რო-
გორც ძირითადი შეტევის, წინააღმდეგ დონის აუზზე გავლით.
თუ მან ეს შეტევა მაინც არ განახორციელა, ეს იმიტომ, რომ
მიზეზად ასახელებდა ზაფხულში სამხრეთის ჯარების უკანდა-
ხევის შედეგად მიღებულ „მემკვიდრეობას“, ე. ი. სამხრეთ-აღ-
მოსავლეთის ფრონტის ჯარების სტიქიურად შექმნილ დაჯგუ-
ფებას, რომლის (დაჯგუფების) გადაკეთებაც გამოიწვევდა დი-
დი დროის დაკარგვას, რაც დენიკინისათვის ხელსაყრელი იქ-
ნებოდა... მაგრამ ახლა გარემოება და მასთან დაკავშირებული
გადაჯგუფება ძალებისა ძირითად შეიცვალა: მე-8 არმია (ძი-
რითადი ყოფილ სამხრეთის ფრონტზე) გადავიდა სამხრეთის
ფრონტის რაიონში და პირდაპირ დონის აუზს გასცემრის. ბუ-
დიონის ცხენოსანი კორპუსი (მეორე ძირითადი ძალა) გადავი-
და აგრეთვე სამხრეთის ფრონტის რაიონში, მოემატა მესამე
ძალა — ლატვიელთა დივიზია, რომელიც ერთი თვის შემდეგ
განახლდება და დენიკინისათვის საშიშარ ძალად იქცევა... მაშ
რაღა აიძულებს მთავარსარდლობას (მთავარ შტაბს) დაიცვას
ძველი გეგმა? ალბათ, მარტო ჯიუტობა, თუ გნებავთ — ფრა-

ქციულობა, ყველაზე უტვინო და რესპუბლიკისათვის ყველაზე საშიშარი, რომლის აყვავებასაც მთავარსარდლობაში ხელს უწყობს მასთან მყოფი „სტრატეგიული“ მამლაყინწა... რამდენიმე დღის წინ მთავარსარდლობამ დირექტივა მისცა შორინს ნოვოროსიისკზე შეტევის შესახებ დონის ველებზე გავლით, ე. ი. იმ ხაზით, რომლითაც შეიძლება მოხერხებული იყოს ფრენა ჩვენი ავიატორებისათვის, მაგრამ ჩვენი ქვეითი ჯარისა და არტილერიის ხეტიალი კი ყოვლად შეუძლებელი იქნება. მტკიცებაც კი ზედმეტია, რომ ეს სულელური (განზრახული) ლაშქრობა ჩვენთვის მტრულ გარემოში, სრული უგზოობის პირობებში, სრულ დალუბვას გვიქადის. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ეს ლაშქრობა ყაზახთა სტანიცებზე, როგორც ეს არც თუ ისე შორეულმა პრაქტიკამ დაგვანახვა, მხოლოდ შემოჰკრებს ყაზახებს დენიკინის გარშემო თავისი სტანიცების დასაცავად ჩვენს წინააღმდეგ, მხოლოდ გამოიყვანს დენიკინს დონის მხსნელად, მხოლოდ შეჰქმინს ყაზახთა არმიას დენიკინისათვის, ე. ი. მხოლოდ გააძლიერებს დენიკინს. სახელდობრ ამიტომ აუცილებელია ახლავე, დაუყოვნებლივ, შეიცვალოს პრაქტიკის მიერ უკვე უკუგდებული ძველი გეგმა და შეიცვალოს ახალი გეგმით, რომლის თანახმადაც ძირითადი შეტევა უნდა მოხდეს როსტოკზე ხარკოვ-დონის აუზის გავლით: ჯერ ერთი, აქ გარემო მტრულად განწყობილი არ გვეყოლება, პირიქით, იგი სიმპატიით გვეპყრობა ჩვენ, და ეს გაგვიადვილებს წინსვლას; მეორე — ჩვენ ხელში ვიგდებთ უმნიშვნელოვანეს რკინის გზის ქსელს (დონისას) და ძირითად ძარღვს, რომელიც ჰქვებავს დენიკინის არმიას — ვორონეჟ-როსტოკის ხაზს...; მესამე — ამ წინწაწევით ჩვენ დენიკინის არმიას ყვითეთ ორ ნაწილად, რომელთაგან მოხალისეთა არმიას შესაჭმელად ვუტოვებთ მახნოს, ყაზახთა არმიებს კი ზურგში შემოვლის საშიშროების ქვეშ ვაყენებთ; მეოთხე — ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა ყაზახები დენიკინს წავეიდოთ, ვინაიდან დენიკინი, თუ ჩვენ წარმატებით წავედით წინ, შეეცდება ყაზახთა ნაწილები დასავლეთისაკენ გადაიყვანოს, რაზეც ყაზახთა უმრავლესობა არ დათანხმდება...; მეხუთე — ჩვენ ხელში ვიგდებთ ნახშირს, დენიკინი კი უნახშიროდ რჩება. ამ გეგმის მიღების დაყოვნება არ შეიძლება... მოკლედ: არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ძველი, ცხოვრების მიერ უკვე გაუქმებული გეგმის გალვანიზაცია, — ეს საშიშია რესპუბლიკისათვის, დენიკინს ეს უთუოდ შეუმსუბუქებს მდგომარეობას.

იგი სხვა გეგმით უნდა შეიცვალოს. გარემოება და პირობები არა მარტო მომწიფდა ამისათვის, არამედ დაუინებით გვიკარნახებს ასეთ შეცვლას... უამისოდ ჩემი მუშაობა სამხრეთის ფრონტზე ხდება უაზრო, დანაშაულებრივი, ზედმეტი, ეს კი უფლებას მაძლევს, ან, უფრო სწორედ, მოვალედ მხდის წავიდესადაც გნებავთ, თუგინდ ეშმაკთან, მხოლოდ სამხრეთის ფრონტზე კი არ დავრჩე. თქვენი სტალინი“.

ამ საბუთს კომენტარიები არ ესაჭიროება. ყურადღებას იქცევს: ის, თუ რა საზომით ზომავს სტალინი უახლოეს ოპერატიულ მიმართულებას. სამოქალაქო ომში უბრალო არითმეტიკა საკმარისი არ არის და ხშირად შემცდარიც არის. ხოლმე. გზა ცარიცინიდან ნოვოროსიისკამდე შეიძლება გაცილებით უფრო გრძელი აღმოჩნდეს, ვინაიდან იგი მტრულ კლასიურ გარემოზე გადის. და პირიქით, გზა ტულადან ნოვოროსიისკამდე შეიძლება გაცილებით უფრო მოკლე აღმოჩნდეს, ვინაიდან იგი მუშურ ხარჯოვზე, მემალაროეთა ღონბასზე გადის. მიმართულებათა ამ შეფასებაში თავს იჩენს ამხ. სტალინის მთავარი ღირსებანი, როგორც პროლეტარული რევოლუციონერისა, როგორც სამოქალაქო ომის ნამდვილი სტრატეგისა.

სტალინის გეგმა შიილო ცენტრალურმა კომიტეტმა. ლენინმა-საკუთარი ხელით მიუწერა ბრძანება საველე შტაბს დრომოჭმული დირექტივის დაუყოვნებლივ შეცვლის შესახებ. მთავარი შეტევა სამხრეთის ფრონტმა აწარმოვა ხარჯოვ-დონბას-როსტოკის მიმართულებით. ამის შედეგები ცნობილია: გარდატეხა სამოქალაქო ომში მიღწეულ იქნა. დენიკინის ურდოები გადავარეთ შავ ზღვაში. უკრაინა და ჩრდილო კავკასია გავათავისუფლეთ თეთრგვარდიელებისაგან. ამხ. სტალინს ამაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის.

საჭიროა შეეჩერდეთ კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მომენტზე, რომელიც სამხრეთის ფრონტზე ამხ. სტალინის სახელთანაა დაკავშირებული. მე მხედველობაში მაქსი ცხენოსანი არმიის შექმნა. ეს იყო პირველი ცდა ცხენოსანი დივიზიების შედულებისა ისეთ დიდ გაერთიანებად, როგორიც არმიაა. სტალინი ხედავდა ცხენოსანი მასების ძლიერებას სამოქალაქო ომში. მას კონკრეტულად ესმოდა მათი უდიდესი მნიშვნელობა შემშესრელი მანევრისათვის. მაგრამ წარსულში არავის არა ჰქონია ასეთი თავისებური გამოცდილება, როგორიცაა ცხენოსანი არმიიების მოქმედება. ამის შესახებ მეცნიერულ შრომებშიც არა მოიპოვებოდა რა და ამიტომ ეს წამოწყება იწვევდა ან განცვიფრებას; ან პირდაპირ წინააღმდეგობას. მაგრამ სტალინი ეგრეთი როდია: დარწმუნებული თუ იყო თავისი გეგმების.

სარგებლობასა და სისწორეში, იგი არაფერს არ ერიდებოდა მათ განხორციელებაში. და ნოემბრის 11 რესპუბლიკის რევ. სამხედრო საბჭოს მოსდის სამხრეთის ფრონტის რევ. სამხედრო საბჭოსაგან შემდეგი მოხსენება.

„რესპუბლიკის რევ. სამხედრო საბჭოს:

სამხრეთის ფრონტის რევ. სამხედრო საბჭომ ა. წ. ნოემბრის

11 თავის სხდომაზე მიიღო რა მხედველობაში არსებული გარემოება, დაადგინა შეჰქმნას ცხენოსანი არმია 1-ლი და მე-2 ცხენოსანი კორპუსებისა და ერთი მსროლელთა ბრიგადის შემადგენლობით (შემდეგ დაემატება მეორე ბრიგადაც).

ცხენოსანი არმიის რევ. სამხ. საბჭოს შემადგენლობა: არმიის უფროსი ამხ. ბუდიონი და წევრები: ამხ. ამხ. ვოროშილოვი და შადენკო.

ცნობა: სამხრეთის ფრონტის რევ. სამხედრო საბჭოს 1919 წ.

ნოემბრის 11 დადგენილება, № 505/ა.

გთხოვთ დაამტკიცოთ აღნიშნული“.

ცხენოსანი არმია შეიქმნა ცენტრის დაუკითხავად და მისი სურვილის საწინააღმდეგოდაც კი. მისი შექმნის ინიციატივა ეკუთვნის ამხ. სტალინს, რომელსაც ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ამგვარი ორგანიზაციის მთელი აუცილებლობა. ამ ნაბიჯის ისტორიული შედეგები ყველამ კარგად უწყის.

კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება აღმოაჩნდა მკაფიოდ ამხ. სტალინს სამხრეთის ფრონტზე: მოქმედება დამკვრელი ჯგუფებით, მთავარი მიმართულებების ამორჩევა, მათზე საუკეთესო ნაწილების გაგზავნა და მტრის უკუგდება. ამ მხრივ, და აგრეთვე მიმართულების ამორჩევაში, იგი მეტის-მეტად დახელოვნდა.

* * *

დენიკინის დამსხვრევის შემდეგ სტალინის ავტორიტეტი, როგორც პირველხარისხოვანი ორგანიზატორისა და სამხედრო ბელადისა, უდავო შეიქნა. როდესაც 1920 წ. იანვარში როსტოკიან ფრონტის სარდლობის უხეში შეცდომების გამო სახითათოდ შეფერხდა ჩვენი შეტევა, როდესაც ხელახლა წარმოიშვა საფრთხე, რომ თეთრგვარლებები მოითქვამდენ სულს და ჩვენი გამარჯვების შედეგებს გააქარწყლებდენ, ცენტრალურმა კომიტეტმა სტალინს შემდეგი დეკეშა გაუგზავნა:

„ვინაიდან აუცილებელია კავკასიის ფრონტზე სარდლობის ნამდვილი მთლიანობის დამყარება, ფრონტის სარდლისა და

არმიის სარდლის ავტორიტეტის დაცვა, ადგილობრივი ძალებისა და საშუალებების ფართო მასშტაბით გამოყენება, ც. კ-ს პოლიტბიურო აუცილებლად სცნობს ოქვენს დაუყოვნებლივ შესვლას კავკასიის ფრონტის რეე. სამხედრო საბჭოს შემადგენლობაში... გვაცნობეთ, როდის მიზიხართ როსტოკში“.

ამხ. სტალინი ემორჩილება, თუმცა თვითონ მიაჩნია, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იგი ადგილიდან არ უნდა დაეძრათ. ამასთანავე მას ისიც აფიქრებს, რომ ეს მუდმივი გადაყვანა-გადმოყვანა ერთი ადგილიდან მეორეზე შეიძლება უმართებულოდ გაიგონ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც შეიძლება „დამიწყონ ბრალის დება წინდაუხედავ გადახტომ-გადმონტომაში მმართველობის ერთი დარგიდან მეორეში, ვინაიდან ისინი გაცნობილი არ იქნებიან ც. კ-ს დადგენილებებს“ (ამხ. სტალინის დეპეშა 7/II—20 წ. თარიღით). ც. კ. ეთანხმება ამხ. სტალინს და ლენინი 10 თებერვალს აცნობებს დეპეშით: „არა ვკარგავ იმედს, რომ... მთელი საქმე თქვენ გადაუყვანლად მოვვარდებაო“.

როდესაც თეთრპოლონელთა კამპანიის აუზაურში ვრანგელმა გამოჰყო თავი ყირიმიდან და განთავისუფლებულ დონის აუზსა და მთელ სამხრეთს საფრთხე შეუქმნა, ცენტრალურმა კომიტეტმა გამოატანა შემდეგი დადგენილება (3/VIII-20 წ.):

„ვრანგელის მიერ მიღწეული წარმატებებისა და უუბანში შექმნილი საშიშროების გამო აუცილებელია ვრანგელის ფრონტი მიჩნეულ იქნეს დიდ, სრულიად დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონედ, და გამოიყოს, როგორც ცალკე ფრონტი. დაევალოს ამხ. სტალინს რეე. სამხედრო საბჭოს შექმნა, მთელი თავისი ძალების თავმოყრა ვრანგელის ფრონტზე, ფრონტის სარდლად ეგოროვის ან ფრუნზეს დანიშვნა მთავარსარდლისა და სტალინს შეთანხმებით“.

ამავე დღეს ლენინი სწერს სტალინს:

„ეს არის ახლა გავატარეთ პოლიტბიუროში ფრონტების განაწილება, რომ თქვენ შეგეძლოსთ მხოლოდ ვრანგელის წინააღმდეგ მუშაობა...“

ამხ. სტალინმა მოაწესრიგა ახალი ფრონტი და მხოლოდ ავადმყოფობამ გაათავისუფლა იგი ამ მუშაობისაგან.

თეთრპოლონელთა კამპანიის დროს ამხ. სტალინი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რევოლ. სამხედრო საბჭოს წევრი იყო. პოლონეთის არმიების განადგურება, კიევისა და მარჯვენა ნაპირის უკრაინის განთავისუფლება, გალიციაში ლრმად შეჭრა, პირველი ცხე-

ნოსანი არმიის სახელოვანი რეიდის ორგანიზაცია — სტალინის საქმე-ებია, უმთავრესად მისი ნიჭიერი და დახელოვნებული ხელმძღვანელობის შედევია.

უკრაინაში პოლონეთის მთელი ფრონტის განადგურებამ და კი-ევთან პოლონეთის მე-3 არმიის თითქმის მთლად მოსპობამ, შემმუს-ვრელმა შეტევამ ბერდიჩევსა და უიტომირზე და 1-ლი ცხენოსანი არ-მიის მოძრაობამ როვნოს მიმართულებით შეკქმნა გარემოება, რომელ-მაც შესაძლებელი გახადა ჩვენი დასავლეთის ფრონტის გადასვლა საერთო იერიშზე. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შემდგომმა მოქმე-დებამ წითელი ჯარები თვით ლვოვამდე მიიყვანა, და მხოლოდ ჩვე-ნი ჯარების მარცხმა ვარშავასთან ხელი შეუშალა ცხენოსან არმიას, რომელიც უკვე მომზადებული იყო ლვოვზე იერიშის მისატანად და მისგან 10 კილომეტრის მანძილზე იმყოფებოდა.

მაგრამ ეს პერიოდი ამბებით ისე მდიდარია, და მისი გაშუქე-ბა სეთ ფართო დასაბუთებასა და გულდასმით ანალიზს მოითხოვს, რომ მისი მოქცევა გაზეთის წერილის ჩარჩოებში სრულიად შეუძ-ლებელია.

ამხ. სტალინის სამხედრო მუშაობის ამ მოკლე აღწერით არ-ამოიწურება მისი, როგორც სამხედრო ბელადისა და პროლეტარუ-ლი რევოლუციონერის, ძირითად თვისებათა დახასიათებაც კი. რაც ყველაზე მეტად იპყრობს ყურადღებას, ეს არის — ამხ. სტალინის უნა-რი კონკრეტულ მდგომარეობაში უცებ გარკვევისა და შესაფერად მოქმედებისა. ამხ. სტალინი, როგორც შეურიგებელი მტერი დაუდევ-რობისა, უდისციპილინობისა და პარტიზანულობისა, იქ, სადაც ამას რევოლუციის ინტერესები მოითხოვდა, არასოდეს არ ერიდებოდა პასუხისმგებლობის აღებას უკიდურესი ზომებისა და რადიკალური ცვლილებისათვის; იქ, სადაც ამას რევოლუციის გარემოება მოითხოვ-და, ამხ. სტალინი მზად იყო წასულიყო ყოველგვარი წესდებისა და ყოველგვარი სუბორდინაციის წინააღმდეგ.

ამხ. სტალინი მუდამ უსასტიკესი სამხედრო დისციპილინისა და ცენტრალიზაციის მომხრე იყო, მაგრამ იმ უცილებელი პირობით, რომ უმაღლესი სამხედრო ორგანოების მხრით ხელმძღვანელობა მო-ფიქრებული და აწონილ-დაწონილი ყოფილიყო. თავდაცვის საბჭო-სათვის წარდგენილ მოხსენებაში, 1919 წლის იანვრის 31 თარიღით, ამხ. სტალინი ძერუინსკისთან ერთად სწერს:

„არმია ვერ იმოქმედებს როგორც დამოუკიდებელი, სავსებით ავტონომიური ერთეული, თავის მოქმედებაში ის მთლად დამო-კიდებულია მის გვერდით მომქმედ არმიებზე და უწინარესი

ყოვლისა რესპუბლიკის რევოლ. სამხედრო საბჭოს დირექტი-
ვებზე; რაც გინდა ბრძოლის უნარის მქონე იყოს, არმიამ შეი-
ძლება მაინც განიცადოს მარცხი, თუ ცენტრიდან სწორე დი-
რექტივები არ მიუვა და მეზობელ არმიებთან ნამდვილი კონ-
ტაქტი არ ექნება. საჭიროა შემოღებულ იქნეს ფრონტებზე, უპირველეს ყოვლისა აღმოსავლეთის ფრონტზე, რეჟიმი ცალკე
არმიების მოქმედებათა სასტიკი ცენტრალიზაციისა განსა-
ზღვრული, სერიოზიულად მოფიქრებული სტრატეგიული დირე-
ქტივის განხორციელების გარშემო. თვითნებობა ან მოუფიქ-
რებლობა დირექტივის განსაზღვრის საქმეში, როდესაც თვით-
თეული პირობა სერიოზულად არ არის შევასებული, და აქედან
გამომდინარე სწრაფი შეცვლა დირექტივებისა, აგრეთვე თვით
დირექტივების გაურკვევლობა, როგორც ამას რესპუბლიკის
რევოლ. სამხ. საბჭო სჩადის, შეუძლებელს ხდის არმიების
ხელმძღვანელობას, იწვევს ძალისა და დროის გაფლანგვას და
ფრონტში დეზორგანიზაცია „შეაქვს“.

ამხ. სტალინი ყოველთვის მოითხოვდა დაკისრებული საქმისა-
თვის პერსონალურ პასუხისმგებლობას და ფიზიკურად ვერ იტანდა
„საუწყებო გამიჯნულობას“.

ამხ. სტალინი უდიდეს ყურადღებას აქცევდა ჯარების მომარა-
გების ორგანიზაციის. მან იცოდა, თუ რას ნიშნავს მეომრისათვის
საზრდო და თბილი ტანისამოსი. როგორც ცარიცინში, ისე პერმში
და სამხრეთის ფრონტზე ის არ ერიდებოდა არაფერს, ოლონდ
მოემარაგებინა ჯარები და ამით უფრო ძლიერი და მტკიცე გაე-
ხადა.

ამხ. სტალინში ჩვენ ვხედავთ პროლეტარული კლასიური ფრონ-
ტის ორგანიზატორის უტიპიურეს ნიშნებს. იგი განსაკუთრებულ
ყურადღებას აქცევს არმიის კლასიურად შეესებას, რომ მასში ნამ-
დვილად რჩებოდენ მუშები და გლეხები, „რომლებიც სხვისი შრომის
ექსპლოატაციას არ ეწევიან“. იგი უდიდეს მნიშვნელობას მიაწერდა
არმიაში პოლიტმუშაობის გაფართოვებას და არაერთხელ ყოფილა
კომუნისტების მობილიზაციის ინიციატორი, ვინაიდან საჭიროდ
მიაჩნდა, რომ მათი საქმაო პროცენტი გაგზავნილიყო ჯარში მერიგ
მეომრად. ამხ. სტალინი სამხედრო კომისრების შერჩევის საკითხში
მეტად მკაცრი იყო. ის სასტიკად აკრიტიკებდა სამხედრო კომისარ-
თა მაშინდელ სრულიად რუსეთის ბიუროს „ბიჭბუჭების“ გამო-
გზავნისათვის. იგი ამბობდა:

„სამხედრო კომისრები სამხედრო საქმის სული და გულო-
უნდა იყვნენ, სპეციალისტებს ისინი უნდა წინამძღვრობდენ“
(დეპეშა ცარიცინიდან 1918 წ.).

ამხ. სტალინი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა არმიის ზურგის:
პოლიტიკურ მდგომარეობას. მე-3 არმიის შესახებ წარდგენილ მოხ-
სენებაში იგი სწერს:

„ჩვენი არმიების მტკიცანი ადგილია — ზურგის განუმტკიცებ-
ლობა, რაც აისანება უმთავრესად იმით, რომ პარტიული მუშა-
ობა თავმინებებულია, დებუტატთა საბჭოებს არ შესწევთ
უნარი ცენტრის დირექტივები განახორციელონ, ადგილობრივი
საგანგებო კომისიები განსაკუთრებულ, თითქმის განცალკევე-
ბულ მდგომარეობაში იმყოფებიან“.

ამხ. სტალინი განსაკუთრებით მკაცრი იყო ადამიანების შერჩე-
ვაში. მიუხედავად თანამდებობისა, მართლაც რომ „პიროვნებათა
განურჩევლად“, იგი დიდი სიმკაცრით ერევებოდა ადგილებიდან
უვარების საეცებს, კომისრებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს. მაგ-
რამ იმავე დროს ამხ. სტალინი ყოველთვის მხარს უჭირდა და ექო-
მაგებოდა მათ, რომლებმაც, მისი აზრით, გაამართლეს რევოლუციის
ნდობა მათდამი. ასე იქცეოდა ამხ. სტალინი იმ დამსახურებული
წითელი მეთაურების მიმართ, რომელთაც პირადად იცნობდა. რო-
დესაც სამოქალაქო ომის ერთერთ ნამდევილ პროლეტარულ გმირს,
შემდეგ მე-14 ცხენოსანი დივიზიის უფროსს, ამხ. პარხომენკოს,
მახნოს ბანდებთან ბრძოლაში მოკლულს, 1920 წლის დასაწყისში
გაუგებრობით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა, ამხ. სტალინმა,
რა წამსაც გაიგო უს, მოითხოვა მისი დაუყოვნებლივ განთავისუფ-
ლება. ასეთი და ამის მსგავსი ფაქტი შეიძლებოდა მრავალი მოგვე-
ყვანა. რევოლუციისათვის თავდადებულ მუშაქთა დიდად დაფასება
დიდი ადამიანებიდან არავის არა სკოდნია ისე, როგორც ამხ. სტა-
ლინს, და ეს იცოდენ სამხედრო მეთაურებმა, ეს იცოდა ყველამ,
ვისაც კი მისი ხელმძღვანელობით უწარმოებია ბრძოლა ჩვენი საქმი-
სათვის.

ასეთია ამხ. სტალინი სამოქალაქო ომში, ასეთივე რჩება იგი
სოციალიზმისათვის ბრძოლის შემდგომ წლებშიც.

სამოქალაქო ომი ამხ. სტალინისაგან ძალებისა, ენერგიისა,
ნებისყოფისა და გონების უდიდეს დაკიმვას მოითხოვდა. იგი მთლი-
ანად და განუყოფელად ებმოდა საქმეში. მაგრამ მან იმავე დროს
მიიღო აქედან დიდი გამოცდილება თავისი შემდგომი მუშაობისა-
თვის.

სამოქალაქო ომის სხვადასხვა და ურთულეს პირობებში ამხ. სტალინი, როგორც რევოლუციონური სტრატეგის ღიღი ნიჭის მქონე, ყოველთვის სწორე განსაზღვრავდა მთავარი შეტევის ძირითად მიმართულებას და გარემოების შესაფერი ტაქტიკური ხერხების ხმარებით სასურველ შედეგებს აღწევდა. პროლეტარული სტრატეგის და ტაქტიკისის ეს თვისება მას სამოქალაქო ომის შემდეგაც შერჩა. მისი ეს თვისება მთელი პარტიისათვის კარგად არის ცნობილი. ყველაზე უკეთ ამის შესახებ იციან ტროკებმა და ძმათა მათთა, რომელთაც საკუთარ ტყავზე იწვნიეს მისი რისხვა მარქს-ლენინის დიადი მოძღვრების თავისი წერილბურჟუაზიული იდეოლოგიით შეცვლის ცდისათვის. მათზე ნაკლებ არ იციან ამის შესახებ მემარჯვენე აპორტუნისტებმაც, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინ მთლიანად იქნენ განადგურებული.

ამხ. სტალინი მშეიღობიანობის პირობებშიც ლენინურ ცეკასთან ერთად გამუდმებით, არა ნაკლები წარმატებით, ვიდრე სამოქალაქო ომში, აწარმოებს დაუნდობელ ბრძოლას პარტიისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შენების ნებსითსა და უნებურ მტრებთან.

ამასთანავე ამხ. სტალინი ფორმალურად თუმცა დიდი ხანია სამხედრო პირი აღარ არის, მაგრამ მას ყოველთვის აინტერესებდა პროლეტარულ სახელმწიფოს თავდაცვის საკითხები და მათ გადაწყვეტაში მონაწილეობას იღებდა. როგორც წარსულ წლებში, ახლაც ისევე იცნობს იგი წითელ არმიას და მისი უახლოესი და უძვირფასესი მეგობარია.

5. პოპოვი

სტალინი და ლენინური პარტიის ეროვნული პოლიტიკა.

ძველი, მეფის დროის რუსეთი, მრავალერიანი სახელმწიფო იყო.

ჩვენი პარტია თავისი არსებობის დღიდანვე ცდილობდა, რომ რუსეთში მოსახლე ყველა ეროვნების მუშები და მშრომელები თავის რიგებში გაეერთიანებინა. მაგრამ ამას ხელს ის უშლიდა, რომ ცარიზმი და ბურჟუაზია მშრომელ რუსთა მასებს შოვინისტურ გრძნობას უნერგავდენ, ხოლო არარუს ეროვნებათა მუშები და მშრომელები უნდობლად ექცეოდენ რუს პროლეტარებს, რომლებიც ჩვენი პარტიის ძირითად კადრს წარმოადგენდენ. ამის შედეგი ის იყო, რომ

რუსეთის სხვადასხვა ეროვნების რევოლუციონერი მუშებიც კი ერთ-მანეთისაგან ერთგვარად დაშორებული იყვნენ. მაგალითად, უკვე 1905 წლის რევოლუციის დროს პოლონელ და ლატვიელ მუშებს ცალკეული სოციალ-დემოკრატიული პარტიები ჰქონდათ და ეს პარტიები რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში არ შეღიოდენ. სწორედ ასევე ებრაელ მუშათა ნაწილი იმ ბუნდის რიგებში იმყოფებოდა, რომელიც თავის ამოცანად ისახავდა მხოლოდ ებრაელ მუშათა გაერთიანებას სხვა ეროვნებათა მუშების ჯარეშე.

1905 — 6 წ. რევოლუციის დამლევისათვის ჩენმა პარტიამ თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია თავისი დროშის ქვეშ მეფის რუსეთის ყველა ეროვნების მუშებისა და მშრომელების გაერთიანების მსრით. სტოკოლმის შე-IV ყრილობაზე გაერთიანება მოხდა პოლონეთისა და ლატვიის პარტიებთან და ბუნდთან. კავკასიაში პარტიამ კიდევ უფრო ადრე მოახერხა, რომ საერთო ორგანიზაციებში შეემჭიდროებინა ქართველი, სომეხი, რუსი და ყველაზე უფრო ჩამორჩენილი თურქი მუშებისა და გლეხების თვალსაჩინო მასებიც კი. პარტია დაულალავად ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ყველა ერის მუშებისა და მშრომელების შემჭიდროებული ძალებით მოხერხდება საერთო მტრის — რუსეთის ცარიზმის — დამხობა, დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება და ამით ყველა დაჩაგრული ერისათვის თვითგამორკვევის უფლების უზრუნველყოფა.

1905 წ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ, როდესაც მეფის მთავრობამ უფრო გააძლიერა ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკა, დაჩაგრულ ერთა ბურუუზის წრეებში თვალსაჩინოდ გაიზარდა შოვინისტური და ნაციონალისტური განწყობილება; ნაწილობრივ ამ განწყობილების ზეგავლენით მშრომელთა მასების ერთ ნაწილს რაოდენადმე შეერყა ჩრდენა, რომ რუს მუშებთან ერთად ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა. მაგრამ ამ განწყობილებას უფრო მეტად დაემორჩილნენ დაჩაგრულ ერთა სოციალისტების ოპორტუნისტულ ელემენტები, კერძოდ, კავკასიელი მენშევიკები, ბუნდელები, უკრაინელი სოციალ-დემოკრატები. მათი „სოციალიზმის“ შეგუებას ბურუუზიულ ნაციონალიზმთან ის მოპყავა, რომ ავსტრიის სოციალ-დემოკრატებისაგან ისესხეს და შეაკეთეს კულტურულ-ეროვნული ავტონომიის პროგრამა — სხვადასხვა არატერიტორიალური ეროვნული კავშირების შექმნა სასკოლო, კულტურული და სხვა საქმეებისათვის; ამ კავშირებს უნდა გაეერთიანებინათ ამა თუ იმ ეროვნების ყველა წარმომადგენელი — მუშიდან ბურუუზე. კულტურულ-ეროვნულ ავტონომიას ეროვნული საკითხის გადა-

ჭრის იდეალურ ფორმად ასაღებდენ, ამ ფორმას უკავშირებდენ აგრეთვე მუშების ეროვნებათა მიხედვით ორგანიზაციის ლოზუნგს, რომელიც ადრევე წამოაყენეს ბუნდელებმა. ნამდვილად კულტურულ-ეროვნული ავტონომია არამც თუ ხელს ვერ შეუწყობდა სხვადასხვა ეროვნების მუშების შემჭიდროებას, არამედ, პირიქით, მათს შორის ზოუდეებს ჰქმნიდა და ერთმანეთს უფრო აშორებდა.

ამიტომ იყო, რომ ბოლშევკიურმა პარტიამ კულტურულ-ეროვნული ავტონომიის წინააღმდეგ ენერგიულად გაილაშქრა. მაგრამ ამ ნაციონალ-ოპორტუნისტულ ლოზუნგთან ბრძოლა არა კმაროდა. მოახლოვებულ მეორე რევოლუციას ისეთს სახელმწიფოში, როგორიც იყო ყოფილი რუსეთი, უეპელად განსაკუთრებული სიმწვავით უნდა დაესვა ეროვნული საკითხი და მოეთხოვა მისი ვადაჭრა დადგებითი ფორმით.

ბუნებრივია, რომ ახალი რევოლუციონური ამოძრავების მოახლოვებასთან ერთად ბოლშევკიურმა პარტიამ მოჩიგ საკითხად დასვა უფრო კონკრეტული და გაშლილ-გაფართოებული პროგრამის შემუშავება. ამ პროგრამას მოლიანად უნდა დაექმაყოფილებინა დაჩაგრულ ეროვნებათა მშრომელი მასები; ამავე დროს — მას ხელი კი არ უნდა შეეშალა, არამედ ხელი უნდა შეეწყო მათი გაერთიანებისათვის საერთო ბრძოლისა და საერთო ორგანიზაციებში ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

პარტიული პროგრამისა და ტაქტიკის ძირითადი დებულებანი ეროვნული საკითხის დარგში ჩამოყალიბებულ იქნა ლენინისა და ამხ. სტალინის წერილებში 1913 წელს; ეს წერილები საფუძვლად დაედო იმ პარტიული თათბირის რეზოლუციას, რომელიც იმავე 1913 წლის აგვისტოში მოხდა. რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ მეფის რუსეთში მოსახლე ყველა ერს უფლება აქვს თავისუფალი თვითგამორკვევისა, გამოყოფისაც კი; იმ ერებისათვის, რომლებიც მოისურებდენ ერთს სახელმწიფოებრივ კავშირში დარჩენას, ჯათვალისწინებული იყო ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია, ერთიანი სახელმწიფო ენა უქმდებოდა და ადგილობრივ ენებს (მათ შორის ეროვნულ უკიდურესობათა ენებსაც) უაღრესად ფართო უფლებანი ენიჭებოდა; გათვალისწინებული იყო ეროვნული ჩაგვრის ყოველგვარი შესაძლებელი ფორმის კანონმდებლობის წესით აკრძალვა.

გადაჭრით უკუგდებულ იქნა კულტურულ-ეროვნული ავტონომიის რეაქციონური წვრილ-ბურჟუაზიული პროგრამა, რომლის განხორციელების აუცილებელი შედეგი იქნებოდა ეროვნული განკურდოებისა და შულლის გაღრმავება და გაღვივება მუშათა კლასის შიგნით. ერთხელ

კიდევ დადასტურებული იქნა მთლიანი პოლიტიკური და პროფესიონალური ორგანიზაციების პრინციპი უველა ეროვნების მუშებისათვის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მანამდე ჩვენი პარტია ეროვნულ საკითხს უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე საჭირო იყო. ამის წყალობით, იგი ყოველთვის ვერ ახერხებდა ნაყოფიერად ბრძოლას იმ ბურუუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ, რომლებიც თავისი ეროვნული მოთხოვნილებებით თავს აწონებდენ დაჩაგრულ ეროვნებათა მუშებსა და მშრომელებს.

ლენინისა და ამს. სტალინის დამსახურებას შეადგენს, რომ მათ ჩვენს პარტიას დროიანად და მკაფიოდ დაუყენეს ეროვნული საკითხი იმ წლებში, რომლებიც წინ უძლოდა მსოფლიო იმპერიალისტურ ომს, პროლეტარულ რევოლუციას რუსეთში და ეროვნულ-კოლონიალურ მოძრაობას დედამიწის იმ უდიდეს ტერიტორიებზე, რომლებიც იმპერიალისტური სახელმწიფოების ხელშია....

1917 წლის რევოლუციამ (ხოლო უფრო ადრე იმპერიალისტურმა ომმა) ეროვნული საკითხი მართლაც მეტის-მეტად აქტუალურ საკითხად გადააქცია ჩვენი პარტიისათვის, და აი, ამს. სტალინი ამ საკითხის გამო მომხსენებლად გამოვიდა აპრილის პარტიულ კონფერენციაზე. ამავე კონფერენციაზე ბევრი ამხანაგი წინააღმდეგი იყო, რომ ერებს თვითგამორკვეის, გამოყოფის უფლება მისცემოდათ. ამ პოზიციაზე იდგა მაშინ ამს. ბუხარინიც. ამ პოზიციას ასაბუთებდენ უალრესად „რევოლუციონური“ არგუმენტით: იმპერიალიზმის დროს დიდ სახელმწიფოთა დანაწილებისაკენ მიმართული ეროვნული მოძრაობა რეაქციონურია; ნამდვილად კი ასეთი პოზიცია გულისხმობდა ბურუუაზიის ცენტრალისტური პოლიტიკის ზურგის გამაგრებას; იგი უფსკრულს სთხოიდა რუსეთის პროლეტარიატსა და დაჩაგრულ ეროვნებათა მშრომელებს შორის.

კონფერენციის უმრავლესობა ლენინისა და ამს. სტალინის თვალ-საზრისს დაადგა. კონფერენციის რეზოლუცია ეთანხმებოდა 1913 წლის პარტიული თათბირის რეზოლუციის. მან დიდად ხელი შეუწყო ბოლშევიკური პარტიის ავტორიტეტის გაძლიერებას, უგი უველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ ერთადერთ მტკიცე მებრძოლად იქნა მინეული იმ დაჩაგრულ ეროვნებათა მშრომელ მასებს შორის, რომელთა მიმართაც დროებითი მთავრობა მენშევიკებთან და ესერებთან ერთად ცარიზმის პოლიტიკის განგრძობას ცდილობდა.

როდესაც ოქტომბრის რევოლუცია მოხდა, მას რუს მუშებთან, ჯარისკაცებთან და გლეხებთან ერთად მხარი დაუჭირეს აგრეთვე სხვა-

ეროვნებათა მშრომელმა მასებმაც. მარტალია, პირველ ხანებში უკრაინასა, თურქესტანსა, თათართა მხარესა და სხვაგან ბურუჟაზიულ და მენშევიკურ ნაციონალისტებს ერთგვარი გავლენა ჰქონდათ მასებს. შორის, მაგრამ ეს გავლენა ძალიან მაღე დაეცა, როდესაც ჩვენმა პარტიამ ზავისა, მიწისა და წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესების ლოზუნგებთან ერთად მშრომელთა მასების წინაშე წამოაყენა. მათი ეროვნული მოთხოვნილებებისა და თვითგამორკვევის საკითხის კონკრეტული გადაჭრის პროგრამა, სახელდობრ: ეროვნულ რესპუბლიკათა შექმნა უაღრესად ფართო უფლებებით, მაგრამ ამავე დროს მათი გაერთიანება სამხედრო და ეკონომიკური კავშირით. საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთი პირველი საკანონმდებლო აქტი იყო ამს. სტალინის უახლოესი. მონაწილეობით გამოცემული დეკლარაცია რუსეთის ხალხთა უფლებების შესახებ; დეკლარაციაში აღიარებულ იქნა.

1. რუსეთის ხალხთა თანასწორობა და სუვერენობა.
2. თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება, გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლებაც კი.
3. ყველა და ყოველგვარი ეროვნული და ეროვნულ-რელიგიური პრივალეგიისა და უფლებათა შეზღუდვის გაუქმება.
4. რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა და ეთნოგრაფიული ჯგუფების თავისუფალი განვითარება.

საბჭოთა ხელისუფლების მეორე უმნიშვნელოვანეს საპროგრამო დოკუმენტს წარმოადგენდა 1917 წლის დეკემბერში გამოცემული და ამს. ლენინისა და ამს. სტალინის მიერ ხელმოწერილი მიმართვა რუსეთისა და აღმოსაფეხურის მშრომელ მუსლიმანებისადმი. თურქესტანისა, ვოლგის მხრისა, კავკასიისა, ციმბირისა და სხვ. მუსლიმანთა მრავალმილიონიანი მოსახლეობა ყოფილი რუსეთის არარუს მცხოვრებთა ყველაზე უფრო დაჩაგრულ და ჩამორჩენილ ნაწილს წარმოადგენდა. თავისი მიმართვით საბჭოთა ხელისუფლება ადასტურებდა, რომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ამ ყველაზე ჩამორჩენილ და რევოლუციამდე დაჩაგრულ ხალხებისადმი...

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამს. სტალინი, როგორც ც. კ-ის წევრი და ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი, უშუალო და ყოველდღიური ხელმძღვანელი იყო პარტიას პოლიტიკისა ეროვნულ საკითხში.

ამ პოლიტიკის პირველმავე ნაბიჯმა უდიდესად შეუწყო ხელი კონტრრევოლუციონურ ნაციონალისტურ მთავრობათა ლიკვიდაციას. უკრაინასა, თურქესტანსა და სხვ... მხოლოდ გერმანიის იმპერიალიზმის ჩარევამ, რომელმაც კონტრრევოლუციას განაპირა ქვეყნებში გა-

მაგრების საშუალება მისცა, გამოიწვია საბჭოთა ხელისუფლების დაცემა უკრაინასა, ფინეთსა, ბელორუსიასა და ბალტიის მხარეში, მაგრამ უკრაინისა და ბელორუსის ტერიტორიის უდიდეს ნაწილში კონტრრევოლუციის გამარჯვება მეტად ხანმოკლე გამოდგა.

სამოქალაქო ომის შედგომი გაშლა-განვითარების დროს პარტიის სწორმა ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ, რომლის გატარება ამხ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით სწარმოებდა, ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების გადამწყვეტ გამარჯვებას და რუსეთის თეთრგვარდიელთა კონტრრევოლუციის — დენიკინისა და კოლჩაკის — დამარცხებას; ეს კონტრრევოლუცია ყოფილ დაჩაგრულ ეროვნებათა ხალხის მასებს ეროვნული ჩაგვრის უსაშინელესი ფორმების ალორძინებას უქადდა.

თეთრგვარდიელთაგან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე, სადაც დასახლებული იყვნენ არარუსი ეროვნებანი, ეროვნებათა საჭმების სახ. კომისარიატის ხელმძღვანელობით ეროვნული რესპუბლიკები და ოლქები იქმნებოდა. ამ ტერიტორიაზე ბევრგან ვხედავდით მეტის-მეტად ჩამორჩენილ მასებს და კომუნისტური ძალების უკიდურეს სისუსტეს; ზოგჯერ კი ეს ძალები სრულებითაც არ არსებობდა. რესპუბლიკების ორგანიზაციისა და მათი მუშაობის სელმძღვანელობის დროს პარტიული ხაზითაც და საბჭოთა ხაზითაც საჭირო იყო არა მარტო ეროვნული საკითხის ცოდნა, არამედ ადგილობრივი სამეურნეო, საყოფაცხოვრებო პირობების ცოდნაც, უდიდეს ტაქტიზე-დაც რომ ალარაფერი ვთქვათ, მეტადრე თუ მხედველობაში მივიღებთ დაჩაგრულ ხალხთა ფსიქოლოგიას, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ უნდობლად მოჰკიდებოდენ ყველაფერს, რაც ცენტრიდან მომდინარეობდა.

ძნელი წარმოსადგენია ის დიდი და რთული მუშაობა, რომელსაც ამხ. სტალინი აწარმოებდა ეროვნული საკითხის პრაქტიკულად გადაჭრისათვის საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მეტადრე საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში.

ამხ. სტალინის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია ხოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნა (1922 წლის დამლევს) და მისი კონსტიტუციის შემუშავება, ეროვნებათა ურთიერთობის იმ ფორმის შემუშავება, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ულლისაგან განთავისუფლებული ყველა ხალხისათვის; იგი ითვალისწინებს მჭიდრო ეკონომიკურ და სამხედრო კავშირს, უაღრესად ფართო თვითმართველობას, ყველა

ეროვნული კულტურის განვითარების სრულ თავისუფლებას, ეროვნული უთანასწორობის ყოველგვარი კვალისა და ნაშთის სისტემატიურად მოსპობას და ეკონომიურად უფრო მძლავრ ხალხთა სისტემატიური დახმარების გაშევას უფრო სუსტ ხალხთათვის.

არსებობს საბჭოთა კავშირის ეროვნული პოლიტიკის სამი უმნიშვნელოვანესი, მთავარი პუნქტი, სადაც ამ პოლიტიკის განხორციელება გადახლართულია არა მარტო სოციალისტური მშენებლობის, ყოვილი განაპირა ქვეყნების ეკონომიური განვითარების და ეროვნული უთანასწორობის მოსპობის ინტერესებთან, არამედ საერთაშორისო პროლეტარული ორეოლუციის ინტერესებთანაც; ამავე დროს იქ ჩვენი ეროვნული პოლიტიკა ეხება იმ საერთაშორისო იმპერიალიზმის ინტერესებს, რომელსაც ჯერ ხელი არ აუღია და არც აპირებს ხელის აღებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიულ პოლიტიკაზე.

ჩვენ მხედველობაში ვგაქვს უკრაინა, ამერკავკასია და შუა აზია. ყველამ იცის, თუ რა როლი ითამაშა უკრაინამ ყოფილი რუსეთის ტერიტორიაზე გაჩაღებული სამოქალაქო ომის დროს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში. საქმარისია გავიხსენოთ უკრაინელი მუშებისა და გლეხების ბრძოლა ცენტრალური რადის წინააღმდეგ, დონეცკის მუშების ბრძოლა კალედინის ბანდებთან, გერმანელების მიერ უკრაინის დაჭერა, გეტმანის ბატონობისა და პეტლიოურას დირექტორიის დამხობა, ანტანტას ინტერვენცია შვიზლების სანაპიროზე, დენიკინის თავდასხმა უკრაინაზე და, ბოლოს, ბრძოლა პოლონელებთან და ვრანგელთან.

უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო გამარჯვება მჭიდროდ იყო დამოკიდებული სწორი ეროვნული პოლიტიკის წარმოებაზე; ამიტომ გასაგებია, რომ ამბ. სტალინი, ისე, როგორც ვ. ი. ლენინი, უკრაინას განსაკუთრებულ უურადლებას აქცევდა ამ წლებში, ოქტომბრის რევოლუციის დასაწყისიდან და უკრაინის იმ პირველი საბჭოთა მთავრობის შექმნის დღიდან, რომელიც ცენტრალური რადის წინააღმდეგ გამოვიდა და რომელიც შემდეგ გერმანელთა ოკუპაციამ დაამხო. უკრაინის საბჭოთა ხელისუფლების აღდგენისათვის დაწყებული ახალი ბრძოლის გაშლა-განვითარების წინა ხანებში, 1918 წლის დამლევს, რუსეთის კომუნისტური პარტიის ც. კ-მა ამბ. სტალინი გამოჰყო იმ მიზნით, რომ მას ამ ბრძოლისათვის ხელმძღვანელობა გაეწია პარტიიული და სამხედრო ხაზით. ამბ. სტალინს უშუალო დამოკიდებულება ჰქონდა იმ სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობასთან, რომლებიც უკრაინაში სწარმოებდა 1919 წლის

დამტევს და 1920 წელს დენიკინისა, პოლონელებისა და ვრანგელის წინააღმდეგ, მას უშუალო დამკიდებულება ჰქონდა აგრეთვე ამ დროის მთელი პარტიული და სამეურნეო მუშაობის ხელმძღვანელობასთან. 1920 წლის მარტს ის რუსეთის კომუნისტური პარტიის ცეკას წარმომადგენლად იყო უკრაინის მე-IV პარტიულ კონფერენციაზე. 1923 წელს, მე-XII პარტიული ყრილობის შემდეგ, ეროვნებათა მე-IV თათბირზე ამხ. სტალინმა მკვეთრად აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორ ეროვნულ პოლიტიკას უკრაინაში არა მარტო საშინაო, არამედ საერთაშორისო თვალსაზრისითაც, მან აღნიშნა აგრეთვე, რომ ამ მხრით საჭიროა უკრაინა სანიმუშო რესპუბლიკად გადაიქცეს. უკრაინის კომუნისტებისათვის ამ დირექტივას კიდევ მრავალი წლის განმავლობაში უქნება უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა.

ამხ. სტალინმა უდიდესი ხელმძღვანელი როლი შეასრულა იმ ბრძოლაში, რომელიც სწარმოებდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ამიერკავკასიაში, სადაც გერმანიისა და ოსმალეთის ხიშტების დახმარებით პირველ ხანებში გაიმარჯვა ქართველი მენშევიკებისა, სომები და შანაკებისა და თურქი მუსავატელების ნაციონალისტურმა კონტრრევოლუციიმ. ამხ. სტალინის იდეური ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის კომუნისტებმა ბურუუზიული ხელისუფლებისა და ფარული მუშაობის პირობებში ფართო მუშაობა გააჩადეს შშრომელ მასებს შორის. ამ მუშაობაში ეროვნული მომენტის სწორმა გათვალისწინებამ, რომელიც გამოიხატა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების შექმნის ლოზუნგით, დიდად შეუწყო ხელი კომუნისტების წარმატებას, მეტადრე ბაქოში, სადაც მათ მოკლე ხანში, ჯერ კიდევ მუსავატელების ხელისუფლების დროს, თავის გარშემო გააერთიანეს არა მარტო რუსი, არამედ თურქი პროლეტარიატის დიდი უმრავლესობაც კი. ამ მუშაობამ ნიადაგი მოამზადა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ამიერკავკასიაში 1920—21 წელს; ესეც ამხ. სტალინის ენერგიული იდეური და პრაქტიკული ხელმძღვანელობით მოხდა. ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას უდიდესი ეკონომიკური (ბაქო) და პოლიტიკური (კავშირის გაბმა აღმოსავლეთთან, საქართველო) მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის საერთაშორისო მასშტაბით. მაგრამ ამიერკავკასიის სხვადასხვა ნაწილებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მხოლოდ პირველ ნაბიჯს ნიშნავდა ეროვნული საკითხის გადაჭრის საქ-

მეში. იმ ტერიტორიიაზე, სადაც რამდენიმე ათი წლის განმავლობაში გააფთხებული ეროვნული შუღლი ღვივდებოდა და მძვინვარებდა, ხოცვა-ჟლეტა და რბევა ხდებოდა, სადაც ბურუუაზიული ხელისუფლების დროს სხვადასხვა რესპუბლიკებს შორის (რომლებსაც „სოციალისტები“ მეთაურობდენ) მუდამ შეტაკება ხდებოდა და ეს შეტაკება ომად იქცეოდა ხოლმე, — უძნელეს ამოცანას წარმოადგენდა რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა, ეროვნული შუღლის ლიკვიდაცია და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა თვითეული რესპუბლიკის შიგნით. ამ მხრით უდიდესი მნიშვნელობა პქონდა ლენინისა და ამხ. სტალინის თაოსნობით შექმნილ ამიერკავკასიის ფედერაციას.

ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელიც 1918 წლის დამდეგს მენშვიკებმა, დაშნაკებმა და მუსავატელებმა შეკვენეს, უდღეო გამოდგა. სამაგიეროდ ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია წლითი-წლობით მავრდება. ერთ დროს ქართველი კომუნისტების ნაწილი, მენშვიკებისა და ბურუუაზიის გავლენით, ფედერაციის წინააღმდეგ იბრძოდა. მე-XII ყრილობაზე პარტია გადაჭრით შეებრძოლა ამ უკლინისტურ ჯგუფს, რომელიც შემდეგ ტროცკიზმს მიემრო და პარტიის გარეთ დარჩა... ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საჭიროება ბრწყინვალედ დადასტურდა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, სხვადასხვა ეკონომიკური და პოლიტიკური ლონისძიების წყალობით, მოახერხა და ბოლო მოულო ეროვნულ ბრძოლას, რომელიც კავკასიაში მძვინვარებდა. ეს არის ჩვენი პარტიის უდიდესი დამსახურება. ეს არის, პირველ ყოვლისა, ამხ. სტალინის უდიდესი ლვაწლი.

შუა აზიაში საბჭოთა ხელისუფლება პირველ ხანებში თითქმის მხოლოდ რუს მუშებსა და ჯარის ნაწილებს ეყრდნობოდა. ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა მეტის-მეტად სუსტად იყო ჩაბმული სოციალისტურ მშენებლობაში. საბჭოთა აპარატში ფრიად ძლიერი იყო კოლონიზატორული დიდმცურობელური ტენდენციები. ამ ტენდენციების გავლენას განიცდიდა კომუნისტების ერთი ნაწილიც.

ამხ. სტალინმა უდიდესი ხელმძღვანელი და მიმართულების მიმცემი როლი შეასრულა იმ ულმობელ ბრძოლაში, რომელსაც პარტია საბჭოთა თურქესტანის საბჭოთა რუსეთთან საბოლოო გაერთიანების შემდეგ აწარმოებდა კოლონიზატორობისა და დიდმცურობელური შოვნიზმის წინააღმდეგ; ამ ბრძოლამ უზრუნველყო ადგილობრივი პარტორგანიზაციისა და საბჭოთა აპარატის განმტკიცება შეკვიდრ ეროვნებათა მუშებისა და მშრომელი მასების შიზიდვის წყა-

ლობით, რასაც ხელი შეუწყო, პირველ ყოვლისა, სხვადასხვა უმნიშვნელოვანები სამეურნეო ღონისძიების მიღებამ თურქეთანის კოლონიალური წარსულის ლიკვიდაციის ხაზით (მიწის რეფორმა, ირიგაცია და სხვ.) და, ბოლოს, შუა აზიის ეროვნულმა გამიჯვნამ — სხვადასხვა ეროვნული რესპუბლიკის შექმნამ (უზბეკისტანი, თურქმენისტანი, ტაჯიკისტანი, ყირგიზეთი).

ჯერ კიდევ ნააღრევია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხი საბოლოოდ იყოს გადაჭრილი, რომ ეკონომიურ, კულტურულ და სხვა დარგებში ფაქტიურად მოსპობილი იყოს უთანასწორობა სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა შორის.. ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის სწორედ ახლანდელი ტემპი მოითხოვს მუშაობის გაძლიერებას ამ დარგში და სრულებითაც არ ხსნის მას დღის წესრიგიდან.

საბჭოთა კავშირის სწორედ ახლანდელი საერთაშორისო მდგრამარეობა თავის მხრით მოითხოვს, რომ მეტი ყურადღება მიექცეს ეროვნული პოლიტიკის გატარებას უკრაინასა, ბელორუსიასა, ამიერკავკასიასა და, პირველ ყოვლისა, შუა აზიაში, რაღაც აქ ჩვენი მტრები დაუინებით ეძებენ სუსტ ადგილს, რომ ამ გზით ლახვარი ჩასცენ საბჭოთა კავშირს. აქტიურ სოციალისტურ მშენებლობაში ფართო მასების ჩაბმა, მათი პოლიტიკური და კულტურული ღონის ამაღლება, რაც განუყრელად დაკავშირებულია სწორი ეროვნული პოლიტიკის გატარებასთან, მძლავრ გამარტივოლუციონერებელ ფაქტორს წარმოადგენს მეზობელი ქვეყნებისათვის; ამ ფაქტორის მნიშვნელობა იმდენად გაიზრდება, რამდენადაც ომის შემდგომი დროის კაპიტალიზმის მესამე პერიოდი გადაიქცევა უშუალო რევოლუციონურ სიტუაციად.

აქ მივადექით ჩვენი წერილის უკანასკნელს პუნქტს, რომელსაც გვერდს ვერ ავუხვევთ, როცა ვლაპარაკობთ ამხ. სტალინის როლის შესახებ ჩვენი პარტიის ეროვნულ პოლიტიკაში, ვინაიდან ეს როლი სკილდება ჩვენი პარტიის ფარგლებს, თუ მხედველობაში გვექნება მხოლოდ მისი თრგანიზაციული ჩარჩოები.

ეროვნულ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომინტერნისათვის: პირველ ყოვლისა, კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ქვეყნებისათვის, მთელი აღმოსავლეთისათვის, შემდეგ ევროპის სხვადასხვა მრავალერიანი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც იმპერიალისტური ომისა და ვერსალის ზავის შემდეგ უცხო ეროვ-

ნებათა და ჩაგვრის წყალობით შეიქმნენ ან გაფართოვდენ (პოლონეთი, ჩეხიასლოვაკია, სამხრეთ-სლავია, რუმინეთი).

იმპერიალიზმის დამარცხების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ ამ ქვეყნების კომუნისტებმა შეითვისონ ლენინური შეხედულებანი ეროვნულ საკითხზე, დასძლიონ დიდმპრობელური შოვინიზმი, რომელიც ხშირად იმით გამოიხატება, რომ საკმაოდ არ აფასებენ ეროვნულ საკითხს, დასძლიონ ფრიად „რევოლუციონური“ ფრაზის ლიუქსმბურგიანობა; ხოლო დაჩაგრულ კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ხალხთა კომუნისტებს შორის დაძლეულ უნდა იქნას შემარიგებელ-ოპორტუნისტული დამოკიდებულება თავისი ბურეუაზის მიმართ. ამ უაღრესად საჭირო პირობის შექმნაში ამხ. სტალინმა უკვე უდიდესი დახმარება გაუწია ალნიშნული ქვეყნების კომუნისტურ პარტიებს. ამის საბუთად საკმარისია მოვიგონოთ მისი დამოკიდებულება ლიუქსმბურგიანობის ნაშთებისადმი, ეროვნული საკითხის არასაკმაოდ შეფასებისადმი პოლონეთის პარტიაში, კერძოდ, მოვიგონოთ 1926 წელი, როცა იქ სცადეს თვითგამორკვევის და გამოყოფის ლოზუნგი დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსეთის მიმართ ავტონომიის ოპორტუნისტული ლოზუნგით შეეცვალათ, საკმარისია მოვიგონოთ ამხ. სტალინის გამოსვლა კომინტერნის სამხრეთ-სლავურ კომისიაში კომინტერნიდან უკვე გამორიცხული მემარჯვენე ოპორტუნისტის სიმ მარკოვიჩის წინააღმდეგ ბოლოს, საკმარისია მოვიგონოთ ამხ. სტალინის დიდი. მუშაობა 1927-28 წელს ჩინეთის კომპარტიაში არსებულ ნაციონალ-ოპორტუნიზმთან ბრძოლაში. ამ მოქლე ფაქტიური ცნობებით ჩვენ არც კი ვცდილობთ ამოვწუროთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა როლი შეასრულა, ამხ. სტალინმა უკრეთის კომპარტიების ბოლშევიზაციაში — ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შეთვისებაში.

პარტია დარწმუნებულია, რომ ამხ. სტალინი ისეთივე სიმტკიცითა და გამჭრიახობით უხელმძღვანელებს, როგორც დღევანდლამდე, ჩვენი პარტიის ეროვნულ პოლიტიკას და ეს ხელმძღვანელობა უაღრესად ნაცოფიერი იქნება კომინტერნის ყველა სექციისათვის; ხოლო კომინტერნისათვის ეროვნულ-კოლონიალური საკითხის სწორი ლენინური დაყენება და სწორი პოლიტიკა ამ საკითხში წარმოადგენს ერთ-ერთ უსაჭიროეს პირობას, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმის გადამწყვეტი და საბოლოო დამარცხება მოხდეს.

ს. ორგონიკიძე

ამხ. ი. სტალინის დაბადების 50 წლის თავზი

სტალინის შესახებ დღეს მთელი ქვეყანა სწერს. ცოტა არ დაიწერება მომავალშიც. სხვანაირად არც შეიძლება. იმ კაცის შესახებ, რომელმაც 50 წელიწადი იცხოვრა და აქედან 30 წელიწადზე მეტი რევოლუციონურ ორომტრიალში გაატარა, ამჟამად კი მთელი მსოფლიოს კომუნისტური მოძრაობის სათავეში იმყოფება, რასაკვირველია, დასწერენ და დასწერენ სხვადასხვანაირად: მტრები დასწერენ სიძულვილით, მეგობრები -- სიყვარულით. და, მიუხედავად ამისა, საეჭვოა ვინმემ მოგვცეს ამომწურავი დახასიათება სტალინის, როგორც პროლეტარული რევოლუციონერის, პოლიტიკოსის, ორგანიზატორისა და ამხანაგის.

თავისი რევოლუციონური მოღვაწეობა სტალინმა საქართველოში დაიწყო. მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის ბრძოლის დაწყების პირველი დღეებიდანვე სტალინი უყოყმანოდ დადგა ლენინის მხარეზე და უკვე 1905 წლის დასაწყისიდან ხდება ბოლშევიკების უდავო ხელმძღვანელი ჯერ საქართველოში, შემდეგ წლებში კი მთელს ამიერკავკასიაში. სტალინი უკვე ამ დროს ხდება მენშევიკებისათვის ყველაზე უფრო საძულველი ყველა კავკასიელი ბოლშევიკებიდან. წვრილ-ბურუჟაზიულ გლეხურ საქართველოში მენშევიკები იმარჯვებენ ჩვენზე. საქართველო ხდება მენშევიზმის ციხე-სიმაგრე. კავკასიელ ბოლშევიკებს თავისი მოღვაწეობის ცენტრი გადააქვთ პროლეტარულ ბაქოში. აქ 1907 წ., ლონდონიდან დაბრუნებული სტალინი სათავეში უდგება ბოლშევიკებს და გააფორმებულ ბრძოლას აწარმოებს მენშევიკების წინააღმდეგ. ორი თვის შემდეგ ბაქოს ორგანიზაციის დიდი უმრავლესობა უკვე ჩვენს მხარეზეა. მენშევიკებმა არ ისურვეს ორგანიზაციის უმრავლესობას დამორჩილებოდენ, მთახდინეს განხეთქილება და თვითონვე ასტეხეს ფარისევლური ყვირილი განხეთქილების შესახებ, რომელიც ვითომ სტალინმა შეიტანა ბაქოს ორგანიზაციაში. სტალინს ძლიერ ნაკლებად აფიქრებს მენშევიკებთან განხეთქილება. ბოლშევიკები განაგრძობენ ბაქოს პროლეტარიატის შეკავშირებას.

1907 წ. შემოდგომაზე ბაქოს პროლეტარიატი იწყებს ბრძოლას კოლექტიური ხელშეკრულებისა და ნავთის მრეწველებთან თათბირის გარშემო. ბაქოს ორგანიზაციის წინაშე დაისვა კითხვა: მონაწილეობა

შიგიღოთ ნავთის მრეწველებთან თათბირზე, თუ ბოიკოტი გამოვუცხადოთ მას. ბოლშევკიების ერთი ნაწილი მხად იყო მონაწილეობა მიეღო თათბირზე, ბოლშევკიების მეორე ნაწილმა სტალინის მეთაურობით კითხვა ასე დააყენა: თათბირზე მონაწილეობა მივიღოთ, მაგრამ იმ პირობით, თუ ნავთის მრეწველები მოლაპარაკებაში მონაწილე მხარედ იცნობენ არა ცალკე ქარხნებისა და სარეწაოების მუშებს, არამედ პროფესიურებს და უზრუნველყოფილი იქნება მუშების დელეგატების არჩევნების თავისუფლება, მათი ხელშეუხებლობა და პრესის თავისუფლება. სტალინის თვალსაზრისმა გაიმარჯვა ბოლშევკიებს შორის და ჩვენ, ბოლოსა და ბოლოს, 1907 წლიდან გავშალეთ გრანდიოზული კამპანია ნაკაზების შესამუშავებლად და დელეგატების ასარჩევად. რაღაც ათი დღისა თუ ორი კვირის განმავლობაში ბაქოში თავისუფლად მუშაობდა მუშათა პარლამენტი. ეს იმ დროს, როცა რუსეთში უკვე ზეიმობდა შავბნელი რეაქცია. დაბოლოს, რეაქციის ტალღამ მოაღწია ბაქომდეც და სტალინს თავი ამოაყოფინა ბაილოვის (ბაქო) ციხეში. ამ დროს ხდება განხეთქილება ბოლშევკიებს შორის — ლენინსა და ბოგდანოვს (მომავალ ვაკერიოდოველს) შორის უცხოეთში. ბაქოს ბოლშევკიები სტალინის მეთაურობით ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დგებიან ლენინის მხარეზე. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სტალინი იყო და რჩება ლენინის ერთგულ მოწაფედ. არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, რომ მას უთანხმოება მოსვლოდეს ლენინთან. ლენინმა იცოდა ვისთან პეტრი საქმე, დიდად აფასებდა და ენდობოდა მას.

როცა 1912 წლის დასაწყისში გამოჩნდა მუშათა მოძრაობის ახალი გაძლიერების ნიშნები და ლენინმა საბოლოოდ ორგანიზაციულად (პრალა, 1912 წ.) გასწყვიტა კავშირი მენშევკიებთან და შეუღება დამოუკიდებელი ბოლშევკური პარტიის მშენებლობას, ის პრალის კონფერენციაზე წინადადებას იძლევა ცენტრალურ კომიტეტში არჩეულ იქნეს იმ დროს გადასახლებული სტალინი. და აი ახლა, როცა ყოველგვარი ცრიცკები სწერენ და ლაპარაკობენ სტალინის როლის შესახებ ჩვენი პარტიისა და რუსეთის რევოლუციონური მოძრაობის ისტორიაში, ისინი ივიწყებენ ერთ პატარა „წვრილმანს“. ეს ის, რომ შავბნელი რეაქციის წლებში, როცა იქნებოდა და შენდებოდა ჩვენი ბოლშევკური ურგანიზაციები რუსეთში, რომლებმაც ოქტომბრის დღეებში შეუტიეს კაპიტალიზმის სიჩავრეებს, სტალინი იყო ლენინის ერთგული მოწაფე, რომელიც მთელ თავის ენერგიას და მთელს თავის ორგანიზატორულ ნიჭს ანდომებდა ბოლშევკიური

ორგანიზაციის შექმნას რუსეთში. ბატონი ტროცკები ამ დროს მკაცრ ბრძოლას აწარმოებდენ ლენინისა და მისი პარტიის წინააღმდეგ. კაცი ლენინის იდეების უსაზღვროდ ერთგული უნდა ყოფილიყო, რომ იდეური გზააბნეულობის და ორგანიზაციული ნგრევის წლებში დარჩენილიყო დიდი მასწავლებლის ერთგული. სწორედ ამგვარი ერთგული და ურყევი იყო სტალინი. სტალინის დამახსიათებელი თვისება იყო და არის ლენინიზმის ერთგულება, რეინისებური ნებისყოფა ლენინიზმის განხორციელების საქმეში და უდიდესი ორგანიზაციული ნიჭი. მთელი თავისი სიტიადით სტალინი ჩვენ წარმოვიდგა ვლადიმერ ილიჩის სიკედილის შემდეგ. ბრძოლა ტროცკიზმთან და მემარჯვენებთან სტალინის ხელმძღვანელობით ჩატარდა. ტროცკისტებისა და მემარჯვენეთა გამარჯვება დალუპვას უქადდა საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ პარტიამ სტალინის ხელმძღვანელობით დაიცვა ლენინური პოზიციები ტროცკისა და მემარჯვენეთა წვრილბურუუაზიული იდეოლოგიების შემოტევისაგან და საბჭოთა კავშირი გამოიყვანა სოციალისტური მშენებლობის ფართო გზაზე, რეინისებური მთლიანობით შეამჭიდროვა პარტია ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ტროცკისტებისა და მემარჯვენეთა გაცამტვერება წარმოადგენს ოქტომბრის რევოლუციისა და მისი ორგანიზატორის — ვლადიმერ ილიასე ლენინის შემდგომს გამარჯვებას. ეს გამარჯვება მოიპოვა მისმა პარტიამ და მისმა ცეკამ მისი მოწაფის — სტალინის — ხელმძღვანელობით.

დევ, მსოფლიო კომუნიზმის მტრებმა სიძულვილით მოიხსენიონ მისი სახელი, ჩვენ მთელის გულწრფელობით ვუსურვებთ ამს. სტალინს მტკიცე ჯანმრთელობას და კიდევ მეტ წარმატებებს საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობისა და ლენინიზმის დროშით მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების გზაზე.

ვ. მახარაძე

ლენინის ჟველაზე შეუდრეკული და საუკეთესო მოწაფე

ამხ. სტალინს მისი დაბადებიდან ორმოცდათი წლის შესრულების აღნიშვნა უსწრებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საკავშირო კომპარტიის (ბ) ბელადის სახელოვან სადარაჯოზე. იგი ჩვენი პარტიის ბელადი გახდა არა მარტო იმის მეოხებით, რომ უანგაროდ ერთგულია მუშათა კლასის ინტერესებისა, არა მარტო იმ თავგანწირული ბრძოლის მეოხებით, რომელსაც იგი განუწყვეტლივ, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში აწარმოებდა პროლეტარიატის და გლეხობის მტრების წინააღმდეგ, არამედ იმ გამობრძმედის მეოხებითაც, რომელიც რევოლუციონური ბრძოლის წლებში მიიღო მან ბოლშევიკური პარტიის რიგებში პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით.

ცნობილია, რომ ამხ. სტალინმა (ი. ბ. ჯულაშვილმა) რევოლუციონური მუშაობა დაიწყო ჩევნში, ტფილისში, და რომ ის თავიდანვე მიემსრო სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას მუშათა შორის.

პირველად მე მას შევხვდი, რამდენადაც მახსოვს, 1896 წელს, ტფილისში. ეს პირველი შეხედრა კარგად დამანახსოვრდა. იგი მაშინ უკვე ჩამოყალიბებული მარქსისტი იყო, მას ჰყავდა წრე, რომელშიაც უმთავრესად მაშინდელი რევოლუციონურად განწყობილი ახალგაზრდობა შედიოდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამხ. სტალინი მაშინვე დიდი ინტერესს იჩინდა ნაციონალური საკითხისადმი, ვინაიდან ამის შესახებ მაშინ, ჩევნს პირველ გაცნობისათანავე, მომცა რამდენიმე შეკითხვა. უნდა ითქვას, რომ ამხ. სტალინი მკვეთრად ერჩეოდა იმ ახალგაზრდა რევოლუციონერებში, რომლებსაც მე მაშინ ვხვდებოდი. იგი განირჩეოდა, პირველ ყოვლისა, თავისი პირდაპირობით და ცნობისმოყვარეობით, საკითხებისადმი კრიტიკული მიღობით და აგრეთვე იმ თავისებური ფანატიზმით, რომლითაც იგი ეკიდებოდა თავის საქმეს. მის მაშინდელ მუშაობაზე შემიძლია შემდეგი ვთქვა: იგი მთელი თავისი არსებით ჩაება რევოლუციის საქმეში, აწარმოებდა პროპაგანდასა და აგიტაციას ტფილისის მუშებს შორის, შეუსისხლხორცია აშ მუშაობას. მთელი ეს მუშაობა, რათქმა უნდა, მიმდინარეობდა არალეგალურ წრეებსა და ორგანიზაციებში, სასტიკი კონსპირაციის პირობებში. საჭირო იყო ამ პირობებს შეგუებოდით, დახელოვნებულიყავით სხვადასხვა საშუალების გამონახვაში, რომ გაგეცურებით პოლიციელები და უანდარმები

და დროზე გასხლტომოდით მათ კლანჭებს. მაშინ ჩვენ ამ მხრივ არავითარი გამოცდილება არ მოვვებოდოდა. ჩვენ თვითონ გვიხდებოდა კონსპირატიული მუშაობის საშუალებათა გამოწვევა. უნდა ითქვას, რომ ჩვენს ორგანიზაციებს ამ მხრივ შეეძლოთ დიდი წარმატებები და ეკვენათ. განსაკუთრებით დიდ უნარს იჩენდენ ახლანდელი სტალინი, რომელიც მაშინ ცნობილი იყო „კობას“ სახელით, და მისი ღირსეული მოწაფე — განსენებული ამხ. კამა. ყოველივე ის, რასაც ისინი სჩადიოდენ უანდარმებისა და პოლიციელების მოსატყუებლად, იწვევდა მახლობელი ამხანაგების გაკვირვებას და აღტაცებას.

ამხ. სტალინი, ანუ კობა, ძალიან მაღლე გადაიქცა ერთ-ერთ პოპულარულ და საყვარელ ბელადად ტფილისის, ბათომის, ჭიათურის, ქუთაისის, ხაშურის, ხოლო შემდეგ ბაქოს მუშებშიაც. ამ ქალაქების ყველა ძეველ მუშას კარგად ახსოვს ამხ. კობა და მისი მჩქეფარე რევოლუციონური მუშაობა, რომელმაც ყველგან ლრმა კვალი დასტოა.

ცნობილია, რომ რევოლუციონური მოძრაობა ჩვენში მეტად სწრაფი ტემპით იზრდებოდა, ამასთან ერთად იზრდებოდა და ვითარდებოდა მუშათა კლასიც. თანდათანობით და სწრაფად გროვდებოდა რევოლუციონური გამოცდილება, ვითარდებოდა რევოლუციონური ტრადიციები. რევოლუციონურ ბრძოლებში და მუშების რევოლუციონურ შეტაკებებში უანდარმერიასა და მეფის ჯალათებთან ეწრობოდენ მუშათა კლასის ბელადებიც. პირველ რიგში ეს უნდა ითქვას ამხ. კობას შესახებ.

ჩვენ ვიცით, რომ რევოლუციის დროს ყველაფერი ძირ-ფესვიანად ირღვევა, ყველაფერი აღიგვება და ქვა ქვაზე აღარ რჩება.

რევოლუციის დროს იგივე მოსდის რევოლუციონერებს და რევოლუციის ეგრეთწოდებულ ბელადებსაც კი. რევოლუცია აღვილი საქმე როდია. იმათვან, ვინც სიტყვიერად თანაუგრძნობს რევოლუციას და ხოტბასაც კი ასხამს მას, ყველა როდი რჩება საქმით მისი ნაძლევილი ერთგული. მათ ნაწილს არაერთხელ უღალატნია მუზათა ინტერესებისათვის და რევოლუციონერებიდან კონტრრევოლუციონერებად გადაქცეულა. სიტყვიერ „რევოლუციონერთა“ მეორე კატეგორია რეაქციის დადგომისთანავე უკან გარბოდა და სამარტინოდ სტოკებდა რევოლუციის რიგებს. რევოლუციის საქმისადმი აშერა ღალატის ან მხდალი გაქცივის ასეთი მავალითები რევოლუციონური მოძრაობის ისტორიამ ბევრი იცის. ამას მეტყველებს მეორე ინტერნაციონალის ისტორია, მენშევიკური პარტიის ისტორია ჩვენში. ეს მთელ პარტიებს მოსდიოდა. რა თქმა უნდა,

ბოლშევიკების პარტიაშიაც ყოფილა ბოლშევიზმისაგან ჩამოშორების შემთხვევები. მაგრამ ეს ერთეული შემთხვევები იყო. ბოლშევიზმი საერთოდ აღმოჩნდა მუშათა კლასის ყველაზე შეუდრეველი, ყველაზე მტკიცე და ბოლომდე რევოლუციონური პარტია. ეს ახლა დამტკიცებულია იმ სამი რევოლუციის ისტორიით, რომელიც საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა განვლო. ბოლშევიკური პარტია ეყრდნობა მარქსისა და ენგელსის რევოლუციონურ მოძრვებას და ლენინის სკოლას. ლენინმა რევოლუციონური მოძრაობის დასაწყისშივე წამოაყენა მეფის თვითმპყრობელობასთან და კაპიტალისტურ ბურჟაზიასთან საბრძოლველად პროფესიონალურ რევოლუციონერთა კადრის შექმნის იდეა.

რევოლუციონურმა ტაქტიკამ და რევოლუციონურმა სტრატეგიამ, რომლებიც შეიმუშავა ლენინმა ყოფილი მეფის რუსეთის პირობებთან შეფარდებით, უზრუნველყველ ჩვენი პარტიის უდიდესი გამარჯვება. მაგრამ ეს გამარჯვება მან მოიპოვა მთელ რიგ უსასტიკეს დამარცხებათა შემდეგ. ეს დროებითი დამარცხებები იყო, და ჩვენი პარტია არასოდეს არ სცნობდა თავს დამარცხებულად, იგი როდი წუწუნებდა და გულს როდი იტეხდა, არამედ, პირიქით, ხელახლა იკრებდა თავის ძალებს და ემზადებოდა ახალი ბრძოლისათვის, ახალი შეტაკებებისათვის. ლენინი იყო ორგანიზატორი სისტემატიური ბრძოლისა კაპიტალიზმის ულლის დასამხობად. მან თავის ირგვლივ გააერთიანა რევოლუციონურ მარქსისტ-ლენინელთა მჭიდრო კადრი. ეს იყო ლენინიზმის ნამდვილი სკოლა. ამ სკოლას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ოპორტუნისტულმა და რევიზიონისტულმა ელემენტებმა, რომლებიც მაშინ ჩვენს პარტიაში მოიპოვებოდნენ; სხვადასხვა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების, უმთავრესად ნამდვილი და მომავალი მენშევიკების მხრივ დაიწყო გაბოროტებული ბრალდებები, ღვარძლიანი გამოსვლები და დაცინვა. დაიწყო ბოლშევიკების საშინელი დევნა. მაგრამ ეს ვერ აშინებდა მათ, ვინაიდან, ყოველგვარი იმსახუაციისა და ცილისწამების მიუხედავად, მუშათა კლასი, განსაკუთრებით მისი ავანგარდი, ბოლშევიკებს მიჰყებოდა. სწორედ მარქსისტ-ლენინელთა ამ ჯგუფში აღმოჩნდა სტალინიც. ლენინმა თავიდანვე შეაფასა მისი არაჩვეულებრივი ნიჭი, შეაფასა იგი, როგორც შეუდრეველი და მედგარი რევოლუციონერი და არალეგალური მუშაობის ორგანიზატორი.

ბოლშევიკური ფრაქციის ხელშძლვანელი ლენინელთა კადრი დაუღალავად მუშაობდა, როგორც რუსეთის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. თებერვლის და, განსაკუთრებით, ოქტომბრის რევოლუციის

შემდეგ ამ კადრის ჩოლი და მნიშვნელობა თვალსაჩინოდ გაიზარდა. ოქტომბრის დიდი რევოლუცია ერთგვარი უდიდესი გამოცდა, ერთგვარი ეკნამენი გამოდგა როგორც მთელი რევოლუციონური პარტიებისათვის (ყოველ შემთხვევაში ისინი ასე უწოდებდენ თავს), ისე ცალკე რევოლუციონურ მოღვაწეთათვის რევოლუციონურ სიმტკიცესა და შეუდრეკლობაში. ბოლშევიკების ზოგიერთი ბელადებიც კი შეყოყმანდენ პროლეტარიატის. მეტ სახელმწიფო ძალა-უფლების რევოლუციონური გზით დაპყრობის პერსპექტივის წინაშე და, ამრიგად, სინამდვილეში ისინი პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადების წინააღმდეგ წავიდენ.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაწყებული სამოქალაქო ომი თითქოს რკინის საცრით არჩევდა ვარგისთ უვარგისთაგან, ერთგულ, შეუდრეკელ, მტკიცე ბოლშევიკებს რბილტანიან და მერყევ ელემენტებისაგან. ეს ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ ფენებსაც კი შეეხო. რსუსთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებს შორისაც კი იჩენდენ თავს ოპოზიციონური განწყობილებანი ლენინური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, ეს განწყობილებები დაჯვუფებებად იქცევდენ, თავი იჩინა ყოველნაირმა გადახრებმა და გადახვევებმა ბოლშევიზმის გენერალური ხაზიდან, „მემარცხენე“ ფრაზებისა და „მემარცხენე“ ლოზუნების დროშის ქვეშ. ყოველივე ეს ხდებოდა განსაკუთრებით საშიშ და კრიტიკულ მომენტებში, გაძლიერებულ სამოქალაქო ომის დროს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების ბედი პირდაპირ ბეწვზე ეკიდა. პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნება დამოკიდებული იყო მტკიცე ნებისყოფაზე, დისციპლინაზე, შეუდრეკლობაზე და ბოლშევიკური პარტიის გენერალური ხაზისადმი ერთგულებაზე. ყველა ამ მომენტში ამხ. სტალინი იჩენდა განსაცვიფრებელ სიმტკიცესა, და შეუდრეკლობას. ერთი შემთხვევაც კი არ ყოფილა, რომ მას თუნდაც ღრძნავი ყოყმანი შემჩნეოდეს ჩვენი პარტიის გენერალურ ხაზზე დგომის დროს, მაშინ როდესაც ჩვენი პარტიის მეტად თვალსაჩინო ბელადებიც კი არაერთხელ იჩენდენ მერყეობას და ბოლშევიზმ-ლენინიზმის გენერალური ხაზიდან გადახვევას.

მაგალითები რამდენიც გენებოთ იმდენია. პროლეტარიატის დიქტატურა გლეხურ წვრილ-ბურუუაზიულ ქვეყანაში უთუოდ ჰქმნიდა და ჰქმნის ნიადაგს ყველა ასეთი გადახრისა და მერყეობისათვის და რომ პარტიას ძირშივე თავის დროზე არ აღეკვეთა ეს მერყეობა და გადახრები, ეს დაღუპვის საფრთხეს შეუქმნიდა საბჭოთა ხელისუფლებას. ყველა ამ გადახრასა და მერყეობასთან ბრძოლაში ამხ.

სტალინი როგორც ლენინის დროს, ისე მისი სიკვდილის შემდეგ ჩვენი პარტიის ყველაზე მოწინავე რიგებში იყო და დარჩა.

აი რაშია მისი დაუფასებელი დამსახურება პარტიისა და პროლეტარიატის წინაშე. რევოლუციონური ტაქტიკისა და სტრატეგიის ყველა საკითხში იგი ლენინური თეორიისა და პრაქტიკის საუკეთესო გამომხატველია.

იგი გამოსავალს პოულობს ყველაზე დახლართულ და ურთულეს მდგომარეობიდან.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მისი დამსახურება უკანასკნელ წლებში არის ტროცკიზმისა და მემარჯვენე უკლონიზმის საბოლოოდ გამოაშეარავება. ამჟამად იმის წარმოდგენაც კი ძნელია, თუ რა საფრთხე მოელოდა ჩვენს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებას აველა ამ „მემარჯენე“ და მემარჯვენე მერყეობისა და გადახრების არა თუ გამარჯვებით, არამედ გაძლიერებითაც. ამხ. სტალინმა დროზე შეამჩნია ეს საფრთხე და მოუწოდა პარტიის დაეწყო ულმობელი ბრძოლა როგორც „მემარჯენე“, ისე მემარჯვენე უკლონისტების წინააღმდეგ. მაგრამ ამ ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენთვის, საკავშირო კომპარტიისათვის (ბ), არამედ ყველა დანარჩენი კომპარტიისათვისც, კომინტერნის ყველა სექციისათვის, საბოლოო ანგარიშით მთელი საერთაშორისო პროლეტარიატისთვის.

ამხ. სტალინის მიერ განვლილი გზა პირდაპირ არაჩვეულებრივია თავისი უდიდესი სიძნელეებით. ეს მოწმობს მისი თეორიული შეხედულებებისა და რევოლუციონური გამოწრთობის მთლიანობასა და პარმონიულობას. იგი იზრდებოდა და ვითარდებოდა პარტიის ზრდასთან ერთად, მაგრამ მთავარი ის არის, რომ იგი წინ უსწრებდა პარტიის ზრდას. აი რატომ არის იგი ნამდვილი ბელადი. მაგრამ ამხ. სტალინს, თავისი ორმოცდათი წლის მიუხედავად, კიდევ არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობანი. პირიქით, იგი სწორედ ისეთ ასაკში შედის, როდესაც მას, თავისი ხანგრძლივი რევოლუციონური გამოცდილების გამოყენებით, შეუძლია კიდევ უფრო მეტად გამოიჩინოს თავისი შემოქმედებითი ენერგია. ხოლო ენერგია და ძალად ვულოცავ მას დღეს დაბადებიდან ორმოცდაათი წლის შესრულებას და, როგორც მის ძველ თანამებრძოლსა და მეგობარს, არ შემიძლია არ ვუთხრა: „კობა, გაგიმარჯოს!“

3. ଏକ ପାଇସନ୍

Ո. Տ. ՏԵՐԱՊԻՆՈ, ԿԸՀՅԱԼՎ ԸՆԿՈՆԿՑԹՈՒ
ԵՎՇԽԱԳՈՎՐԴՈՒՄԸ.

ამხ. სტალინის როლი, როგორც პროლეტარიატის წინამდღოლის და მეთაურისა, ყველას მიერ ცნობილია, თვით ჩვენი მტრებისგანაცკი. მაგრამ გაცილებით უფრო ნაკლებადაა ცნობილი და შეფასებული მისი მნიშვნელობა, როგორც ლენინიზმის თეორეტიკოსის, არსებითად კი ამ უკანასკნელს არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს. ამხ. სტალინის როლი, როგორც თეორეტიკოსის, ისეთივე დიდია, როგორც მისი როლი, როგორც მეთაურისა და წინამდღოლისა. ამას მიხვდება ყველა, ვისაც გაეგებს, თუ რა არის მარქსიზმი-ლენინიზმი. ჩვენი დროის პროლეტარიატის მეთაურის არ შეუძლია გასწიოს ნამდვილა მეთაურობა, თუ კი ის იმზე დროს დიდი თეორეტიკოსიც არ არის.

მარქსიზმი შეიცავს არა მარტო თეორიას, არამედ მასების პრაქტიკულ მოძრაობასაც, მათ გარდამქმნელ, რევოლუციონურ მოქმედებასაც. მარქსიზმისათვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო გამოჩენილ თეორეტიკოსებს, რომელნიც განმარტავენ და ახსნიან ახსებულ ისტორიულ პროცესებს, არამედ მუშათა კლასის მთელს მასას, რომელიც ბრძოლას აწარმოებს და საზოგადოდ მთელს ხალხს, რომელიც ისტორიულ მოძრაობაში, რევოლუციაში იღებს მონაწილეობას. მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას ასაზრდოებს მასების: ბრძოლის გამოცდილება, გამოცდილება, რომელიც შესწავლილ უნდა იქნეს დიდის ყურადღებით. ამ თეორიას მხოლოდ მაშინ აქვს ნამდვილი ღირებულება, როდესაც ის ასახავს ობიექტური პირობების საერთო ჯამს, როდესაც ის მხედველობაში იღებს ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ყველა კლასის ერთმანეთდამი დამოკიდებულებას და აგრეთვე ქვეყნების ერთმანეთს შორის დამოკიდებულებას.

მაგრამ თეორია არ უნდა იყოს რაღაც მაჩანჩალასებური და მხოლოდ ფაქტების რეგისტრაციაში გამტარებელი. ის უნდა იყოს რევოლუციონური. „რევოლუციონური თეორიის გარეშე არ შეიძლება რევოლუციონური მოძრაობა“ — ამბობდა ლენინი. აღმოცენდება რა და ვითარდება „რევოლუციონურ პრაქტიკასთან განუწყვეტელ კავშირში“, თეორია ხდება „მუშათა მოძრაობის უდიდეს ძალად“ (სტალინი — „ლენინიზმის შესახებ“, გვ. 89), ვინაიდან ის იძლევა მოძრაობის საერთო გაგებას მთელი მისი მოცულობით და თან მხედველობიდან არ უშვებს საბოლოო მიზანს, ხელს უწყობს მოძრაობის

ყოველ ეტაპზე საერთოდ მთელი მოძრაობის ინტერესების დაცვას, იძლევა ყოველი მომენტის თავისებურობის, როგორც წინა მოვლენიდან მომდევნოზე გადასვლის გაგებას, იძლევა ნათელ წარმოდგენას იმაზე, თუ საიდან და რათ ხდება ეს გადასვლა.

„მხოლოდ თეორიას შეუძლია,—ამბობს ამხ. სტალინი,—მისცეს მოძრაობას დარწმუნება, გარკვევის ძალა და ირგვლივ არსებული მოვლენების შინაგანი დამოკიდებულების შეგნება, ვინაიდან მას, და მხოლოდ მას, შეუძლია დაეხმაროს პრაქტიკას, გაიგოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით მიემართებიან კლასები ამჟამად, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა მიემართონ ისინი ახლო მომავალში“ („ლენინიზმის შესახებ“, გვ. 89).

მხოლოდ ასეთი თეორიის დაძლევის პირობებში შეუძლია თანამედროვე პროლეტარიატის წარმომადგენელს შეასრულოს თავისი დანიშნულება, როგორც მასების მეთაურმა, რომელიც პასიურად კი არ მიჰყება მოძრაობის სტიქიური სრბოლის ყოველ მიხევვ-მოხვევებას, არამედ ყოველ ძალას ხმარობს მისთვის, რომ ასწიოს მასების შეგნების დონე და განვითარების სვლა სასურველი გზით წარმართოს, იბრძოლოს გზის არჩევისათვის, როგორც ამას გვასწავლიდა ლენინი.

„რევოლუცია დაგვასწავლის ჩვენ, დაასწავლის ხალხის მასებს,—სწერდა ლენინი 1905 წელს თავისი ბროშურის „ორი ტაქტიკა“ წინასიტყვა-ობაში.—მაგრამ საკითხი მებრძოლი პოლიტიკური პარტიისათვის ამჟამად მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად შევძლებთ ჩვენ ვასწავლოთ რამე რევოლუციას“ (თხზულებანი, ტომი VIII, გვ. 32). მაგრამ რომ ასწავლო, ჯერ თვითონ უნდა იცოდე, თუ რა უნდა მოსთხოვო. აი, თუ ასეთი ცოდნა, თუ ასეთი რევოლუციონური თეორია არა აქვს პიროვნებას, ისე წარმოუდგენელია თანამედროვე პროლეტარიატის მეთაურად ყოფნა.

ამხ. სტალინი არის მეთაური პროლეტარიატისა და ამავე დროს ლენინიზმის უგამოჩენილესი თეორეტიკოსიც.

მოკლე წერილში, რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელია ოდნავ მაინც სისრულით დავახასიათოთ ამხ. სტალინის ნაშენებრის თეორიული მნიშვნელობა, ზეიძლება მხოლოდ რამდენიმე მთავარი მომენტის აღნიშვნა; და ჩვენც აქ მხოლოდ შემდეგს აღვნიშნავთ:

ამხ. სტალინმა მოგვცა კლასიკური განმარტება, დაფასება და დახასიათება ლენინიზმისა,—საუკეთესო სახელმძღვანელო ლენინიზმის შესასწავლად.

ამხ. სტალინის ყოველ გამოსცემაში, სიტყვებში, წერილებში თუ მოქმედებაში არის ის, რაც „მარქსიზმის ცოცხალ სულს“ შეადგენს —რევოლუციონური დიალექტიკა.

ამხ. სტალინის თეორიული ხელმძღვანელობა გამოიხატება პროლეტარიატის მოწინააღმდეგე თეორიებთან თანდათანობითს, დინჯს და მედგარს ბრძოლაში. უმთავრესი ის არის, რომ ამხ. სტალინი ასეთივე სიმტკიცით, ასეთივე სწორი ხაზით და ასევე შეურჩევლად რევოლუციონური მარქსიზმ-ლენინიზმის მიხედვით უხელმძღვანელებს მასებს კომუნიზმისათვის ბრძოლაში; აյ ალსანიშნავია მისი მჭიდრო, ცოცხალი კავშირი მასებთან, არა უბრალო შეგუება მათთან, არამედ მათთან ერთად მედგარი სვლა წინ და ხელის შეწყობა უმაღლეს საფეხურზე მათ დასაყენებლად.

ამხ. სტალინის თეორიული ნაშრომნი ყველასათვის ცნობილია და ჩვენ არ შევჩერდებით აქ მათ შეფასებაზე. აღვნიშნავთ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ მის ნაშრომებში, როგორიცაა „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“, „ლენინიზმის საკითხებისათვის“ საუკეთესოდაა დახასიათებული ლენინის თეორია. ამ ნაშრომების ენა ისეთია, რომ ის გასაგებია ყოველი მოაზროვნე, ყოველი შეგნებული მუშისათვის. როგორც ამ ნაშრომებში, ისე სხვა მთელ რიგ მის ნაწერებში საკითხების გარჩევა და გაშუქება ხდება მოძრაობის პრაქტიკულ ამოცანებთან რაც შეიძლება მჭიდროდ დაკავშირებით. თეორია და პრაქტიკა აქ მეტად მოხდენილადა ერთმანეთთან შეთანხმებული.

ამხ. სტალინი მართალია, როდესაც ამტკიცებს, რომ ლენინიზმის ძირითადი საკითხია პროლეტარიატის დიქტატურა. და მართლაც სწორედ ეს საკითხია ძირითადი მთელი ჩვენი ისტორიული ეპოქისათვის, ვინაიდან დადგა „ერა რევოლუციებისა“, როგორც ამბობდა ლენინი ჯერ კიდევ 1914—15 წლებში; ამ რევოლუციის მთავარი ხელმძღვანელი ძალა, იმპერიალიზმის მიერ დამონებული და დაჩაგრული გიგანტური მასების მეთაური, კაცობრიობის დიდი უმრავლესობის მეთაური ჩვენი დროის პროლეტარიატია, რომელიც ამყარებს თავის დიქტატურას იმ მიზნით, რომ საბოლოოდ ააშენოს უკლასო კომუნისტური საზოგადოება.

პროლეტარიატის დიქტატურის იდეის ფუძეს კი, ამხ. სტალინის განმარტებით, რომელიც მას მსოფლიო რევოლუციის მეთაურის და თეორეტიკოსის—ლენინის გენიალური თეორიიდან გამოყავს, შემდეგი საკითხები წარმოადგენს: იმპერიალიზმის საკითხი, იმპერიალიზმის ნახტომისებური ხასიათის განვითარების საკითხი, ერთს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი, პროლეტარიატის სახელმწიფოს საკითხი, ამ სახელმწიფოს საბჭოთა ფორმის საკითხი, პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში პარტიის დანიშნულების საკითხი, სოციალიზმის აღმშენებლობის გეზების საკითხი“ (ლენინიზმის შესახებ“,

გვ. 13). პროლეტარიატის დიქტატურის საკითხში შედის აგრეთვე პროლეტარიატის მოქავშირეთა, გლეხობის და აგრეთვე იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული ერების საკითხები. და ყველა ამ საკითხზე ამხ. სტალინის ნაწერებში მოცემულია დასკვნები, თანამედროვე მდგომარეობის ახალ პირობებთან შეთანხმებით. ასეთია იმ უმთავრესი საკითხების წრე, რომელიც გაშუქებულია ამხ. სტალინის ნაწერებში.

შემდეგი მეტად დიდი მომენტი, თეორიული მხრით გადამწყვეტი, არის ის, რომ ამხ. სტალინი მარქსის და ლენინის მეთოდის—ერთგული მიმღევარია.

აქაც შეუძლებლად მიგვაჩნია ამხ. სტალინის, ორგორც თეო-
რეტიკოსის და მეთაურის, ამ დარგში მუშაობის თუნდაც ოდნავ მაინც
დახასიათება. აუცილებელია ალინიშნოს და ხაზი. გაესვას მხოლოდ
შემდეგს: მატერიალისტური დიალექტიკის უმთავრეს დამახასიათებელ
წიშნებად ლენინი სთვლიდა: უნარს საკითხის სხვადასხვა პუნქტის,
სხვადასხვა მხარის პირველ რიგში დაყენების და ხაზვასმისა, ამა თუ
იმ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პირობათა კონკრეტიულ თავისებუ-
რებებთან შეფარდებით“ (თხმლებანი, ტ. I, გვ. 166).

ამბ. სტალინის ყოველ საჭირო გამოსვლაში, მის მიერ პროლეტარული პარტიის ხელმძღვანელობაში თვალში გეცემათ ის გარე-მოება, რომ მას შესწევს ამ მოთხოვნის სრული დაკმაყოფილების უნარი. მატერიალისტური დიალექტიკა ფორმალური მეთოდი როდია, ის არის გამოკვლევა ნამდვილი პროცესისა, არეკლვა მის თავისებურობათა. მეტად ძვირფასია ამბ. სტალინში მისი უნარი ახალი პირობების თავისებურობისათვის ალოს აღებისა და ამის მიხედვით მთელი ყურადღების მიქცევისა იმაზე, რაც ამ მომენტისათვის უმთავრესია.

ამბ. სტალინის თხზულებები წარმოადგენს მშვენიერ მაგალითს განსახილველი მოვლენის სირთულის დანახვის, ისეთი დანახვის, რომ არ დაიძნე წვრილმანებში, გამოკყო სწორედ არსებითი, დაიჭირო მისი განვითარების მოძრაობა და მიმართულება, დაინახო განვითარების ეტაპების თანმიმდევრობა, გაიგო საგანი არა ბრტყლად, როგორც სჩადის ამას ტროცკიზმი, არამედ დაიჭირო წინააღმდეგობა-თა მთლიანობა, მათი განუწყვეტელი კავშირი და მათი სამკედრო-სასიკურებლო ბრძოლა.

როგორც ასეთი ვანხილვის ერთეულის საუკეთესო მაგალითზე, ჩვენ შევგიძლია მივუთითოთ თუნდაც ამ. სტალინის მოხსენებაზე, რომელიც მან გააკეთა მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის წინაშე 1925 წლის 9 მაისს („ოპოზიციის შესახებ“ გვ. 169-177). ამ მის

სიტყვაში მოცემულია საერთაშორისო მდგომარეობის ე. წ. სტაბი-ლიზაციის საუკეთესო გაშუქება და დახასიათება. მენევიკები რო-დესაც სტაბილიზაციაზე ლაპარაკობდენ, მარხავდენ კიდეც რევოლუ-ციას, ხედავდენ რა კაპიტალიზმის მხოლოდ და მხოლოდ განმტკი-ცებას. ნამდვილად კი, როგორც ამას ამხ. სტალინი მიუთითებდა, „ერთიანი და ყოველის შემცველი კაპიტალიზმი აღარ არსებობს უკვე ქვეყნიერებაზე... მთელი მსოფლიო გაყოფილია ორ ბანაკად, ერთია — კაპიტალიზმის ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას ინგლის-ამერიკის კაპიტალი, და მეორე კი სოციალიზმის ბანაკი, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირი“. და როდესაც ის ამ ორი ბანაკის, ორი სტაბილიზაციის შეფასებას იძლევა, როდესაც ის თითოეული მათგანის განვითარებას აღრიცხავს, ამხ. სტალინი გარკვევით აღ-ნიშნავს, თუ როგორ ხდება ძალთა ახალი შეფარდებების საფუძველზე წინააღმდეგობათა თანდათანობითი ზრდა. შექმნილ მდგომარეობაში ორგვარი პროცესი მიმდინარეობს: „კაპიტალიზმს არ შეუძლია გან-ვითარება“ ისე, რომ არ გაამწვავოს... ყველა წინააღმდეგობა და მით არ დააგროვოს ის პირობები, რომელიც ბოლოს და ბოლოს ხელს უწყობს კაპიტალიზმის დამხობას“ (174). საბჭოთა კავშირი კი მაგ-რდება, მისი ძალები იზრდება, იზრდება მშრომელთა მასების მის-დამი სიმპატიები და რომ იმპერიალისტებმა კიდეც მოახერხონ ჩვენ ქვეყანაზე თავდასხმა, იმ შემთხვევაში ქვეყნიერების ყოველ ადგილზე მილიონობით გაჩნდებიან ჩვენი მოკავშირენი და ჩვენ ყოველ ძალას ვიღინებთ, რომ ეს ომი, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ იქნება მომარ-თული, გადაიქცეს იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართულ რევო-ლუციად.

მატერიალისტური დიალექტიკა მოითხოვს ბრძოლას, და, რო-დესაც ჩვენ ვიძლევით ამხ. სტალინის დახასიათებას, როგორც თეო-რეტიკოსისას, საჭიროა აღვნიშნოთ, როგორც მისი მუშაობის დამა-ხასიათებელი თვისება, ენერგიული, თანდათანობითი და მოქნი-ლი თეორეტიული ბრძოლა იმ მიმდინარეობათა წინააღმდეგ, რომელნიც რევოლუციონურ მარქსიზმა ლენინიზმისადმი მტრულად. არიან განწყობილი და ცდილობენ პროლეტარიატის მოქცევას, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ. ჩვენ შეგვიძლია მოგა-გონოთ მისი ბრძოლა ტროცკიზმთან 1924—25 წლებში, ახალ ოპო-ზიციასთან 1926—27 წლებში და, ბოლოს, ბრძოლა მემარჯვენე გა-დახრასთან და მასთან შემრიგებლობასთან 1928—29 წლებში. თეო-რიული ბრძოლის კამპანიები, ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით და უახლოესი მონაწილეობით რომ ტარდებოდა, გამარჯვებით მხოლოდ

იმიტომ მთავრდებოდა, რომ ის მჭიდროდ არის დაკავშირებული მუ-
შათა კლასის მასებთან, მოხდენილად გამოსთქვამს მათს ისტორიულს
დანიშნულებას და ამოცანებს და მტკიცედ დგას მარქსიზ-ლენინიზ-
მის თეორიის კლდესავით მაგარ ნიადაგზე, იშვიათი ხელოვნებით
სარგებლობს მატერიალისტური დიალექტიკით.

მთელ რიგ მტრებთან განუწყვეტელ ბრძოლაში გამაგრდა და განმტკიცდა ბოლშევიზმი ლენინის ხელმძღვანელობით 1903 წლიდან—1923 წლამდე. ამს. სტალინი, ერთგულად მისდევს რა ლენინის გზას ამ დარგში, განაგრძობს ლენინის საქმეს, ავითარებს მას, ამახვილებს ყურადღებას, სხვადასხვა პოლემიკის დროს, საკითხებზე და მის სხვადასხვა მხარეზე ისტორიული განვითარების მიმდინარეობის მიხედვით და საშუალებას არ აძლევს არავის ოდნავად გადახაროს მაინც ლენინის თეორია, ლენინის პოლიტიკა და ტაქტიკა.

ტროცკიზმთან კამათში 1924—25 წლებში ბრძოლა სწარმო-
ებდა პარტიის მთლიანობისათვის და გაშუქდა მთელი ოიგი თეო-
რიული საკითხები პარტიის შესახებ, მისი დანიშნულების შესახებ
პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში, გარდა იმისა, რომ ბრძო-
ლა შეეხო მთელ რიგ სხვა საკითხებსაც, როგორც თეორიულს, ისე
ისტორიულს (ოქტომბრის მნიშვნელობას და სხვა). 1926—27 წლებში
გაშუქდა ერთს ქვეყანაში სოციალიზმის დამყარების საკითხი. ამას-
თან დაკავშირებით განხილულ იქნა შემდეგ ისეთი საკითხებიც, რო-
გორიცაა, მაგალითად, სოციალიზმის მშენებლობის გზების და აგ-
რეთვე მრავალი სხვა დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხი. იმ საკით-
ხებს, რომელიც იყო გაშუქებული და წამოყენებული მტრულად გან-
წყობილ ოეორიებთან (ტროცკიზმი, მენშევიზმი, მემარჯვენე გადა-
ხრა) პოლემიკაში, დიდი თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა და მას-
თან ერთად მათ პრაქტიკისთვისაც მეტად დიდი როლი ითამაშეს.

აქ ჩვენ უვახლოვდებით უკანასკნელს და უმთავრეს მომენტს ამ. სტალინის დახასიათებისათვის, როგორც თეორეტიკოსის, თეორიული დებულებების პრაქტიკულად განხორციელების, მასიური მოძრაობის საშუალებით მათი გატარების მომენტს. ეს მომენტი ყველაზე უფრო დიდია, ვინაიდან მასშია მარქსიზმის მთელი რაობა. ლენინი ამბობდა, რომ არავითარი სოციალიზმის შესახებ ლაპარაკიც ჭია არ შეიძლება, თუ მას კავშირი არ ექნა ნამდვილ მასიურ მუშათა მოძრაობასთან. და ლენინმავე ასწავლა ჩვენს პარტიას თეორიული ბრძოლის წარმოება, როგორც, კლასიური ბრძოლის განუშორებელი შემადგენელი ნაწილისა, რომელიც მასების პრაქტიკული მოქმედებისათვის აუკისრობებო საჭიროებას წარმოადგენს.

„თეორიული და პრაქტიკული მუშაობანი,—სწერდა ლენინი „ხალხის მეცნიერებ“—ში, ერთდებიან ერთს მუშაობაში, რომელიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ვეტერანმა ლიბერნებტმა ასე სხარ-ტად დაახასიათა: „შესწავლა, პროპაგანდა, დაორგანიზება“. არ შეიძლება იყო იდეული ხელმძღვანელი, თუ ასეთ თეორიულ მუშაობას არ აწარმოებ, ისე, როგორც არ შეიძლება იქნე ასეთი ხელმძღვანელი, თუ ამ მუშაობას არ მიმართავ საქმის მოთხოვნილებისამებრ, თუ ამ თეორიის შედეგების შესახებ პროპაგანდას არ გასწევ მუშებში და ხელს არ შეუწყობ მათ ორგანიზაციულად შეკავშირებას“ (ლენინი, თხზულ. ტ. I, გვ. 198). ლენინის მიხედვით, თეორია საჭიროა იმისა-თვის, რომ „დაეხმარო მუშათა კლასს, რომ რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება აღვილად მოულოს მან ბოლო ყოველივე ექსპლო-ატაციას“. ამხ. სტალინი განსაკუთრებით ძლიერია თავისი კავშირით მასებთან, თავისი უნარით უხელმძღვანელოს ამ მასებს მისგან ჩამო-უშორებლად, უნარით იაროს მათ წინ და მიიყვანოს ისინი რევოლუ-ციონურ პოზიციებამდე იმნაირად, რომ „მასები თვითონ, საკუთარი გამოხატულებით დარწმუნდენ პარტიული ხაზის სისწორეში“ (კომინ-ტერნის პროგრამა).

იმ აუარებელი მასალიდან, რომელიც ჩვენ ხელთ არის და რო-მელზედაც შეიძლებოდა გვეჩვენებინა, თუ როგორ ტარდება ცხოვ-რებაში ასეთი ხელმძღვანელობა, ალენიშნოთ აქ მხოლოდ ერთი—ეს არის გლეხობის საკითხი. ჩვენ განგებ ვიღებთ ამ საკითხს, ვინაიდან ის ცველაზე უძნელესია. მუშათა კლასის მასებთან კავშირი რევო-ლუციონური მარქსიზმის თეორიის წარმომადგენლისთვის არაა იმდე-ნად ძნელი, მაგრამ, სულ სხვაა წვრილ მწარმოებელთა მასებთან ასე-თი კავშირის დაჭრა!

მარქსია ჯერ კიდევ 1852 წელს დაამტკიცა თავის ბროშუ-რაში—„18 ბრიუმერი“ ის ურყევი ფაქტი, რომ „გლეხების ინტერე-სები უკვე აღარ ეთანხმება ბურჟუაზიის ინტერესებს, კაპიტალს, რო-გორც ეს იყო ნაბოლეონის დროს, არამედ ეწინააღმდეგება მას“. და აქედან მან გამოიტანა დასკვნა, რომ გლეხები „ამნაირად ნახუ-ლობენ თავის ბუნებრივ მოკავშირეებს და მეთაურს ქალაქის პრო-ლეტარიატში, რომლის ისტორიულ ამოცანას ბურჟუაზიული წყო-ბილების დამხობა შეადგენს“. პროლეტარიატი—მეთაურია გლეხო-ბისა. მეორე ინტერნაციონალის ბრძნები ვერ მოერიენ ამ დიალექ-ტიკას. მხოლოდ ლენინმა მოახერხა საგებით შეეგნო და სისწორით განევითარებია კიდეც მარქსის ეს იდეა. ლენინმა მოახერხა წაეყვანა თავის და პროლეტარიატის კვალდაკვალ გლეხობის მასები 1917 წ. მიწისა და ზავისათვის, პროლეტარული რევოლუციის მხარის დასაჭე-

რად. პროლეტარიატთან დაკავშირებით გლეხობის მასები მედგრად იბრძოდენ მემამულე-აზნაურული, ბურჟუაზიული და კულაკური კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ; სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ კი ლენინმა მიუთითა იმ გზაზე, რომლითაც პროლეტარიატს უნდა წაეყვანა გლეხობის მასები სოციალიზმის მშენებლობისაკენ,—კოოპერაციის საშუალებით.

ამნაირად იყო დაყენებული ამოკანა და ის შესრულდა პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც ლენინის გეგმას ატარებდა და მხოლოდ დროგამოშვებით კონკრეტიზაციას უშვრებოდა მას. იმის მიხედვით, თუ რამდენად შეიცვალა მთელი მდგომარეობა, თუ რამდენად შექმნდა ცვლილებები არსებულ მოძრაობას. თავის უკანასკნელ წერილში, რომელიც მიუძღვნა ოქტომბრის 12 წლის თავს, ამხსატალინმა აღნიშნა „ძირითადი გარდატეხა ჩვენში კოლექტიური მიწათმოქმედების განვითარებაში და არაჩვეულებრივი წარმოება კოლმეურნეობათა მშენებლობისა“ და თვითვე მოგვცა ამ წარმატების ასსა-განმარტება მით, რომ „პარტია ატარებდა ლენინის პოლიტიკას მასების აღზრდის საქმეში, თანდათანობით მიყავდა რა გლეხობა კოლმეურნეობასთან კოოპერატიული საზოგადოებრივობის შექმნით“, აგრეთვე იმითაც, რომ პარტია აწარმოებდა წარმატებითს ბრძოლას როგორც მათ წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდენ გაესწროთ მოძრაობისათვის და დეკრეტით განვითარებინათ კოლმეურნეობა („მემარცხენე“ ფრაზიონები), ისე მათ წინააღმდეგაც, რომელიც ცდილობდენ უკან დაეხით პარტია და ამნაირად მოძრაობის კუდში დარჩენილიყვნენ („მემარჯვენე ბრიყვები“). ასეთი პოლიტიკის გარეშე პარტიას არ შეეძლო გადაექცია კოლმეურნეობათა მოძრაობა ნამდვილ, თვით გლეხობის მასების მოძრაობად. აი ამგვარი ტაქტიკის მრავალი მაგალითიდან ერთი მაგალითი, რომელიც გენიალურად გამოიყენა და რასაც ასწავლიდა ჩვენს პარტიას ლენინი.

პარტიული ხელმძღვანელობა, რომლის სათავეშიაც დღეს დგას ამ. სტალინი, ყველგან მოხდენილად ატარებს ლენინის ამ მასებთან კავშირის ტაქტიკას,—როგორც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, ისე შრომის ნაყოფიერების გაზრდის საქმეშიც, აგრეთვე თვითკრიტიკისა და სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საქმეში, და შრავალ სხვა დიდ ამოკანაში, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურამ წამოაყენა, ამოკანებში, რომელთა გადაჭრაც შესაძლებელია მხოლოდ ფართო მასების ენერგიის და აქტივობის გაღვივებით, მასების, რომელსაც ხელმძღვანელობენ გამობრძმედილი მარქსისტულ-ლენინური თეორიის მიხედვით. ასეთი თეორიის საუკეთესო წარმომადგენელია ამ. სტალინი.

გვ. კოლეგია.

ამოცანა — სტალინი.

მუშები სტალინს ულოცავენ, სალამს უძღვნიახ, დეპეშებს უგზავნიან, წერილებს სწერენ და ოვითონაც მიღიან, რომ ხელი ჩამოართვან, შეხედონ და რამდენიმე სიტყვა უთხრან.

მართალია, მუშებს ოდავ კიდევაც უკვირთ: როგორ, ორმოცდაათიც შეუსრულდა? ეგონათ, გაცილებით უფრო მცირე ხნისა იქნებაო. გაცილებით უფრო ახალგაზრდული იერი აქვს. არც კი იფიქრებდენ...

დიალ, ორმოცდაათი. ბევრმა ჩვენთაგანმა სრული ასაკით ცხოვრება მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიწყო. ხოლო სტალინს იმ წუთში, როცა „აერორამ“ პირველად გაისროლა ზარბაზანი, უკვე ეკიდა ზურგზე ცხრამეტი წელიწადი საიდუმლო მუშაობის, საპყრობილის და გადასახლების, მეფის მათრახის ნაკრილობების, მარქსისტული კამათის, წრეებსა და უჯრედებში მუშაობის, პარტიული განხეთქილების, ფიზიკური და იდეური მძიმე გამოცდების. გამოაკელით ეს ცხრამეტი წელიწადი, შეკრულ კბილებივით დაჭიმული, დაზამბარებული.—დიალ, ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა.

სტალინისა ყოველივე დანარჩენი გასაგებია მუშებისთვის: მისი ფრენი, მისი ჩიბუხი, მისი სიტყვებიც და მისი ოხუნჯობაც. ჩიბუხიც ჩვეულებრივი აქვს და ფრენჩიც. სიტყვებს სასტიკი წესრიგით აღაგებს: ჯერ ერთი, მერე მეორე, მესამე და მეექვსე. ოხუნჯობა უბრალო აქვს და იშვიათად ხარჯავს. და როცა ხარჯავს, მას არასოდეს არა აქვს ირონიის და გესლის იერი. იმ საქმის სუსტი აღაგები, რომლისთვისაც იბრძვის სტალინი, მას არასოდეს არ აცინებს.

სტალინი მუშებისთვის გასაგებია, სხვებისთვის კი იდუმალებაა. უცნაური, გადაუჭრელი ამოცანაა და მის გამოცნობაზე დლითი-დლეგულდასმით მუშაობს მსოფლიო პრესა, თანაც როტაციონ-მანქანებით გაჯავრებული გუგუნებს და სათაურებს ისვრის დორბლივით.

„სტალინი—კრემლის იდუმალი მდგმური“.

„სტალინი—მსოფლიოს მეექვსედის დიქტატორი და დანარჩენ ნაწილთა კომუნისტების მეთაური“.

„სტალინი—ყოველგვარი აპოზიციის მძლევი“.

„სტალინი—გამოუცნობელი პიროვნება“.

„სტალინი—კომუნისტური სფინქსი“.

„სტალინი—ამოცანა“.

მსოფლიო ბურუუაზიული პრესა ასეული წერილით, ათასეული შენიშვნით, ათიათასეული დეპეშით და ქაღალდის უთვალავი მუმლივთ დასტრიიალებს სტალინს. ათვალიერებენ პირისპირ, უსინჯავენ პროფილსაც და ზურგსაც. არ ესმით. ეკითხებიან საბჭოთა ხალხს და თუმცა ზუსტს, მაგრამ მაინც უცნაურ პასუხს ისმენენ.

— მაშ ეშმაკი კაცია?

— შეიძლება ეგრეც იყოს. ასეა თუ ისე, თავს არავის არ მოატყუებინებს.

— მკაცრი ადამიანია?

— მკაცრი? არა. მაგრამ უეჭველად მაგარია.

— მისი საჯარო სიტყვები გამარჯვებას პოულობს?

— ჰო, მაგრამ ცდილობს რაც შეიძლება იშვიათად ილაპარაკოს.

— მებრძოლია?

— როცა იბრძვის. ხოლო ბრძოლამდე მშვიდობისმოყვარეა.

— დიალ, ძნელია. ძალიან ძნელი გასაგებია სტალინი, თუ კი-დევ ზოგი რამ არ გაიგეთ.

და ჩვენ ერთხელ კიდევ, ასჯერ კიდევ ვაღასტურებთ: დიალ სტალინი ამოცანაა. ძალიან ძნელი, მტანჯველი, ცხრაკლიტურში ჩაკეტილი ამოცანაა,—თუ ისე მიუდევით სტალინს, როგორც ბურუუაზული ქვეყნის ოცნება უდგება: როგორც მარტოდ-მარტოს, ცალკეულ ადამიანს, როგორც ერთეულ პოლიტიკურ მოღვაწეს, როგორც დიქტატორს.

სტალინს ისე ვერ გაიგებ, თუ იგი იმ გარემოს, პარტიის და კლასს ჩამოაშორე, რომელთაც ეს კაცი წინ წამოაყენეს,. თუ ერთად არ შეადუღებ იმ ამოცანებს და მიზნებს, რომელთათვისაც ყველა ისინი ერთად იბრძვიან.

დიალ, სტალინი ამოცანაა, ისეთივე ამოცანაა, როგორც მისი საყვარელი იდეები, რომლისათვისაც გამარჯვებით იბრძოდა ამდენი წლების განმავლობაში. სოციალიზმი ერთ ქვეყანაში, რეკონსტრუქცია, ხუთწლედი, კოლმეურნეობა, თვითკრიტიკა—განა ეს ამოცანები არ არის? განა ეს თავსატეხი ამოცანები არ არის, ამ სიტყვის პირდაპირი და შებრუნებული მნიშვნელობით, ბურუუაზიისთვის? როცა მათი დედა-აზრი სავსებით შეისხამს ხორცს, კაპიტალისტური ქვეყანა კისერს მოიტეხს.

ამ „მისტიკურსა და იდუმალ“ იდეებს მუშათა კლასი ისე ატარებს ყოველდღიურ შრომაში, როგორც რეალურს და უდავო საქ-

მეს. ის სოციალიზმს აშენებს ფრონტის დაპყრობილ ნაწილზე და არა მისდევს უცხოეთის დემოკრატიის ციცინითელას ცოტნებას. ის ხელ-ახლა ჰქმნის თავის მრეწველობას და უკან შორს დასტოვა ბურუუ-ზიულ - ექსპლოატატორული დაგროვების მემკვიდრეობა, რომელიც უკვე საბრალო რამედ ვვეჩვენება. ის ბუმბერაზულად ჰქმნის ახალს სოციალურ ურთერთობას სოფლად და მასთან ერთად სასოფლო მეურნეობასაც. ის მუშაობს სასტიკი და მტკიცე სამეურნეო გეგმით და მას ნაჭარბევადაც ასრულებს. ის სწმენდს თავის საკუთარს სახელმწიფო აპარატს, რომელსაც იმავე სახლმწიფო პრესაში ჰკილავს, და ძალიან გაოცემოდა, რომ გაეგო: შეიძლება სხვანაირადაც მომხდარიყო.

ამიტომ ეჩვენება ბავშურ ტიტინად მუშათა კლასს „ამოცანები“, რომელიც სტალინის ირგვლივ მეშჩანებმა და ბურუუებმა შეჰქმნეს.

— „დიქტატორი“ და „კომუნისტების მეთაური“? დიალ, ისე-თივე მეთაურია ცეკაში, როგორც ყოველი უჯრედის მიერ არჩეული მღივანი მეთაურობს თავის უჯრედს. მუშათა კლასი სიტყვა „დიქტატურას“ გამო შიშით თვალს არა სჭირავს. მან ამ სიტყვასთან ერთად აილო ხელისუფლება, ამ სიტყვით იბრძოდა და ისევ მასთან ერთად მიღის სოციალიზმისკენ, უკლასო საზოგადოებისკენ.

— „ეშმაკი, მკაცრი“? დიალ, ჩეენივე, მუშებისავე დავალებით აბა სცადოს და კაპიტალისტურ ქვეყანასთან უამისოდ დაიჭიროს საქმე, საიერიშო ისტორიულ დარში საჭირო მანევრები შეასრულოს, ისიც იმ დროს, როცა იგი შემორტყმულია გამოცდილი და ეშმაკურად გაწვრთნილი მტრებით!

— „მშეიდია, მაგრამ მებრძოლია“? დიალ. ერთი მეორეს ეწინააღმდეგება. რა თქმა უნდა, უცხოელი დოკუმენტია გაშეშდა, როცა გაიგო, რომ წითელმა ლაშქარმა მანჯურიის საზღვარი გადალახა და დაბნეულ ჩინელ თეთრებს სასტიკი ზარალი მიაყენა, მაგრამ სხვა ლაშქარიებით წინ კი არ გადაეშვა, არამედ უკანვე, ისევ თავის მიწაწყალზე დაბრუნდა. აქ არის ბრძნული სიღანჯე კლასობრივი მტრის, რომელმაც ბოლომდე შეინარჩუნა მშვიდობიანობის ერთგულება და იარალი მხოლოდ სოციალისტური აღმშენებლობის დასაცავად აღმართა.

დიალ, დასავლეთის მთავრობის უდიდესი მინისტრისთვის სტა-ლინი იღუმალება და ამოცანაა, ხოლო საამქრო უჯრედის მღივნისა-თვის ის გასაგებიც არის და უბრალოც.

საამქრო უჯრედის მდივანი ფეხდაფეხ, შეთანხმებულად მიჰყება გენერალურ მდივანს და იცის, ალლოთი ჰერინობს იმას, რაც შეიძლება გამოითქვას ლენინზე ნათქვამი სტალინისავე სიტყვებით:

— ლენინი უდიდესი მარქსისტია და ბელადია იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მუშათა კლასის.

— სტალინი უდიდესი ლენინელია ლენინის მომდევნო უმძიმესი ეპოქის, რომელსაც თან მოსდევს ახალი წინააღმდეგობანი და კლასობრივი ბრძოლებით.

დემიან ბედო.

ნ ა კ ვ თ ე ბ ი.

ვიცი, სტალინზე ინტიმურად წერა დიდი თავგანწირულებაა. შემდეგ სტალინი მხეცურად შემოგილრენს და დაგიყეფს. ამას წინდაწინვე უნდა შევურიგდეთ. თუმცა თავდაცვის მოსაზრებით შემეძლო ლენინის მაგალითი დამემოწმებინა. ასეთი რამ შემემოხვა: ახალი წელი იწყებოდა, 1920 წელი. მე სადღესასწაულო კრებაზე გამოვედი ბაუმანის რაიონში. ჩემი სიტყვა ლენინს ეხებოდა: იგი სწორედ ჩემამდე გამოვიდა და როგორ-სემიონოვის რაიონში გაემგზავრა კიდეც. ლენინის დახასიათება დღესასწაულებრივ ტონზე აფავე, მხიარულად, ჰუმორისტულად, ერთგვარი გულთბილი, აღტაცებული გაშარება მოვახდინე, როგორც „მოეშმაქობერიკაც“ შეფერებოდა. აუდიტორია გულიანად ხარხარობდა. შეიძლება ჩან შეამჩნია ის, რაც მე ვერ შევამჩნიე: ილიჩი ჯერ როდი წასულიყო, მხრებზე პალტო მოესხა, გასავალ კარში დამდგარიყო და მისმენდა, როგორ ვხატავდი და თვითონაც გულიანად ხარხარობდა. დიდად შევშფოთდი, როცა გამოვედი კრებიდან, რომელმაც მქუხარე ტაშის ცემით გამაცილა და ლენინს წავაწყდი. მაგრამ ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ლენინმა არაჩევულებრივად შეაქმ ჩემი სიტყვა და წინადაღება მომცა — როგორ-სემიონოვის რაიონში გაიმეორე იგიო. მართლაც, ჩვენ იქ ერთად გავემგზავრეთ ილიჩის მუდმივი თანამგზავრის მარია ილიას ასულის თანხლებით.

ამ მაგალითით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, სადამდე აღწევდა ილიჩის პირადი თავდაციწყება. ილიჩი სიამაყის და თავმდაბლობის გარეშე იდგა. მას ხელმძღვანელობას უწევდა ერთადერთი რევოლუციური მიზანსწრაფვა. კარგია, რაც თავის ადგილისაა ნათქვამი, სახელად კი რაც გინდა ის მიწოდეო! ვინც ასე თუ ისე ილიჩის „პი-

რადობის“ გაზეიადებას ან დამცირებას ცდილობდა, იგი მიზანს ვერ აღწევდა. ილიჩი ასეთ სიტყვიერებას ვერ ამჩნევდა. სტალინი ამჩნევს. ამჩნევს და შიურს ხენის: რისთვის ხდება ეს ამბავი? პირადი მიღვომა სიტყვიერი ონებით და ხლართებით განსაკუთრებით გაღიზიანებას და სიურთხილეს იწვევს მასში: ფიქრობს — აქ რაღაც ცუდადაა საქმეო! და იგი გითვალთვალებს. ამ სიფრთხილის მიზეზი, ჩემი აზრით, სტალინის გმირულ წარსულში უნდა ვეძებოთ: იგი ხანგრძლივი სასოწარკვეთილი ბრძოლის ცეცხლში გამოიბრძმიდა, მრავალი ადამიანის დეზერტირობის და მოლალატეობის, შლიქვნელობის, ფარისევლობის და მატყუარობის მოწმეა. სტალინს უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება აქვს. შეიძლება მისი გაცემა, მაგრამ მისი მოტყუება შეუძლებელია. იგი ისეთი ადამიანი როდია, რომ ანკუსს წამოეგოს. მრავალს ეგონა მოვატყუებო, მაგრამ თვით მოსტყუვდა.

თავის დროზე, როცა ვცდილობდი ჩემი თავისთვის და სხვებისათვის ლენინის სახე გამომერკვია, მე საბჭოთა მეშვიდე ყრილობის ანგარიშში იმავე 1919 წელს ლენინის შესახებ ასე ვწერდი:

ლენინი ლაპარაკობს —

მარტივი სიტყვა,

არც მყვირალა, არც მოხმაურე.

მას ვერ გაიგებს, ვინც გაგებას არ მოისურვებს.

თითქოს ვოლგა: სილრმე, სიფართოვე

და დაწმენდილი სინათლე ფსკერამდე.

არ შეედრება სხვას არაფერს ლენინის სიტყვა:

ამ სინათლეში სინათლეა ღილი გენის,

სიმარტივეში — უდიდესი სიბრძნე ხალხური.

სუნთქვას უსაზღვრო ძლიერებით მდინარე მოხეთქილი

და უნაპირო ტრამალებზე ტალღებს მიაქანებს.

ჯებირს ჯებირზე ანაღურებს ის დაუღლელად,

და ალარ არის ძალა, მისი გზის გაღამჭრელი,

სხვა კალაპოტში მისი დენის ჩამყენებელი“.

ასე ვწერდი ლენინზე 1919 წელს.

— ლენინი სტიქიონია, მდინარე ვოლგაა მეთქი.

ხუთი წლის შემდეგ ლენინზე სტალინი სწერდა:

— ლენინი მთის არწივია!

მე გამავირა ამ შედარებამ, ისევე, როგორც მთელმა მომღევნო დახასიათებამ:

„ლენინი... უმაღლესი ტიპის ხელმძღვანელია, მთის არწივია, რომელსაც ბრძოლის დროს არ ესმის შიში რა არის და პარტია გა-

ბელულად მიჰყავს რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გაუკაფავი გზებით, ეს სურათი ლრმად ჩამეტეჭდა სულში...“

კარგა ხანი გავიდა, სანამ ამ არსებითად მხატვრული განსაზღვრის წმინდა სტალინურ თავისებურებას გავიგებდი. ლენინის პიროვნების შთაბეჭდილება სტალინს სულში 1903 წელს ჩაესახა, მაგრამ თვით „მთის არწივთა“ სახე ბევრად უფრო აღრე აღებეჭდა, სახელდობრ ბავშობაში. მთა! რა შეიძლება უფრო დიდებული იყოს? მაგრამ მთაზე უფრო მაღალია არწივი. მთის არწივი. სტალინი შეხვდა უდიდეს ადამიანს უდიდესთა შორის და მას თავისი უდიდესი განსაზღვრა მისცა: მთის არწივი! ეს სახე სტალინის უზომო აღტაცების გამოხატულებაა, მხატვრულად გამოთქმული. მაგრამ როგორც თითქმის ყოველ მხატვრულ სახეს მოსდის ხოლმე, ეს შედარებაც უფრო, ან უკეთ ვთქვათ განსაკუთრებით, თვით შემოქმედს, მხატვარს ახასიათებს, ვიდრე საგანს, რომელმაც მხატვრული აღტაცება გამოიწვია. ასეთი მოვლენა სრულიად ბუნებრივი და აუცილებელია. ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს (არ ვიცი, რატომ უნდა წარმოადგენდეს სტალინი გამონაკვლისს ამ კანონიდან? ლენინის პორტრეტს, რომელიც სტალინმა შეასრულა, შევხედოთ როგორც შეუგნებლად შესრულებულ თვითდახასიათებას. თუმცა არა სავსებით, მაგრამ აქ ლენინი მაინც გაიდეალებული, განსაზოგადოებულია. ლენინის სახით მებრძოლი-რევოლუციონერის იდეალია მოცემული. როგორ წარმოუდგენია იგი სტალინს?

„რამდენიმე წესი შემდეგ, ციმბირში გადასახლების დროს, 1903 წლის დასასრულს, მივიღე ლენინის უბრალო, მაგრამ ლრმა შინაარსიანი წერილი... ეს შედარებით პაწია წერილი იყო, მაგრამ იგი ჩვენი პრაქტიკის გაბედულ, უშიშარ კრიტიკასაც იძლეოდა და მოკლედ და ნათლად დაწყებული პერიოდის მუშაობის გეგმასაც გადმოსცემდა. მხოლოდ ლენინს შეეძლო დახლართულ საგნებზე ასე უბრალოდ, სხარტად და გაბედულად წერა: ყოველი ფრაზა უფრო თოვის გასროლას ჰგავდა, ვიდრე ლაპარაკს. ამ უბრალო და გაბედულმა წერილმა კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ ლენინის სახით ჩვენ მთის არწივი გვყავდა პარტიაში“.

ალარას ვიტყვით სტალინის საყვარელ შედარებაზე, მთის არწივზე. აღტაცების ყოველი გამოხატულება კანონიერი და მისადაგებულია ამ ბუმბერაზის — ლენინის — მიმართ. ჩრდილოეთის მცხოვრები ლენინს ალბათ „ჩრდილოეთის ციალს“ უწოდებდა და იგიც მართალი იქნებოდა. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ იმ კომპლექსს, რომელსაც სტალინის მიერ არჩეული ეპიტეტები ჰქმიან ერთად:

„მხოლოდ შემდეგ გავიგე, რომ ლენინის ეს უბრალოება და თავმდაბლობა, ეს მისწრაფება შეუმჩნევლად თვალში არავის სცემოდა და თავისი მაღალი მდგომარეობა არ აღენიშნა, — ეს თვისება ლენინის უძლიერეს მხარეს წარმოადგენს, როგორც ახალი, უბრალო და ჩვეულებრივი მასების, კაცობრიობის ულრჩესი „ქვედა ფენების“ ახალი ბელადისა“.

აი იმის დაბასითება, როგორ უნდა ილაპარაკოს „ახალი მასების ახალმა ბელადმა“:

„რწმენის არაჩვეულებრივი ძალა, უბრალო და ნათელი დასაბუთება, მოკლე და ყველასათვის გასაგები ფრაზები, მანჭვა-გრეხის უქონლობა, თავბრუდამხვევი მიმოხვრის და ეფექტიანი ფრაზების უქონლობა... მე დამატყვევა ლოგიკის იმ უძლეველზა ძალაშ ლენინის სიტყვებში, რომელიც, ცოტა არ იყოს მშრალად, მაგრამ სამაგიეროდ საფუძვლიანად იკურობს აუდიტორიას, ნელ-ნელა ელექტრონით მსჭვალავს მას და შემდეგ ატკვევებს საბოლოოდ“.

მთელი ეს კეშმარიტად შესანიშნავი ბროშურა „ლენინზე“ ერთგვარ რევოლუციურ კათებიზმოს წარმოადგენს:

„ოხერის და ბუზლუნის სიძულვილი... მობუზლუნე ინტელიგენტების სიძულვილი, თავისი ძალისა და გამარჯვების რწმენა... არც ბუზლუნი დამარცხების გამო, არც ყოყოჩიბა გამარჯვების შემდეგ... ფხიზლად აწონება მტრის ძალებისა და პარტიის დაზღვევა შესაძლებელ აუცილებლობათაგან... თავისი პარტიის უმრავლესობის აზრის დაფასება... პრინციპიალური პოლიტიკა ყველაზე სწორი პოლიტიკაა... რწმენა პროლეტარიატის შემოქმედებითი ძალებისა და მისი კლასობრივი ინსტინქტის რევოლუციური მიზანშეწონილების... გაკვეთილების მიღება მასებისაგან. მასების მოქმედების გავება, მასიური ბრძოლის პრაქტიკული გამოცდილების ყოველმხრივი შესწავლა“ და სხ.

ყოველივე ეს ლენინს ეხება, რევოლუციონერ, იდეალურ ლენინს, როგორც იგი სტალინს ესმის და წარმოუდგენია. ეს მისი „საზომია“. ამ საზომით ზომავს ყველას. სტალინი არავის ეტყვის: „იცან თავი შენი!“ იგი მკაცრად და პირდაპირ იტყვის: — მითხარი, როგორ გესმის ლენინი და გეტივი, ვინ ხარ შენ!. და ამ პირდაპირ კითხვას მრავალი გაურბის: ზოგი მარჯვნივ, ზოგიც მარცხნივ. სტალინი ლენინს ვერსად გაექცევა: იგი მთლიად მასთან არის. დაიწყეთ სტალინის დაბასითება, და დაინახავთ, რომ თქვენც სწორედ იმავე ლექსიკონს ხმარობთ, რომელიც დამახასიათებელია სტალინის ბროშურისთვის ლენინზე. ლენინი უმაღლესი საზომია. და არსებობს სხვადასხვა საზომი ამ საზომთან მიახლოვებისა. თვითეული ჩვენგანის

ფასი — პარტიული, რევოლუციური — დამოქიდებულია იმაზე, თუ რამდენათ მივუახლოვდით ამ საზომეს. ასე განისაზღვრება სტალინის ფასიც. პარტიამ იცის ეს ფასი. და მტკიცედ იცავს მას.

როცა „ტრიუკიზმთან“ გააფირებული ბრძოლა სწარმოებდა, ტრიუკისტების ერთმა ჯგუფმა ჩემი „გათამაშება“ სცადა: გაშომიგზავნა პაკეტი წარწერით: „კავკასიის მთები“. პაკეტი გავხსენი და შიგ... სტალინის პორტრეტი აღმოვაჩინენ! ამ ვაჟბატონებმა თავიანთი სურვილის წინააღმდეგ მართალი სთქვეს სტალინზე. და ეს კაცი საგვებით „მთის მაღნიდანაა“ ჩამოსხმული. მისი რევოლუციური გვარი გასაოცრად ეგუება მის არსებობას. ესაა ფოლადი! ესაა ფოლადის საომარი იარაღის ვალეჭიკლი პირი და არა სათამაშო ზამბარაკი; რომელსაც ზემოთ მოცეკვავე პოლიტიკური ჯამბაზი ჰქონდეს მიმაგრებული!

მე ვათავებ. თუმცა კიდევ მაქვს სათქმელი. გიამბობთ კიდევ ერთს შემთხვევას, რომლის დავიწყება დღემდე არ შემიძლია. მხიარული მოსაგონარიც არის.

1917 წელს, ივლისის გამოსვლის წინა დღით, „პრავდის“ რედაქციაში დღისით ჩვენ ორნი ვსხედვართ: სტალინი და მე. ტელეფონი აწეარუნებს. სტალინს მეზღვაურები ეძახიან, კრონშტადტელი ბიჭები. ისინი დაუინებით კითხულობდნ: დემონსტრაციაზე თოვებით გამოვიდეთ თუ არაო? მე თვალს არ ვაშორებ სტალინს. მეცინება. მეინტერესება, რას იტყვის სტალინი თოვებზე და ისიც ტელეფონში! სტალინმაც როგორლაც სასაცილოდ და თვალთმაქცურად შეიკმუხნა სახე, ულვაშებზე ხელი მოისვა და დაუძახა:

— თოვები?.. თქვენ უკეთ დაინახავთ, ამხანაგებო!.. აი ჩვენ, მწერლებს, ყოველთვის თან დაგვაქვს ფანქარი, როგორც ჩვენი იარაღი. ხოლო რაც შეეხება თქვენ იარაღს, თქვენს უკეთ დაინახავთ!..“

მე აღფრთვანებული ვიყავი და გულიანად ვხარხარებდი სავარძელში.

რასაკვირველია, ჩვენი ძმაბიჭები დემონსტრაციაზე თავიანთი „ფანქრებით“ გამოვიდენ!

სტალინი ასეთი ოსტატი იყო ვარკვეული, სადირექტოვო პასუხებისა და დღემდე ოსტატად დარჩა. ამ ცოტა ხნის წინად მე მას (მაშვის, თუ არ მას?) ჩინეთის ამბები ვკითხე:

— როგორაა საქმე?

მან ისევე ეშმაკურად შეჭმუხნა სახე, ულვაშებზე ხელი მოისვა და მითხრა:

— ჩვენი ვალახეა, დიალ, ვალახეა უნდოდათ!

რომელი ეშმაკი ვაგვლახავს, როცა ასეთი ხელმძღვანელი ვვავს!!

ამ. სტალინის რჩეული წარილები

ამხ. სტალინის სიტყვა სკპ (ბ) ცეკას პლენუმზე
1928 წ. 19 ნოემბერს

მე ვილაპარაკებ, ამხანაგებო, სამ ძირითად საკითხზე, რომლებიც დასმულია პოლიტბიუროს თეზისებში. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხზე და იმაზე, რომ უმთავრესი ფაქტორი ინდუსტრიალიზაციის საქმეში არის საჭარმოო საშუალებათა წარმოების განვითარება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას ამ განვითარების რაც შეიძლება სწრაფი ტემპი. შემდეგ ვილაპარაკებ იმ საკითხზე, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი ძალიან ჩამორჩენილია ინდუსტრიის განვითარების ტემპისაგან და რომ ამიტომ ყველაზე უფრო მწვავე საკითხი ამჟამად ჩვენ შინაურ პოლიტიკაში არის სოფლის მეურნეობის საკითხი, განსაკუთრებით ხორბლეულის პრობლემის საკითხი, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აღვადგინოთ და გარდავქმნათ სოფლის მეურნეობა ახალი ტექნიკის ნიადაგზე. ბოლოს, მესამე საკითხია—გადახრების, ორ ფრონტზე ბრძოლის საკითხი და საკითხი იმის შესახებ, რომ უმთავრესი საფრთხე ამჟამად არის მემარჯვენე საფრთხე.

ინდუსტრიის განვითარების ტემპის ხაკითხი.

ჩვენი თეზისების გამოსავალი წერტილია დებულება იმის შესახებ, რომ ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპი, საერთოდ, და საჭარმოო საშუალებათა წარმოება, განსაკუთრებით, წარმოადგენს ძირითად საფუძველს, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გასაღებს, მთელი ჩვენი მეურნეობის სოციალისტური განვითარების ნიადაგზე გარდაქმნის გასაღებს. მაგრამ რას ნიშნავს ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპი? ეს ნიშნავს რაც შეიძლება მეტი კაპიტალური თანხების დაბანდებას მრეწველობაში. ეს კი იწვევს მთელი ჩვენი გეგმების—საბიუჯეტო და ბიუჯეტსგარეშე გეგმების—დაძაბვას. და მართლაც, ჩვენი საკონტროლო ციფრების დამახასიათებელ ნიშანს, უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში, რეკონსტრუქ-

ციის პერიოდში, წარმოადგენს ის, რომ ამ ციფრებს ვაღვენთ და ვანხორციელებთ დაძაბული მდგომარეობის პირობებში.

თქვენ რომ აიღოთ ჩვენი საკონტროლო ციფრები, გადაათვა-
ლიეროთ ჩვენი საბიუჯეტო გეგმები, ესაუბროთ ჩვენს პარტიულ ამ-
ხანაგებს, როგორც იმათ, რომლებიც მუშაობენ პარტიული ორგა-
ნიზაციის ხაზით, ისე იმათ, რომლებიც ხელმძღვანელობენ საბჭოთა,
სამეურნეო და კომპერატიულ მშენებლობას, დაინახავთ, რომ ყველ-
გან და ყველაფერში სჩანს ერთი დამახასიათებელი ნიშანი—ჩვენი
გეგმების დაძაბვა.

იბადება კითხვა, გვესაჭიროება თუ არა ეს დაძაბული მუშაობა? ხომ არ შეიძლება იოლად წავიდეთ უამისოდ? განა არ შეიძლება მუშაობა უფრო ნელი ტემპით, უფრო „დამშვიდებულ“ პირობებში? ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპის აღება ხომ არ აიხსნება იმით, რომ პოლიტბიუროს და სახკომსაბჭოს წევრებს მოუსვენარი ჭასიათი აქვთ? რასაკვირველია, არა.. პოლიტბიუროში და სახკომ-
საბჭოში ფხიზელი და დამშვიდებული ხალხი ზის. აბსტრაქტულად, შინაურ და გარეშე პირობებისაგან განყენებით რომ ვილაპარაკოთ, რასაკვირველია, შეგვეძლო უფრო ნელი ტემპით სვლა. მაგრამ საქმე ისაა, რომ, ჯერ ერთი, შეუძლებელია განყენება შინაური და გა-
რეშე პირობებისაგან, და მეორე, თუ გამოვალთ ჩვენს ირგვლივ არ-
სებული პირობებიდან, არ შეიძლება არ აღვიაროთ, რომ სწორედ ეს პირობები გვიკარნახებს ჩვენი ინდუსტრიის განვითარების სწრაფ ტემპს. ნება მომეცით გადავიდე ამ პირობების, ამ შინაური და გა-
რეშე ხასიათის პირობების განხილვაზე, რომლებიც გვიკარნახებენ ინდუსტრიის განვითარების სწრაფ ტემპს.

ჩვენ ხელისუფლებას დავეპატრონეთ იმ ქვეყანაში, რომლის ტექნიკა საშინალური ჩამორჩენილია. მრავალრიცხვან მსხვილ სამრე-
წველო ერთეულებთან ერთად, რომლებიც ცოტად თუ ბევრად უყრდნობიან ახალ ტექნიკას, ჩვენ ასობით და ათასობით გვაქვს ისე-
თი ფაბრიკები და ქარხნები, რომელთა ტექნიკა ვერავითარ კრიტი-
კას ვერ უძლებს თანამედროვე მიღწევათა თვალსაზრისით. ამავე
დროს ჩვენ გვარტყიან კაპიტალისტური ქვეყნები, რომლებსაც აქვთ
გაცილებით ჩვენზე უფრო განვითარებული სამრეწველო ტექნიკა. გადახედეთ კაპიტალისტურ ქვეყნებს და დაინახავთ, რომ იქ ტექნიკა
არა მარტო მიღდის წინ, არამედ პირდაპირ გარბის და უსწრებს სა-
შრეწველო ტექნიკის ძეველ ფორმებს, და აი, გამოდის, რომ ჩვენ, ერ-
თის მხრივ, გვაქვს მთელ მსოფლიოში ყველაზე უფრო მოწინავე ხე-
ლისუფლება—საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო მეორეს მხრივ გვაქვს

მეტად ჩამორჩენილი ტექნიკა მრეწველობისა, რომელიც სოციალიზმის და საბჭ. ხელისუფლების ბაზას წარმოადგენს. ნუთუ ფიქრობთ, რომ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების მიღწევა შეიძლება ამ წინააღმდეგობის არსებობის დროს? ჩა არის საჭირო იმისათვის, რომ მოქადაც ეს წინააღმდეგობა? ამისათვის უსათუოდ საჭიროა დავეწიოთ და გავუსწროთ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მოწინავე ტექნიკას. მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ჩვენ დავეწიოთ და გავუსწარით კიდევ ახალი პოლიტიკური—საბჭოთა—წყობილების დამყარების მხრივ. ეს კარგია. მაგრამ ეს ცოტაა. იმისათვის, რომ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება მოვუპოვოთ, ჩვენ ჯერ კიდევ უნდა დავეწიოთ და გავუსწროთ ამ ქვეყნებს ტექნიკურ-ეკონომიკური მხრივაც. ან მოვაღწევთ ამას, ან გაგვანადგურებენ. ეს მართალია არა მარტო სოციალიზმის შენების თვალსაზრისით. ეს მართალია კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვის თვალსაზრისითაც. შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა ისე, თუ არ გვექნება საკმაო სამრეწველო ბაზა თავდაცვისათვის. აი რისთვის გვესაჭიროება, აი რას გვიკარნახებს ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტების ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობა ჩვენ მიერ არ არის გამოგონილი. ეს არის საუკუნოებრივი ჩამორჩენილობა, რომელიც მემკვიდრეობათ დაგვიტოვა ჩვენი ქვეყნის მთელმა ისტორიამ. ამ ჩამორჩენილობის მავნებლობას ვგრძნობდით წინადაც, რევოლუციამდეც, და რევოლუციის შემდეგაც. როცა პეტრე დიდი, რომელსაც საქმე. ჰქონდა დასავლეთ ევროპის უფრო განვითარებულ ქვეყნებთან, გამალებით აშენებდა ქარხნებს და ფაბრიკებს ქვეყნის თავდაცვის გასაძლიერებლად, ეს იყო ერთგვარი ცდა იმისა, რომ გადაელახა ჩამორჩენილობის ფარგლები. მაგრამ საესებით გასაგებია, რომ ვერცერთმა ძველმა კლასმა, ვერც ფერდალურმა არისტოკრატიამ და ვერც ბურჟუაზიამ, ვერ გადასწყვიტა ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის ამოცანა. უფრო მეტიც. ამ კლასებმა არა თუ ვერ შესძლეს ამ ამოცანის გადაწყვეტა, არამედ ვერც კი დასვეს. ეს ამოცანა რამდენიმე დამაკმაყოფილებელი ფორმათ. ჩვენი ქვეყნის საუკუნოებრივი ჩამორჩენილობა შეიძლება მოქადაც მხოლოდ წარმატებითი სოციალისტური მშენებლობის ნიადაგზე. ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს, რომელმაც შექმნათვისი დიქტატურა და რომელსაც ხელთ უპყრია ქვეყნის ხელმძღვანელობა.

სისულელე იქნება თავის ნუვეში იმით, რომ რაღაც ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილობა ჩვენს მიერ არაა გამოვლილი და მეტყვიდრეობად არის გადმოცემული ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორიის მიერ, ამიტომ არ შეგვიძლია და არ უნდა ვაგოთ პასუხი ამ ჩამორჩენილობისათვის.

ეს არ არის მართალი, ამხანაგებო. რაკი ჩვენ ჩავუდექით ხელისუფლებას და ჭიკისრეთ ქვეყნის გარდაქმნა სოციალიზმის საფუძველზე, ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ,—და უნდა ვაგოთ კიდეც პასუხი,—როგორც ცუდისათვის, ისე კარგისათვის. და სწორედ იმიტომ, რომ პასუხს ვაგებთ ყველაფრისთვის, ჩვენ უნდა გადავლახოთ ჩვენი ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა, ჩვენ ეს აუცილებლად უნდა განვახორციელოთ, თუ მართლა გვინდა დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამის გაკეთება კი შეგვიძლია მხოლოდ ჩვენ-ბოლშევიკებს, და არა სხვა ვისმეს. სწორედ იმისათვის, რომ განვახორციელოთ ეს ამოცანა, სისტემატიურად უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპი. რომ ჩვენ უკვე ვანხორციელებთ ინდუსტრიის განვითარების სწრაფ ტემპს, ამას ახლა ყველა ზედავს.

საკითხი იმის შესახებ, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ტექნიკისა და ეკონომიკის მხრივ—ეს საკითხი ჩვენთვის, ბოლშევიკებისათვის, არაფრეს ახალს და მოულოდნელს არ წარმოადგენს. ეს საკითხი ჩვენში დაისვა. ჯერ კიდევ 1917 წელს, ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში. ლენინმა იგი დასვა ჯერ კიდევ 1917 წლის სექტემბერში, ოქტომბრის რევოლუციის წინ, იმპერიალისტური ომის პერიოდში, თავის ბროშურაში „მომავალი კატასტროფა და როგორ ვებრძოლოთ მას“.

აი რას ამბობდა ლენინი ამის შესახებ: „რევოლუციამ გააკეთა ის, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში რუსეთი თავისი პოლიტიკური წყობილებით დაეწია მოწინავე ქვეყნებს. მაგრამ ეს ცოტაა. ომი დაუნდობელია და ის ულმობელად და პირდაპირ სემს საკითხს: ან უნდა დავიღუბოთ, ან უნდა დავეწიოთ მოწინავე ქვეყნებს ეკონომიურადაც... უნდა დავიღუბოთ, ან უსწრაფესი ტემპით წავიდეთ წინ. ასე დააყენა საკითხი ისტორიამ“ (ტომი XIV, ნაწ. 2. გვ. 213).

აი როგორ აყენებდა ლენინი ჩვენი ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის საკითხს.

ლენინი ამას სწერდა ოქტომბრის რევოლუციის წინ, პროლეტარიატის გამარჯვების წინ, როცა ბოლშევიკებს ჯერ არ ჰქონდათ არც ძალა-უფლება, არც სოციალიზაციაქმნილი. მრეწველობა, არც

კოოპერაციის ფართო ქსელი, რომელშიაც გაერთიანებულია მრავალი მილიონი გლეხობა, არც კოლექტიური მეურნეობები, არც საბჭოთა მეურნეობები. ეხლა, როცა ჩვენ გვაქვს ზოგიერთი არსებითი რამი იმისათვის, რომ საბოლოოდ დავსძლიოთ ჩვენი ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა, ჩვენ შეგვიძლია ლენინის სიტყვები დაახლოვებით ასე გამოვთქვათ: „ჩვენ დავეწიეთ და გავუსწარით მოწინავე პოლიტიკურ ქვეყნებს პოლიტიკურად, დავამყარეთ რა პროლეტარიატის დიქტატურა. მაგრამ ეს ცოტაა, და ჩვენ უნდა გამოვიყენოთ პროლეტარიატის დიქტატურა და ჩვენი სოციალიზაციაქმნილი მრეწველობა, ტრანსპორტი, საკრედიტო სისტემა, კოოპერაცია, კოლექტიური მეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვ. იმისათვის, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიკურადაც“.

საკითხი ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპის შესახებ. ჩვენში არ იქნებოდა დაყენებული ისე მწვავედ, როგორც ახლა დგას, ჩვენ რომ გვექნდეს ისეთივე განვითარებული მრეწველობა და ისეთივე განვითარებული ტექნიკა, როგორიც აქვს, მაგ., გერმანიას, ჩვენი ინდუსტრიის ხევდრითი წონა მთელს სახალხო მეურნეობაში ისეთივე მაღალი რომ იყოს, როგორიც იგი მაგ. გერმანიაშია. ამ პირობებში ჩვენ შეგვეძლო უფრო ნაკლებად სწრაფი ტემპით გაგვევითარებინა ინდუსტრია და არ შეგვშინებოდა კაპიტალისტური ქვეყნებისაგან ჩამორჩენის, ვიქენებოდით რა დარწმუნებული, რომ ჩვენ ერთი დაკვრით გააუსწრებთ მათ. მაშინ ჩვენ აღარ გვექნებოდა ის სერიოზული ტექნიკურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობა, რომელიც გვაქვს ამჟამად. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ ამ მხრივ გერმანიაზე დაბლა ვდგავართ, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია იმისათვის, რომ დავეწიოთ მას ტექნიკურ-ეკონომიკურად.

ინდუსტრიას განვითარების ტემპის სისწრაფის საკითხი ასე მწვავედ არ იდგებოდა მაშინაც, თუ პროლეტარიატის დიქტატურა-მარტო ჩვენს ქვეყანაში კი არ იქნებოდა, არამედ სხვა უფრო მოწინავე ქვეყნებშიც, მაგალითად, გერმანიასა და საფრანგეთში. ჩვენთვის რომ კაპიტალისტური გარემოცვა სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენდეს, მაშინ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური დამოკიდებულობის საკითხი უკანა რიგზე დაიწვევდა, ჩვენ შეგვეძლო უფრო განვითარებული პროლეტარული სახელმწიფოების სისტემაში შევსული-ყავით, შეგვეძლო მათგან მანქანები მიგველო ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის და მიგვეწოდებია მათვის ნედლეული და სასურსათო პროდუქტები, მაშასადამე, შეგვეძლო ჩვენი ინდუსტრიის.

განვითარება უფრო ნელის ტემპით გვეწარმოქმდია. მაგრამ თქვენ კარგად იცით, რომ ჩენ ჯერ ასეთი პირობები არ გაგვაჩნია, რომ ჩენი ქვეყანა პროლეტარიატის დიქტატურის ჯერ ერთადერთი ქვეყანაა, იგი გარემოცულია კაპიტალისტური ქვეყნებით, რომელთანავე ბევრი ტეხნიკურ-ეკონომიკურად ძალიან წინა სდგის ჩვენთან შედარებით.

ამიტომ, საკითხი იმის შესახებ, რომ დავეწიოთ და გავუსწორო ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყნებს, ლენინს ჩვენი განვითარების-სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად მიაჩნდა.

ასეთია ის საგარეო პირობები, რომლებიც გვიკარნახებენ ჩვენი ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპის საჭიროებას, იმ ინდუსტრიისა, რომელიც წინ მიუძღვის მთელ ჩვენს სახალხო მეურნეობას.

მე მხედველობაში მაქს ჩვენი მიწათმოქმედების, მისი ტექნიკის, მისი კულტურის მეტის-მეტი ჩამორჩენილობა. მე მხედველობაში მაქს ის გარემოება, რომ ჩვენს ქვეყანაში უმრავლესობას შეადგენენ საქონლის წვრილი მწარმოებელნი თავიანთი დაქუცმაცებული, სრულიად ჩამორჩენილი წარმოებით, რომელთან შედარებით ჩვენი მსხვილი სოციალისტური მრეწველობა ისე მოჩანს, როგორც ზღვაში აწოზიდული კუნძული, რომლის საფუძველი დღითი-დღე ფართოვდება. მაგრამ მაინც იგი ჯერ კიდევ კუნძულს წარმოადგენს.. ჩვენში ჩვეულებრივ ამბობენ, რომ ინდუსტრია წინ უძლვის მთელ სახალხო მეურნეობას, სხვათა შორის, სოფლის მეურნეობასაც, რომ ინდუსტრია ის იარაღია, რომლის საშუალებითაც შეიძლება გარდავმნათ ჩამორჩენილი, დაქუცმაცებული მიწათმოქმედება კოლექტივიზმის საფუძველზე. ეს სავსებით მართალია. ამ აზრს ერთ წუთსაც: არ უნდა გადავუხვიოთ. მაგრამ ისიც უნდა გახსნოვდეს, რომ თუ ინდუსტრია წინ უძლვის სოფლის მეურნეობას, სამაგიეროდ სოფლის მეურნეობა ინდუსტრიის განვითარებისათვის ბაზას წარმოადგენს— როგორც ინდუსტრიის პროდუქციის გამსალებელი ბაზარიც, როგორც ნედლეულობისა და სურსათ-სანოვაგის მიმწოდებელიც, როგორც წყარო საექსპორტო რეზერვებისაც, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ შემოვიტანოთ მანქანა-იარაღი სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის.. შეიძლება თუ პრა წინ წავწიოთ ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა კი დავტოვოთ სრულიად ჩამორჩენილი ტეხნიკის, პირობებში, არ უზრუნველვყოთ ინდუსტრიისათვის სასოფლო-სამეურნეო ბაზა, არ გარდავჭმათ სოფლის მეურნეობა და კვალდა-კვალ არ ავადევნოთ ინდუსტრიას? არა, არ შეიძლება. აქედან გამო-

მდინარეობს სოფლის მეურნეობის მაქსიმალური უზრუნველყოფის საჭიროება წარმოების იარაღით, წარმოების საშუალებებით, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ დაგაჩქაროთ, წინ წავწიოთ მისი რეკონსტრუქციის საქმე ახალ ტექნიკურ საფუძველზე. მაგრამ ამ ამოცანის განხორციელებისათვის საჭიროა ჩვენი ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპი. რასაკვირველია, დაქუცმაცებული, დაქსაჭული სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია გაცილებით უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე გაერთიანებული, ცენტრალიზაციაქმნილი სოციალისტური მრეწველობის რეკონსტრუქცია.

მაგრამ ეს ამოცანა ჩვენს წინაშე დგას და უნდა გადავჭრათ კიდევ. მისი გადაჭრა კი შეიძლება მხოლოდ მრეწველობის განვითარების სწრაფი ტემპის საფუძველზე. შეუძლებელია, რომ დაუსრულებლად, ე. ი. მეტის-მეტად დიდი ხნის განმავლობაში, საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალისტური მშენებლობის ბაზას ორი სხვადასხვა საფუძველი წარმოადგენდეს—უაღრესად მსხვილი გაერთიანებული სოციალისტური მრეწველობა და უაღრესად დაქუცმაცებული ჩამორჩენილი წვრილსაქონლიანი გლეხური მეურნეობა. საჭიროა სოფლის მეურნეობის თანდათან, მაგრამ სისტემატიურად და ენერგიულად გადაყვანა ახალ ტექნიკურ ბაზაზე, მსხვილი წარმოების ბაზაზე და მისი გათანაბრება სოციალისტურ მრეწველობასთან. ჩვენ ან გადავჭრით ამ ამოცანას და მაშინ საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება, ან დავშორდებით ამ ამოცანას, ვერ გადავჭრით მას და მაშინ კაპიტალიზმის დაბრუნება შეიძლება აუცილებელი მოვლენა იყოს.

აი ამის შესახებ ლენინი რას ამბობს:

„სანამ ჩვენ წვრილ-გლეხურ ქვეყანაში უცხოვრობთ, — რუსეთში კაპიტალიზმისათვის უფრო მტკიცე ეკონომიკური ბაზა არსებობს, ვიდრე კომუნიზმისათვის. ეს აუცილებლად უნდა გვახსოვდეს. ყველამ, ვისაც კი გულდასმით შეუდარებია ერთმანეთთან სოფლის ცხოვრება და ქალაქის ცხოვრება, კარგად იცის, რომ ჩვენ კაპიტალიზმის ფესვები არ ამოვვივლევია და შინაური მტრის საფუძველი და საძირკველი არ დაგვირღვევია. შინაური მტერი ეყრდნობა წვრილ მეურნეობას, და რომ ბოლო მოვულოთ ამ მტერს, არსებობს ერთადერთი საშუალება—გადავიყვანოთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა, სხვათა შორის, მიწათმოქმედებაც, ახალ ტექნიკურ ბაზაზე, თანამედროვე მსხვილი წარმოების ტექნიკურ ბაზაზე, ასეთ ბაზას კი წარმოადგენს მხოლოდ ელექტრონი. კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება, პლიტა მთელი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია. (მე-XIV ტომი, გვ. 427—428).

როგორც ხედავთ, ქვეყნის მეურნეობისათვის, სხვათა შორის, მიწათმოქმედებისათვის, საჭიროა გადასვლა ახალ ტექნიკურ ბაზაზე, იმ თანამედროვე მსხვილი წარმოების ტექნიკურ ბაზაზე, რომელიც ასე თუ ისე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია ელექტროფიკაციის საქმესთან.

ეს სიტყვა ლენინმა წარმოსთქვა საბჭოთა პირველ ყრილობაზე, 1920 წლის დეკემბერში, ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების წინ, როცა იგი ასაბუთებდა ეგრეთწოდებული ელექტროფიკაციის გეგმას. ზოგიერთი ამხანაგი ამის ვამო ამბობს, რომ დებულებანი, რომლებიც გამოთქმულია ლენინის ამ ციტატაში, არ შეეფერებიან ახლანდელ სინამდვილეს. რატომ? იმიტომ, — გვეუბნებიან ისინი, — რომ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარაო, ჩვენ ახლა გვაქვს განვითარებული სოციალისტური მრეწველობა, ჩვენ გვაქვს კოლმეურნეობანი, როგორც მასიური მოვლენა, ჩვენ გვაქვს ძველი და ახალი საბჭოთა მეურნეობანი, ჩვენ გვაქვს კომპერატიული ორგანიზაციების დიდი ქსელი, ჩვენ გვაქვს გასაქირავებელი პუნქტები გლეხთა მეურნეობების საჭიროების დასაქმაყოფილებლად, ჩვენ ვიყენებთ კონტრაქტაციის მეთოდს, როგორც სოფელთან კავშირის ახალ ფორმას, ჩვენ შეგვიძლია ყოველივე ეს და მრავალი სხვა საშუალება გამოვიყენოთ იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობა თანდათან გადავიყვანოთ ახალი ტექნიკის ბაზაზე. ყოველივე ეს მართალია. მაგრამ მართალია ისიც, რომ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ ჯერ ისევ ვრჩებით წვრილ-გლეხურ ქვეყნად, რომელშიაც სჭარბობს წვრილი წარმოება. ეს კი მთავარია. და ვიღრე ეს მთავარი მოვლენა რჩება, ძალაშია ლენინის თეზისი იმის შესახებ, რომ „სანამ ჩვენ წვრილ-გლეხურ ქვეყანაში ვცხოვორბთ, — კაპიტალიზმისათვის უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზა არსებობს, ვიღრე კომუნიზმისათვის“ და რომ, მაშასადამე, კაპიტალიზმის რესტავრაციის საფრთხე არ არის ცალიერი ფრაზა.

„მასვე ამბობს ლენინი უფრო მკვეთრი ფორმით თავის ბროშურაში „სასურსათო გადასახადის შესახებ“, რომელიც დაწერილია ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ (1921 წლის აპრილი).“

„თუ იქნება ელექტროფიკაცია 10—20 წლის განმავლობაში, მაშინ სრულებით არ არის საშიში წვრილი მიწათმოქმედების ინდივიდუალიზმი და თავისუფალი ვაჭრობა მის აღგილობრივ ბრუნვაში. თუ ელექტროფიკაცია არ იქნება, მაშინ, სულერთია, ვერ ავცდებით კაპიტალიზმის დაბრუნებას“.“

და შემდეგ იქვე:

„10—20 წლის განმავლობაში სწორი დამოკიდებულება გლეხობასთან, და უზრუნველყოფილია გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით (კიდევაც რომ დაგვიანდენ პროლეტარული რევოლუციები, რომლებიც იზრდებიან), წინააღმდეგ შემთხვევაში 20—40 წლის განმავლობაში ტანჯვა და თეთრგვარდიელთა ტერორი“ (ლენინის კრებული, IV, გვ. 37).

აი როგორც მწვავედ სევამდა საკითხს ლენინი: ან ელექტროფიკაცია, ე. ი. „ჩვენი ქვეყნის მეურნეობის, კერძოდ მიწათმოქმედების, გადაყვანა თანამედროვე მსხვილი წარმოების ახალ ტექნიკურ საფუძველზე, ან კაპიტალიზმის დაბრუნება“.

აი როგორ ესმის ლენინს „გლეხობასთან სწორი დამოკიდებულების“ საკითხი. აქ საქმე კი არ არის, რომ მოვეფეროთ გლეხს და ამ მოფერებაში ვხედავდეთ გლეხთან სწორი დამოკიდებულების საფუძველს, ვინაიდან მოფერებით ბევრი ვერაფერი გაკეთდება; საქმე ისაა, რომ დავვხმაროთ გლეხს გადაიყვანოს თავისი მეურნეობა „თანამედროვე მსხვილი წარმოების ახალ ტექნიკურ საფუძველზე“, ვინაიდან ამაშია ძირითადი გზა სილატაკისაგან გლეხობის დასახსნელად.

ხოლო ჩვენი მეურნეობის გადაყვანა ახალ ტექნიკურ საფუძველზე არ შეიძლება ჩვენი ინდუსტრიისა და, პირველ ყოვლისა, საწარმოო საშუალებათა წარმოების განვითარების სწრაფი ტემპის გარეშე.

ასეთი მდგომარეობაა შინაური პირობების მხრივ, რომლებიც გვიკარნახებენ ინდუსტრიის განვითარების სწრაფ ტემპს.

აი, რა შინაგანი და გარეშე პირობებითაა გამოწვეული ჩვენი სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების დაძაბვა.

აი, სად არის საძირკველი იმისა, რომ ჩვენი სამეურნეო გეგმები — საბიუჯეტო და ბიუჯეტისგარეშე — მიმდინარეობენ დაძაბულობის ნიშან ქვეშ, იმის ნიშან ქვეშ, რომ დიდ თანხებს ვაბანდებთ კაპიტალურ მშენებლობაში, რაც მიზნად ისახავს ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპის შენარჩუნებას.

შეიძლება შემეკითხონ, სად არის ეგ ნათქვამი, თეზისების რომელ ადგილასო.

ხმა: დიახ, სად არის ეგ ნათქვამი?

სტალინი: თეზისებში ამას მოწმობს ის კაპიტალური თანხები, რომლებიც 1928-29 წელს მრეწველობაში იქნება დაბანდებული. თეზისებს ხომ ჩვენ საკონტროლო ციფრების თეზისებს ვეძახით. ასეა, მგონი, ამხანაგებო?

ხმა: დიახ..

სტალინი: და, აი, ამ თეზისებში ნათქვამია, რომ 1928-29 წელს მრეწველობაში კაპიტალური სამუშაოებისათვის ჩვენ ვაბანდებთ 1.650.000.000 მანეთს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ წელს მრეწველობაში დაგაბანდებთ 330 მილიონით მეტს, ვიღრე შარშან. ამნაირად გამოდის, რომ ჩვენ არა მარტო ვინარჩუნებთ ინდუსტრიის განვითარების ტემპს, არამედ ვდგამთ ნაბიჯს წინ, როდესაც მრეწველობაში ვაბანდებთ უფრო მეტს, ვიღრე შარშან, ე. ი. როდესაც ვაზიდებთ კაპიტალურ სამუშაოებს მრეწველობაში როგორც აბსოლუტურად, ისე შედარებით. ეს მთავარი ღერძია სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების თეზისებისა. ზოგიერთ ამხანაგს კი ეს მთავარი გარემობა გამორჩა. ყოველმხრივ, დაწვრილებით აკრიტიკებდნენ თეზისებს საკონტროლო ციფრების შესახებ, მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო გარემოება გამორჩათ.

შარცვლეულის პრობლემა.

აქამდე მე ვლაპარაკობდი თეზისების პირველი ძირითადი საკითხის შესახებ—ინდუსტრიის განვითარების ტემპის შესახებ. გადავიდეთ ახლა მეორე ძირითად საკითხზე, მარცვლეულის პრობლემის საკითხზე. თეზისების დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, საერთოდ, სოფლის მეურნეობისა და, კერძოდ, მარცვლეული მეურნეობის პრობლემას.

სწორია თუ არა თეზისების ასეთი გეზი? მე ვფიქრობ, რომ სწორია. ჯერ კიდევ ივლისის პლენუმზე ითქვა, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის კულაზე უფრო სუსტ მხარეს წარმოადგენს, საერთოდ, სოფლის მეურნეობისა და, კერძოდ, მარცვლეული მეურნეობის შეტის-მეტი ჩამორჩენილობა. როდესაც ამბობენ, ჩვენში სოფლის მეურნეობა მრეწველობას ჩამორჩება და ამ გარემოებას უჩივიან, ეს, რასაკვირველია, არ არის სერიოზული რამ. სოფლის მეურნეობა ყოველთვის ჩამორჩებოდა მრეწველობას და მომავალშიაც იგი ჩამორჩენილი იქნება. ეს განსაკუთრებით მართალია ჩვენს პირობებში, მრეწველობას მაქსიმალური კონცენტრაციისა და სოფლის მეურნეობის მაქსიმალური დაჭუცმაცების პირობებში. ცხადია, რომ გაერთიანებული მრეწველობა უფრო სწრაფად განვითარდება, ვიღრე დაჭუცმაცებული სოფლის მეურნეობა. აქედან, სხვათა შორის, გამომლინარეობს მრეწველობის ხელმისაწვდელი როლი სოფლის მეურნეობის მიმართ. ამიტომ მრეწველობისაგან სოფლის მეურნეობის ჩვეულებრივი ჩამორჩენა ჯერ კიდევ არ იძლევა საფუძველს, რომ დაისვას მარცვლეულის პრობლემა. სოფლის მეურნეობისა და, კერძოდ,

მარცვლეული მეურნეობის პრობლემა მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როდესაც სოფლის მეურნეობის ჩვეულებრივი ჩამორჩენა მისი განვითარების ტემპის მეტის-მეტ ჩამორჩენად გადაიქცევა. სახალხო მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ჩვენ ვხედავთ ინდუსტრიის განვითარების ტემპისაგან მარცვლეული მეურნეობის განვითარების ტემპის მეტის-მეტად ჩამორჩენას, როგორც ფაქტს საბაზრო პურის მოთხოვნის კოლოსალური გადიდებისა იმ ქალაქებისა და სამრეწველო პუნქტების მხრივ, რომლებიც თანდათან იზრდებიან. ამასთან ამოცანას ის კი არ შეაღებს, რომ ინდუსტრიის განვითარების ტემპი დავიყვანოთ მარცვლეული მეურნეობის განვითარების დონემდე (ეს არევს ყველა ჩვენს გეგმას და უკან დასწევს განვითარებას), არამედ ის, რომ მარცვლეული მეურნეობის განვითარება ავიყვანოთ ინდუსტრიის განვითარების ტემპამდე, ავიყვანოთ მარცვლეული მეურნეობის განვითარება იმ დონემდე, რომელიც უზრუნველყოფს მთელი სახალხო მეურნეობის, მრეწველობისა და მიწათმოქმედების სწრაფ წინსვლას. ჩვენ ან გადავჭრით ამ ამოცანას და ამით მარცვლეულის პრობლემა გადაიჭრება, ან ვერ გადავჭრით და მაშინ აუცილებელი იქნება კავშირის გაწყვეტა სოციალისტურ ქალაქსა და წვრილ-გლეხურ სოფელს შორის. ასე დგას ჩვენში საკითხი, ამხანაგებო. ასეთია მარცვლეულის პრობლემის შინაარსი.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მარცვლეული მეურნეობის განვითარების „შეჩერებასთან“, ან თუნდა მის „დეგრადაციასთან“? ამხ. ფრუმკინი სწორედ ასე სეამს საკითხს თავის მეორე წერილში, რომელიც, მისი მოთხოვნით, დღეს ჩვენ დავურიგეთ ცენტრ. კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრებს. იგი ამ წერილში პირდაპირ ამბობს, სოფლის მეურნეობაში „შეჩერებას“ ვწედავთო. „ჩვენ,—ამბობს იგი,—არ. შეგვიძლია და არც უნდა ვწეროთ პრესაში დეგრადაციის შესახებ, მაგრამ პარტიის შიგნით ჩვენ არ უნდა დავმალოთ, რომ ეს ჩამორჩენილობა დეგრადაციას ეთანაბრება“. სწორია თუ არა ამხ. ფრუმკინის ეს აზრი? რასაკვირველია, სწორი არ არის. ჩვენ, პოლიტიკუროს წევრები, სრულებით არ ვეთანხებით მარცვლეული მეურნეობის მდგრადრეობის საკითხის ასეთნაირად გაშუქებას.

მართლაც, რა არის დეგრადაცია და რაში უნდა გამოიხატოს იგი სოფლის მეურნეობაში? აშკარაა, ის უნდა გამოიხატოს სოფლის მეურნეობის უკან დახევაში, მის ჩამოქვეითებაში, მის დაბრუნებაში მეურნეობის ახალი ფორმებიდან ძველი, საშუალო საუკუნეების ფორ-

მებისაკენ. ის უნდა გამოიხატოს, ვთქვათ, იმაში, რომ გლეხობა გა-
დავიდეს მეურნეობის განვითარებული ფორმებიდან მარტივ ფორ-
მებზე, გუთნიდან და მანქანიდან—კავშე, დაწმენდილი და კარგი ხა-
რისხის თესლიდან—დაუწმენდავ და უჯიშო თესლზე, მიწათმოქმედე-
ბის თანამედროვე კულტურიდან—დაბალ კულტურაზე და სხვა და-
სხვა, მაგრამ განა ჩვენ ვხედავთ ეხლა ასეთ ფაქტებს? განა ყველამ
არ იცის, რომ გლეხობა ათი და ასიათასი კომლობისა გადადის სამ-
მინდვროვანი სისტემიდან ოთხ და მრავალმინდვროვან სისტემაზე,
უჯიშო თესლიდან წმინდა ხარისხის თესლზე, კავიდან გუთანზე და
მანქანაზე, მიწათმოქმედების დაბალი კულტურიდან მაღალ კულტუ-
რაზე? განა ეს დეგრადაციაა?

ამხ. ფრუმჟინს თავისი თვალსაჩრისის დასასაბუთებლად უყვარს
პოლიტბიუროს ამა თუ იმ წევრისათვის ხელის ჩავლება. სავსებით
შესაძლოა, რომ იგი ამ შემთხვევაში შეეცდება ჩავლოს ხელი ამხ.
ბუხარინს, რათა დაამტკიცოს, რომ ამხ. ბუხარინი „ამასვე“ ამბობდა
თავის წერილში „ეკონომისტის შენიშვნები“, მაგრამ ამხ. ბუხა-
რინი სრულებით არ ამბობდა „ამასვე“. ამხ. ბუხარინმა თავის წე-
რილში დასვა განყენებული თეორიული საკითხი დეგრადაციის
შესაძლებლობისა და საშიშროების შესახებ. თუ განყენებულად ვი-
ლაპარაკებთ, საკითხის ასე დასმა სავსებით შესაძლო და კანონშეზო-
მილია. ხოლო რთვორ იქცევა ამხ. ფრუმჟინი? ის განყენებულ სა-
კითხს დეგრადაციის შესაძლებლობის შესახებ აქცევს სოფლის მე-
ურნეობის დეგრადაციის ფაქტიალ. და ამას უწოდებს ის მარცვლე-
ული მეურნეობის მდგომარეობის ანალიზს. ეს, ჩემის აზრით; სასა-
ცილოა, ამხანაგებო.

კარგი რამეც იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლება, მას რომ დე-
გრადაციამდე მიეყვანა სოფლის მეურნეობა თავისი არსებობის მე-1:1
წლის თავზე. ასეთი ხელისუფლება დამხობის და არა მხარის დაჭე-
რის ღირსი იქნებოდა.. და მუშები დიდი ხნით ადრე დაამხობდენ
ასეთ ხელისუფლებას, მას რომ დეგრადაციამდე მიეყვანა სოფლის
მეურნეობა.

ჩვენში არიან ყოველნაირი ბურუუზიული სპეცები, რომელნიც
სიზმარშიაც კი ზედავენ, რომ ხდება სოფლის მეურნეობის დეგრადა-
ცია. დეგრადაციის შესახებ მლეროდა ერთ დროს ტროციც. არ
მეგონა, თუ ამხ. ფრუმჟინიც ამ საეჭვო გზაზე დაადგებოდა.

რას ემყარება ამხ. ფრუმჟინი, როცა დეგრადაციის შესახებ
ლაპარაკობს? პირველ ყოვლისა იმას, რომ მიმდინარე წელს მარ-
ცვლეული კულტურების ნათესების სივრცე აღმოჩნდა უფრო ნაკლები,

ვიზრე წარსულ წელს. რით აიხსნება ეს ფაქტი? შეიძლება საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკით? რასაკვირველია, არა. ეს აიხსნება შემოდგომის ნათესების დაღუპვით უკრაინის ველებიან ზოლში და ნაწილობრივ ჩრდილოეთ კავკასიაში და მიმდინარე წლის გვალვით უკრაინის იმავე რაიონში. რომ არ ყოფილიყო ეს კლიმატიურად არახელსაყრელი პირობები, რომელზედაც მთლიანად და საესებით დამკიდებულია სოფლის მეურნეობა, ჩვენ მიმდინარე წელს მარცვლეული კულტურების ნათესი გვექნებოდა დაახლოვებით ერთი მილიონი დესეტინით უფრო მეტი, ვიდრე წარსულ წელს. შემდეგ ამბ. ფრუმჟინს საბუთად მოჰყავს ის, რომ მიმდინარე წელს მარცვლეულის საერთო პროდუქცია მცირედით აღმატება (70 მილ. ფუთით) წარსული წლის პროდუქციას, ხოლო პური და ჭვავი 200 მილიონი ფუთით ნაკლებია. მერე რით აიხსნება ყველაფერი ეს? იმავე გვალვით და შემოდგომის ნათესის დაღუპვით ნააღრევი სიცივეებისაგან. რომ არ ყოფილიყო ეს არახელსაყრელი კლიმატიური პირობები, პურის საერთო პროდუქცია ჩვენში იქნებოდა სამასი მილიონი ფუთით, მეტი, ვიდრე გასულ წელს. როგორ შეიძლება მხედველობაში არ შილოოთ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა გვალვა, ნააღრევი ყინვები და სხვ., რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მოსავლისთვის ამა თუ იმ რაიონში? ჩვენ ამჟამად დასახული გვაქვს ამოცანა—გავაფართოვოთ სათესი სივრცე 7 პროცენტით, გავადიდოთ მოსავლიანობა 3 პროცენტით, გავადიდოთ მარცვლეული პროდუქტების საერთო პროდუქცია დაახლოვებით 10 პროცენტით. ეჭვს გარეშეა; ჩვენ მივიღებთ ყოველ ზომას ამ ამოცანების შესასრულებლად. მაგრამ შესაძლებელია, რომ, ჩვენ მიერ მიღებული ლონისძებების მიუხედავად, ნაწილობრივი მოუსავლიანობა იყოს, ან ნააღრევი სიცივეები ან გვალვა ამა თუ იმ რაიონში; შესაძლებელია, რომ ამ გარემოებამ გამოიწვიოს მარცვლეული კულტურის საერთო პროდუქციის რამდენიმეთ შემცირება ჩვენ გეგმებთან შედარებით. ან თვით მიმდინარე წლის საერთო პროდუქციასთან შედარებითაც.

იქნება თუ არა ეს იმის ნიშანი, რომ სოფლის მეურნეობა განიცდის „დეგრადაციას“, რომ ამ „დეგრადაციაში“ დამნაშავეა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა, რომ ჩვენ „მოვუსპეთ“ გლეხს სამეურნეო სტიმული, „მოვუსპეთ“ მას სამეურნეო პერსპექტივა? (გამოტოვებულია) ასეთი გზა ან არხი სამია: მოსავლიანობის გადიდება და საუჯალო შეძლების მეურნეობათა სათესი სივრცეების გაფართოება,

კოლმეურნეობების შემდგომი განვითარება, ძველი კოლმეურნეობების გაფართოება და ახლების განვითარება.

ამაზე ლაპარაკი იყო ჯერ კიდევ ივლისის პლენუმის რეზოლუციაში. თეზისები იმეორებენ ივლისის პლენუმზე ნათქვამს, მაგრამ აყენებენ საკითხს უფრო კონკრეტულად, აძლევენ მას ციტრობრივ გამოხატულებას ამ საქმეში განსაზღვრული თანხების დაბანდების მხრივ. ამხ. ფრუშკინმა აქაც იპოვა საბაბი, რომ გამოგვდავებოდა. ის ფიქრობს, რომ რაღვან პირველი ადგილი ეთმობა ინდივიდუალურ მეურნეობას, ხოლო მეორე და მესამე კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს, ეს ნიშნავს მისი თვალსაზრისის გამარჯვებას. ეს სასაცილოა, ამხანაგებო. გასაგებია, რომ თუ საქმეს მივუდგებით სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ ფორმის ხვედრითი წონის თვალსაზრისით, პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ ინდივიდუალური მეურნეობა, ვინაიდან ის გვაძლევს თითქმის ექვსჯერ უფრო მეტ საბაზრო პურს, ვიდრე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. მაგრამ თუ საქმეს მივუდგებით მეურნეობის თვალსაზრისით, იმ თვალსაზრისით, თუ მეურნეობის რომელი ფორმა არის ჩვენთვის ყველაზე უფრო მისალები, მაშინ პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომელიც ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობასთან. შედარებით მეურნეობის უმაღლეს ტიპს წარმოადგენენ. ნუთუ კიდევ საჭიროა ამის მტკიცება, რომ ორივე ეს თვალსაზრისი ერთნაირად მისალებია ჩვენთვის.

რა არის საჭირო იმისთვის, რომ გავაცხოველოთ მუშაობა ყველა ამ სამი მიმართულებით, რომ პრაქტიკულად მივალწიოთ სოფლის მეურნეობის—პირველ რიგში მარცვლეული მეურნეობის—განვითარების ტემპის გადიდება?

აშენათვის საჭიროა, პირველ ყოვლისა, ჩვენი პარტიული კადრების ყურადღება მიექცეს სოფლის მეურნეობას, განსაკუთრებით მარცვლეულის პრობლემის კონკრეტულ საკითხებს. თავი უნდა დავანებოთ საერთო ფრაზებს და ლაყბობას სოფლის მეურნეობის. შესახებ და საერთოდ გადავიდეთ, ბოლოს, პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავებაზე მარცვლეული მეურნეობის გასაფართოვებლად. დროა სიტყვიდან გადავიდეთ საქმეზე, ხელი მივყოთ, ბოლოს, კონკრეტულ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ გავაუმჯობესოთ და განვავითაროთ შემდეგში კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები, როგორ გავუწიოთ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს დახმარება უკეთესა სათესლე მასალის და უკეთესი ჯიშის საქონლის მიწოდებით, როგორ მოვაწყოთ ორგანიზაციულად გლეხებისათვის მანქანებისა და

სხვა საწარმოო იარალის მიწოდება გასაქირავებელი პუნქტებიდან, როგორ გავაფართოეთ და გავაუმჯობესოთ კონტრაქტაციის საქმე და, საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და სხვ.

ხმა: ეს პრაქტიციზმია.

სტალინი: ასეთი პრაქტიციზმი ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, ვინაიდან მარცვლეულის პრობლემის უმნიშვნელოვანეს საკითხს ჩვენს ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადავჭრით ცალიერი ლაყბობით სოფლის მეურნეობის შესახებ საერთოდ. ცეკამ ამოცანად დაისახა მოწყოს პურის დამამზადებელი რაიონების ძირითადი მუშაკების მოხსენებები სახ. კომისართა საბჭოში და პოლიტბიუროში სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხების შესახებ.

ამ პლენურშე თქვენ მოისმენთ ამს. ანდრეევის მოხსენებას ჩრდილოეთ-კავკასიაში მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ. მე ვფიქრობ, რომ შემდგომ ჩვენ მოგვიხდება ასეთივე მოხსენებების მოსმენა უკრაინის, კოლგის რაიონის, ციმბირის და სხვათა შესახებ. ეს აუცილებლად საჭიროა იმისათვის, რომ პარტიის ყურადღება მივაქციოთ მარცვლეულის პრობლემას და კონკრეტულად დავსეათ ჩვენი პარტიული კადრების წინაშე მარცვლეულის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები.

გარდა ამისა, საჭიროა მივალწიოთ იმას, რომ ჩვენი პარტიული მუშაკები სოფლად თავის პრაქტიკულ საქმიანობაში გარკვევით არჩევდენ საშუალო გლეხს კულაკისაგან და არ ურევდენ მათ ერთმანეთში, არ ესხმოდენ თავს საშუალო გლეხს, როცა საჭიროა გალაშქრება კულაკის წინააღმდეგ. საჭიროა, ბოლოს, აღმოითხვერის ეს, მეტი რომ არა ესთქვათ, შეცდომები. ავილოთ, მაგალითად, საკითხი ინდივიდუალური დაბეგვრის შესახებ. ჩვენ გვაქვს პოლიტბიუროს დადგენილება და სათანადო კანონი ინდივიდუალური დაბეგვრის შესახებ გლეხობის არა უმეტეს 2—3 პროცენტისა, ე. ი. კულაკობის ყველაზე უფრო მდიდარი ნაწილისა. ხოლო რა ხდება სინამდვილეში? არის მრავალი რაიონი, სადაც იბეგრება 10—12 პროც. და შეიძლება მეტიც. ამგვარად, დაბეგვრა ვრცელდება საშუალო გლეხებზედაც. მე ვფიქრობ, დროა ბოლო მოელოს ამ ბოროტმოქმედებას და, აი, იმის მაგივრად, რომ დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ასეთი უმსგავსობის ლიკვიდაციისათვის, ჩვენი ძეირფასი კრიტიკოსები ვარჯიშობენ სიტყვებით და წინადადებას იძლევიან სიტყვები. „კულაკების უფრო მდიდარი ნაწილი“ შევცვალოთ სიტყვებით „კულაკების ყველაზე უფრო ზედა ფენა“. თითქოს ეს ერთი და იგივე არ იყოს! დამტკიცებულია, რომ კულაკი ჩვენში 5. პროცენტია. და-

მტკიცებულია, რომ კანონი ინდივიდუალობის მიხედვით ბეგრავს ქომ-ლების 2—3 პროცენტს, ე. ი. კულაკების ყველაზე უფრო მდიდარ ნაწილს. დამტკიცებულია, რომ პრაქტიკაში ეს კანონი ირღვევა მრავალ რაიონში, ხოლო „კრიტიკული“, იმის მაგიერ, რომ დასახონ კონკრეტული ლონისძიებანი ამ მოვლენათა ლიკვიდაციისათვის, აკრიტიკებენ სიტყვებს, მათ არ სურთ გაიგონ, რომ ამით ოდნავა-დაც არ იცვლება საქმის მდგომარეობა.

ხმა: წინადადებას იძლევიან, დაიბეგროს ინდივიდუალურად ყველა კულაკი.

სტალინი: მაშინ უნდა მოითხოვონ, გაუქმებულ იქნას კანონი 2—3 პროცენტიანი ინდივიდუალური დაბეგვრის შესახებ. მე კი ჯერ-ჯერობით არ გამიგონია, რომ ვინმეს მოეთხოვოს ამ კანონის გაუქ-მება. ამპობენ, რომ ინდივიდუალური დაბეგვრის თვითნებური გა-ფართოება მიზნად ისახავს ადგილობრივი ბიუჯეტის შევსებას. მაგ-რამ არ შეიძლება ადგილობრივი ბიუჯეტის შევსება. კანონის დარღვე-ვით, პარტიის დირექტივების დარღვევით. ჩევოლუციონური კანონიე-რების გატარება ცხოვრებაში, პრაქტიკული დახმარება ღარიბ და საშუ-ალო გლეხთა მეურნეობებისათვის კონტაქტაციის წესით და სხვა საგრ-ძნობლად ვააძლიერებს გლეხის სამეურნეო სტიმულს. ამხ. ფრუმჟინი-ფიქრობს, რომ ჩვენ ჩავკალით ან თითქმის ჩავკალით ეს სტიმული, მოვუსპექტ გლეხობას სამეურნეო პერსპექტივა. ეს, რასაკვირველია, სი-სულელეა. თუ ეს მართალია, მაშინ გაუგებარია, რაზე არის დაყრდნო-ბილი მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასების კავშირი? ხომ არ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს მორალური კავშირია? საჭიროა გაგება, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი არის ზნგა-რიშზე დამყარებული კავშირი, ორი კლასის ინტერესების კავშირი, მუშებისა და გლეხთა ძირითადი მასების კლასობრივი კავშირი, რო-მელიც მიზნად ისახავს ურთიერთ სარგებლობას.

ჩვენი პარტია ჯერ კიდევ ასებობს, ჯერ კიდევ არ მომხდარა-მისი ლიკვიდაცია. საბჭოთა ხელისუფლება ჯერ კიდევ არსებობს, ჯერ კიდევ არ მომხდარა მისი ლიკვიდაცია. და თუ არ გვეყოფა-სახსრები ადგილობრივ ბიუჯეტისათვის, უნდა დაგვათ საკითხი. ად-გილობრივი ბიუჯეტის შესახებ, და არა დავარღვიოთ კანონები და პარტიის დირექტივები.

შემდეგ, საჭიროა ღარიბი და საშუალო ინდივიდუალურ მეურნე-ობათა სტიმულის შემდგომი განვითარება. გასაგებია, რომ თუ ჩვენ ჩავკალით ან თითქმის ჩავკალით გლეხობის სამეურნეო სტიმული იმით, რომ მოვუსპექტ გლეხებს სამეურნეო პერსპექტივები, ჩვენ ალარ გვი-

ქნებოდა შეკავშირება, ჩვენ აღარ გვექნებოთა მუშაოა კლასის კავშირი გლეხობასთან. ცხადია, რომ აქ ლაპარაკი შეიძლება არა ლარიბ და და საშუალო მასების სამეურნეო სტიმულის „შექმნაზე“ ან „აშვებაზე“, არამედ იმაზე, რომ გავაძლიეროთ ეს სტიმული და შეიცეთ მას შემდგომი განვითარება მუშათა კლასის და გლეხობის ძირითადი მასების, სასარგებლოდ. სწორედ ამას გვეუბნება თეზისები სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შესახებ.

ბოლოს, საჭიროა გაძლიერებულ იქნას სოფლის მომარავება საქონლით. მე მხედველობაში მაქვს როვორც სამომხმარებლო საქონელი, ისე, განსაკუთრებით, საწარმოო სასიათის საქონელი (მანქანები, სასუქი და სხვა), რომლებსაც შეუძლიათ გააძლიერონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. ვერ ვიტყვით, რომ ამ მხრივ ჩვენში ყოველივე რიგზე იყოს. თქვენ იცით, რომ ჯერ კიდევ ბოლო არ მოლებია საქონლის ნაკლებობას, და საეჭვოა, რომ მაღვე მოელოს მას ბოლო. ჩვენში პარტიის ზოვიერთ წრეებში არსებობს ილიუზია იმის შესახებ, რომ ჩვენ ახლავე შეგვიძლია მოვახდინოთ საქონლის ნაკლებობის ლიკვიდაცია. სამწუხაროდ, ეს არ არის სწორი. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საქონლის ნაკლებობის მოვლენები დაკავშირებულია, ერთის მხრით, მუშათა და გლეხთა კეთილდღეობის ზრდასთან და იმასთან, რომ ძალიან იზრდება მოთხოვნილება იმ საქონელზე, რომელთა წარმოებაც მატულობს ყოველწლიურად, მაგრამ რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ მთელ მოთხოვნილებას, ხოლო მეორეს მხრით, მრეწველობის რეკონსტრუქციის დღევანდელ პერიოდთან. მრეწველობის რეკონსტრუქცია ნიშნავს სახსრების გადატანას მოხმარების საშუალებათა წარმობის დარგიდან საწარმოო საშუალებათა წარმოების დარღვევი. ამის გარეშე არ ხდება და არც შეიძლება მოხდეს მრეწველობის სერიოზული რეკონსტრუქცია, განსაკუთრებით ჩვენს საბჭოთა პირობებში:

მაგრამ რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ ფულს აბანდებენ ახალი წარმოების მშენებლობაში, იზრდება ქალაქებისა და ახალ მომხმარებელთა რაოდენობა იმ დროს, როდესაც ახალ წარმოებებს საქონლის ახალი მასა შეუძლიათ მოვცენ მხოლოდ 3-4 წლის შემდეგ. ადვილად გასაგებია, რომ ეს გარემოება ხელს ვერ შეუწყობს საქონლის ნაკლებობის ლიკვიდაციას.

განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ხელები უნდა დავიკრიფოთ და აღვიაროთ ჩვენი უძლურება საქონლის ნაკლებობის მოვლენების წინაშე? არა, ეს ამას არ ნიშნავს. საქმე ისაა, რომ ჩვენ შეგვიძლია და უნდა მივიღოთ კიდეც კონკრეტული ზომები იმისათვის, რომ შე-

ვასუსტოთ და შევანელოთ საქონლის ნაკლებობა. ეს შესაძლებელია, და ჩვენ ახლავე უნდა შევუდგეთ ამ საქმეს. ამისათვის უნდა შევუდგეთ მრეწველობის ისეთი დარგების გაძლიერებას, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებულნი სოფლის მეურნეობის წარმოების, განვითარებასთან (სტალინგრადის სატრაქტოორო ქარხანა, როსტოვის საჭ სოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა, ვორონეჟის ტრიერის ქარხანა და სხვ). შემდეგ, ამისათვის საჭიროა შეძლებისდაგვარად გავაძლიეროთ მრეწველობის ის დარგები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან დეფიციტიანი ხასიათის საქონლის მასის გადიდებასთან (მაუდი, მინა, ლურსმანი და სხვ.). ამს. კუბიაკი ამბობდა, რომ, სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების მიხედვით, ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობას წელს ნაკლები თანხები ეძლევა, ვიდრე წარსულ წელს მიეცაო. მე ვთექრობ, რომ ეს არ არის სწორი. ამს. კუბიაკი, ეტყობა, მხედველობაში არ იღებს იმას, რომ კონტრაქტაციის წესით ჩვენ წელს 350 მილიონი მანეთის კრედიტს ვაძლევთ სოფელს (თითქმის ასი მილიონით მეტი, ვიდრე წარსულ წელს). თუ ამ გარემოებას ანგარიშს გავუწევთ,— მას კი არ შეიძლება არ გაეწიოს ანგარიში,— გამოვა, რომ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის განვითარებისათვის წელს ჩვენ გაცილებით უფრო მეტს ვიძლევით, ვიდრე წარსულ წელს მივეცით.

რაც შეეხება ძველ და ახალ საბჭოთა მეურნეობებს და კოლმეურნეობებს, ამ საქმეში წელს დაბანდებული იქნება 180 მილიონი მან. (რაიც შარშანდელ რაოდენობას აღემატება 75 მილიონი მანეთით). განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და კონტრაქტაციის მეთოდებს. ყოველივე ეს არ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მხოლოდ საშუალება ჩვენი რესურსების გაძლიერებისათვის საბაზრო ბურის ხაზით. ამასთან ერთად, ისინი წარმოადგენენ მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასების კავშირის ახალ ფორმას. კონტრაქტაციის მეთოდზე უკვე საკმაოდ ითქვა და მე მასზე აღარ ვილაპარაკებ. კველასათვის ცხადია, რომ მასიური კონტრაქტაციის მეთოდი აადვილებს— ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანების საქმეს, მას მუდმივობის ელემენტი შეაქვს სახელმწიფოს და ურთიერთ დამოკიდებულებაში და, ამგვარად, იგი ამაგრებს კავშირს ქალაქსა და სოფელს შორის. მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო კოლმეურნეობებს, განსაკუთრებით საბჭოთა მეურნეობებს, როგორც ისეთ საშუალებას, რომელიც აადვილებს სოფლის მეურნეობის გარდაქმნას ახალი ტექნიკის ნიაღაზე, რევოლუციას ახდენს გლეხობაში და

ეხმარება მას უმეცრებიდან და რუტინიდან განთავისუფლების საქა-
მეში. ტრაქტორების და ღიღი სასოფლო-სამეურნეო მანქანების შე-
ტანამ პურის რაიონებში არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს მახ-
ლობელი სოფლების გლეხების მეურნეობაზე. თესლის, მანქანებისა-
და ტრაქტორების მიწოდებას გლეხის მეურნეობისათვის გლეხობა
შეაფასებს, როგორც მუშათა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების
მაჩვენებელს,—იმ მუშათა სახელმწიფოს, რომელიც ცდილობს ფარ-
თოდ განავითაროს სოფლის მეურნეობა. ამ გარემოებას ჩვენ არ ვი-
თვალისწინებდით დღემდე და ახლაც საქმაოდ ვერ ვითვალისწინებთ.
მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს არის მთავარი, რასაც კოლმეურნეო-
ბანი და საბჭოთა მეურნეობანი გვაძლევენ მარცვლეულის პრობლე-
მის გადაწყვეტის საქმეში.

ასეთია საერთოდ, ის გზები და საშუალებანი, რომლებითაც
უნდა განვითარდეს ჩვენი მუშაობა მარცვლეულის პრობლემის გადა-
წყვეტის საქმეში.

ბრძოლა გადახრებისა და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ.

ახლა გადავიდეთ ჩვენი ოეზისების მესამე ძირითად საკითხზე—
ლენინური ხაზიდან გადახრის საკითხზე.

გადახრების სოციალურ საფუძველს წარმოადგენს ის, რომ
ჩვენს ქვეყანაში სჭარბობს წერილი წარმოება, რომ წერილი წარმო-
ებიდან იზრდებიან კაპიტალისტური ელემენტები, რომ ჩვენი პარტია
გარემოულია წერილ-ბურუუაზიული სტიქიით და, ბოლოს, ის, რომ
ეს სტიქია გავლენას ახდენს ჩვენი პარტიის ზოგიერთ ფენებზე. ყვე-
ლა ამ გადახრას წერილბურუუაზიული ხასიათი აქვს.

რაში მდგომარეობს მემარჯვენე გადახრა, რაზედაა უმთავრესად
ლაპარაკი აქ? საითკენ მიღის ეს გადახრა? ეს გადახრა მიღის ბურ-
უუაზიულ იდეოლოგიასთან შეეგუების ხაზით, იმ ხაზით, რომ ჩვენი
პოლიტიკა შეეგუოს „საბჭოთა“ ბურუუაზიის გემოვნებასა და მო-
თხოვნილებებს.

რას გვემუქრება მემარჯვენე. გადახრა, თუ ამ გადახრამ გაი-
მარჯვა ჩვენს პარტიაში? ეს იქნება ჩვენი პარტიის იდეური განადგუ-
რება, კაპიტალისტური ელემენტებისთვის ხელ-ფეხის გახსნა, კაპი-
ტალიზმის რესტავრაციის შანსების გაზრდა, ან, როგორც ლენინი
ამბობდა, „კაპიტალიზმისაკენ დაბრუნება“.

სად არის, უმთავრესად, მემარჯვენე გადახრის ტენდენცია?
ჩვენს საბჭოთა, სამეურნეო, კომპერატიულ, პროფესიონალურ აპა-

რატებში და აგრეთვე პარტიის აპარატში, განსაკურებით მის სოფ-ლის ქვედა საფეხურებზე.

არიან თუ არა ჩვენი პარტიის წევრებს შორის ისეთები რო-მელნიც მემარჯვენე გადახრას გამოხატავენ? უსათუოდ არიან. ამ. რიკოვმა მაგალითისათვის მჩიყვანა შატუნოვსკი, რომელმაც „ღნე-პროსტროი“-ს მშენებლობის წინააღმდეგ გაილაშქრა. ეჭვს გარეშე, რომ შატუნოვსკიმ დაუშვა გადახრა მარჯვნივ, გადახრა აშვარა ოპორტუნიზმისაკენ. მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ შატუნოვსკი არ არის მემარჯვენე გადახრის, მისი ფიზიონომიის ტიპიური დამახასი-ათებელი, მე ვფიქრობ, რომ აქ პირველობა ფრუმქინს ეკუკვნის (სი-ცილი). მე მხედველობაში მაქვს მისი პირველი წერილი (1928 წლის ივნისი) და შემდეგ მისი მეორე წერილი, რომელიც აქ დღეს დაუ-რიგდა ცენტრ. კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომი-სის წევრებს (1928 წლის ნოემბერი).

გავარჩიოთ ეს წერილები. ავილოთ პირველი წერილის „ძირი-თადი დებულებანი“.

1. „სოფელი, ღარიბი გლეხობის მცირე ნაწილს გარდა, ჩვენს წინააღმდეგა განწყობილი“.

მართალია თუ არა ეს? ცხადია, რომ მართალი არ არის. ეს რომ მართალი იყოს, მაშინ სოფლისა და ქალაქის კავშირისაგან მო-გონებაც კი აღარ დარჩებოდა. ხოლო ივნისიდან (წერილი ივნისშია დაწერილი) უკვე თითქმის ნახევარი წელი გავიდა და ყველა, ვინც არ დაბრმავებულა, ხედავს, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის ძი-რითადი მასის კავშირი რჩება და მტკიცდება. რისთვის სწერს. ფრუმ-კინი ამ შეუსაბამობას? იმისთვის, რომ დაშინოს პარტია და და-თმობის გზაზე დააყენოს მემარჯვენე გადახრის მიმართ“.

2. „უკანასკნელ ხანებში აღებულმა გეზმა საშუალო გლეხობის ძირითად მასებს პერსპექტივები მოუსაპონ“.

მართალია თუ არა ეს? სრულებით არ არის მართალი. ცხა-დია, ამა წლის გაზაფხულზე რომ საშუალო შეძლების გლეხობა-ში სამეურნეო უიმედობა და უპერსპექტივობა ყოფილყო, მა-შინ საშუალო შეძლების გლეხი პურის წარმოების მთავარ რაიონებ-ში არ შეუდგებოდა გაზაფხულის ნათესის გაფართოებას. ვინ არის ჩვენში დღეს პურის პროდუქტების მთავარი დამამზადებელი? სახელ-მწიფო და მასთან დაკავშირებული კომპერაცია. ცხადია, საშუალო შეძლების მასები რომ სამეურნეო პერსპექტივებს მოკლებულნი იყენენ, მათ რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან კავშირი გაწყვეტილი, ჰქონ-დეთ, მაშინ ისინი არ დაიწყებდენ გაზაფხულის ნათესის გაფარ-

თოვებას სახელმწიფოს, როგორც პურის ძირითადი დამამზადებლის, გულისათვის. ამხ. ფრუმჟინი აშკარა შეუსაბამობას ამბობს. აქეც ამს: ფრუმჟინი სცლილობს დააშინოს პარტია უპერსპექტივობის „საშინე-ლებით“, რომ დათმობის გზაზე დაყენოს იგი მისი, ამხ. ფრუმჟინის, თვალსაზრისის მიმართ.

3. „უნდა დავუბრუნდეთ მე-14 და მე-15 პარტყრილობებს“.

ეჭვს გარეშეა, რომ მე-15 ყრილობა აქ არაფერ შუაშია. საქმე აქ მე-15 ყრილობაში კი არ არის, არამედ ღოზუნგში: უკან, მე-14 ყრილობისაკენ“. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს კულაკის წინააღმდეგ შეტევის გაძლიერებაზე უარის თქმას (იხ. მე-15 ყრილობის ჩეზო-ლუცია).

ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ავად მოვიხსენიო მე-14 ყრილობა. სრულებითაც არა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ როდესაც ამხ. ფრუმჟინი მოგვიწოდებს დავუბრუნდეთ მე-15 ყრილობას, ის უარ-ჰყოფს იმ ნაბიჯს, რომელიც გადასდგა პარტიამ მე-14 ყრილობიდან მე-15 ყრილობამდე და ამ ნაბიჯის უარყოფით უკან ეწევა. პარტიას. ცეკას ივლისის. პლენუმს ჰქონდა მსჯელობა ამ საკითხზე. პლენუმმა პირდაპირ განაცხადა თავის ჩეზოლუციაში, რომ ის, ვინც ცდილობს გვერდი აუხვიოს მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებას „კულაკებზე შემდგომი შეტევის განვითარების“ შესახებ, წარმოადგენს „ბურუუაზიული ტენდენციების გაძლიერებას ჩვენს ქვეყანაში“. პირდაპირ ვეტყვი ამხ. ფრუმჟინს, როდესაც პოლიტბიურო ამუშავებდა ივლისის პლენუმის ჩეზოლუციის ამ მუხლს, მას მხედველობაში ჰყავდა ამხ. ფრუმჟინი და მისი პირველი წერილი.

4. „მაქსიმალური დახმარება უნდა გაეწიოს ღარიბ გლეხობას, რომელიც კოლექტივებში ერთიანდება“.

ჩვენი ძალონისა და შესაძლებლობის მიხედვით ჩვენ ყოველ-თვის უწევდით მაქსიმალურ დახმარებას ღარიბ გლეხობას, რომელიც კოლექტივებში ერთიანდებოდა, და იმ ღარიბ გლეხობასაც, რომელიც კოლექტივებში არ შედიოდა. ამაში არაფერი არ არის ახალი. მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებათა სიახლე, მე-14 ყრილობისათან შედარებით, ამაში კი არ მდგომარეობს, არამედ იმაში, რომ მე-15 ყრილობამ კოლმეურნეობათა მშენებლობის ყოველმხრივ განვითარება დასახა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სადლეისო ამოცანად. როდესაც ამხ. ფრუმჟინი ლაპარაკობს კოლექტივებში შემავალი ღარიბი გლეხობისათვის მაქსიმალური დახმარების გაწევაზე, ის გვერდს უხვევს საქმის შინაარსს, გვერდს უხვევს პარტიის იმ ამოცანას კოლმეურნეობათა მშენებლობის ყოველმხრივ განვითარების შესახებ, რო-

მელიც დაგვისახა მე-15 ყრილობაში. არსებითად ამს. ფრუმჟინი იმის წინააღმდეგია, რომ ფართოდ განვითარდეს მუშაობა სოციალისტური სექტორის გასაძლიერებლად სოფლად კოლმეურნეობათა ხაზით.

5. „არ უნდა გაწარმოოთ საბჭოთა მეურნეობების განვითარება დაკვრითი და „ზედაკვრითი“ წესით“.

ამს. ფრუმჟინმა არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ჩვენ ვიწყებთ სერიოზულ მუშაობას ძევლი საბჭოთა მეურნეობის ვისაფართოვებლად და ახლის შესაქმნელად. ამს. ფრუმჟინმა არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ჩვენ ამ საქმეში იმაზე ბევრად უფრო ნაკლებ თანხებს ვხარჯავთ, ვიღრე საჭიროა ვხარჯავდეთ, რომ ამისათვის რაიმე რეზერვი მოგვეპოვებოდეს. სიტყვები „დაკვრითი და „ზედაკვრითი“ წესით“ ამს. ფრუმჟინს მოყვანილი აქვს იმისათვის, რომ „შიშის ჩარი“ დასცეს ხალხს და ამით დაფაროს ის გარემოება, რომ მას არ სურს საბჭოთა მეურნეობების ცოტად თუ ბევრად სერიოზული განვითარება. ამს. ფრუმჟინი აქ არსებითად ილაშქრებს სოციალისტური სექტორის გაძლიერების წინააღმდეგ სოფლად საბჭოთა მეურნეობების ხაზით.

ახლა თავი მოუყარეთ ამს. ფრუმჟინის ამ დებულებებს და მიიღებთ იმ თაიგულს, რომელიც ახასიათებს მემარჯვენე გადახრას.

გადავიდეთ ამს. ფრუმჟინის მეორე წერილზე. რით განსხვავდება: შეორე წერილი პირველისაგან? იმით, რომ ის ოლრმავებს პირველი წერილის შეცდომებს. პირველ წერილში ლაპარაკი იყო საშუალო გლეხის მეურნეობის უპერსპექტივობაზე. მეორე წერილში კი ლაპარაკია სოფლის მეურნეობის „დეგრადაციაზე“. პირველ წერილში ლაპარაკია იმაზე, რომ უნდა დავუბრუნდეთ მე-14 ყრილობას იმ მხრივ, რომ შევასუსტოთ კულაკის წინააღმდეგ წარმოებული შეტევა, მეორე წერილში კი ლაპარაკია იმაზე, რომ „ჩვენ ხელი არ უნდა შევუშალოთ კულაკურ მეურნეობათა წარმოებას“. პირველ წერილში არაფერი არ არის ნათქვამი მრეწველობაზე, მეორე წერილი კი ანგითარებს „ახალ“ თეორიას იმის შესახებ, რომ რაც შეიძლება ნაკლები თანხები გავიღოთ სამრეწველო მშენებლობისათვის. მაგრამ არის ორი მუხლი, რომლის შესახებაც ორივე წერილში ერთნაირი აზრია გამოთქმული: კოლმეურნეობათა საკითხზე როგორც პირველ, ისე მეორე წერილში ამს. ფრუმჟინი ილაშქრებს კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ფართო მშენებლობის წინააღმდეგ. აშკარაა, რომ მეორე წერილი არის პირველი წერილის შეცომების გალრმავება.

„დევრადაციის“ თეორიაზე მე უკვე ვილაპარაკე. ეჭვს გარეშეა, რომ ეს თეორია არის იმ ბურუუაზიული სპეციების მიერ გამოგონილი ამბავი, რომლებიც მხად არიან იყვირონ, საბჭოთა ხელისუფლება იღუპებათ. ამს. ფრუმჟინმა თავი შეაშინებინა იმ ბურუუაზიულ სპეციებს, რომლებიც ფინსახეობის ირგვლივ არიან თავშეფარებულინი, და ახლა თითონ ცდილობს შეაშინოს პარტია, რათა იგი დათმობის გზას დაადგეს მემარჯვენე გადახრის მიმართ.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესახებაც საკმაოდ ვილაპარაკეთ. ამიტომ არ ლირს ნათქვამის განმეორება. განვიხილოთ ორი დანარჩენი მუხლი: კულაკური მეურნეობის შესახებ და მრეწველობის კაპიტალური ხარჯების შესახებ. კულაკური მეურნეობის შესახებ ამს. ფრუმჟინი ამბობს, რომ „ჩვენ ხელი არ უნდა შევუშალოთ კულაკურ მეურნეობათა წარმოებას“. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ხელი არ უნდა შევუშალოთ კულაკს განვითაროს თავისი ექსპლოატატორული მეურნეობა. მაგრამ რას ნიშნავს ის, რომ ხელი არ შევუშალოთ კულაკს განვითაროს თავისი ექსპლოატატორული მეურნეობა? ეს ნიშნავს კაპიტალიზმისათვის ხელფეხის გასსნას სოფლად, მის განთავისუფლებას. გამოდის საფრანგეთის ლიბერალების ძეველი ლოზუნგი: „ლესე ფერ, ლესე პასე“, ე. ი. ხელს ნუ შეუშლით ბურუუაზიას აკეთოს თავისი საქმე, ხელს ნუ შეუშლით ბურუუაზიას თავისუფლად იმოძრაოს. ამ ლოზუნგს აყენებდენ საფრანგეთის ძეველი ლიბერალები საფრანგეთის რევოლუციის და ფეოდალურ ხელისუფლებასთან ბრძოლის დროს, ვინაიდან ფეოდალური ხელისუფლება ავიწროვებდა ბურუუაზიას და არ აძლევდა მას განვითარების საშუალებას. გამოდის, რომ სოციალისტური ლოზუნგიდან „კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის თანდათანი გაძლიერების შესახებ“ (იხ. თეზისები საკონტროლო ციფრების შესახებ) ჩვენ უნდა დაეუბრუნდეთ ბურუუაზიულ ლოზუნგს—არ შევავიწროვოთ კაპიტალიზმის განვითარება სოფლად. როგორ, ნუთუ ჩვენ ვაპირებთ ბოლშევიკებიდან ლიბერალებად გადავიქცეთ? რა შეიძლება იყოს საერთო ამს. ფრუმჟინის ამ ბურუუაზიულ ლოზუნგსა და პარტიის ხაზს შორის?

ამს. ფრუმჟინი: ამს. სტალინო, სხვა მუხლებიც წაიკითხეთ.

ამს. სტალინი: მე ვკითხულობ მთელ მუხლს. „ჩვენ ხელს არ უნდა ვუშლიდეთ არც კულაკურ მეურნეობათა წარმოებას, და ამავე დროს უნდა ვებრძოლოთ მათ ველურ ექსპლოატაციას“. ამს. ფრუმჟინი, ნუთუ გვინდით, რომ ფრაზის მეორე ნახევარი კი არ აუარესებს საქმეს, არამედ აუმჯობესებს მას? რას ნიშნავს ბრძოლა ველურ

ექსპლოატაციასთან? ველურ ექსპლოატაციასთან პრძოლის ლოზუნგი ხომ ბურჟუაზიული რევოლუციის ლოზუნგია ექსპლოატაციის ფეოდალური და ნახევრად ფეოდალური მეთოდების წინააღმდეგ. ამ ლოზუნგს ჩვენ მართლაც ვაყენებით, როდესაც ვამზადებდით ბურჟუაზიულ რევოლუციის, მაშინ ჩვენ ვანსხვავებდით ექსპლოატაციის ველურ ფორმას, რომლის აღმოფხერასაც ვცდილობდით, ექსპლოატაციის არაველური, ეგრეთწოდებული „პროგრესიული“ ფორმისაგან, რომლის შეზღუდვა ან მოსპობა მაშინ. არ შეგვეძლო, რამდენადაც ბურჟუაზიული წყობილება კიდევ ძალაში რჩებოდა. მაგრამ მაშინ ჩვენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის ვამზადებდით. ახლა ჩვენში, თუ არ ვცდები, სოციალისტური რევოლუციაა, როგორსაც მიზნად აქვს ექსპლოატაციის ყველა, როგორც ველური, ისე არაველური, ფორმის მოსპობა. ამს. ფრუმჟინო, ნუთუ თქვენ გინდათ, რომ სოციალისტური რევოლუციის დროს, რომელსაც ჩვენ თანდათან ვანგითარებთ, უკან დავიხიოთ და დავუბრუნდეთ ბურჟუაზიული რევოლუციის ლოზუნგებს? როგორ შეიძლება, ამს. ფრუმჟინო, ასეთი სისულელის თქმა? შემდეგ. რას ნიშნავს ის, რომ ხელი არ შევუშალოთ კულაკურ მეურნეობას? ეს ნიშნავს კულაკისათვის თავისუფლების მიცემას. მაგრამ რას ნიშნავს მისთვის თავისუფლების მიცემა? ეს ნიშნავს მისთვის ხელისუფლების მიცემას. როდესაც საფრანგეთის ბურჟუაზიული ლიბერალები მოითხოვდენ ფეოდალური ხელისუფლებისაგან, რომ მას ხელი არ შეეშალა ბურჟუაზიის განვითარებისათვის, ამას ისინი გამოხატავდენ კონკრეტულ მოთხოვნებში იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიას მისცემოდა ხელისუფლება. ისინი მართალი იყვნენ. რომ ბურჟუაზიას ჰქონდეს სათანადო განვითარების საშუალება, მას უნდა ჰქონდეს ხელისუფლება; მაშასადამე, თუ ლოლიკას დაიცავთ, უნდა სთქვათ: „მიუშვით კულაკი ხელისუფლებასთან“, ვინაიდან, ხომ უნდა გავიგოთ, რომ არ შეიძლება არ შევავიწროვთ კულაკური მეურნეობის განვითარება, როდესაც კულაკს ვართმევთ ხელისუფლებას და ამ ხელისუფლებას ვაძლევთ მუშათა კლასს. აი რა დასკვნებს ვლებულობთ, როდესაც ვკითხულობთ. ამს. ფრუმჟინის მეორე წერილს.

მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის შესახებ.

საკონტროლო ციფრების განხილვის დროს ჩვენ გვქონდა სამი ციფრი: ს. მ. უ. საბჭო მოითხოვდა 825 მილიონ მანეთს, სახელმწიფო საგეგმო კომისია იძლეოდა 750 მილიონ მანეთს, ხოლო ფინსახეობი თანხმდებოდა გაეცა მხოლოდ 650 მილიონი მანეთი. რა

გადაწყვეტილება მიიღო ამ საკითხში ჩვენი პარტიის ცეკაში? მან გან-
საზღვრა ეს ციფრი 800 მილიონი მანეთით, ე. ი. სრული 150 მი-
ლიონი მანეთით მეტი იმ ციფრზე, რომელსაც ასახელებდა ფინ-
სახეობი.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი რომ ცოტას იძლეოდა, ეს,
რა თქმა უნდა, სრულებით არ არის გასაკვირველი. ფინანსთა სა-
ხალხო კომისარიატის სიძუნწე ცველასათვის ცნობილია, იგი არც
შეიძლება ასეთი არ იყოს, მაგრამ ახლა საქმე ამაში არ არის: საქმე
ისაა, რომ ამს ფრუმჟინი იცავს ციფრს 650 მილიონ მანეთს არა
სიძუნწეით, არამედ „შესაძლებლობათა“ ახლად გამომცხარი თეო-
რიის თანახმად; იგი თავის მეორე წერილში და ფინანსთა სახალხო
კომისარიატის ორგანოში დაბეჭდილ სპეციალურ წერილში ამტკი-
ცებს, რომ უსათუოდ გავაუარესებთ ჩვენი მეურნეობის საქმეს, თუ
სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კაპიტალური მშენებლობი-
სათვის 650 მილიონ მანეთზე მეტს მივცემთ. რას ნიშნავს ეს? ეს
იმას ნიშნავს, რომ ამს ფრუმჟინი ინდუსტრიალიზაციის განვითა-
რების დღევანდელი ტემპის შენარჩუნების წინააღმდეგია. მას, ეტ-
კობა, არ ესმის, რომ ამ ტემპის შენელება ნამდვილად გააუარესებს
მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის მდგომარეობას.

შეაერთეთ ახლა ეს ორი მუხლი ამს. ფრუმჟინის მეორე წე-
რილში: მუხლი კულაკური მეურნეობის შესახებ და მუხლი მრეწვე-
ლობის კაპიტალური მშენებლობის შესახებ, დაუმატეთ ამას „დე-
გრადაციის“ თეორია, და მიიღებთ მემარჯვენე გადახრის ფიზიონომიას..

თქვენ გინდათ იცოდეთ, რა არის მემარჯვენე გადახრა, რო-
გორ გამოიყრება იგი? წაიკითხეთ ამს. ფრუმჟინის ორივე წერილი,
შეისწავლეთ ისინი და გაიგებთ ამას. ასეთია მემარჯვენე გადახრის
ფიზიონომია. მაგრამ თეზისები ლაპარაკობენ არა მარტო მემარჯვენე
გადახრის შესახებ, ისინი ლაპარაკობენ. აგრეთვე ეგრეთწოდებულ
„მემარცხენე“ გადახრის შესახებაც. რა არის „მემარცხენე“ გადახრა?
არსებობს თუ არა ნამდვილად ჩვენს პარტიაში ეგრეთწოდებული
„მემარცხენე“ გადახრა. არსებობს თუ არა ჩვენს პარტიაში საშუ-
ალო გლეხობის წინააღმდეგ მიმართული ტენდენციები, როგორცაა
ნათქვამი ჩვენს თეზისებში, ზეინდუსტრიალისტური ტენდენციები და
სხვა? ღიას, არსებობს.

რა გვიჩვენებს ამ ტენდენციებს? ამ ტენდენციებს გვიჩვენებს
ტროციზმისაკენ გადახრა. ამას ჯერ კიდევ ივლისის პლენუმი აღ-
ნიშნავდა. მე მხედველობაში მაქვს ივლისის პლენუმის ცნობილი
რეზოლუცია პურის დამზადების პოლიტიკის შესახებ. ამ რეზოლუ-

ციაში ლაპარაკია ორ ფრონტზე ბრძოლის შესახებ: იმათ წინა-აღმდეგ, ვინც ცდილობს პარტიას დაახევინოს უკან, მე-15 ყრი-ლობიდან — ეს მემარჯვენები არიან, და იმათ წინააღმდეგ, ვისაც სურს საგანგებო ზომები გადააქციოს პარტიის მუდმივ კურსად — ეს „მემარცხენე“ ტენდენციებია ტროცკიზმისაკენ. ცხადია, ტროცკიზმის ელემენტები, ტროცკისტული იდეოლოგიის ტენდენციები არსებობს ჩევნი პარტიის შიგნით. მგონი, დაახლოვებით 6.000 კაცმა მისცა ხმა ჩევნი პლატფორმის წინააღმდეგ. დასუსიის დროს, პარტიის მე-15 ყრილობის წინ.

ხშა: ათიათასმა.

სტალინი: თუ ათიათასმა კაცმა წინააღმდეგ მისცა ხმა, მე ვფიქრობ, რომ ორჯერ ათიათასმა ტროცკიზმის თანამგრძნობმა პარტიის წევრმა სულ არ მიიღო მონაწილეობა კენჭის ყრაში, რაღაც კრებებზე არ მოვიდა. ეს სწორედ ის ტროცკისტული ელემენტები არიან, რომლებიც პარტიიდან არ გამოსულან და საფიქრებელია, რომ ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან ტროცკისტული იდეოლოგიისაგან. გარდა ამისა, მე ვფიქრობ, რომ ტროცკისტების ნაწილი, რომელიც შემდეგ ტროცკისტულ ორგანიზაციას ჩამოშორდა და პარტიაში დაბრუნდა, ჯერ კიდევ ვერ გამოსთხოვებია ტროცკისტულ იდეოლოგიას და, ალბად, უარს არ იტყვის, რომ თავისი აზრები გაავრცელოს პარტიის წევრთა შორის. ბოლოს, ჩევნ ვხედავთ ტროცკისტული ორგანიზაციის ერთგვარი აღორძინების ფაქტს ჩევნი პარტიის ზოგიერთ ორგანიზაციაში. ერთიმეორეს დაუმატეთ ყოველივე ეს, და მიიღებთ საჭირო ელემენტებს იმისათვის, რომ პარტიაში ტროცკიზმისაკენ გადახრა დავინახოთ.

ჩევნ ვამბობთ: სადაც არსებობს მემარჯვენე გადახრა, იქ „მემარცხენე“ გადახრაც უნდა იყოს. „მემარცხენე“ გადახრა მემარჯვენე გადახრის ჩჩდილია. ლენინი ამბობდა (მხედველობაში ჰყავდა „ოტ-ზოვისტები“), რომ „მემარცხენეები“ იგივე მენშევიკები არიან, მხოლოდ სახეშეცვლილნი. ეს სრულიად მართალია. იგივე უნდა ითქვას ახლანდელი „მემარცხენეების“ შესახებაც. ტროცკიზმისაკენ გადახრილი პირები არსებითად იგივე მემარჯვენეები არიან, მხოლოდ სახეშეცვლილნი, ისეთი მემარჯვენეები, რომლებიც „მემარცხენე“ ფრაზას ეფარებიან. აქედან გამომდინარეობს ბრძოლა ორ ფრონტზე — მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ და „მემარცხენე“ გადახრის წინააღმდეგ.

შეიძლება სთქვან: თუ „მემარცხენე“ გადახრა არსებითად იგივე მემარჯვენე აპორტუნისტული გადახრაა, მაშინ სადღაა მათ შორის

განსხვავება, სად არის აქ ორი ფრონტი? მართლაც, თუ მემარჯვე-ნეების გამარჯვება ნიშნავს კაპიტალიზმის რესტავრაციის შანსების გადილებას და „მემარცხენეების“ გამარჯვებაც იმავე შედეგებს გამოიწვევს, მაშინ რაღა განსხვავებაა მათ შორის? რატომ უწოდებენ ზოგს მემარჯვენეებს, ზოგს „მემარცხენეებს“? და თუ მათ შორის განსხვავება არსებობს, რაში მდგომარეობს ეს განსხვავება? განა მართალი არ არის, რომ ორივე გადახრას ერთიდაიგივე სიციალური ფესვი აქვს, ორივე გადახრა წვრილ-ბურუუაზიული გადახრაა? განა მართალი არ არის, რომ ორივე გადახრა, თუ გაიმარჯვებენ, ერთსადაიმავე შედეგებს გამოიწვევს? სადღლაა განსხვავება მათ შორის?

განსხვავება ის არის, რომ მათ სხვადასხვანაირი პლატფორმა აქვთ, სხვადასხვანაირი მოთხოვნანი; სხვადასხვანაირი მიდგომა და ხერხი. თუ, მაგალითად, მემარჯვენეები ამბობენ: „საჭირო არ იყო ღნეპროსტროის აგება“, „მემარცხენეები“, პირიქით, გაიძახიან: „რას გვეყოფა ერთი ღნეპროსტროი, მოიტათ ყოველწლიურად თითო-თითო ღნეპროსტროი“ (სიცილი). მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ განსხვავება, უეჭველია, არსებობს. თუ მემარჯვენეები ამბობენ: „ხელს ნუ ახლებ კულაკს, მიეცი განვითარების თავისიუფლება“, „მემარცხენეები“, პირიქით, გაიძახიან: „ჰე არა მარტო კულაკს, არამედ საშუალო გლეხსაც, რადგან ისიც ისეთივე კერძო მესაკუთრეა, როგორც კულაკი“, — მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ განსხვავება, უეჭველია, არსებობს. თუ მემარჯვენეები ამბობენ: „გაგვიჩნდა სიძნელეები, დრო არის უკან დავიხილოთ“, „მემარცხენეები“, პირიქით, გაიძახიან: „რის სიძნელე, რა სიძნელე, რას მიქვიან სიძნელეები, გავსწიოთ წინ, წინ, რაც ძალ-ლონე გვაქს“ (სიცილი). მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ განსხვავება, უეჭველია, არსებობს.

აი „მემარცხენეთა“ სპეციულური პლატფორმისა და სპეციული ხერხების სურათი. ამით აისწება ის გარემოება, რომ ხანდახან „მემარცხენეები“ ახერხებენ მუშების გადაბირებას მემარცხენე მყვირალა ფრაზებით და თავის დასახვას მემარჯვენეთა ყველაზე უფრო სასტიკ მოწინააღმდეგებად, თუმცა მთელმა ქვეყანამ იცის, რომ მათი, „მემარცხენეების“, სიციალური ფესვები იგივეა, რაც მემარჯვენეებისა, და რომ ისინი ხშირად ბლოკს კრავენ მემარჯვენეებთან ლენინური ხაზის წინააღმდეგ საბრძოლველად.

აი რათ არის ჩვენთვის, ლენინელებისათვის, სავალდებულო ბრძოლა ორ ფრონტზე — როგორც მემარჯვენე გადახრისა, ისე „მემარცხენე“ გადახრის წინააღმდევ.

მაგრამ თუ ტროცკისტული ტენდენცია წარმოადგენს „მემარცხენე“ გადახრას, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ „მემარცხენები“ ლენინიზმზე უფრო მარცხნივ დგანან? არა, არ ნიშნავს. ლენინიზმი არის ცველაზე უფრო - მემარცხენე (უწინწკლებოდ) მიმდინარეობა მსოფლიო მუშათა მოძრაობაში. ჩვენ, ლენინელები, იმპერიალისტური ომის დასაწყისი პერიოდის მეორე ინტერნაციონალში. შევდიოდით როგორც სოციალ-დემოკრატების უკიდურესი მემარცხენე ფრაქცია. ჩვენ არ დავრჩით მეორე ინტერნაციონალში და ვქადაგებდით გათიშვას მეორე ინტერნაციონალში იმიტომ, რომ სწორედ ჩვენ, როგორც უკიდურეს მემარცხენე ფრაქციას, არ ვვინდოდა მარქსიზმის წვრილ-ბურუჟაზიულ მოლალატებთან, სოციალ-პაციფისტებთან და სოციალ-შოვინისტებთან ერთად ყოფნა. ეს ტაქტიკა, ეს იდეოლოგია დაედო შემდგომ საფუძვლად მთელი მსოფლიოს ბოლშევიკურ პარტიებს. ჩვენს პარტიაში ჩვენ, ლენინელები, ერთადერთი მემარცხენები (უწინწკლებოდ) ვართ. ამიტომ ჩვენ, ლენინელები, არც „მემარცხენები“ ვართ და არც მემარჯვენები ჩვენს პარტიაში. ჩვენ ვართ მარქსისტ-ლენინელების პარტია და ჩვენს პარტიაში ვებრძეოთ არა მარტო იმათ, ვისაც ვუწოდებთ აშკარა აპორტუნისტულ გადახრებს, არამედ იმათაც, რომელთაც სურთ იყვნენ მარქსიზმზე უფრო „მემარცხენები“, ლენინიზმზე უფრო „მემარცხენები“ და რომლებიც თავიანთ მემარჯვენე აპორტუნისტულ ბუნებას ჰყარავენ მყვირალა მემარცხენე ფრაზებით. ყველასთვის ცხადია, რომ როცა იმ ხალხს, რომელიც ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა ტროცკისტული ტენდენციებისაგან, უწოდებენ „მემარცხენებს“, — ეს უნდა გავიგოთ ირონიულად. ლენინი „მემარცხენე კომუნისტებს“ მემარცხენებს უწოდებდა ხან წინწკლებში, ხან უწინწკლებოდ. მაგრამ ყველასათვის გასაგებია, რომ მემარცხენებს ლენინი მათ უწოდებდა ირონიულად და ამით ხაზს უსეამდა იმას, რომ ისინი მემარცხენები არიან მხოლოდ სიტყვით, საჭირო კი წვრილ-ბურუჟაზიულ მემარჯვენე ტენდენციებს წარმოადგენენ.

ტროცკისტული ელემენტების რომელ მემარცხენებაზე (უწინწკლებოდ) შეიძლება ლაპარაკი, თუ ისინი ჯერ კიდევ გუშინ ერთი-ანდებოდენ მთლიან ანტილენინურ ბლოკში აშკარა აპორტუნისტულ ელემენტებთან, პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდებოდნენ ქვეყნის ანტისაბჭოთა ფენებს? განა ეს ფაქტი არ არის, რომ ჩვენ ჯერ კი-დევ გუშინ „მემარცხენებისა“ და მემარჯვენების აშკარა ბლოკი გვქონდა ლენინის პარტიის წინააღმდეგ და ამ ბლოკს უსათუოდ მხარს უჭერდენ ბურუჟაზიული ელემენტები? და განა ეს იმას არ ამტკი-

ცებს, რომ ეს „მემარცხენები“ და მემარჯვენები მთლიან ბლოკში ვერ გაერთიანდებოდენ, მათ რომ საერთო სოციალური საფუძვლები და საერთო ოპორტუნისტული ბუნება არ ჰქონიდათ? ტროცკისტების ბლოკი ერთი წლის წინათ დაიშალა. მემარჯვენეთა ნაწილი, შატუნოვსკის მსგავსნი, ბლოკს ჩამოშორდა, მაშასადამე, მემარჯვენე ბლოკისტები ამიერიდან გამოვლენ როგორც მემარჯვენები, ხოლო „მემარცხენები“ თავიანთ მემარჯვენეობას მემარცხენე ფრაზებით დამალავენ. მაგრამ რა გარანტია გვაქვს ჩვენ, რომ „მემარცხენები“ და მემარჯვენები ისევ არ მონახავენ ერთმანეთს? (სიცილი). ცხადია, არ არის და არც შეიძლება იყოს ამის გარანტია.

მაგრამ თუ ჩვენ ვიცავთ ორ ფრონტზე ბრძოლის ლოზუნგს, ნიშავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ ამით ვიცავთ ცენტრალიზმის იდეას ჩვენს პარტიაში? რას ნიშავს ბრძოლა ორ ფრონტზე? არის თუ არა ეს ცენტრალიზმი? თქვენ იცით, რომ ტროცკისტები სწორედ ასე გვიხატავენ საქმეს: არიან „მემარცხენები“ — ეს ჩვენ, ტროცკისტები, „ნამდვილი ლენინელები“, ვართო, არიან „მემარჯვენები“, ეს ყველა დანარჩენები არიანო და, დასასრულ, არიან ცენტრალისტები, რომელნიც „მემარცხენებსა“ და „მემარჯვენებს“ შუა ქანაობენ. შეიძლება თუ არა სწორად ჩაითვალოს ასეთი შეხედულება ჩვენს პარტიაზე? ცხადია, რომ არ შეიძლება. ასე შეუძლიათ ლაპარაკი მხოლოდ იმ აღამიანებს, რომელთაც ყველა ცნება არევიათ. და რომელთაც მარქსიზმთან დიდი ხანია კავშირი ვაუწყვეტიათ.

ასე შეუძლიათ ლაპარაკი მხოლოდ იმ აღამიანებს, რომელთაც ვერ ტაუნახავთ და არ ესმით პრინციპიალური განსხვავება ომის წინა დროის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა, როგორც პროლეტარული და წვრილბურჟუაზიული ინტერესების ბლოკის პარტიასა, და კომუნისტურ პარტიას შორის, რომელიც არის რევოლუციონური პროლეტარიატის მონოლიტური პარტია.

ცენტრიზმი არ არის სივრცესთან დაკავშირებული ცნება: ერთ ადგილას, ვთქვათ, სხედან მემარჯვენები, მეორე ადგილას „მემარცხენები“, შუაში კი ცენტრალისტები არიან. ცენტრიზმი პოლიტიკური ცნებაა. მისი იდეოლოგია, ერთი პარტიის შემადგენლობაში წვრილი ბურჟუაზიული, ინტერესებისათვის პროლეტარული ინტერესების დაქვემდებარების იდეოლოგიაა. ეს იდეოლოგია უცხოა ლენინიზმისათვის და მისი საწინააღმდეგო. ცენტრიზმი ბუნებრივი მოვლენა იყო ომის წინა დროის მე-2 ინტერნაციონალისათვის. იქ იყვნენ მემარჯვენები (უმრავლესობა), იყვნენ მემარცხენები (უწინწკლებოდ) და იყვნენ ცენტრისტები, რომელთა მთელ პოლიტიკას

შეადგენდა მემარცხენე ფრაზებით მემარჯვენეთა ოპორტუნიზმის შელამაზება და მემარჯვენებისათვის მემარცხენეთა დაქვემდებარება. რაში მდგომარეობდა მაშინ პოლიტიკა მემარცხენებისა, რომელთა ძირითად კადრს ბოლშევიკები შეადგენდენ? გადამჭრელ ბრძოლაში ცენტრისტებთან, ბრძოლაში მემარჯვენებთან გათიშვისათვის (განსაკუთრებით იმპერიალისტური ომის დაწყების შემდეგ) და ახალი რევოლუციონური ინტერნაციონალის შექმნაში ნამდვილი მემარცხენე, ნამდვილი პროლეტარული ელემენტებისაგან.

რატომ შეიქნა მაშინ შესაძლებელი აღმოცენებულიყო მეორე ინტერნაციონალის შიგნით ასეთი დამოკიდებულება და მისდამი ბოლშევიკების ასეთი პოლიტიკა? იმიტომ, რომ მაშინ მეორე ინტერნაციონალი იყო პროლეტარული და წვრილბურჟუაზიული ინტერესების ბლოკის პარტია, წვრილბურჟუაზიული სოციალ-პაციფისტებისა და სოციალ-შოვინისტების გულის მაამებელი.

იმიტომ, რომ ბოლშევიკებს მაშინ არ შეეძლოთ არ გაელაშქრათ ცენტრისტების წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდენ პროლეტარული ელემენტები და მორჩილებიათ წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებისათვის, იმიტომ, რომ ბოლშევიკები ვალდებული იყვნენ მაშინ ექადაგათ გათიშვის იდეა, ვინაიდან უამისოდ პროლეტარები ვერ შესძლებდენ საკუთარი რევოლუციონურ-მარქსისტული პარტიის ჩამოყალიბებას.

შეიძლება თუ არა იმის მტკიცება, რომ ჩვენს პარტიაში ისე-თივე ძალთა განწყობილებაა და რომ მასში უნდა ტარდებოდეს ისე-თივე პოლიტიკა, როგორ პოლიტიკასაც ატარებდენ ბოლშევიკები შეორე ინტერნაციონალის პარტიებში მსოფლიო ომამდე? აშკრაა, რომ არ შეიძლება. არ შეიძლება, ვინაიდან ეს იქნებოდა იმის არ გაგება, თუ რა პრინციპიალური განსხვავებაა პროლეტარული და წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტების ბლოკის პარტიასა და რევოლუციონური პროლეტარიატის მონოლიტურ პარტიას შორის. იქ (სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში) იყო ერთი განსაზღვრული კლასობრივი საფუძველი. აქ (კომუნისტურ პარტიაში) არის სრულიად სხვა კლასობრივი საფუძველი. იქ (სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში) ცენტრიზმი ბუნებრივი მოვლენა იყო, ვინაიდან სხვადასხვა ინტერესების ბლოკის პარტიას არ შეუძლია გვერდი აუხვიოს ცენტრიზმს, და ბოლშევიკები მოვალენი იყვნენ ეწარმოებინათ გათიშვის პოლიტიკა. აქ (კომუნისტების პარტიაში) ცენტრიზმი უაზრო და შეუთავ-სებელია ლენინური პარტიის საფუძვლებთან, ვინაიდან კომუნისტური პარტია არის პროლეტარიატის მონოლიტური პარტია და არა სხვა-

დასხვაგვარი კლასობრივი ელემენტების ბლოკის პარტია. და ვინაიდან ჩვენს პარტიაში გაბატონებულ ძალას წარმოადგენს მსოფლიო მუშაობა მოძრაობის ყველაზე უფრო მემარტენე მიმღინარეობა (ლენინელები), ამიტომ ჩვენი პარტიის გათიშვის პოლიტიკას არა აქვს დაარც შეიძლება ჰქონდეს რაიმე გამართლება ლენინიზმის თვალსაზრისით.

სხა: შესაძლოა თუ არა ჩვენში პარტიის გათიშვა?

სტალინი: საქმე ეხება არა გათიშვის შესაძლებლობას, არამედ იმას, რომ გათიშვის პოლიტიკა ჩვენს მონოლიტურს პარტიაში არ შეიძლება გამართლებულ იქნეს ლენინიზმის თვალსაზრისით. ვისაც არ ესმის ეს პრინციპიალური განსხვავება, ის მიღის ლენინიზმის წინააღმდეგ, ის კავშირს სწყვეტს ლენინიზმთან.

აი რატომ ვფიქრობ მე, რომ მხოლოდ ჭკუიდან შეშლილ ხალხს და იმათ, ვინც დაპკარგა მარქსიზმის უკანასკნელი ნაშთები, შეუძლიათ სერიოზულად ამტკიცონ, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკა, ორ ფრონტზე ბრძოლის პოლიტიკა — არის ცენტრიზმის პოლიტიკა. ლენინი ჩვენს პარტიაში ყოველთვის იბრძოდა ორ ფრონტზე, როგორც „მემარცხენე“, ისე აშკარა მენშევიკური გადახრების წინააღმდეგ. გადაათვალიერეთ ლენინის ბროშურა „მემარცხენეობის საყმარცვილო“ სენის შესახებ კომუნიზმში“, გადაათვალიერეთ ჩვენი პარტიის ისტორია, და დაინახვთ, რომ ჩვენი პარტია იზრდებოდა და მაგრდებოდა როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე“ გადახრებთან ბრძოლაში. ბრძოლა ოტბოვისტებთან და „მემარცხენე“ კომუნისტებთან, ერთის მხრივ, და ბრძოლა აშკარა ოპორტუნისტულ გადახრასთან ოქტომბრის რევოლუციამდე, ოქტომბრის რევოლუციის დროს და მის შემდეგ — მეორეს მხრივ, — აი რა საფეხურები გაიარა ჩვენმა პარტიამ თავის განვითარებაში. ყველას კარგად ახსოვს ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ როგორც ოპორტუნიზმის, ისე „მემარცხენე“ დოქტრინიორების წინააღმდეგ.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ლენინი იყო ცენტრისტი, რომ იგი აწარმოებდა ცენტრიზმის პოლიტიკას? ცხადია, რომ არ ნიშნავს.

მაშ რას წარმოადგენენ ჩვენი მემარჯვენე და „მემარცხენე“ უკლინისტები? რაც შეეხება მემარჯვენე გადახრას, ეს, რასაკვირველია, არ არის ისეთი მოვლენა, როგორიც იყო ომის წინაღროინდელი პერიოდის სოციალ-დემოკრატების ოპორტუნიზმი. გადახრა ოპორტუნიზმისაკენ ჯერ კიდევ არ არის ოპორტუნიზმი. ჩვენ ვიცით, რომ ლენინი თავის დროზე განმარტავდა გადახრის ცნებას. მარჯვნივ გადახრა არის ისეთი რამ, რაიც ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა

ოპორტუნიზმის სახით და რაიც შეიძლება გამოსწორებულ იქნას - ამიტომ არ შეიძლება მარჯვნივ გადახრა მიჩნეულ იქნას დამთავრებულ ოპორტუნიზმად. რაც შეეხება „მემარცხენე“ გადახრას, იგი პირდაპირ საჭინააღმდეგოა იმისა, რასაც წარმოადგენდენ ომის წინ უკიდურესი მემარცხენეები მეორე ინტერნაციონალში, ე. ი. ბოლშევიკები. „მემარცხენე“ გადახრის მომხრენი არა თუ არ არიან მემარცხენეები, არამედ არსებითად ისინი მემარჯვენე უკლონისტები. არიან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი თავის ნამდვილ სახეს ჰქონავენ მემარცხენე ფრაზებით. პარტიის წინააღმდეგ ბოროტმოქმედება იქნება, რომ არ დავინახოთ ის ძირითადი განსხვავება, რომელიც არსებობს „მემარცხენე“ უკლონისტებსა და ნამდვილ ლენინელებს — ერთადერთ მემარცხენეებს (უწინწკლებოდ) შორის ჩვენს პარტიაში.

სმა: გადახრების ლეგალიზაცია?

სტალინი: თუ აშკარა ბრძოლა გადახრებთან არის ლეგალიზაცია, მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ ლენინმა დიდი ხანია მოახდინა მათი „ლეგალიზაცია“.

ეს უკლონისტები, მემარჯვენე და „მემარცხენე“ უკლონისტები, შესდგებიან სხვადასხვაგვარი ელემენტებისაგან, რომლებიც გამოხატავენ წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის გავლენას პარტიაზე და პარტიის ზოგიერთი ფრენების გახტაზნას. ესენი არიან სხვა პარტიებიდან გამოსულები, პარტიაში ტროცკისტული ტენდენციების მატარებლები, ყოფილი ფრაქციების ნამსხვერევები, პარტიის ისეთი წევრები, რომლებიც გაბიუროკრატების გზაზე დგანან ან უკვე გაბიუროკრატედნ სახელმწიფო, სამეურნეო, კომპერატიულ და პროფესიონალური აპარატებში, ისეთი წევრები, რომლებიც უკავშირდებიან ამ აპარატების აშკარა ბურჟუაზიულ ელემენტებს, პარტიის შეძლებული წევრები ჩვენს სასოფლო ორგანიზაციებში, რომლებიც უკავშირდებიან კულაკებს და სხვ. ასეთია ის ნიაღავი, რომელიც ჰკვებავს გადახრებს ლენინური ხაზიდან. ცხადია, რომ არაუგრი ნამდვილი მემარცხენე, არაუგრი ლენინური არ შეუძლიათ შეითვისონ ამ ელემენტებმა. მათ შეუძლიათ ასაზრდოონ მხოლოდ აშკარა ოპორტუნისტული გადახრა ან ეგრეთწოდებული „მემარცხენე“ გადახრა, რომელიც თავის ოპორტუნიზმს მემარცხენე ფრაზებით ჰქონავს.

აი რატომ არის ბრძოლა ორ ფრანტზე პარტიის ერთად-ერთი სწორი პოლიტიკა.

შემდეგ. მართალია თუ არა თეზისებში გამოთქმული აზრი, რომ მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის ძირითადი მეთოდი უნდა

იყოს გაშლილი იდეოლოგიური ბრძოლის მეთოდი? მე ვფიქრობ, რომ მართალია, კარგი იქნება მოვიგონოთ აქ ტროციქიზმთან ბრძოლის გამოცდილება. რით დავიწყეთ მასთან ბრძოლა? იქნება საორგანიზაციო დასკვნებით? არა, ასაკეთოდ არა, ეს ბრძოლა ჩვენ დავიწყეთ იდეოლოგიური ბრძოლით. ეს ბრძოლა სწარმოებდა 1918 წლიდან 1925 წლამდე. ჯერ კიდევ 1924 წელს ჩვენმა პარტიამ, ხოლო 1925 წელს კომინტერნის მე-V კონგრესში გამოიტანა რეზოლუცია ტროციქიზმის, როგორც წვრილბურჟუაზიული გადახრის, შესახებ. მაგრამ ტროცი მაინც იჯდა ჩვენთან ცეკაში და პოლიტბიუროში. ფაქტია თუ არა ეს? მაშასადამე, ტროცის და ტროცისტებს „ვითმენდით“ ცეკას შემაღენლობაში.

რატომ დავტოვეთ ისინი პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების შემაღენლობაში? იმიტომ, რომ ტროცისტები მაშინ, მიუხედავად პარტიასთან უთანხმოებისა, დაემორჩილებ ცეკას გადაწყვეტილებებს და ლიიალურნი დარჩენ.

როდის გამოვიყენეთ რამდენადმე ფართო მასშტაბით საორგანიზაციო დასკვნები? მხოლოდ მას შემდეგ, როცა ტროცისტები დაირჩემენ ფრაქციის სახით, როცა შექმნეს თავიანთი ფრაქციული ცენტრი, როცა თავიანთი ფრაქცია გადააქციეს ახალ პარტიად და მოუწოდებდენ ხალხს ანტისაბჭოთა დემონსტრაციისაკენ. მე ვფიქრობ, რომ ამავე გზას უნდა დავადგეთ მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლაში. მემარჯვენე გადახრა არ არის ჩამოყალიბებული რამ, თუმცა იგი ძლიერდება პარტიაში. მხოლოდ ახლა სწარმოებს ამ გადახრის ჩამოყალიბება. აქეთ თუ არა უკლონისტებს ფრაქცია? ვფიქრობ, რომ არა. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ისინი არ ემორჩილებიან ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებას? მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ჯერ არა გვაქვს საფუძველი დავდოთ მათ ბრალი ამაში.

შეიძლება თუ არა იმის მტკიცება, რომ მემარჯვენე უკლონისტები აუცილებლად შექმნიან თავიანთ ფრაქციას? მე ამაში ეჭვი შემაქვს. აქედან დასკვნა: მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის ძირითადი მეთოდი დღვევანდელს სტადიაში უნდა იყოს გაშლილი იდეოლოგიური ბრძოლის მეთოდი. ეს მით უფრო სწორია, რომ ჩვენი პარტიის ზოგიერთ წევრებს აქვს ამის საწინააღმდეგო ტენდენცია, ტენდენცია იმისა, რომ ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან დაიწყოს არა იდეოლოგიური ბრძოლით, არამედ საორგანიზაციო დასკვნებით. ისინი პირდაპირ ამბობენ: მოგვეცით ხელში მემარჯვენეები — ათა ან ოცი კაცი, ჩვენ მათ მყისვე გავუსწორდებით და ამგვარად ბოლოს მოვულებთ მემარჯვენე გადახრასო. მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ

ასეთი აზრი არ არის სწორი და სახიფათოა. სწორედ იმისათვის, რომ არ გავყევთ ასეთ აზრებს და ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან დავაყენოთ სწორ ნიაღაგზე, სწორედ ამიტომ საჭიროა აშვარად და გადაჭრით ვთქვათ, რომ მემარჯვენე გადახრასთან ჩეენი ბრძოლის ძირითადი მეთოდი ამჟამად იდეოლოგიური ბრძოლაა.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩეენ უარყოფთ ყოველგვარ საორგანიზაციო დასკვნებს? არა, არ ნიშნავს: მაგრამ ეს უსათუოდ ნიშნავს იმას, რომ საორგანიზაციო დასკვნები აქ დამოკიდებულ როლს უნდა თამაშობდნენ, და თუ არ არის ფაქტი მემარჯვენე უკლინისტების მხრივ პარტიული გადაწყვეტილებების დარღვევისა, მაშინ ჩეენ არ უნდა გავდევნოთ ისინი ამა თუ იმ ხელმძღვანელი ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან.

ხმა: მოსკოვის, პრაქტიკა?

სტალინი: მე ვფიქრობ, რომ მოსკოვის ხელმძღვანელ ამხანაგებს შორის ჩეენ არა გვყენან შემარჯვენები. იქ იყო მემარჯვენე განწყობილებებისაღმი არასწორი დამოკიდებულება. შეიძლება ითქვას, რომ იქ იყო შემარივებლობის ტენდენცია. მე ვერ ვიტყვი, რომ მოსკოვის კომიტეტში მემარჯვენე გადახრა იყო.

ხმა: საორგანიზაციო ბრძოლა ხომ იყო?

სტალინი: საორგანიზაციო ბრძოლა იყო, მაგრამ მას მეორების ხორცის აღგიღი ეჭირა, ეს ბრძოლა იყო იმიტომ, რომ მოსკოვში თვითკრიტიკის ნიაღაგზე სწარმოებს გადარჩევა და სარაიონო აქტივებს უფლება აქვთ გადააყენონ თავიანთი მდივნები (სიცილი).

ხმა: განა მდივნების გადარჩევა ჩეენში გამოცხადებული იყო?

სტალინი: მდივნების გადარჩევა არავის აუკრძალავს. არსებობს ცეკას ივნისის მოწოდება; რომელშიაც პირდაპირაა ნათესავი, რომ თვითკრიტიკის განვითარება ცალიერ სიტყვად დარჩება, თუ ქვედა ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არ იქნებიან უფლებით გადააყენონ ესა თუ ის მდივანი და ესა თუ ის კომიტეტიო. რა შევიღოთ სთქვათ ამის წინააღმდეგ?

ხმა: პარტკონფერენციამდე?

სტალინი: დიახ, თუნდაც პარტკონფერენციამდე. მე ცბიერ ღიმილს ვხედავ ზოგიერთი ამხანაგის სახეზე. ეს კარგი არ არის, ამხანაგებო. მე ვხედავ, რომ ზოგიერთ თქვენთაგანს უდიდესი სურვილი აქვს რაც შეიძლება მალე მოხსნას აღგილებიდან მემარჯვენე გადახრის ესა თუ ის წარმომადგენელი. მაგრამ ეს არ არის საკითხის გადაჭრა. ძვირფასო ამხანაგებო, რა თქმა უნდა, თანამდებობიდან მოხსნა უფრო ადგილია, ვიღრე ფართო მოფიქრებული ახსნა-განმარ-

ტებითი კამპანიის ჩატარება მემარჯვენე გადახრის შესახებ, მემარჯვენე საფრთხისა და მასთან ბრძოლის შესახებ. მაგრამ უადვილესი ყოველთვის როდის საუკეთესო, აბა გაისარჯეთ და მოაწყეთ ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ, ნუ დაინანებთ ამისათვის დროს, და მაშინ დაინახავთ, რომ რაც უფრო ფართო და ღრმაა კამპანია, მით უარესია ეს მემარჯვენე გადახრისათვის. სწორედ ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ჩვენს ბრძოლაში მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ცენტრალური ადგილი უნდა ეჭიროს იდეოლოგიურ ბრძოლას.

რაც შეეხება მოსკოვის კომიტეტს, მე არ ვიცი, რალა უნდა დაემატოს იმას, რაც სთქვა ამხ. უგლანოვმა თავის საბოლოო სიტყვაში მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკონტროლო კომისიის პლენურმზე. მან პირდაპირ განაცხადა: თუ ცოტა ისტორიას გავიხსენებთ, თუ გავიხსენებთ, როგორ ვებრძოდი მე 1927 წელს ლენინგრადში ზინოვიევს, მაშინ „შეხლა“ ცოტა უფრო დიდი იყოო. მაშინ ჩვენ იმიტომ გავიმარჯვეთ, რომ მართალი ვიყავით. ახლა იმიტომ დავმარცხდით, რომ შევცდითო. გამოდის, რომ ამხ. უგლანოვი ახლა ისეთსავე ბრძოლას აწარმოებდა, როგორც თავის დროზე იბრძოდა ზინოვიევის წინააღმდეგ. ვის წინააღმდეგ იბრძოდა იგი უკანასკნელ დროს? რა საფუძველზე შეიძლებოდა ამ ბრძოლის წარმოება? როგორც ჩანს, მემარჯვენე გადახრასთან შემარივებელი დამოკიდებულების საფუძველზე.

ამიტომ თეზისები სავსებით სწორედ აღნიშნავენ, რომ ჩვენი პარტიის ერთ-ერთ მორიგ ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა ლენინური ხაზიდან გადახრებისადმი შემარივებელ დამოკიდებულებასთან, განსაკუთრებით კი — მემარჯვენე გადახრისადმი შემარივებელ დამოკიდებულებასთან.

ბოლოს, უკანასკნელი საკითხი. თეზისებში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ჩვენ დლევანდელი მომენტისათვის განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ბრძოლის საჭიროება მემარჯვენე გადახრასთან. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მემარჯვენე საფრთხე ამჟამად შთავარ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენს პარტიაში. ტროცკისტულ ტენდენციებთან ბრძოლა, ბრძოლა ენერგიული, უკვე ათეული წელიწადია სწარმოებს. ამ ბრძოლის შედეგია ტროცკიზმის მთავარი კადრების განადგურება. ვერ ვიტყვით, რომ ბრძოლა აშკარა ოპორტუნისტულ გადახრასთან უკანასკნელ ხანებში ისევე ინტენსიურად სწარმოებდა. ინტენსიურად არ სწარმოებდა იმიტომ, რომ მემარჯვენე გადახრა ჩამოყალიბებისა და კრისტალიზაციის პერიოდში იმყოფე-

ბოდა წერილ-ბურუუზიული სტიქიის გაძლიერების გამო, ხოლო ამ სტიქიამ თავი იჩინა პურის დამზადების სიცნელეებთან დაკავშირებით, ამიტომ ბრძოლა უმთავრესად უნდა მივმართოთ მემარჯვენე გადახრის წინააღმდევ.

ჩემი სიტყვის დასასრულ მინდა, ამხანაგებო, კიდევ ერთი ფაქტი აღვნიშნო, რომლის შესახებაც არ მიღაბარავნია, მაგრამ რომელსაც, ჩემის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ, პოლიტბიუროს წევრებმა, წარმოგიდგინეთ ჩვენი თეზისები საკონტროლო ციფრების შესახებ. მე ჩემს სიტყვაში ამ თეზისებს ვიცავდი, როგორც უეჭველად სწორს და შეუმცდარს. მე არაფერს ვამბობ ზოგიერთი შესწორების შესახებ, რომელიც შეიძლება შეტანილ იქნას ამ თეზისებში. მაგრამ, რომ ამ თეზისების უმთავრესი ნაწილი სწორია და უზრუნველპიროვნების ლენინური ხაზის. შეუმცდარ გატარებას, — ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. და აი, მე უნდა განვიცხადოთ, რომ ეს თეზისები ჩვენ, პოლიტბიურომ, ერთხმად მივიღეთ.

მე ვფიქრობ, რომ ამ ფაქტს თავისი მნიშვნელობა აქვს იმ ხმების გამო, რომლებსაც ჩვენს რიგებში ავტოცელებენ ჩვენი პარტიის არაკეთილის მსურველნი, მოწინააღმდევები და მტრები. მე მხედველობაში მაქს ხმები იმის შესახებ, თითქოს ჩვენში, პოლიტბიუროში, იყოს მემარჯვენე გადახრა, „მემარცხენე“ გადახრა, შემარიგებლობა და კიდევ, ეშმაქმა უწყის; რა. და, ეს თეზისები კიდევ მეასე და ასპირაციები დამატებიცებელი საბუთი იყოს იმისა, რომ პოლიტბიუროში ჩვენ ყველანი ერთნი ვართ და ბოლომდე ერთნი დავრჩებით. მე ვისურვები, რომ ამ პლენუმმაც ერთხმად მიიღოს ეს თეზისები საფუძვლად. (ტაში).

სტალინი.

აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანის შესახებ.

აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტთა კრებაზე
1925 წლის 18 მაისს წარმოთქმული სიტყვა.

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ, უპირველეს ყოვლისა, მოგილოცოთ აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის არსებობის 4 წელი. ზედმეტიც არის ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მე ვუსურვებ თქვენს უნივერსიტეტს ყოველგვარ გამარჯვებას აღმოსავლეთისთვის კომუნისტური კადრების შექმნის ძნელ გზაზე.

შემდეგ, ნება მიბოძეთ ბოლიში მოვიხადო, რომ ძალიან იშვიათად ვარ ხოლმე აქ, თუმც მოვალე ვარ ხშირად კიყო. რას იზამ, დატვირთულობა არ მაძლევს საშუალებას უფრო ხშირად მოგინახულოთ ხოლმე.

ახლა კი გადავიდეთ აღმოსავლეთის მშრომელთა უნივერსიტეტის პოლიტიკურ ამოცანებზე.

თუ ანალიზს გავუკეთებთ აღმოსავლეთის მშრომელთა უნივერსიტეტის შემადგენლობას, შეუძლებელია არ შეგამჩნიოთ ამ შემადგენლობის ერთგვარი ორგვარობა. ეს უნივერსიტეტია გამაერთიანებელი აღმოსავლეთის არა ნაკლებ 50 ეროვნებისა და ეთნოგრაფიული ჯგუფისა. უნივერსიტეტის მსმენელები, ყველა ისინი—აღმოსავლეთის შვილები არიან. მაგრამ ეს განსაზღვრა ჯერ კიდევ არ იძლევა რაიმე ნათელს და დასრულებულს. საქმე ისაა, რომ უნივერსიტეტის მსმენელებს შორის არის ორი ძირითადი ჯგუფი, რომელნიც განვითარების სრულიად სხვადასხვა პირობების ორ რიგს წარმოადგენენ. პირველი ჯგუფია ჩვენთან საბჭოთა აღმოსავლეთიდან მოსულნი, იმ ქვეყნებიდან მოსულნი, სადაც უკვე აღარ არის ბურუუზის ხელისუფლება, იმპერიალისტური ჩაგრა დამხობილია, ხელისუფლება კი მუშების ხელშია. მსმენელების მეორე ჯგუფს წარმოადგენენ ჩვენთან კოლონიალური და დამოკიდებული ქვეყნებიდან მოსულნი, იმ ქვეყნებიდან, სადაც ჯერ კიდევ მეფობს კაპიტალიზმი, სადაც იმპერიალისტურმა ჩაგრამ მთელი თავისი ძალ-ღრანე შეინარჩუნა და სადაც საჭიროა დამოკიდებლობის მოპოვება და იმპერიალისტების განდევნა.

ამრიგად, ჩვენს წინაშეა ორი აღმოსავლეთი, რომელთაც სხვადასხვაგვარი ცხოვრება აქვთ და სხვადასხვაგვარ პირობებში ვითარდებიან.

ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მსმენელთა შემადგენლობის ამ ორგვარ ხასიათს არ შეუძლია თავისი დაღი არ დაასვას აღმოსავლეთის მშრომელთა უნივერსიტეტის მუშაობას. სწორედ ამით აისწერა ის, რომ ეს უნივერსიტეტი ცალი ფეხით საბჭოთა ნიადაგზეა, მეორე ფეხით—კოლონიების და დამოკიდებული ქვეყნების ნიადაგზე.

ამიტომ უნივერსიტეტის მოლგაწეობას ორი ხაზი აქვს; ერთი ხაზის მიზანია—შექმნას კადრები, რომლებსაც შეეძლებათ აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების საჭიროებათა დაქმაყოფილება, მეორე ხაზის კი— შექმნა ისეთი კადრების, რომლებსაც შეეძლებათ დააკმაყოფილონ აღმოსავლეთის კოლონიალური დამოკიდებული ქვეყნების მშრომელი მასების რევოლუციონური მოთხოვნილებანი.

აქედანვე გამომდინარეობს ორგვარი ამოცანები, რომელიც დგას აღმოსავლეთის მშრომელთა უნივერსიტეტის წინაშე.

განვიხილოთ ამკუ-ს ეს ამოცანები ცალ-ცალკე.

1. ამკუ-ს ამოცანები აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ.

რაში მდგომარეობს ამ ქვეყნების, ამ რესპუბლიკების არსებობის თავისებურობანი, რით განსხვავდებიან ისინი კოლონიალური და დამოკიდებული ქვეყნებიდან?

უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ ეს რესპუბლიკები თავისუფალი არიან იმპერიალისტური ჩაგვრისაგან.

მეორე—იმაში, რომ ისინი ვითარდებიან და ხდება მათი, როგორც ნაციების, კონსოლიდაცია არა ბურუუზიული წესების ეგიდის ქვეშ. ეს უმაგალითო ფაქტია ისტორიაში, მაგრამ მაინც ფაქტია.

მესამე—იმაში, რომ რადგან ისინი ნაკლებად არიან განვითაბული მრეწველობის მხრივ, მათ შეუძლიათ თავის განვითარებაში მთლიანად და სავსებით დაეყრდნონ საბჭოთა კავშირის სამრეწველო პროლეტარიატის დახმარებას.

მეოთხე—იმაში, რომ, არიან რა თავისუფალნი კოლონიალური ჩაგვრისაგან და იცავს მათ პროლეტარიატის დიქტატურა, არიან წევრი საბჭოთა კავშირის,—ამ რესპუბლიკებს შეუძლიათ და კიდეც უნდა ეზიარონ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობას.

ძირითადი ამოცანა—გავაადვილოთ ისე საქმე, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობას ვაზიაროთ ამ რესპუბლიკების მუშები და გლეხები, შევქმნათ და განვავითაროთ ის წინამძღვრები ამ რესპუბლიკების არსებობის განსაკუთრებულ პირობებთან შეფარდებით, რომელთაც შეუძლიათ ამ ზიარების წინ წაწევა და დაჩქარება.

აქედანვე გამომდინარეობს მორიგი ამოცანები, რომელიც დგას საბჭოთა აღმოსავლეთის აქტიურ მუშაკთა წინაშე.

1) შექმნა აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკებში სამრეწველო კერების, როგორც მუშათა კლასის ირგვლივ ვლეხების შემჭიდროების ბაზების. თქვენ იცით, რომ ეს საქმე უკვე დაწყებულია და თანდათან წინ წავა საბჭოთა კავშირის სამეურნეო ზრდის მიხედვით. ამ რესპუბლიკებში არის სხვადასხვა სახის ნედლეული, რაც იმის თავდებია, რომ დადგება ღრი, როდესაც ეს საქმე დასრულდება.

2) სასოფლო მეურნეობის ფეხზე წამოყენება და, უპირველეს ყოვლისა, მორწყვის. თქვენ იცით, რომ ეს საქმეც წაწეულია. წინ, ყოველ შემთხვევაში ამიერკავკასიასა და თურქესტანში.

3) გაუმჯობესება და წინ წაწევა გლეხების და შინამრეწველთა ფართო მასების კომპერატიული გაერთიანების საქმისა, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა სამეურნეო აღმშენებლობის საერთო სისტემა-ში აღმოსავლეთის რესპუბლიკების ჩართვის ყველაზე უფრო სწორ გზას.

4) საბჭოების დაახლოვება მასებთან, შემადგენლობის მიხედვით მათვის ნაციონალური სახის მიცემა და ამრიგად დანერგვა ნაციო-ნალურ-საბჭოთა საზოგადოებრივობისა, რომელიც მშრომელი მასე-ბისთვის ახლობელი და გასაგებია.

5) ნაციონალური კულტურის განვითარება, მშობლიურ ენაზე როგორც საერთო განვითარების, ისე პროფესიონალურ-ტექნიკური ხასიათის კურსების და სკოლების ფართო ქსელის მოწყობა—ადგი-ლობრივი პირებისაგან საბჭოთა-პარტიულ და პროფესიონალურ-სა-შეურნეო კადრების მოსამზადებლად.

ამ ამოცანების შესრულება—აი სწორედ ეს ნიშნავს აღმოსავ-ლეთის საბჭოთა რესპუბლიკებში სოციალისტური აღმშენებლობის სა-ქმის გააღვილებას.

ლაპარაკობენ საბჭოთა აღმოსავლეთის სამაგალითო რესპუბლი-კების შესახებ. მაგრამ რა არის სამაგალითო რესპუბლიკა? სამაგალი-თო რესპუბლიკა არის ისეთი რესპუბლიკა, რომელიც ყველა ამ ამო-ცანას პატიოსნად და კეთილ-სინდისიერად ასრულებს, თანაც ამით განმათავისუფლებელი მოძრაობით იზიდავს მეზობელი კოლონიალუ-რი და დამოკიდებული ქვეყნების შუშებსა და გლეხებს.

მე ზემოთ ვლაპარაკობდი ეროვნებათა მშრომელ მასებთან სა-ბჭოების დაახლოების შესახებ—საბჭოების ნაციონალიზაციის შესახებ. მაგრამ რას ნიშნავს ეს და როგორ გამოიხატება პრაქტიკაში? მე ვფიქრობ, რომ მასებთან ასეთი დაახლოების ნიმუშად შეიძლება ჩა-ვთვალოთ თურქესტანში ახლახან დასრულებული ნაციონალური გა-მიჯვნა. ბურუუზიულ პრესას ეს გამიჯვნა „ბოლშევიკურ ეშმაკობად“ მიაჩინა. მაგრამ ცხადია, რომ ეს „ეშმაკობა“ კი არ იყო, არამედ აქ გამოიხატა თურქესტანის და უზბეკისტანის ხალხთა მასების ულრმესი მისწრაფება პეტროდათ ხელისუფლების თავისი ორგანოები, მათვის ახლობელი და გასაგები. რევოლუციის წინა ეპოქაში ეს ორივე ქვე-ყანა ნაწილ-ნაწილ დაგლიჯეს სხვადასხვა სახანოებმა და სახელმწი-ფოებმა და ეს ნაწილები ძალის მქონეთა ექსპლოატატორული მახინაცი-შიბისთვის ხელსაყრელ ასპარეზს წარმოადგენდა. ახლა დადგა მომენტი, როდესაც შესაძლო გახდა ამ დაქუცმაცებული ნაწილების გაერთია-ნება დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იმისთვის, რომ დავუახლოეთ და დავუკაშიროთ უზბეკისტანისა და თურქმენისტანის მშრომელი

მასუბი ხელისუფლების ორგანოებს. თურქესტანის გამიჯვნა, უპირველეს ყოვლისა, არის ამ ქვეყნების დაქუცმაცებულ ნაწილების გაერთიანება დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. თუ შემდგომ ამსახელმწიფოებმა მოისურვეს საბჭოთა კავშირში შესვლა, როგორც მისმა სრულუფლებიანმა წევრებმა, ეს მხოლოდ იმას ამბობს, რომ ბოლშევეიკებმა იპოვნეს აღმოსავლეთის ხალხთა მასების ულრმეს მისწრაფებათა გასაღები, საბჭოთა კავშირი კი არის მსოფლიოში ერთადერთი ნებაყოფლობითი ფაერთიანება სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა მასებისა. იმისთვის, რომ პოლონეთი გაერთიანებინა, ბურუუზიას მთელი რიგი ომი დასჭირდა, თურქმენისტანისა და უზბეკისტანის გაერთიანებისთვის კი კომუნისტებს მხოლოდ რამდენიმე თვის განმარტებითი პროცეგანდა დასჭირდა.

აი როგორ უნდა დავუახლოეოთ მართვა-გამგეობის ორგანოები, ამ შემთხვევაში საბჭოები სხვადასხვა ეროვნების ფართო მშრომელ მასებს.

აი საად არის იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ბოლშევიკების ეროვნული პოლიტიკა არის ერთადერთი სწორი პოლიტიკა.

შემდეგ, მე ვლაპარაკობდი აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკებში ნაციონალური კულტურის აღორძინების შესახებ. მაგრამ რა არის ნაციონალური კულტურა? როგორ შევათავსოთ ის პროლეტარულ კულტურასთან? განა ლენინი ჯერ კიდევ ომამდე არ ამბობდა, რომ ჩვენ ორი კულტურა გვაქვს—ბურუუზიული და სოციალისტური, რომ ნაციონალური კულტურის ლოზუნგი არის რეაქციონური ლოზუნგი ბურუუზიისა, რომელიც ცდილობს მოწამლოს ნაციონალიზმის შეამით მშრომელთა შეგნება? როგორ შევათავსოთ ნაციონალური კულტურის მშენებლობა, მშობლიურ ენაზე სკოლების განვითარება და ადგილობრივ პირთაგან კადრების მომზადება სოციალიზმის მშენებლობასთან, პროლეტარული კულტურის მშენებლობასთან? ხომ არ არის აქ გაუვალი წინააღმდეგობა? რასაკვირველია, არა! ჩვენ პროლეტარულ კულტურას ვაშენებთ. ეს სავსებია სწორია. მაგრამ სწორია. ისიც, რომ პროლეტარული კულტურა, თავისი შინაარსით სოციალისტური, სხვადასხვა სახით და გზით გამოიხატება სოციალისტურ აღმშენებლობაში ჩაბმულ სხვადასხვა ხალხთან, ენის, ყოფა-ცხოვრების და სხვა განსხვავებებთან დაკავშირებით. პროლეტარული თავისი შინაარსით, ნაციონალური ფორმით,—ასეთია ის საერთო საკაცობრიო კულტურა, რომლისკენაც მიდის სოციალიზმი. პროლეტარული კულტურა კი არ აუქმებს ნაციონალურ კულტურას, მას შინაარსს აძლევს. და პირიქით, ნაციონალური კულტურა კი არ აუქმებს

პროლეტარულ კულტურას, ფორმას აძლევს მას. ნაციონალური კულტურის ლოზუნგი ბურუუაზიული ლოზუნგი იყო, სანამ ხელისუფალი ბურუუაზია იყო და ნაციების კონსოლიდაცია ბურუუაზიული წესების ეგიდის ქვეშ ხდებოდა. ნაციონალური კულტურის ლოზუნგი პროლეტარულ ლოზუნგად იქცა, როდესაც ძალა-უფლება პროლეტარიატმა აიღო ხელში და ნაციების კონსოლიდაციამ საბჭოთა ხელისუფლების ეგიდის ქვეშ იწყო მიმდინარეობა. ვინც ვერ გაივო ორი სხვადასხვა-გვარი მდგომარეობა-პირობის ეს პრინციპული განსხვავება, ის ვერა-სოდეს ვერ გაიგებს ვერც ლენინიზმს, ვერც ნაციონალური საკითხის რაობას ლენინიზმის თეალსაზრისით.

ლაპარაკობენ (მაგალითად, კაუტსკი), სოციალიზმის პერიოდში ერთი მთლიანი საერთო საკაცობრიო ენა შეიქმნება და ყველა და-ნარჩენი ენა მოკვდება. მე ნაკლებად მწამს ეს თეორია საყოველთაო ენის შესახებ. გამოცდილება, ყოველ შემთხვევაში, ამ თეორიის სა-საჩვებლოდ კი არ ლაპარაკობს, არამედ მის საწინააღმდეგოდ. აქამ-დე ისე იყო, რომ სოციალისტური რევოლუცია კი არ ამცირებდა, ამრავლებდა ენების რიცხვს, ვინაიდან ის, შეარჩევდა რა კაცობრიო-ბის უღრმეს ქვედა ფენებს და გამოიყვანდა მათ პოლიტიკურ სცენაზე, ახალი ცხოვრებისთვის აფხიზლებდა მთელ რიგ ერებს, წინათ უცნო-ბებს ან ნაკლებად ცნობილთ. ვინ იფიქრებდა, რომ მეტის ძველი რუ-სეთი შეიცავდა არა ნაკლებ 50 ეროვნებისა და ეთნოგრაფიული ჯგუ-ფებისა? მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ, დაგლიჯა რა ძველი ბორ-კილები და სცენაზე გამოიყვანა მთელი რიგი დავიწყებული ერები და ხალხები, მისცა მათ ახალი ცხოვრება და ახალი განვითარება. ამჟა-მად ინდოეთის შესახებ ლაპარაკობენ, როგორც ერთი მთლიანის შე-სახებ. მაგრამ, ეჭვი არ არის, თუ ინდოეთმა განიცადა რევოლუცი-ონური ქარტეხილი, სცენაზე გამოვლენ წინათ უცნობი ათეული ერე-ბი, რომლებსაც თავისი ენა, თავისი განსაკუთრებული კულტურა აქვთ-და თუ საქმე ეხება სხვადასხვა ერის ზიარებას. პროლეტარულ კულ-ტურასთან, ძალიან ნაკლებ შეიძლება შეეჭვება, რომ ეს ზიარება ჩატა-რდება ამ ეროვნებათა ენისა და ყოფა-ცხოვრების შესატყვის ფორმებში:

ამას წინათ მივიღე ბურიატი ამხანაგებისაგან წერილი, სადაც მთხოვენ განვმარტო საერთო საკაცობრიო და ნაციონალურ კულტუ-რათა ურთიერთობის სერიოზული და ძნელი საკითხები. აი ეს წე-რილიც:

„დაბეჯითებით გთხოვთ განმარტოთ ჩვენთვის ძალიან სერიოზული და ძნელი შემდეგი კითხვები. კომუნისტური პარტიის საბოლოო მიზანია მთლიანი საკაცობრიო კულტურა. როგორ არის წარმოდგენილი ნაციონალური კულტურები-

დან, ჩვენი ცალკეული ავტონომიური რესპუბლიკების ფარგლებში რომ ვითარდება, მთლიან საერთო საკაცობრიო კულტურაზე გადასვლა? როგორ უნდა მოხდეს ცალკეულ ნაციონალურ კულტურათა (ენა და სხვ.) თავისებურებათა ასიმილაცია?

მე ვფიქრობ, რომ ყოველივე ზემოთქმული ვამოდგებოდა ბურიატი ამხანაგების შეშფოთებული კითხვის პასუხად.

ბურიატი ამხანაგები იყენებენ საერთო საკაცობრიო პროლეტარული კულტურის შენების პროცესში ცალკეულ ეროვნებათა ასიმილაციის საკითხს. უეჭველია, რომ ზოგიერთ ეროვნებებს შეიძლება შეეხოს და აღბათ უეჭველადაც შეეხება ასიმილაციის პროცესი. ასეთი პროცესები წინათაც ყოფილა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ზოგიერთი ერების ასიმილაციის პროცესი კი არ უარყოფს, არამედ გულისხმობს საწინააღმდეგო პროცესსაც — მთელ რიგ მძღვრ ეროვნებათა გაძლიერებასა და განვითარებას, ვინაიდან ასიმილაციის ნაწილობრივი პროცესი არის ეროვნებათა განვითარების საერთო პროცესის შედეგი. სწორედ ამიტომ ზოგიერთი ცალკეული ეროვნების შესაძლებელი ასიმილაცია კი არ ასუსტებს, არამედ ამტკიცებს იმ სავსებით სწორ დებულებას, რომ პროლეტარული საერთო საკაცობრიო კულტურა კი არ უარყოფს; არამედ გულისხმობს და ჰკვებავს ნაციონალურ კულტურას ისე, როგორც ნაციონალური კულტურაც კი არ აუქმებს, არამედ ავსებს და ამდიდრებს საერთო საკაცობრიო პროლეტარულ კულტურას.

ასეთია, საერთოდ, ის მორიგი ამოცანები, რომელიც დგას აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების აქტიურ მუშავთა წინაშე:

ასეთია ამ ამოცანების ხასიათი და შინაარსი.

საჭიროა სამეურნეო მშენებლობის გაძლიერების და გლეხების მიმართ ახალ დათმობათა დამდგარი პერიოდის გამოყენება, რომ წინ წაგსწიოთ ამ ამოცანათა შესრულება და ამით გაფუადვილოთ აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკებს, რომელიც უმთავრესად საგლეხო ქვეყნებს წარმოადგენს, საკითხი — ეზიარონ საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობას.

ამბობენ, რომ საგლეხო საკითხში პარტიის ახალი პოლიტიკა, რომელიც იძლევა მთელ რიგ დათმობებს (მოკლევალიანი იჯარა, დაქირავებული შრომის დაშვება), უკან დახევის ერთგვარ ელემენტებსაც შეიცავს. მართალია თუ არა ეს? დიას, მართალია. მაგრამ ესაა უკან დახევის ისეო ელემენტები, რომლებიც დავუშვით მაშინ, როდესაც შენარჩუნებული გვაქს მეტად დიდი უპირატესობა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ძალ-ლონის მხარეზე. მტკიცე ვაღიუტა, მრეწველობა, რომელიც თანდათან ვითარდება, ტრანსპორტი, რო-

მელიც აგრეთვე ვითარდება, კრედიტის სისტემა, რომელიც თანდა-
თან მტკიცება და რომლის მეოხებითაც, შეღავათიანი კრედიტით,
შესაძლოა მოსახლეობის რომელი ფენისაც გნებავთ გაკოტრება ან
უმაღლეს საფეხურზე აყვანა ისე, რომ ამით არ იქნეს გამოწვეული
თუნდაც ოდნავი შერყევაც კი,—ყოველივე ეს ისეთი რეზერვებია
პროლეტარული დიქტატურის ხელში, რომლების საფუძველზე ფრონ-
ტის ერთ უბანში უკან დახვის ზოგიერთ ელემენტებს მხოლოდ და
მხოლოდ შეუძლია მთელ ფრონტზე შეტევის მომზადების გაადვილე-
ბა. სწორედ ამიტომ, ზოგიერთმა ახალმა დათმობამ, პარტიის მიერ
გლეხობის მიმართ დაშვებულმა, კი არ უნდა გააძნელოს, არამედ უნ-
და გააადვილოს მოცემულ შომენტში ის საქმე, რომ გლეხობა ეზიაროს
ჟოკიალისტურ აღმშენებლობას.

რა შნიშვნელობა შეიძლება ექნეს ამ გარემოებას აღმოსავლე-
თის საბჭოთა რესპუბლიკებისთვის? მას შეიძლება ექნეს მხოლოდ ის
შნიშვნელობა; რომ იგი მისურმა ამ რესპუბლიკების აქტიურ მუშა-
კებს ახალ იარაღს, რომელიც გააადვილებს და დააჩქარებს საბჭოთა
სამეურნეო განვითარების საერთო სისტემასთან ამ ქვეყნების დაკავ-
შირების საქმეს.

ასეთი კავშირი აქვს ერთმანეთთან პარტიის პოლიტიკას სოფ-
ლად და იმ ამოცანებს, რომელიც დგას საბჭოთა აღმოსავლეთის აქ-
ტიური მუშაკების წინაშე.

ამასთან დაკავშირებით აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის
ამოცანა აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ შემდეგში
გამოიხატება, მან უნდა მოუწმხადოს ამ რესპუბლიკებს კადრები იმ
მიმართულებით. რომ უზრუნველყოფილი იყოს ზემოაღნიშნულ მო-
რიგ ამოცანათა შესრულება.

აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტს არ შეუძლია მოწყდეს
ცხოვრებას. ის არ არის და არც შეუძლია იყოს ისეთი დაწესებულე-
ბა, რომელიც ცხოვრების ზევით დგას. ის რეალურ ცხოვრებასთან
უნდა იყოს დაკავშირებული თავისი არსებობის ყველა ფესვით. მას
არ შეუძლია, ამის გამო, განზე გაუდგეს აღმოსავლეთის საბჭოთა რეს-
პუბლიკების წინაშე მდგარ მორიგ ამოცანებს. აი ამიტომ აღმოსავ-
ლეთის ხალხთა უნივერსიტეტის ამოცანაა ამ რესპუბლიკების მორიგ
ამოცანათა მხედველობაში მიღება მათთვის სათანადო კადრების აღ-
ზრდის დროს.

ამასთანვე მხედველობაში უნდა მივიღოთ საბჭოთა აღმოსავლე-
თის აქტიური მუშაკების პრაქტიკის ორი განხრა, რომლების წინა-
აღმდეგ ბრძოლა ამ უნივერსიტეტის კედლებში აუცილებელია, რომ

აღვზარდოთ საბჭოთა აღმოსავლეთისთვის ნამდვილ რევოლუციონერთა ნამდვილი კალრები.

პირველი განხრა წარმოადგენს გამარტივებას, იმ ამოცანების გამარტივებას, რომლების შესახებ ვლაბარაკობდი ზემოთ, იმის ცდას, რომ მექანიკურად გადანერგონ სამეურნეო აღმშენებლობის ნიმუშები, სავსებით გასავები და გამოსადევნი საბჭოთა კავშირის ცენტრში, მაგრამ სრულიად შეუფერებელნი ე. წ. განაპირა კუთხეების განვითარების პირობებისთვის. იმ ამხანაგებს, რომლებსაც ეს განხრა აქვთ, არ ესმით ორი რამ. მათ არ ესმით, რომ პირობები ცენტრში და „განაპირა კუთხეებში“ ერთნაირი არ არის და სრულიადაც არ არის იგივე. მათ არ ესმით, გარდა ამისა, რომ თვით აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკები ერთგვაროვანი არ არის, რომ ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, საქართველო და სომხეთი, ნაციონალური ჩამოყალიბების უმაღლეს საფეხურზე დგას, ზოგიერთი კი, მაგ., ჩეჩენეთი და ყაბარდო, ნაციონალური ჩამოყალიბების უდაბლეს საფეხურზე დგას, მესამეებს კი, მაგ., ყირგიზსტანს, ამ ორ უკიდურესობას შორის საშუალო მდგომარეობა უჭირავს. ამ ამხანაგებს არ ესმით, რომ თუ არ შევეცვეთ ადგილობრივ პირობებს, თუ გულდასმით არ აღვრიცხეთ თითოეული ქვეყნის ყველა და ყოველგვარი თავისებურება, ისე შეუძებელია რაიმე სერიოზულის აშენება. ამ განხრის შედეგია მასებისაგან ჩამოშორება და მემარცხენე ფრაზიორებად გადაჭვევა. აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის ამოცანაა — ისე აღზარდოს კადრები, რომ ამ გამარტივების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის წყურვილი ჩაუნერგოს.

მეორე განხრა კი, პირიქით, წარმოადგენს ადგილობრივ თავისებურებათა გაზვიადებას, იმ საერთოსა და მთავარის მივიწყებას, რაც აკავშირებს აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკებს საბჭოთა კავშირის სამრეწველო რაიონებთან, სოციალისტური ამოცანების მიქემალებას, ვიწრო და შემოფარგლული ნაციონალიზმის ამოცანებთან შეგუებას. ის ამხანაგები, რომლებსაც ეს განხრა აქვთ, ნაკლებად ზრუნავენ თავისი ქვეყნის შინაგანი აღმშენებლობის შესახებ, მათ უმჯობესად მიაჩნიათ ეს განვითარება მოვლენათა ბუნებრივ მიმდინარეობას მიანებონ. მათთვის მთავარია არა შინაგანი აღმშენებლობა, არამედ „საგარეო“ პოლიტიკა, თავისი რესპუბლიკის საზღვრების გაფართოება, გარემოცულ რესპუბლიკებთან დავა, მეზობლებისაგან. ზედმეტი ნაწრის წაგლეჯის სურვილი, რომ ამჩიგად მოსაწონი გახდენ თავისი ქვეყნის ბურუუაზიული ნაციონალისტებისთვის. ამ განხრის შედეგია სოციალიზმიდან ჩამოშორება და ჩვეულებრივ ბურუუაზიულ

ნაციონალისტებად გადაქცევა. აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის ამოცანაა, ისე აღზარდოს კადრები, რომ ამ ფარული ნაციონალიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის წყურვილი ჩაუნერგოს.

ასეთია აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის ამოცანები აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ.

II. აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის ამოცანები აღმოსავლეთის კოლონიალური და დამოკიდებული ქვეყნების მიმართ.

გადავიდეთ მეორე საკითხზე — აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის ამოცანებზე აღმოსავლეთის კოლონიალური და დამოკიდებული ქვეყნების მიმართ.

რაში მდგომარეობს ამ ქვეყნების არსებობის და განვითარების დამახასიათებელი თავისებურებანი, როთაც განსხვავდებიან აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკებისაგან?

პირველი — იმაში, რომ ეს ქვეყნები იმპერიალიზმის შიერ ჩაგვრის პირობებში ცხოვრობენ და ვითარდებიან.

მეორე — იმაში, რომ ორმაგი ჩაგვრა, ჩაგვრა შინაგანი (ზავის ბურჟუაზისაგან) და ჩაგვრა საგარეო (უცხო იმპერიალისტური ბურჟუაზისაგან) აღწვავებს და აღრმავებს ამ ქვეყნებში რევოლუციონურ კრიზისს.

მესამე — იმაში, რომ ამ ქვეყნებში ზოგან, მაგ. ინტოეთში, კაპიტალიზმი ჩეარი ტემპით იზრდება და ჰქმნის და აყალიბებს მკვიდრთა პროლეტარების ცოტად თუ ბევრად მრავალრიცხვოვან კლასს.

მეოთხე — იმაში, რომ რევოლუციონური მოძრაობის ზრდისთან ერთად ამ ქვეყნების ნაციონალური ბურჟუაზია ორ ნაწილად იყოფა — რევოლუციონურ (წვრილი ბურჟუაზია) და შემთანხმებელ ბურჟუაზიად (მსხვილი ბურჟუაზია); პირველი განაგრძობს რევოლუციონურ ბრძოლას, მეორე კი ბლოკს ჰქონის იმპერიალიზმთან.

მეხუთე — იმაში, რომ იმპერიალისტური ბლოკის გვერდით ამ ქვეყნებში იქმნება მეორე ბლოკიც, მუშებისა და რევოლუციონური წვრილი ბურჟუაზიის ბლოკი, ანტიიმპერიალისტური ბლოკი; რომ მელიც მიზნად ისახავს იმპერიალიზმისაგან სრულ განთავისუფლებას.

მეექსე — იმაში, რომ ამ ქვეყნებში პროლეტარიატის ჰეგმონიის და შემთანხმებელი ნაციონალური ბურჟუაზიის გავლენისაგან

ზალხთა მასების განთავისუფლების საკითხი თანდათან უფრო და უფრო ცოცხალ ხასიათს იღებს.

მეშვიდე — იმაში, რომ ეს გარემოება საგრძნობლად აადვილებს ამ ქვეყნების განმათავისუფლებელ — ნაციონალური მოძრაობის და დასავლეთის მოწინავე ქვეყნების პროლეტარული მოძრაობის დაკავშირების საქმეს.

აქედან სამი დასკვნა მაინც გამომდინარეობს:

1) შეუძლებელია იმპერიალიზმისაგან განთავისუფლება კოლონიალური და დამოკიდებული ქვეყნებისა, თუ ძლევამოსილი რევოლუცია არ მოხდა: დამოუკიდებლობას მუქად არავინ მოგცემს.

2) შეუძლებელია რევოლუციის წინ წაწევა და კაპიტალისტურად განვითარებული კოლონიების და დამოკიდებული ქვეყნების სრული დამოუკიდებლობის მოპოვება, თუ არ მოხდა შემთანხმებელი ნაციონალური ბურჟუაზიის იზოლიაცია, თუ არ განვათავისუფლეთ წვრილ-ბურჟუაზიული რევოლუციონური მასები ამ ბურჟუაზიის გავლენისაგან, თუ არ განვახორციელოთ პროლეტარიატის ჰეგემონია, არ დავაორგანიზეთ მუშათა კლასის მოწინავე ელემენტები დამოუკიდებელ კომუნისტურ პარტიაში.

3) შეუძლებელია კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნებში შტკიცე გამარჯვების მოპოვება, თუ რეალური კავშირი არ იქნა ამ ქვეყნების განმათავისუფლებელ მოძრაობასა და დასავლეთის მოწინავე ქვეყნების პროლეტარულ მოძრაობას შორის..

კოლონიალური და დამოკიდებული ქვეყნების კომუნისტების ძირითადი ამოცანაა — თავის რევოლუციონურ მუშაობას ეს დასკვნები დაუდონ გამოსახალად.

რაში მდგომარეობს კოლონიების და დამოკიდებული ქვეყნების რევოლუციონური მოძრაობის ძირითადი ამოცანები ამ გარემოებებთან დაკავშირებით?

მოცემულ მომენტში კოლონიების და დამოკიდებული ქვეყნების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მთლიანი და ყოვლის შემცველი კოლონიალური აღმოსავლეთი აღარ არსებობს ბუნებაში. წინათ კოლონიალური აღმოსავლეთი წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც მთლიანი და ერთსახოვანი რამ. ახლა ეს წარმოდგენა უკვე აღარ შეესაბამება სინამდვილეს. ახლა ჩვენ, სულ მცირე რომ ვთქვათ, სამი კატეგორიის კოლონიალური და დამოკიდებული ქვეყნები მაინც გვაქვს. პირველი — ისეთი ქვეყნები, როგორც, მაგალითად, მარიკო, რომელებსაც არა ჰყავთ ან თითქმის არა ჰყავთ თავისი პროლეტარიატი და მრეწველობის მხრივ სრულიად განუვითარებელი არიან;

შეორე — ქვეყნები, როგორც, მაგ., ჩინეთი და ეგვიპტე, მრეწველობის მხრივ ნაკლებ განვითარებულნი, რომლებსაც შედარებით მცირე-რიცხოვანი პროლეტარიატი ჰყავთ; მესამე — ქვეყნები, როგორც, მაგ., ინდოეთი, კაპიტალისტურად ცოტად თუ ბევრად განვითარებულნი, რომლებსაც ჰყავთ ცოტად თუ ბევრად მრავალრიცხოვანი ნაციონალური პროლეტარიატი.

ცხადია, ყველა ამ ქვეყნის ერთმანეთთან გატოლება შეუძლებელია.

მაროკოს მსგავს ქვეყნებში, საღაც ნაციონალურ ბურჟუაზიას ჯერ კიდევ არა აქვს რევოლუციონურ და შემთანხმებელ პარტიებად გაყოფის საფუძველი, კომუნისტური ელემენტების ამოცანაა — მიიღონ ყოველგვარი ზომა, რომ შექმნან მთლიანი ნაციონალური ფრონტი იმპერიალიზმის წინააღმდეგ. კომუნისტური ელემენტების გამოყოფა მთლიან პარტიად ასეთ ქვეყნებში შესაძლებელია მხოლოდ იმპერიალიზმთან ბრძოლის პროცესში, განსაკუთრებით კი — იმპერიალიზმის წინააღმდევ ძლევამოსილი რევოლუციონური ბრძოლის შემდეგ.

ეგვიპტისა და ჩინეთის მსგავს ქვეყნებში, საღაც ნაციონალური ბურჟუაზია უკვე ვთყო. რევოლუციონურ და შემთანხმებელ პარტიებად, მაგრამ საღაც ბურჟუაზიის შემთანხმებელ ნაწილს ჯერ კიდევ არ შეუძლია იმპერიალიზმთან შეკავშირება, კომუნისტებს უკვე არ შეუძლიათ მიზნად დაისახონ იმპერიალიზმის წინააღმდეგ მთლიანი ნაციონალური ფრონტის შექმნა. მთლიანი ნაციონალური ფრონტის პოლიტიკიდან ასეთ ქვეყნებში კომუნისტები მუშებისა და წვრილი ბურჟუაზიის რევოლუციონური ბლოკის პოლიტიკაზე უნდა გადავიდენ. ასეთ ქვეყნებში ამ ბლოქმა შეიძლება მიიღოს მთლიანი პარტიის, მუშურ-გლეხური პარტიის სახე, როგორც მაგ., „გომინდან“, იმ პირობით კი, რომ ეს თავისებური პარტია ნამდვილად წარმოადგენდეს ორი ძალის, კომუნისტური პარტიისა და რევოლუციონური წვრილი ბურჟუაზიის პარტიის ბლოკს. ნაციონალური ბურჟუაზიის მერყობისა და არათანმიმდევრობის მხილება და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მედგარი ბრძოლა — აი, ამ ბლოკის ამოცანები. ასეთი ორშემადგენლობიანი პარტიისა საჭიროა და მიზანშეწონილი, თუ-კი ის ხელ-ფეხს არ უბორებს კომპარტიის, თუ არ ზღუდავს კომპარტიის სააგიტაციო და საპროპაგანდო მუშაობას, თუ ის ხელს არ უშლის კომპარტიის ირგვლივ პროლეტარების შემჭიდროებას, თუ ის უადვილებს კომპარტიის რევოლუციონური მოძრაობის ფაქტიურ ხელმძღვანელობას. ასეთი ორშემადგენლობიანი პარტიის არაა საჭირო და მიზანშეწონილი, თუ ის არ შეესაბამება ყველა ამ პირობას, ვინაიდან მას შე-

უძლია წაგვიყვანოს ბურჟუაზიის რიგებში კომუნისტური ელემენტების გათქვეფის გზით, შეუძლია კომპარტიას დაკარგვინოს პროლეტარული არმია.

ცატა სხვაგარადაა საქმე ინდოეთის მსგავს ქვეყნებში. ისეთი კოლონიების, როგორიცაა ინდოეთი, არსებობის ძირითადი და ახალი პირობები მარტო ის კი არ არის, რომ ნაციონალური ბურჟუაზია გაიყო რევოლუციონურ და შემთანხმებელ პარტიებად, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ ამ ბურჟუაზიის შემთანხმებელმა ნაწილმა უკვე მოასწრო ძირითად საკითხებში იმპერიალიზმთან შეთანხმება. ბურჟუაზიის ეს ნაწილი, რომელსაც რევოლუციის უფრო ეშინია, ვიდრე იმპერიალიზმის, რომელიც უფრო მეტად ზრუნავს თავისი ქისის ინტერესებზე, ვიდრე თავისი საკუთარი სამშობლოს ინტერესებზე, რომელიც ყველაზე უფრო მდიდარი და გავლენიანია, — ორივე ფეხით დგას რევოლუციის შეურიგებელ მტერთა ბანაქში, მას ბლოკი აქვს იმპერიალიზმთან შეკრული საკუთარი ქვეყნის მუშების და გლეხების წინააღმდეგ.

შეუძლებელია მივაღწიოთ რევოლუციის გამარჯვებას, თუ ეს ბლოკი არ დავშალეთ. მაგრამ ამ ბლოკის ღასაშლელად საჭიროა ბრძოლის ცეცხლი მივმართოთ შემთანხმებელი ნაციონალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ვამხილოთ მისი გამცემლობა, განვათავისუფლოთ მშრომელი მასები მისი გავლენისაგან და სისტემატიურად ვამზადოთ პროლეტარიატის ჰეგემონიისთვის აუცილებელი პირობები. სხვანაირად რომ ვთქვათ, საქმე იმას ეხება, რომ ისეთ კოლონიებში, როგორიცაა ინდოეთი, უნდა მოვამზადოთ პროლეტარიატი განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის როლისთვის, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა დავახვევინოთ. ამ საპატიო თანამდებობიდან ბურჟუაზიას და მის შათორებს. რევოლუციონური ანტიიმპერიალისტური ბლოკის შექმნა და ამ ბლოკში პროლეტარიატის ჰეგემონიის უზრუნველყოფა — ასეთია ამოცანა. ამ ბლოკს შეუძლია, მაგრამ სავალდებულო როდი არის ყოველთვის მიიღოს მთლიანი მუშურ-გლეხური პარტიის, ფორმალურად მთლიანი პლატფორმით შეკავშირებული პარტიის, სახე-ასეთ ქვეყნებში კომპარტიის დამოუკიდებლობა უნდა იყოს კომუნიზმის მოწინავე ელემენტების ძირითადი ლოზუნგი, ეინაიდან შემოლოდ კომუნისტურ პარტიის შეუძლია პროლეტარიატის ჰეგემონიის მომზადება და გატარება. მაგრამ კომპარტიის შეუძლია და კიდეც უნდა შეჰქრას აშკარა ბლოკი ბურჟუაზიის რევოლუციონურ ფრთასთან იმისთვის, რომ, მოახდენს რა ნაციონალური ბურჟუაზიის იზოლაციას, თან გაიყოლიოს ქალაქის და სოფლის წვრილი ბურჟუა-

ზის მთლიანი მასები იშვერიალიზმის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში.

აქედან გამომდინარეობს კაბიტალისტურად ვანვითარებულ კოლონიებში და დამოკიდებულ ქვეყნებში რევოლუციონური მოძრაობის მორიგი ამოცანები:

1) მუშათა კლასის საუკეთესო ელემენტების გადაბირება კომუნიზმის მხარეზე და დამოუკიდებელ კომუნისტურ პარტიათა შექმნა.

2) მუშების, გლეხების და რევოლუციონური ინტელიგენციის ნაციონალურ-რევოლუციონური ბლოკის შექმნა შემთანხმებელი ნაციონალური ბურჟუაზისა და იმპერიალიზმის ბლოკის წინააღმდეგ.

3) ამ ბლოკში პროლეტარიატის პეგემონის უზრუნველყოფა.

4) ბრძოლა შეთანხმებული ნაციონალური ბურჟუაზისა გავლენისაგან ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზისა განთავისუფლებისათვის.

5) განმათავისუფლებელი მოძრაობის და მოწინავე ქვეყნების პროლეტარული მოძრაობის კავშირის უზრუნველყოფა.

ასეთია კოლონიალური და აღმოსავლეთის დამოკიდებული ქვეყნების აქტიური მუშაკების წინაშე მდგომი მორიგი საკითხების სამიჯგუფი:

ამ ამოცანებს განსაკუთრებით სერიოზული ხასიათი და განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა, თუ მათ განვიხილავთ ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის თვალსაზრისით. საერთაშორისო მდგომარეობას მოცემულ მომენტში ახასიათებს - რევოლუციონური მოძრაობის ღრმებით მიწყნარების პერიოდი. მაგრამ რა არის მიწყნარება, რას უნდა მოასწავებდეს იგი მოცემულ მომენტში? ის მხოლოდ უნდა მოასწავებდეს დასავლეთის მუშებზე და. აღმოსავლეთის კოლონიებზე და, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირზე, როგორც ყველა ქვეყნის რევოლუციონური მოძრაობის მებაირახტრებე, ძალატანების გაძლიერებას. ეჭვიც კი არ უნდა გვებარებოდეს იმაში, რომ საბჭოთა კავშირზე ამ ძალატანების შხადება უკვე დაიწყო იმპერიალისტების რიგებში. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ესტონიაში მომხდარ აჯანყებასთან დაკავშირებით ცილისწამების კამპანიის ჩატარება, გაიძერულად ამხელრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სოფიაში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით, ბურჟუაზიული პრესის საერთო გალაშქრება ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, — ყოველივე ეს თავდასხმის მოსამართებელი ეტაპია. ეს არის საზოგადოებრივი აზრის საარტილერიო მომზადება, რომლის მიზანია შეაჩინოს ობივატელები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსვლას და შექმნას მორალური წინა-

შძლვრები ინტერვენციისთვის. ოთვა გამოვა სიცრუტისა და ცილისწამების ამ კამპანიიდან, გაბედავენ თუ არა იმპერიალისტები სერიოზულ თავდასხმას, — ეს ვნახოთ. მაგრამ ორმ ეს გამოსვლები კარგს არაფერს უქადის კოლონიებს, ამაში შეეჭვება მგონი არც არის საჭირო. ამიტომ იმპერიალიზმის მხრივ შემოტევაზე პასუხის გასაცემად რევოლუციის გაერთიანებული ძალების მიერ კონტრშეტევის მომზადების საკითხი დღის მიუცილებელი საკითხია.

ამ რატომ ეძლევა მოცემულ მომენტში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა. კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში რევოლუციონური მოძრაობის ძირითადი ამოცანების უეჭველად შესრულებას.

რას წარმოაღვენს აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის მისია კოლონიალური და დამოკიდებული ქვეყნების მიმართ აჭ გარემოებებთან დაკავშირებით? ეს მისიაა — ამ ქვეყნების რევოლუციონური განვითარების ყოველი თავისებურობის მიღება მხედველობაში და ამ ქვეყნებიდან მოსული კადრების აღზრდა ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ზემოაღნიშნულ სხვადასხავარ მორიგ ამოცანათა შესრულება.

აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტში არის დაახლოებით 10 სხვადასხვა ჯგუფი მსმენელებისა, რომლებიც ჩვენთან მოვიდენ კოლონიალური და დამოკიდებული ქვეყნებიდან. ყველამ იცის, რომ ამ ამხანაგებს სწყურიათ სინათლე და ცოდნა. აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის ამოცანაა გამოსჭედოს მათგან ნამდვილი რევოლუციონერები, ლენინიზმის თეორიით აღჭურვილი, ლენინიზმის პრაქტიკული გამოცდილების და კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების გამათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი ამოცანების არა იძულებით, არამედ სულით და გულით შესრულების უნარის მქონენი.

ამასთანავე საჭიროა მხედველობაში მიეკორო კოლონიალური აღმოსავლეთის აქტიური მუშაკების პრაქტიკის ორი განხრა, რომლების წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია იმისათვის, რომ აღვხარდოთ მართლაც რევოლუციონური კადრები.

პირველი განხრაა — შეფასების დროს რევოლუციონურ შესაძლებლობათა შემცირება და მთლიანი, კველაფრის შემცველი ნაციონალური ფრონტის იდეის გადაჭარბებული შეფასება კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში, მიუხედავად იმისა, თუ რა მდგომარეობაშია და განვითარების რომელ საფეხურზეა ეს ქვეყნები. ეს არის მარჯვნით გადახრა, რომელიც საშიშარია იმ მხრივ, რომ შეუძლია გამოიწვიოს რევოლუციონური მოძრაობის მოდუნება და ბურჟუაზიული ნაციონალისტების საერთო გუნდში კომუნისტური ელემენტების გა-

თქვეფა. ამ განხრის წინააღმდეგ მეტყარი ბრძოლაა აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პირდაპირი მოვალეობა.

მეორე განხრაა — რევოლუციონური მოძრაობის შესძლებლობათა გადაჭარბებული წარმოდგენა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის რევოლუციონურ ბურჟუაზიასთან დაკავშირების საქმის ჯეროვანად შეუფასებლობა. ეს განხრა აქვთ, მგონი, კომუნისტებს იავაზე, რომლებმაც ამასწინედ შეცდომით წამოაყენეს თავისი ქვეყნისთვის საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნები. ეს არის მემარცხენე გადახრა, რომელიც ბადებს მასებისგან ჩამოშორების და სექტად კომპარტიის გადაქცევის საშიშროებას. ამ განხრის წინააღმდეგ მედვარი ბრძოლაა კოლონიებისათვის და აღმოსავლეთის დამოკიდებული ქვეყნებისთვის ნამდვილი რევოლუციონური კადრების იღზრდის აუცილებელი პირობა.

ასეთია, საერთოდ, აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანები საბჭოთა და კოლონიალური აღმოსავლეთის მიმართ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტი შესძლებს ამ ამოცანების ლირსეულად შესრულებას.

დ ა გ ა ტ ე ბ ა

ეუშურ-გლეხური მთავრობის საკითხის შესახებ,

(პასუხად ამხ. დმიტრიევს).

ამხანაგო დმიტრიევო!

ა/წ. 14 იანვარს „ბოლშევიკისადმი“ მიმართული თქვენი წერილი მუშურ-გლეხური მთავრობის საკითხის შესახებ გამომიგზავნეს ც. კ-ში პასუხისათვის. გადამეტებული დატვირთულობის გამო დაგვიანებით გიპასუხებთ, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი.

1) არ შეიძლება საკითხის ისე დაყენება, როგორადაც ზოგიერთი ამხანაგი აყენებს: „მუშურ-გლეხური მთავრობა — ფაქტიურად, თუ როგორც სააგიტაციო ლოზუნები“. არ შეიძლება ლაპარაკი, რომ თუმცა ჩვენში მუშურ-გლეხური მთავრობა ნამდვილად არ არსებობს, მაგრამ ამის მიუხედავად ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მუშურ-გლეხურ მთავრობაზე, როგორც სააგიტაციო ლოზუნებზე. საკითხის ისე დაყენებით გამოდის, რომ ჩვენს პარტიას შეუძლია წამოაყენოს ხოლმე შინაგნად-ყალბი ლოზუნები, რომლებიც ნამდვილად უშინაარსოა, რომლებიც თვითონ პარტიას არ სჯერა, მაგრამ რომ-

ლებსაც პარტია აყენებს იმისათვის, რომ მასები მოატყუოს. ასეთი საქციელი შეუძლიათ ჩაიდინონ ესერებმა, მენშევიკებმა, ბურუუაზი-ულმა დემოკრატებმა, ვინაიდან სიტყვასა და საქმეს შორის ზღვარი და მასების მოტყუება ამ მომაკვდავ პარტიათა ერთი უმთავრესი იარაღთაგანია. მაგრამ საკითხის ასე დაყენება არ შეუძლია არასოდეს, არავითარ გარემოებაში, ჩვენს პარტიას, ვინაიდან ჩვენი პარტია მარქსისტული, ლენინური, აღმაგალი პარტიაა: იგი თავის ძალას იმით ლებულობს, რომ მისი სიტყვა საქმეს არ შორდება; იგი არ ატყუებს მასებს, იგი ამ მასებს მხოლოდ სიმართლეს ელაპარაკება და თავის პოლიტიკას აშენებს არა დემაგოგიაზე, არამედ კლასობრივ ძალთა მეციერულ ანალიზზე. საკითხი ასე უნდა დაისვას: ჩვენში ან არ არსებობს მუშურ-გლეხური მთავრობა,— და მაშინ მუშურ-გლე-ხური მთავრობის ლოზუნგი უნდა უკუვაგდოთ, როგორც გამოუსა-დეგარი და ყალბი ლოზუნგი; ან ჩვენში ნამდვილად არის მუშურ-გლეხური მთავრობა, ამნაირი მთავრობის არსებობა ეფარდება კლა-სობრივ ძალთა მდგომარეობს,— და მაშინ მუშურ-გლეხური მთავრო-ბის ლოზუნგი მართებული და რევოლუციონური ლოზუნგია. ერთი, ან მეორე. აქ, ამხ. დმიტრიევო, საჭიროა არჩევანი.

2) მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგს თქვენ უწოდებთ ამხ. სტალინის „ფორმულას“. ეს სრულიად არაა მართალი. ნამდვი-ლად ეს ლოზუნგი, ანუ, თუ გნებავთ, „ფორმულა“ — ლენინის ლო-ზუნგია და არა სხვისი ვისიმე. მე მხოლოდ განვიმეორე იგი „კითხვა-პასუხში“. აიღეთ ლენინის თხზულებათა მე-XV ტომი — გვ. 12, 14, 16, 38, 52, 79, 348; მე-XVI ტომის გვ. 28, 29, 315; მე-XVIII ტომი, ნაწ. I.— გვ. 96, სადაც ლენინი საბჭოთა ხელისუფლებას „მუ-შურ-გლეხურ მთავრობას“ უწოდებს. აიღეთ მე-XV ტომი — გვ. 228, 322, 340, 341, 345; მე-XVI ტომი — გვ. 95, 164, 301, 303, 307, 378, 379; მე-XVII ტომი — გვ. 56, 105, 320, 340, 403, 419, 420; მე-XVIII ტომი, ნაწ. I.— გვ. 94, 111, 223, სადაც ლენინი საბჭოთა ხელისუფლებას „მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას“ უწო-დებს; აიღეთ ყველა ეს და აგრეთვე ლენინის ზოგიერთი სხვა ნაწარ-მოები და თქვენ მიხვდებით, რომ მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი, ანუ „ფორმულა“ — ესაა ლოზუნგი, ანუ „ფორმულა“ ლე-ნინისა და სხვისი არავისი.

3) თქვენი უმთავრესი შეცდომა ისაა; რომ ერთმანეთში ურევთ:

- 1) ჩვენი მთავრობის საკითხსა და ჩვენი სახელმწიფოს საკითხს;
- 2) ჩვენი სახელმწიფოს და ჩვენი მთავრობის კლასობრივი ბუნების საკითხსა და ჩვენი მთავრობის საყოველდღეო პოლიტიკის საკითხს.

არ შიძლება აღრევა და, მაშასადამე, ჩვენი სახელმწიფოს გარგივება ჩვენს მთავრობასთან. ჩვენი სახელმწიფო არის პროლეტარია კლასის ჩამოყალიბება სახელმწიფო ხელისუფლებად, რომლის მიზანია ექსპლუტატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვა, სოციალისტური მეურნეობის მოწყობა, კლასთა ლიკვიდაციის მოხდენა და სხვა. ჩვენი მთავრობა არის კენჭერო ამ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა, მისი ხელმძღვანელი კენჭერო. მთავრობა შეიძლება შესცდეს. შეიძლება მან ისეთი შეცდომებიც ჩაიდინოს, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის დროებითი დალუპვით დაემუქრებიან; მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ პროლეტარული დიქტატურა, როგორც გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს შენების პრინციპი, — სწორი არაა, ან მცდარია. ეს მხოლოდ იმის ნიშანი იქნება, რომ ხელმძღვანელი კენჭერო არ ვარგებულა, რომ ხელმძღვანელი კენჭეროს პოლიტიკა, მთავრობის პოლიტიკა — არ ეფარდება პროლეტარიატის დიქტატურას, რომ ეს პოლიტიკა უნდა შეიცვალოს პროლეტარიატის დიქტატურის მოთხოვნილებებთან შეფარდებით. თავისი კლასობრივი ბუნებით სახელმწიფო და მთავრობა ერთვგარნი არიან; მაგრამ მთავრობა უკვე მარტო თავისი მოცულობით განირჩევა და იგი ვერ ჰქონავს სახელმწიფოს. ისინი ერთმანეთთან ორგანიულად არიან და ეავშირებული, მაგრამ ეს სრულიადაც იმას. არ ნიშნავს, თითქოს შესაძლებელი იყოს მათი ერთმანეთში დომხალივით არევა.

თქვენ პხედავთ, რომ არ შეიძლება აღრევა ჩვენი სახელმწიფოს საკითხისა ჩვენი მთავრობის საკითხში, როგორც არ შეიძლება ერთმანეთში აურიოთ პროლეტართა კლასის ხელმძღვანელი კენჭეროს საკითხი.

მაგრამ კიდევ უფრო შეუწყნარებელია ჩვენი სახელმწიფოს და ჩვენი მთავრობის კლასობრივი ბუნების საკითხის აღრევა ჩვენი მთავრობის საყოველდღეო პოლიტიკის საკითხში. ჩვენი სახელმწიფოს და ჩვენი მთავრობის კლასობრივი ბუნება თავისთავად ნათელია — იგი პროლეტარულია. ჩვენი სახელმწიფოს და მთავრობის მიზნებიც ცხადია, — ესაა ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვა, სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზაცია, კლასთა მოსპობა და სხვა. ყველაფერი ეს ცხადია. მაშასადამე, ამ შემთხვევაში რას წარმოადგენს ჩვენი მთავრობის საყოველდღეო პოლიტიკის საკითხი? ეს არის საკითხი იშვიათი და საშუალებათა შესახებ, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია განვახორციელოთ პროლეტარული დიქტატურის კლასობრივი მიზნები ჩვენს გლეხურ ქვეყანაში. პროლეტარული სახელ-

მწიფო აუცილებელია იმისათვის, რომ დავთრგუნოთ ექსპლოატა-
ტორთა წინააღმდეგობა, მოვაწყოთ სოციალისტური მეურნეობა,
მოესპონტო კლასები და სხვა. ჩვენი მთავრობა კი აუცილებელია,
გარდა ყველაფერ ზემოხსენებულისა, იმისათვისაც, რომ გაითვა-
ლისწინოს ის გზები და საშუალებანი (საყოველდღეო პოლიტიკა),
ურომლებოდაც წარმოუდგენელია ამ ამოცანათა შესრულება ჩვენს
ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატი უმცირესობას წარმოადგენს,
სადაც დიდი უმრავლესობა — გლეხობაა. რანაირია ეს გზები და
საშუალებები, რას წარმოადგენენ ისინი? უმთავრესად ეს არის ის
ლონისძიებები, რომლებიც მიმართულია მუშებისა და გლეხთა ძი-
რითადი მასის კავშირეს შენარჩუნებისა და განმტკიცებისკენ, მი-
მართულია ამ კავშირში ხელისუფლების სათავეში მყოფი პროლე-
ტარიატის ხელმძღვანელი როლის შენარჩუნებისა და განმტკი-
ცებისაკენ. შეონი საჭირო არაა იმის მტკიცება, რომ ამნაირი
კავშირის გარეშე და ამნაირი კავშირის უქონლად — ჩვენი მთავრობა
უმშეო იქნებოდა და საშუალება არ გვექნებოდა პროლეტარიატის
დიქტატურის ის ამოცანები გაგვეხორციელებინა, რომელზედაც ახლა
ვლაპარაკობდი. რამდენ ხანს იარსებებს ეს კავშირი, ეს გადაბმულობა
და რა დრომდე გაგრძელდება საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა ამ
კავშირის, ამ გადაბმულობის განმტკიცებისაკენ მიმართული? ცხადია,
იმ დრომდე, ვიდრე კლასები არსებობენ და ვიდრე იარსებებს მთავ-
რობა, როგორც კლასობრივი საზოგადოების, როგორც პროლეტა-
რიატის დიქტატურის გამომხატველი. ამასთან ერთად მხედველო-
ბაში უნდა ვიქონიოთ, რომ: 1) მუშათა და გლეხთა კავშირი ვესა-
ჭიროება არა გლეხობის დატოვებისათვის, როგორც კლასისა, არა-
მედ მის შესაცვლელად და იმნაირად გარდასაქმნელად, ჩაიც სო-
ციალისტური აღმშენებლობის გამარჯვების ინტერესებს შეესაბამება;
2) საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, მიმართულს ამ კავშირის გან-
მტკიცებისაკენ, მიზნად აქეს არა გამაგრება, არამედ კლასთა მოსპო-
ბა, კლასთა მოსპობის ტემპის დაჩქარება. ამიტომ ლენინი სახესებით
მართალი იყო, როდესაც სწერდა:

„დიქტატურის უმაღლესი პრინციპი — ესაა გლეხობასთან პროლეტა-
რის კავშირის შენარჩუნება, რათა პროლეტარიატმა შეინარჩუნოს ხელმძღვა-
ნელი როლი და სახელმწიფო ხელისუფლება“ (ტ. XVIII, ნ. I, გვ. 331).

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ლენინის სწორედ ეს დებულება
და არა სხვა რაიმე — არის საბჭოთა მთავრობის. სახელმძღვანელო
ხაზი მის საყოველდღეო პოლიტიკაში; საბჭოთა მთავრობის პოლი-
ტიკა განვითარების არსებულ სტადიაში, არსებითად, — ესაა სწორედ

მუშათა და გლეხობის ძირითადი შასის აშნაირის შენარჩუნებისა და განმტკიცების პოლიტიკა. ამ აზრით,—და მხოლოდ ამ აზრით და არა თავისი კლასობრივი ბუნების მხრით, — საბჭოთა მთავრობა არის მუშურ-გლეხური მთავრობა. ვინც ამას არ სცნობს, იგი ლენინიზმის გზას ასცდება, გაღაბმულობის იდეის, პროლეტარიატისა და გლეხობის მშრომელ მასათა კავშირის იდეის უარყოფის გზას ადგება. ამის უარყოფა ნიშნავს იმას, რომ კავშირი მივიჩნიოთ მახინაციად და არა რეალურ რევოლუციონურ საქმედ, ნიშნავს იმის თქმას, რომ ჩვენ ახალი ეკონომიური პოლიტიკა („ნეპ“) შემოვიდეთ „სააგიტაციოდ“ და არა გლეხობის ძირითად მასებთან ერთად სოციალისტური მშენებლობისათვის. ამის არცნობა იმის თქმას ნიშნავს, რომ ჩვენს რევოლუციას არ შეუძლია გლეხობის ძირითადი მასების ძირითადი ინტერესების დაკავყოფილება, რომ ეს ინტერესები შეურიგებელ წინააღმდეგობაშია პროლეტარიატის ინტერესებთან, რომ ჩვენ არ შეგვიძლია და არც უნდა ვაშენებდეთ სოციალიზმს გლეხობის ძირითად მასებთან ერთად; რომ ლენინის კომპრატიული გეგმა გამოუსადეგარია; რომ მენტევიკები და მათი დამქაშები მართალი არიან და სხვა. საკმარისია ამ საკითხების მხოლოდ დასმა, რომ მივხვდეთ კავშირის კარდინალურ საკითხისადმი „სააგიტაციო“ მიღვომის მთელ სიდამბლეს და არარაობას. აი, რატომ იყო, რომ „კითხვა-პასუხში“ მე ვამბობდი: მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი „სადემაგოვიო“, „სააგიტაციო“ მანევრი კი არაა, არამედ აუცილებლად სწორი და რევოლუციონური ლოზუნგია მეთქი.

მოკლედ: ერთია სახელმწიფოს და მთავრობის კლასობრივი ბუნების საკითხი, რომელიც ჩვენი რევოლუციის განვითარების ძირითად მიზნებს განსახლებას, და მეორეა—მთავრობის საყოველდღეო პოლიტიკის საკითხი, ამ პოლიტიკის იმ გზებისა და საშუალებათა საკითხი, რომლებიც ამ მიზნების განსახორციელებლად არის საჭირო. ორი საკითხი აუცილებლად ერთმანეთზეა გადაბმული. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ერთი და იგივე არიან, რომ შეიძლება მათი ერთმანეთში ალრევა.

თქვენ ხედავთ, რომ არ შეიძლება სახელმწიფოს და მთავრობის კლასობრივი ბუნების საკითხისა და მთავრობის საყოველდღეო პოლიტიკის საკითხის ერთმანეთში ალრევა.

შეიძლება გვითხრან, რომ აქ წინააღმდეგობაა: როგორ შეიძლება თავისი კლასობრივი ბუნებით პროლეტარულ მთავრობას მუშურ-გლეხური მთავრობა ვუწოდოთ. მაგრამ წინააღმდეგობა აქ მოჩვენებითია. ნამდვილად რომ ითქვას, აქ ისეთივე „წინააღმდეგობაა“,

როგორი წინააღმდეგობის დანახვაც სურთ ზოგიერთ ჩვენებურ სიპრქნისმოყვარულთ ლენინის ორ ფორმულას შორის პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ლენინის პირველი ფორმულა ვვეუბნება: „პროლეტარიატის დიქტატურა—ესაა ერთი კლასის ხელისუფლება“ (ტ. XVI, გვ. 282); მეორე ფორმულაში კი ნათქვამია: „პროლეტარიატის დიქტატურა—ესაა მშრომელთა ავანგარდის, პროლეტარიატის და მშრომელთა მრავალრიცხვან არაპროლეტარულ ფენათა (წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მებატანონენი, გლეხობა, ინტელიგენცია და სხვა) კლასობრივი კავშირის განხაუთრებული ფორმა“—ო (ტ. XVI, გვ. 241). განა არის რაიმე წინააღმდეგობა ამ ორ ფორმულას შორის? რასაკვირველია, არა. როგორ ვაღწევთ ამნაირ შემთხვევაში, ერთი კლასის (პროლეტარიატის) დიქტატურას, ვთქვათ, გლეხობის ძირითად მასასთან კლასობრივი კავშირის დროს? ვაღწევთ ამ კავშირში ხელისუფლების სათავეში მდგომი პროლეტარიატის („მშრომელთა ავანგარდის“) ხელმძღვანელი როლის განხორციელებით. ერთი კლასის, პროლეტართა კლასის ხელისუფლება, განხორციელებული გლეხობის ძირითად მასასთან ამ კლასის კავშირით პირველის სახელმწიფო ხელმძღვანელობის სახით—აი, ამ ორი ფორმულის ძირითადი აზრი. სად არის აქ წინააღმდეგობა? მერე რას ნიშნავს გლეხობის ძირითადი მასის მიმართ პროლეტარიატის სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა? ეს ისეთივე ხელმძღვანელობაა თუ არა, როგორიც იყო, მაგალითად, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში, როდესაც ჩვენ მივისწრაფოდით პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურისკენ? არა, ეს არაა ასეთი ხელმძღვანელობა. გლეხობის მიმართ პროლეტარიატის სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა—ესაა ხელმძღვანელობა პროლეტარიატის დიქტატურის დროს. პროლეტარიატის მხრით სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა ნიშნავს, რომ: 1) ბურჟუაზია უკვე დამხობილია, ბ) ხელისუფლების სათავეში პროლეტარიატი დგას; გ) პროლეტარიატი ხელისუფლებას არც ერთ კლასს არ უწილადებს; დ) პროლეტარიატი აშენებს სოციალიზმს და აუყოლებია გლეხობის ძირითადი მასები. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის და პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურის დროს პროლეტარიატის ხელმძღვანელობა ნიშნავს, რომ: ა) კაპიტალიზმი კვლავ დარჩენილა, როგორც საფუძველი; ბ) ხელისუფლების სათავეში დგას რევოლუციონურ-დემოკრატიული ბურჟუაზია, რომელიც ხელისუფლების შემადგენლობის უმრავლესობას წარმოადგენს; გ) დემოკრატიული ბურჟუაზია ხელისუფლებას უწილადებს პროლეტარიატს;

დ) პროლეტარიატი გლეხობას ათავისუფლებს ბურჟუაზიულ პარტიათა გავლენასაგან, იდეურ - პოლიტიკურად უხელმძღვანელებს მას-და კაპიტალიზმის დასამხობად ბრძოლას ამზადებს. როგორც ხედავთ, აქ ძირითადი განსხვავებაა.

იგივე უნდა ითქვას მუშურ-გლეხური მთავრობის შესახებ. რა წინააღმდეგობა უნდა იყოს იმაში, რომ ჩვენი მთავრობის პროლეტარული ბუნება და აქედან გამომდინარე სოციალისტური ამოცანები-არა თუ ხელს უშლის, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს, უეჭველად უწყობს ხელს მუშათა და გლეხთა კავშირის შენარჩუნებისა და განმტკიცების პოლიტიკის გატარებას? იმიტომ რომ ეს არის უმნიშვნელოვანესი საშუალება პროლეტარული დიქტატურის სოციალისტური კლასობრივი ამოცანების მისაღწევად ჩვენს გლეხურ ქვეყანაში და. ამიტომვე ამ მთავრობას მუშურ-გლეხური მთავრობა ეწოდება. განაცხადი არაა, რომ ლენინი მართალი იყო, როდესაც მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნებს აყენებდა და ჩვენს მთავრობას მუშურ-გლეხურ-მთავრობას უწოდებდა?

საერთოდ უნდა ითქვას, რომ „პროლეტარიატის დიქტატურის“ სისტემა, რომლის მეშეეობითაც ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში ერთი კლასის—პროლეტარიატის—ხელისუფლება,— საკმაოდ რთული საქმეა. მე ვიცი, ზოგიერთ ამხანაგს არ მოსწონს, ემწუთხება ეს სირთულე, რომ ბევრი მათგანი, „ძალთა ნაკლები ხარჯვის პრინციპის“ თვალ-საზრისით, ამჯობინებდა საქმე ჰქონდა უფრო მარტივსა და უფრო იოლ სისტემასთან. მაგრამ რას იზამ: ჯერ ერთი, ლენინიზმს უნდა ღებულობდე იმ სახით, რაგვარადაც იგი ნამდვილად არსებობს (არ შეიძლება ლენინიზმის გამარტივება და გავულებება); მეორე მხრით, ისტორია გვიდასტურებს, რომ ყველაზე მარტივი და ყველაზე იოლი „თეორიები“ სრულიადაც ყოველთვის ყველაზე სწორი როდია.

4) წერილში თქვენ სჩივით:

„ამ საკითხის გამაშუქებელი ყველა ამხანაგის შეცოდება ისაა, რომ ისინი ლაპარაკობენ ან მხოლოდ მთავრობაზე, ან მხოლოდ სახელმწიფოზე. ამიტომ ვერ იძლევიან საბოლოო პასუხს. და სრულიად უშვებენ მხედველობიდან, თუ რა დამოკიდებულება უნდა იყოს ამ ორ ცნებას შორის“.

მე ვადასტურებ, რომ ჩვენს ხელმძღვანელ ამხანაგებს მართლაც აქვთ ასეთი „შეცოდება“, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ არც თუ ძალიან გულმოდვინე „მკითხველს“ არ სურს კარგად ჩაუკვირდეს ლენინის თხზულებებს და მოითხოვს, რომ მას თვითეული ფრაზა კარგად გადაულეჭონ.. მაგრამ რას იზამ: ჯერ ერთი, ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგები მოუცლელნი

და ძალიან გადატვირთულნი. არიან მიმდინარე მუშაობით. მათ სა-შუალება არა აქვთ შეუდგენ ლენინიზმის განმარტებას, ასე ვთქვათ, მუხლ-მუხლად. მეორე მხრით, ხომ უნდა დაუტოვოთ რამ „მკითხველებსაც“, რომელნიც, ბოლოს და ბოლოს, უნდა გადავიდენ ლენინის თხზულებათა იოლი კითხვიდან ლენინიზმის სერიოზულ შესწავლაზე. ხოლო უნდა ითქვას, რომ „მკითხველთა“ მხრით ლენინიზმის სერიოზული შესწავლა თუ არ იქნა, თქვენისთანა საჩივრის მსგავსი საჩივრები და „გაუგებრობა“—ყოველთვის იქნება.

ავილოთ, მაგალითად, ჩვენი სახელმწიფოს საკითხი, ცხადია, ჩვენი სახელმწიფო, როგორც თავისი კლასობრივი ბუნებით, ისე თავისი პროგრამით, თავისი ძირითადი ამოცანებით, თავისი მოქმედებით, თავისი საქმიანობით—პროლეტარული სახელმწიფო, მუშური სახელმწიფოა, თუმცა ერთგვარი „ბიუროკრატიული გადამახინჯებით“. გაიხსენეთ ლენინის განმარტება:

„მუშური სახელმწიფო აბსტრაქცია. ნამდვილად კი ჩვენ გვაქვს სახელმწიფო, ჯერ ერთი იმ თავისებურობით, რომ ჩვენს ქვეყანაში სჭარბობს არა მუშათა, არამედ გლეხთა მოსახლეობა და, მეორე მხრით, მუშური სახელმწიფო ბიუროკრატიული გადამახინჯებით“ (ტომი მე-XVIII, ნ. I, გვ. 23).

ამაში ეჭვის შეტანა მენშევიკებს, ესერებსა და ზოგიერთ ჩვენს ოპოზიციონერს თუ შეუძლია. ლენინს არა ერთხელ განუმარტავს, რომ ჩვენი სახელმწიფო არის პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფო, ხოლო პროლეტარული დიქტატურა არის ერთი კლასის, პროლეტარიატის ხელისუფლება. ეს დიდი ხანია ცნობილია. მიუხედავად ამისა, ბევრი „მკითხველია“ ისეთი, რომ ლენინს უსაყველურებს იმის გამო, იგი ჩვენს სახელმწიფოს ხანდახან „მუშურ-გლეხურს“ უწოდებდათ. თუმცა ძნელი არაა იმის მიხვდრა, რომ ლენინს მხედველობაში ჰქონდა არა ჩვენი სახელმწიფოს კლასობრივი ბუნების განმარტება, მით უმეტეს, არა ამ სახელმწიფოს პროლეტარული ბუნების უარყოფა, არამედ ის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს პროლეტარულ ბუნებას მოსდევს პროლეტარიატისა და გლეხობის ძირითადი მასების დაკავშირების აუცილებლობა, რის გამოც საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ამ დაკავშირების განმტკიცებისკენ. ავილოთ, მაგალითად, მე-XV ტომი—გვ. 55, მე-XVII ტომი—გვ. 26, 54, 420; მე-XVIII ტომი — ნაწ. I, გვ. 12, 111, 119, 380. ყველა ამ ნაშრომში, აგრეთვე სხვა თავის ნაწარმოებში, ლენინი ჩვენს სახელმწიფოს განმარტავს, როგორც „მუშურ-გლეხურ“ სახელმწიფოს. მაგრამ უცნაური იქნება ვერ მიხვდეთ, რომ ლენინს ყველა ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს არა ჩვენი სახელმწიფოს კლასო-

ბრიენი ბუნების დახასიათება, არამედ განმარტება კავშირის გამაგრების იმ პოლიტიკისა, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს პროლეტარული ბუნებიდან და ჩვენი გლეხური ქვეყნის პირობებში სოციალისტური ამოცანებიდან გამომდინარეობს. ამ პირობითი და შემოფარგლული აზრით, და მხოლოდ ამ მხრით შეიძლება ლაპარაკი „მუშურ-გლეხურ“ სახელმწიფოზე და სწორედ ასე სჩადის ლენინი თავის ნაშრომთა ზემოხსენებულ აღგილებში. რაც შეეხება ჩვენი სახელმწიფოს კლასობრივ ბუნებას, როგორც უკვე ვთქვით ზემოთ, ლენინმა ამის შესახებ ისეთი უზუსტესი ფორმულირება მოგვცა, რომელიც ყოველგვარ ეჭის სპობს: მუშური სახელმწიფო ბიუროკრატიული გადამხინჯებით ისეთ ქვეყანაში, სადაც გლეხთა მოსახლეობა სჭარბობსო. მგონია, ნათელია. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი „მკითხველი“, რომელიც ასევებს „კითხულობს“ და არ სურს წანაკითხის აზრის გაგება, ჯერ კიდევ განაგრძობს ჩივილს: ლენინმა „აგვაბნია“ ჩვენი სახელმწიფოს ბუნების საკითხში, ხოლო „ბორის ბერძენი“ არ სურთ „აბნეულობა“ „განგვიმარტონო“. ცოტა სასაცილო ამბავია, ამხ. დუმიტრიევო...“

თქვენ მეკითხებით: სადა ამ „გაუგებრობათაგან“ გამოსავალიო. გამოსავალი, ჩემის აზრით, ერთია: ესაა ლენინის შესწავლა არა ცალკე ციტატების მიხედვით, არამედ არსებითად, შესწავლა სერიოზული და გულმოდგინე. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

გლეხთა საკითხები პარტიის საში ძირითადი ლოგუნების შესახებ (პასუხად ამხ. იან-სკის).

ამხ. იან-სკო!

თქვენი წერილი, რასაკვირველია, თავის ღრიაზე მიენიღე. გიასუხებთ ცოტაოდენი დაგვიანებით, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი.

1) ლენინი ამბობს:—„ყოველი რევოლუციისათვის უმთავრესია სახელმწიფო ხელისუფლების საკითხი“ (იხ. ტ. XIV, ნ. 2, გვ. 192). რომელი კლასის, ან კლასების ხელთაა ხელისუფლება; რომელი კლასი, ან კლასები უნდა იქნენ დამხობილნი, რომელმა კლასმა, თუ კლასებმა უნდა აიღონ ხელისუფლება,—ესაა „ყოველი რევოლუციის უმთავრესი საკითხი“.

პარტიის ძირითად სტრატეგიულ ლოზუნგებს, რომელთაც ძალა აქვთ რევოლუციის მთელი პერიოდის ან ამა თუ იმ ეტაპისთვის, შეუძლებელია ვუწოდოთ ძირითადი ლოზუნგები, თუ ისინი მთლად და ერთობლივ ლენინის ამ კარდინალურ თეზის არ ეყრდნობიან. ძირითადი ლოზუნგები შეიძლება სწორი იყოს მხოლოდ შემდეგს შემთხვევაში: თუ ისინი აგებული არიან კლასობრივ ძალთა მარქსისტულ ანალიზზე; თუ ისინი კლასობრივი ბრძოლის ფრონტზე რევოლუციონურ ძალთა განწყობის სწორ სქემას გვისახვენ; თუ ისინი ხელს ვეიწყობენ რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის ფრონტთან მასების მიყვანაში, მიყვანაში ახალი კლასის მიერ ხელისუფლების დაპყრობისათვის წარმოებულ ბრძოლის ფრონტთან; თუ ისინი უადვილებენ პარტიას ხალხის ფართო მასებისაგან ფართო და მძლავრი პოლიტიკური არმიის შედგენას, რაიც ამ ამოცანის შესრულებისათვის აუცილებელია.

რევოლუციის ამა თუ იმ ეტაპის განმავლობაში შეიძლება იყოს დამარცხება და უკანდახევა, მარცხი და ცალკე ტაქტიკული შეცდომები; მაგრამ ეს კიდევ იმას როდი ნიშნავს, რომ ძირითადი სტრატეგიული ლოზუნგი სწორი არაა. ასე, მაგალითად, ჩვენი რევოლუციის პირველი ეტაპის ძირითადი ლოზუნგი: — „მთელ გლეხობასთან ერთად, მეფისა და მემამულების წინააღმდეგ და ბურუჟაზის ნეიტრალიზაცია ბურუჟაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გასამარჯვებლად“,— სავსებით სწორი იყო, მიუხედავად იმისა, რომ 1905 წლის რევოლუციამ მარცხი განიცადა.

მაშასაღამე, არ შეიძლება ერთმანეთში ავურიოთ პარტიის ძირითადი ლოზუნგის საკითხი და რევოლუციის დამარცხებანი, ან მარცხი მისი განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე.

შეიძლება ისე მოხდეს, რომ რევოლუციის მსვლელობაში პარტიის ძირითად ლოზუნგს უკვე მოჰყვეს ძველი კლასებისა, თუ ძველი კლასის დამხობა, მაგრამ რევოლუციის ამ ლოზუნგიდან გამომდინარე მთელი რიგი არსებითი მოთხოვნები ჯერ კიდევ არ იყოს განხორციელებული, ან მათი განხორციელება გაჭიანურდეს მთელი პერიოდის განმავლობაში; შეიძლება მათ განსახორციელებლად ახალი რევოლუცია იყოს საჭირო; მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ძირითადი ლოზუნგი სწორი არ იყო. ასე, მაგალითად, 1917 წ. თებერვლის რევოლუციამ დამხომარციზმი და მემამულები, მაგრამ მას არ მოჰყოლია მემამულეთა მიწების კონფისკაცია და სხვა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ჩვენი ძირითადი ლოზუნგი რევოლუციის პირველი ეტაპის დროს—სწორი არ იყო. ან კიდევ: ოქტომბრის რევო-

ლუციამ განახორციელა ბურუუაზის დამხობა და ძალაუფლების გადასვლა პროლეტარიატის ხელში, მაგრამ მას არ მოჰყოლია უცბად: 1) ბურუუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა საზოგადოდ და ბ) სოფლად კულაკების იზოლაცია. კერძოდ ეს საქმე გაჭიათურდა განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რევოლუციის მეორე ეტაპის ძირითადი ჩვენი ლოზუნგი: — „უდარიბეს გლეხობასთან ერთად წინააღმდეგ კაპიტალიზმისა ქალაქად და სოფლად, საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაცია, — პროლეტარიატის ხელისუფლებისათვის“ — სწორი არ იყო.

მაშასადამე, არ შეიძლება ერთმანეთში ავტორიოთ პარტიის ძირითადი ლოზუნგის საკითხი და ამ ლოზუნგიდან გამომდინარე ამათუ იმ მოთხოვნათა განხორციელების ვადისა და ფორმის საკითხი.

ამიტომ არ შეიძლება ჩვენი პარტიის სტრატეგიული ლოზუნგების შეფასება რევოლუციონური მოძრაობის ამათუ იმ პერიოდში ეპიზოდიურ გამარჯვებათა თუ დამარცხებათა თვალსაზრისით. მით უმეტეს არ შეიძლება მისი შეფასება ამ ლოზუნგებიდან გამომდინარე ამათუ იმ მოთხოვნათა განხორციელების ვადისა თუ ფორმის თვალსაზრისით. პარტიის სტრატეგიული ლოზუნგები შეიძლება შეფასებულ იქნას მხოლოდ კლასობრივ ძალთა და რევოლუციის გამარჯვების, ახალი კლასის ხელში ხელისუფლების გადასვლისათვის ბრძოლის ფრონტზე რევოლუციის ძალთა მართებულად განწყობის მარქსისტული ანალიზის თვალსაზრისით.

თქვენი შეცდომა, ამხ. იან-სკო, ის არის, რომ თქვენ გვერდი აგიხვევიათ ამ უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური საკითხისათვის, ან ვერ გაგიგიათ იგი.

2) წერილში თქვენ სწერთ:

„მართალია თუ არა მტკიცება, რომ ჩვენ მივდიოდით მთელ გლეხობასთან შეკავშირებული მხოლოდ ოქტომბრამდე⁹: არა, არ არის მართალი. ამთელ გლეხობასთან კავშირის“ ლოზუნგი ძალაში იყო ოქტომბრამდე, ოქტომბრის მომენტში და ოქტომბრის შემდგომ პირველ პერიოდში, რამდენადაც მთელი გლეხობა დაინტერესებული იყო ბურუუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანაში“.

ამნაირად, ამ ციტატიდან ისე გამოდის, რომ პარტიის სტრატეგიული ლოზუნგი რევოლუციის პირველი ეტაპისათვის (1905 წ.—1917 წ.), როდესაც საქმე ეხებოდა მეფე-მემამულეთა ხელისუფლების დამხობას და პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის დამყარებას, არ განირჩეოდა რევოლუციის მეორე ეტაპის (1917 წ. თებერვალი—1917 წ. ოქტომბერი) ლოზუნგისაგან, როდესაც საქმე.

უკვე ბურუუაზის დამხობასა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას ეხებოდა. მაშასადამე, თქვენ უარპყოფთ ბურუუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციასა და პროლეტარულ-სოციალისტურ რევოლუციას შორის ძირითად განსხვავებას. ხოლო ეს შეცდომა იმიტომ ძოგდით, რომ არ გსურთ მიხვდეთ სულ უბრალო რასმე: სტრატეგიულ ლოზუნგის ძირითადი თემა არის ხელისუფლების საკითხი რევოლუციის არსებულ პერიოდში, საკითხი იმისა, თუ რომელი კლასი იმხობა და რომელი კლასის ხელში გადადის ძალა-უფლება. არა მეონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ თქვენ აქ ძირეულად შემცდარი ხართ.

თქვენ ამბობთ: ოქტომბრის მომენტსა და ოქტომბრის შემგდომ პირველ მომენტში ჩვენ ვატარებდით „მთელ გლეხობასთან კავშირის“ ლოზუნგს, რამდენადაც მთელი გლეხობა იყო დაინტერესებული ბურუუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანაშიო. მაგრამ ვინ მოგახსენათ, რომ ოქტომბრის გადატრიალება და ოქტომბრის რევოლუცია ამოიწურებოდა, ან თავის ძირითად ამოცანად ისახავდა ბურუუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანას? საიდან მოიტანეთ ეს? განა ბურუუაზის ხელისუფლების დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამარცხება შეიძლება ბურუუაზიული რევოლუციის ფარგლებში დავატიოთ? განა პროლეტარიატის დიქტატურის მოპოება ბურუუაზიული რევოლუციის ფარგლებიდან გამოსვლა არაა? როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ კულაკებს (ისინიც ხომ გლეხები არიან!) შეეძლოთ მხარი დაეჭირათ ბურუუაზის დამხობისა და პროლეტარიატისაღმი ხელისუფლების გადასევლისათვის? როგორ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მიწის ნაციონალიზაციის, მიწის კერძო საკუთრების მოსამართის, მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის დეკრეტი და სხვა, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეუძლებელია სოციალისტურ დეკრეტიდ მიეჩინოთ,—ჩვენ გაგვყავდა კულაკთან ბრძოლით და არა მასთან კავშირით? როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ კულაკებს (ისინიც გლეხები არიან) მხარი დაეჭიროს საპჭოთა ხელისუფლების დეკრეტისათვის ფაბრიკა-ქარხნების, რკინის გზების, ბანკებისა და სხვათა ექსპროპრიაციის შესახებ, ან პროლეტარიატის ლოზუნგისათვის იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ობიდ გადაქცევის შესახებ? როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ოქტომბრის რევოლუციაში ძირითადია არა ეს და მათი მსგავსი აქტები, არა ბურუუაზის დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, არამედ ბურუუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა?

უდავოა, ოქტომბრის ჩევოლუციის ერთერთი მთავარი ამოკანა—ბურუუაზიული ჩევოლუციის ბოლომდე მიყვანა იყო; ოქტომბრის ჩევოლუციის დაუხმარებლად ბურუუაზიული ჩევოლუცია ბოლომდე ვერ იქნებოდა მიყვანილი ისევე. როგორადაც თვით ოქტომბრის ჩევოლუციის განმტკიცებაც შეუძლებელი იყო უმისოდ, რომ ბურუუაზიული ჩევოლუცია ბოლომდე არ მიგვეყვანა. რამდენადაც ოქტომბრის ჩევოლუციის ბოლომდე მიჰყავდა ბურუუაზიული ჩევოლუცია, მას თანაგრძნობით უნდა შეხვედროდა მთელი ვლეხობა. ყველაფერი ეს უდავოა. მაგრამ განა შესაძლებელია ამ მოსახრებით იმის მტკიცება, რომ ბურუუაზიული ჩევოლუციის ბოლომდე მიყვანა ოქტომბრის ჩევოლუციის მსვლელობაში წარმოებული მოვლენა კი არა, არამედ მისი პირობა და მისი ძირითადი მიზანი იყო? როგორ გამოვებარათ ოქტომბრის ჩევოლუციის უმთავრესი მიზანი,—ბურუუაზიის ხელისუფლების დამხობა, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, იმპერიალისტური ომის გადაჭივევა. სამოქალაქო ომად, კაპიტალისტების ექსპროპრიაცია და სხვა? დათუ სტრატეგიული ლოზუნგის მთავარი თემა არის ყოველი ჩევოლუციის უმთავრესი საკითხი, ე. ი. ერთი კლასის ხელიდან ძალაუფლების მეორე კლასის ხელში გადასვლის საკითხი, განა აქედან ცხადი არაა, რომ არ შეიძლება ერთმანეთში ავურიოთ პროლეტარული ხელისუფლების მიერ ბურუუაზიული ჩევოლუციის ბოლომდე მიყვანის საკითხი და ბურუუაზიის დამხობის, თვით ამ პროლეტარულისავე ხელისუფლების დაბყრობის საკითხი, ე. ი. ის საკითხი, რომელიც ჩევოლუციის მეორე ეტაპში სტრატეგიული ლოზუნგის უმთავრესი თემა იყო.

პროლეტარიატის დიქტატურის ერთი უდიდესი მიღწევათაგანი ისაა, რომ მან ბოლომდე მიიყვანა ბურუუაზიული ჩევოლუცია და ძირიან-ფესვიანად ამოაგდო შუასაუკუნოებრივი სიბინძურე. სოფლი-სათვის ამას უმთავრესი და ჭეშმარიტად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. უამისოდ შეუძლებელი გახდებოდა გლეხთა ომების შეერთება პროლეტარულ ჩევოლუციისათან, რაზედაც ლაპარაკობდა მარქსი გასული საუკუნის მეორე ნახევარში. უამისოდ თვით პროლეტარულ ჩევოლუციისაც ვერ განვამტკიცებდით. ამასთანავე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოება. ბურუუაზიული ჩევოლუციის ბოლომდე მიყვანა ერთბაში აქტი როდია-იგი გაჭიანურდა მთელი პერიოდის განმავლობაში, ჩაითრია არა მარტი 1918. წლის ნაწილები, როგორც ამტკიცებთ თქვენს წერილში, არამედ ჩაითრია 1919 წ. ნაწილებიც (ვოლგის მხარე—ურალი),

აგრეთვე 1919 — 1920 წ. (უკრაინა). მხედველობაში მაქვს კოლჩაკისა-და დენიკინის შემოტევა, როდესაც მთელი გლეხობის წინაშე წამოი-ჭრა მემამულეთა ხელისუფლების აღდგენის საშიშროება და ორდე-საც იგი მართლაც რომ მთლიანად იძულებული გახდა შემჭიდრო-ებულიყო საბჭოთა ხელისუფლების გარშემო, რომ უზრუნველეყო-ბურუუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა და ამ რევოლუციის ნაყოფი შეენარჩუნებინა. ცოცხალი ცხოვრების პროცესების ეს სი-რთულე და მრავალფეროვანება, ეს „უცნაური“ გადახლართვა ერთმა-ნეთში დიქტატურის უშუალო — სოციალისტური ამოცანებისა და ბურ-უუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანისა, — ყოველთვის თვალ-წინ უნდა გვქონდეს, რომ მართებულად გავიგოთ ლენინის როგორც ყველა ზემოხსენებული ციტატი, ისე პარტიული ლოზუნგების გან-ხორციელების მექანიკა. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ეს გა-დახლართვა მოწმობს რევოლუციის მეორე ეტაპში პარტიის ლო-ზუნგის უსწორობას, რომ ეს ლოზუნგი არაფრით განსხვავდება. რევოლუციის პირველი ეტაპის ლოზუნგისაგან? არა, არ შეიძლება. ითქვას. პირიქით, ეს გადახლართვა მხოლოდ აღასტურებს პარტიის ლოზუნგის სისწორეს მეორე ეტაპში: ულარიძეს გლეხობასთან ერთად კაპიტალისტური ბურუუაზიის წინააღმდეგ ქალაქად და სოფლად, პროლეტარიატის დიქტატურისთვის და სხვა. რატომ? რომ ბო-ლომდე მიგვეყვანა ბურუუაზიული რევოლუცია, საჭირო იყო ოქ-ტომბერში ჯერ ბურუუაზიის ხელისუფლება დაგვემხო და პრო-ლეტარიატის ხელისუფლება დაგვედგინა; ვინაიდან მხოლოდ ამ-ნაირ ზელისუფლებას შეეძლო ბოლომდე მიეყვანა ბურუუაზიული რე-ვოლუცია. ხოლო რომ ოქტომბერში პროლეტარიატის ხელისუფლე-ბა დაგვემყარებინა, საჭირო იყო ოქტომბრისათვის შეგვემზადებინა. და დაგვერაზმა სათანადო პოლიტიკური არმია, რომელიც შესძლებ-და ბურუუაზია დაემხო, პროლეტარიატის ხელისუფლება დაემყარე-ბინა. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ამნაირი პოლიტიკური არმიის შემზადება და დარაზმვა ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ ლოზუნგით: პრო-ლეტარიატის კავშირი ულარიძეს გლეხობასთან ბურუუაზიის წინააღ-მდეგ, პროლეტარიატის დიქტატურისათვის. ცხადია, ამნაირი სტრა-ტეგიული ლოზუნგის გარეშე, რომელსაც ჩვენ ვატარებდით 1917 წ. აპრილიდან 1917 წ. ოქტომბრამდე, ჩვენ არ შეგვეძლო ამნაირი პო-ლიტიკური არმია გვყოლოდა; მაშასადამე, ვერ გავიმარჯვებდით ოქ-ტომბერში, ვერ დავამხობდით ბურუუაზიის ხელისუფლებას და, მაშა-სადამე, ვერ მოვახერხებდით ბურუუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანას.

აი, რატომ არ-შეიძლება ერთმანეთს დავუპირდაპიროთ ბურ-უაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა და რევოლუციის მეორე ეტაპის სტრატეგიულზ ლოზუნგი, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობის უზრუნველყოფა.

არის მხოლოდ ერთი საშუალება ყველა ამ „წინააღმდეგობის“ თავიდან, ასაცილებლად. ესაა ალიარება ძირითადი განსხვავებისა რევოლუციის (ბურუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია) პირველი ეტაპის სტრატეგიულ ლოზუნგსა და რევოლუციის მეორე ეტაპის (პროლეტარული რევოლუცია) სტრატეგიულ ლოზუნგს შორის, ალიარება იმისა, რომ რევოლუციის პირველი ეტაპის დროს ჩვენ მიკვდიოთ მთელ გლეხობასთან ერთად ბურუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის გულისთვის, რევოლუციის მეორე ეტაპის დროს კი ჩვენ მიკვდიოთ უღარიბეს გლეხობასთან ერთად კაპიტალის წინააღმდეგ პროლეტარული რევოლუციისათვის. ამისი ალიარება კრაუცილებელია, ვინაიდან ამას გვაიძულებს რევოლუციის პირველი და მეორე ეტაპის დროს არსებულ კლასობრივ ძალთა ანალიზი. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი გახდება ასენა იმ ფაქტისა, რომ 1917 წლის თებერვლამდე ჩვენ ვმუშაობდით პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციონურ-დემოკრატიული ლოზუნგით, ხოლო 1917 წლის თებერვლის შემდეგ ეს ლოზუნგი შევცვალეთ პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის სოციალისტური ლოზუნგით. დამეთანხმეთ, ამხ. იანასკო, რომ ერთი ლოზუნგის მეორე ლოზუნგით შეცვლა 1917 წ. მარტ-აპრილში შეუძლებელია ავსენათ თქვენი სქემის მიხედვით.

პარტიის ამ ორი სტრატეგიული ლოზუნგის ძირითადი განსხვავება ლენინმა აღნიშნა ჯერ კიდევ თავის ბროშურაში „ორი ტაქტიკა“. ბურუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემზადებისათვის პარტიის ლოზუნგში მან შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

„პროლეტარიატმა ბოლომდე უნდა მიიყვანოს დემოკრატიული გადატრიალება, შეიერთოს გლეხობის მასა, რომ ძალით გასრისოს თვითმშერობელობის“ წინააღმდეგობა და ბურუაზიის მერყეობა უგნებელჲყოს (იხ. ტ. VI, გვ. 271).

სხვანაირად რომ ვთქვათ: მთელ გლეხობასთან ერთად ტუით-მსყრობელობის წინააღმდეგ და ბურუაზიის ნეიტრალიზაცია — დემოკრატიული გადატრიალებისათვის.

რაც შეეხება პარტიის ლოზუნგს სოციალისტური რევოლუციის შემზადების პურილისათვის, იგი ლენინმა ასე ჩამოაყალიბა:

„პროლეტარიატმა უნდა მოახდინოს სოციალისტური გადატრიალება, შეიერთოს მოსახლეობის ნახევრად პროლეტარული ელემენტები, რათა ძალით დათრგუნოს ბურჟუაზიის წინააღმდეგობა და უცნებელჲყოს გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის მერყეობა“ (იხ. იქევ).

სხვანაირად რომ ვთქვათ: უღარიბეს გლეხობასთან და საერთოდ მოსახლეობის ნახევრად პროლეტარულ ფენებთან ერთად ბურჟუაზიის წინააღმდეგ ისე, რომ წვრილი ბურჟუაზია ქალაქებად და სოფლად ნეიტრალიზებულ იქნეს—სოციალისტური გადატრიალებისთვის. ეს იყო 1905 წელს.

1917 წ. აპრილში ლენინი, ახასიათებდა რა მაშინდელ პოლიტიკურ მდგომარეობას, როგორც პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციონურ-დემოკრატიული დიქტატურის გადახლართვის ბურჟუაზიულ რეალურ ხელისუფლებასთან, ამბობდა:

„მიმდინარე მომენტის თავისებურება რუსეთში ისაა, რომ ხდება გადასვლა პირველი ეტაპიდან, რომელმაც პროლეტარიატის ნაკლებად შეგნებულობისა და დარაჭმულობის გამო ხელისუფლება ბურჟუაზიას არგუნა, მის მეორე ეტაპში, რომელმაც ხელისუფლება პროლეტარიატისა და გლეხობის უღარიბეს ფენებს უნდა არგუნოს“ (იხ. ლენინის „აპრილის თეზისები“. ტ. XIV, ნ. I, გვ. 17—18).

1917 წლის აგვისტოს დამლევს, როდესაც ოქტომბრისათვის ვაცხარებული მზადება სწარმოებდა, ლენინი სპეციალურ სტატიაში „მუშები და გლეხები“, სწერდა:

„მხოლოდ პროლეტარიატს“ და გლეხობას შეუძლიათ მონარქიის დამხობა,—ასეთი იყო მაშინდელი დროის მიხედვით (მხედველობაში აქვს 1905 წელი. ი. სტ.) ძირითადი განმარტება ჩვენი კლასობრივი პოლიტიკისა. და ეს განმარტება სწორი იყო. 1917 წლის თებერვალმა და მარტმა ერთხელ კიდევ ზედმეტად დაადასტურა ეს.

მხოლოდ პროლეტარიატი, რომელიც ხელმძღვანელობს უღარიბეს გლეხობას (ნახევრადპროლეტარებს, როგორც ჩვენი პროგრამა ამბობს) შესძლებს ომი დემოკრატიულის ზავით გაათავოს, მის მიერ მოყენებული ჭრილობანი მოაშენოს, დაიწყოს მართლაც საჭირო და გადაუდებელი ნაბიჯების გადადგმა სოციალიზმისაკენ,—ასეთია ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის განმარტება ამჟამად (იხ. ტ. XIV, ნ. II, გვ. 82).

ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქო ახლა გვქონდეს პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურა. რასაკვირველია, ეს ასე როდია. ოქტომბრისკენ ჩვენ მივდიოდით პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგით და ჩვენ იგი ფორმალურად განვახორციელეთ კიდევაც ოქტომბერში, რამდენადაც ბლოკი გვქონდა მემარცხენე ესერებთან და ვუნაწილებდით მათ ხელისუფლებას, თუმცა ფაქტიურად ჩვენ მაშინაც პროლეტარიატის დი-

ქტატურა გვეკონდა, ვინაიდან ბოლშევიკები უმრავლესობას წარმოვადგენდით. მაგრამ პროლეტარიატისა და ულარიბესი გლეხობის დიქტატურა დასრულდა ფორმალურად მაშინ, როდესაც მემარცხენე ესერებმა „პუტჩი“ მოახდინეს, როდესაც მემარცხენე ესერებთან ბლოკი ჩაიშალა, როდესაც ხელმძღვანელობა მთლიანად და სრულად ერთი პარტიის, ჩვენი პარტიის ხელში გადმოვიდა, იმ პარტიისა, რომელიც არ უნაწილებს და არც შეუძლია გაუნაწილოს სახელმწიფოს ხელმძღვანელობა რომელსამე სხვა პარტიას. სწორედ ამას ეწოდება ჩვენში პროლეტარიატის დიქტატურა.

ბოლოს, 1918 წლის ნოემბერში, რეტროსპექტიულად იხილავდა რა რევოლუციის განვლილ პერიოდს, ლენინი სწერდა:

„დაიად, ჩვენი რევოლუცია ბურუუაზიულია, ვიდრე ჩვენ მივდივართ მოელ გლეხობასთან ერთად. ეს ჩვენ ცხადზე უცხადესად გვესმოდა, ეს ათასჯერ და ათა ათასჯერ გვითქვამს 1905 წ., არასოდეს არ ვცდილვართ ამ ისტორიული პროცესის აუცილებლობაზე გადავმხტარიყავით, ან დეკრეტებით მისი გაბატილება მოვკენდომებინა... მაგრამ 1917 წელს, პრიოლის თვილიან, ოქტომბრის რევოლუციიაზე ხევრად დიდი ხნის წინ, ჩვენს მიერ ხელისუფლების აღებამდე, ჩვენ აშკარად ვეუბნებოდით და ვუხსნიდით ხალხს: რევოლუცია შეუძლებელია ახლა ამაზე შეჩერდეს, ვინაიდან ჩვენმა ქვეყანამ წინ წაიწია, ნაბიჯი წადგა წინ კაპიტალიზმა, გაუგონრად გაიზარდა გაპარტაზება, რომელიც შოითხოვს (ულ ერთია, სურს ეს ვისმე, თუ არა), დიალ, მრიოთხოვს სოციალიზმისაკენ ნაბიჯების გადადგმას. ვინაიდან სხვანაირად შეუძლებელია ომისაგან დატანჯული ქვეყნის ხსნა, სხვანაირად შეუძლებელია — მშომელთა და ექსპლოატირებულთა ტანჯვის შემსუბუქება. სწორედ ისე გამოვიდა, როგორც ჩვენ ვამბობთ. რევოლუციის მსვლელობამ დაადასტურა ჩვენი მსჯელობის მართებულობა. ჯერ „მოელ გლეხობასთან“ ერთად მონარქიის წინააღმდეგ, მემამულების, შუასაუკუნოებრივობის წინააღმდეგ (და ამდენადვე რევოლუცია ბურუუაზიული, ბურუუაზიულ-დემოკრატიული რჩება), შემდგომ კი ულარიბეს გლეხობასთან, ნახევრადპროლეტარიატთან, ყველა ექსპლოატირებულთან ერთად — წინააღმდეგ კაპიტალიზმისა, სხვათა შორის, წინააღმდეგ სოფლის მდიდრებისა, კულატებისა, სპეცულიანტებისა და ამდენადვე რევოლუცია სოციალისტური ხდება“ (იბ. ტ. XV, გვ. 507).

როგორც ჰქონდავთ, ლენინი არა ერთხელ უსვამდა ხაზს იმ ლრმა განსხვავებას, რომელიც არსებობს ბურუუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემზადების პერიოდის პირველ სტრატეგიულ ლოზუნგსა და ოქტომბრის შემზადების პერიოდის სტრატეგიულ ლოზუნგს შორის. იქ იყო ლოზუნგი: მთელ გლეხობასთან ერთად თვითმმართველობის წინააღმდეგ, იქ კი იყო ლოზუნგი: ულარიბეს გლეხობასთან ერთად ბურუუაზიის წინააღმდეგ.

ფაქტია, რომ ბურუუაზიული რევოლუციის ბოლომდე. მიყვანა გაჭიანურდა ოქტომბრის შემდგომი მთელი პერიოდის განმავლობაში; რომ, რამდენადაც ჩვენ ბოლომდე მიგვყავდა ბურუუაზიული რესპუბლიკა, შეუძლებელი იყო „მთელი“ გლეხობა თანაგრძნობის არ შეგვევდროდა. ეს ფაქტია, მაგრამ იგი, როგორც უკვე ზემოთ ვთქვი, იოტისოდენადაც ვერ აბათილებს იმ ძირითად დებულებას, რომ ოქტომბრისაკენ მივდიოდით და ოქტომბერში ჩვენ გავიძარჯვეთ ულარიბეს გლეხობასთან ერთად, რომ ბურუუაზიის ხელისუფლება დავამხეთ და პროლეტარიატის დიტატურა დავამყარეთ (რომლის ერთ-ერთ ამოცანას ბურუუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა შეადგენდა) ულარიბეს გლეხობასთან ერთად; კულაკები კი (ისინიც გლეხები არიან) წინააღმდეგობას გვიწევდენ, ხოლო საშუალო გლეხობა მერყეობდა.

მგონია, ცხადია.

ვ) წერილში შემდგომ თქვენ სწერთ:

„სწორია თუ არა მტკიცება, რომ „ოქტომბერს ჩვენ მივადევით ლოზუნგით: — სოფლის დარიბებთან კავშირი და საშუალო გლეხის ნეიტრალიზაცია? არა, არ არის სწორი. ზემომოცვანილი მოსაზრებებისა და ლენინის ხსენებული ამონაწერების მიხედვით ცხადია, რომ ეს ლოზუნგი შეიძლებოდა ალძრულიყო მხოლოდ მაშინ, როდესაც „გლეხობის შიგნით კლასობრივი დანაწილება მომზიდდა“ (ლენინი), ე. ი. „1918 წ. ზაფხულსა და შემოდგომასონ“.

ამ ციტატიდან გამოდის, რომ პარტია საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის დააღვა არა ოქტომბრის შემზადების პერიოდში და ოქტომბრის დროს, არამედ ოქტომბრის შემდეგ, განსაკუთრებით 1918 წლის შემდეგ, ლარიბთა კომიტეტების შემდგომ. ეს სრულიად შართალი არაა, ამხ. იან-სკო. პირიქით, საშუალო გლეხობის პოლიტიკა კი არ დაწყებულა, მოთავდა ლარიბთა კომიტეტების, 1918 წლის შემდეგ. საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის პოლიტიკა გავაძათილეთ (და არა შემოვიღეთ) პრატიკაში სწორედ 1918 წლის შემდეგ. სწორედ 1918 წლის შემდეგ იყო, 1919 წლის მარტში, რომ ლენინმა, გახსნა რა ჩვენი პარტიის მე-VIII ყრილობა, სთქვა:

„ქველი დროის სოციალიზმის საუკეთესო წარმომადგენლინ,—როდესაც მათ ჯერ კიდევ სწამდათ რევოლუცია და თეორიულად ემსახურებოდენ მას,—ლაპარაკობდენ გლეხობის ნეიტრალიზაციაზე, ე. ი. ლაპარაკობდენ იმაზე, რომ ეს საშუალო გლეხობა გადაგვექცია ისეთ საზოგადოებრივ ფენად, რომელიც პროლეტარიატს რევოლუციას აქტიურად თუ არ დაეხმარებოდა, ყოველ შემთხვევაში მუშაობაში ხელს მანც არ შეგვიშლიდა. ამოცანის ეს განყენებული, თეორიული დაყყნება ჩვენთვის სავსებით ცხადია. მაგრამ იგი არ არის საკმათ. ჩვენ სოციალისტური მშენებლობის ისეთ სტა-

დღაში შევედით, როდესაც საჭიროა კონკრეტულად, დეტალურად, სოფლად მუშაობის გამოყდილების მიხედვით, შევიმუშავოთ ის ძირითადი წესები და მითითებანი, როთაც უნდა ვიხელმძღვანელოთ იმისათვის, რომ საშუალო გლეხობის მიმართ მტკიცე ჟაზშირის ნიადაგზე დავდგეთ“ (იხ. ტ. XVI, გვ. 94).-

როგორც ხედავთ, გამოდის სრულიად საწინააღმდეგო იმისა, რასაც თქვენს წერილში ლაპარაკობთ; ჩვენს ნამდვილს პარტიულ პრაქტიკას თქვენ ყირამალა აყენებთ, ნეიტრალიზაციის დასაწყისს და მის დასასრულს ერთმანეთში ურევთ.

საშუალო გლეხი ბუზღუნებდა და მერყეობდა რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის იქადე, ვიდრე ბურუუზიას ჩამოვაგდებდით, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლება ჯერ კიდევ არ განმტკიცებულიყო, რის გამოც საჭირო ხდებოდა მისი ნეიტრალიზაციის მოხდენა. საშუალო გლეხმა პირი ჩვენსკენ იბრუნა მაშინ, როდესაც დარწმუნდა, რომ ბურუუზიაც „სერიოზულად“ არის დამხობილი, რომ საბჭოთა ხელისუფლება მაგრდება, კულაკ ამარცხებენ, წითელი არმია სამოქალაქო ფრონტებზე გამარჯვებას იწყებს. სწორედ ამნაირი გარდატეხის შემდეგ შეიქნა შესაძლებელი მესამე სტრატეგიული ლოზუნგი, რომელიც პარტიას ლენინმა მიაწოდა მე-VIII ყრილობაზე: ლარიბებზე დაყრდნობითა და საშუალო გლეხობასთან კავშირის დამყარების გზით — გავსწიოთ წინ, სოციალისტური მშენებლობისაკენ.

როგორ დაივიწყეთ ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი?

თქვენი წერილიდან ისიც გამომდინარეობს, რომ პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლისას და ამ რევოლუციის გამარჯვების შემდგომ პირველ დღეებში საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის პოლიტიკა სწორი არაა, უვარგისია და ამიტომ მიუღებელია. ეს სრულიად არა მართალი, ამხ. იან-სკო. საქმე სწორედ პირუკმოდა. საშუალო გლეხი ყველაზე მეტად მერყეობს სწორედ ბურუუზიას ხელისუფლების დამხობის დროს და პროლეტარიატის ხელისუფლების განმტკიცებამდე. სწორედ ამ პერიოდშია აუცილებელი ლარიბებთან კავშირი და საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაცია.

დაუინებით ოცავთ რა თქვენს შეცდომას, თქვენ ამტკიცებთ: გლეხობის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც, რომელნიც „ცოტად თუ ბევრად ოქტომბრის წინაღროის რუსეთის ეკონომიკას მოგვაგონებენ“. რასკვირველია, ეს მართალია. მაგრამ, აი, ლენინი კომინტერნის მე-II კონგრესისაღმი აგრარული საკითხის თაობაზე წარმოდგენილ თავის თეზისებში რას ამბობს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს სა-

შუალო გლეხობის მიმართ პოლიტიკა პროლეტარული პარტიებისა-პროლეტარიატის მიერ ხელისუფლებას დაპყრობის პერიოდში. გან-საზღვრავს რა ულარიბეს გლეხობას, ანუ, უფრო სწორედ რომ ით-ქვას, „მშრომელთა და ექსპლოტირებულ კლასებს სოფლად“, რო-გორც ცალკე ჯგუფს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მუშათაგან, ნახევრადპროლეტართა, ანუ პარცელურ გლეხთა და წვრილი გლე-ხობისაგან შედგება, გადაღის რა შემდგომ საშუალო გლეხობის. საკითხზე, როგორც სოფლის განსაკუთრებულ ჯგუფზე, ლენინი-ამბობს:

„საშუალო გლეხობად“ კონომიური გაგებით ვგულისხმობთ იმ წვრილ-მიწათმოქმედებს, რომელიც საკუთრების, ან იჯარის სახით ჰქონდება პატარ-პატარა ნაკერ მიწებს, მავრამ იმდენს მაინც, რომ კაპიტალიზმის პი-რობებში ისინი იძლევიან, საერთოდ, არა მარტო ოჯახისა და შეურნეობის ცოტაოდენს საკვებს, არამედ ზედმეტი პროდუქტის მიღების საშუალებასაც. ეს ზედმეტი პროდუქტი, ყოველ შემთხვევაში კარგმოსავლიან წლებში, შეი-ძლება კაპიტალად იქცეს; ვგულისხმობთ ისეთ გლეხებს, რომელიც ძალიან ხშირად მიმართავენ გარეშე სამუშაო ძალის დაქირავებასაც... რევოლუციო-ნურ პროლეტარიატს არ შეუძლია ამოცანად დაისახოს, — ყოველ შემთხვე-ვაში უახლოესი დროისათვის და პროლეტარიატის დიქტატურის დასაწყისი პერიოდისთვის, — ამ ფენის თავისადმი მიმშრობა. იგი უნდა დასჯერდეს მით ნეიტრალიზაციის ამოცანას, ე. ი. აიძულოს იგი აქტიური დახმარება არ-გაუწიოს ბურუუაზიან პროლეტარიატთან ბრძოლის დროს (იხ. კომინტერ-ნის მე-II კონგრესის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 610—611).

ყველაფერ ამის შემდგომ როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციას ჩვენში შეიძლებოდა „თავი ეჩინა“ „მსოლოდ“ „1918 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე“, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების, პროლეტარიატის ხელისუფლების გადამწყვეტ წარმატებათა შემდგომ?

როგორც ხედავთ, სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისა-და პროლეტარიატის ხელისუფლების ვანმტკიცების მომენტისათვის-პროლეტარულ პარტიათა სტრატეგიული ლოზუნგის საკითხი ისევე, როგორადაც საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის საკითხი, არც ისე მარტივია, როგორც თქვენ წარმოგიდგინით.

4) ყველაფერ ზემოხსენებულიდან ცხადია, რომ ღენინის თხზუ-ლებიდან თქვენს მიერ მოყვანილი ციტატები ყოვლად შეუძლებელია. დაუყიდირდაპიროთ რევოლუციის მეორე ეტაპისთვის პარტიის მიერ წამოყენებულ ძირითად ლოზუნგს, ვინაიდან ეს ციტატები: ა) ეხება პარტიის არა ოქტომბრის წინ არსებულ ძირითად ლოზუნგს, „არამედ ოქტომბრის შემდგომ ბურუუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვა-ნას; ბ) ეს ციტატები კი არ არღვევს, ადასტურებს ამ ლოზუნგის

სისწორეს. მე უკვე ვთქვი ზემოთ და ახლა იძულებული ვარ გავი-მეორო: რევოლუციის მეორე ეტაპისათვის, პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების აღებამდე პარტიისაგან წამოყენებულ სტრატეგიულ ლოგიუნგს, რომლის მთავარი საკითხია ხელისუფლების საკითხი, შეუძლებელია დავუპირდაპიროთ ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანის ამცანა, რომელსაც ვანხორციელებდით პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების აღების შემდეგს პერიოდში.

5) თქვენ ლაპარაკობთ ამ. მოლოტოვის ცნობილ სტატიაზე „პრაგდა“-ში „ბურჟუაზული რევოლუციის შესახებ ჩვენს ქვეყანაში“ (1927 წ. 12/III), რომელმაც თურმე „წაგიბიძგათ“ მოგემართნათ ჩემ-თვის განმარტებისათვის. მე არ ვიცი, როგორ კითხულობთ, ამ. იან-სკო, სტატიებს. მეც წავიკითხე ამ. მოლოტოვის სტატია და მგონია, რომ იგი სრულიად არაფრით ეწინააღმდეგება იმას, რაც მე ვთქვი გლეხობის თაობაზე პარტიის ლოგიუნგების შესახებ ჩვენი პარტიის მე-XIV ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში. ამ. მოლოტოვი თავის სტატიაში ეხება აზა ოქტომბრის პერიოდის ძირითად ლოგიუნგს, არამედ იმას, რომ, რამდენადაც ოქტომბრის შემდეგ პარტიის ბოლომდე მიჰყავდა ბურჟუაზული რევოლუცია, მას მთელი გლეხობა თანაუგრძნობდა. მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ამ ფაქტის ალიარება არა თუ უარპყოფს, არამედ, პირიქით, ადასტურებს ძირითადი დებულების სისწორეს: ბურჟუაზიის ხელისუფლება დავამხეთ და პროლეტარიატის დიქტატურა დავამყარეთ ულარიბეს გლეხობასთან ერთად ქალაქის და სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდევ და საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის მოხდენის გზით; უამისოდ ჩვენ ბოლომდე ვერ მივიყვანდით ბურჟუაზიულ რევოლუციას.

ოჯოვანი უმჯადების პირი და პროლეტარიატისა და უდარიბების გლეხობის დიქტატურის ლოზუნგის შესახებ.

(პასუხად ამ. პ.-ს.)

ამ. პ.!

მე მგონია, თქვენი წერილი ა/წლის 2 მაისის თარიღით არ იძლევა არც საბაბს, არც საბუთს იმისას, რომ დაწვრილებით, ასე ვთქვათ, მუხლობრივ გიბასუხოთ. ნამდვილად რომ ითქვას, თქვენი

წერილი განსაკუთრებით ახალს ვერას გვეუბნება ამხ. იან-სკის წერილთან შედარებით. ხოლო თუ მე მაინც გიპასუებთ, იმიტომ რომ თქვენი წერილი შეიცავს 1917 წ. აპრილ-მაისის „კამენევშინის“ აშერა რესტავრაციის ზოგიერთ ელემენტს. მარტო „კამენევშინის“ ამ ელემენტების დასარღვევად საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ გავცეთ პასუხი თქვენს წერილზე.

1. თქვენ ამბობთ წერილში: „თებერვლიდან ოქტომბრამდე ჩვენ ნამდვილად გვქონდა ლოზუნგი მთელ გლეხობასთან კავშირისა“, „თებერვლიდან ოქტომბრამდე პერიოდში პარტია ესარჩებოდა და იცავდა გლეხობის მიმართ თავის ძეგლს ლოზუნგს — მთელ გლეხობასთან კავშირი ერთობლივ“.

გამოდის, ჯერ ერთი, რომ ოქტომბრის შემზადების პერიოდში (აპრილი-ოქტომბერი) ბოლშევიკებს მიზნად არ ჰქონიათ მიჯნის გავლება ულარიბეს გლეხობასა და შეძლებულ გლეხთა შორის, რომ ისინი ლებულობდნენ გლეხობას, როგორც მთლიან რასმე.

მეორე მხრით გამოდის, რომ ოქტომბრის შემზადების პერიოდში ბოლშევიკებს თავისი ძეგლი ლოზუნგი — „პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა“ არ შეუცვლიათ ახალი ლოზუნგით — „პროლეტარიატისა და ულარიბესი გლეხობის დიქტატურა“, არამედ დარჩენილან იმ ძეგლ პაზიციებზე, რომელიც ლენინმა მოგვცა 1905 წ. ბროშურაში „ორი ტაქტიკა“.

მესამე მხრით ისე გამოდის, რომ ოქტომბრის შემზადების პერიოდში (1917 წ. მარტი-ოქტომბერი) საბჭოების მერყეობასა და შემთანხმებლობასთან ბრძოლის ბოლშევიკური პოლიტიკა, ბრძოლის პოლიტიკა საბჭოებსა და ფრონტზე საშუალო გლეხობის მერყეობასთან, ბრძოლა მერყეობასა და შემთანხმებლობასთან, ასეთი მწვავე სახე რომ მიიღო ივლისის დღეებში, როდესაც საბჭოები ესერ და მენშევიკ შემთანხმებლების მეთაურობით ბოლშევიკების იზოლაციის მიზნით კონტრრევოლუციონური გენერლების ფეხის ხმას აჰყვნენ, — დიალ, გამოდის, რომ ამ მერყეობასთან და გლეხობის განსაზღვრული ფენების შემთანხმებლობასთან ბოლშევიკური ბრძოლა — უსაგნოა და საჭირო არ იყო აბსოლუტურად.

ბოლოს, ისიც გამოდის, რომ კამენევი მართალი იყო, როდესაც 1917 წ. აპრილ-მაისში იცავდა პროლეტარიატის და გლეხების დიქტატურის ლოზუნგს, ხოლო ლენინი, რომელსაც ეს ლოზუნგი უკვე მოველებულად მიაჩნდა და რომელმაც პროლეტარიატისა და ულარიბესი გლეხობის დიქტატურის ახალი ლოზუნგი წამოაყენა, — არ იყო მართალი.

საკმაოა მხოლოდ დაყენება ამ საკითხებისა, რომ მივხვდეთ მთელი თქვენი წერილის შეუსაბამობას.

მაგრამ ვინაიდან თქვენ დიდი მოყვარული ყოფილხართ ლენინის თხზულებებიდან ცალკე ციტატებისა, მივმართოთ ციტატებს.

დიდი შრომა როდი დაგვჭირდება იმის დასამტკიცებლად, რომ თებერვლის გადატრიალების შემდგომ რუსეთის აგრარულ ურთიერთობებში, რევოლუციის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, ლენინს ახალ რადმე მიაჩნდა არა პროლეტარიატისა და გლეხობის, ინტერესების ერთობა საზოგადოდ, არამედ ულარიბესი გლეხობისას და შეძლებული გლეხობის გათიშვა, რომელთაგან პირველი, ე. ი. ულარიბესი გლეხობა, პროლეტარიატისაკენ მიიწევდა, ხოლო მეორე, ე. ი. შეძლებული გლეხობა, — დროებითს მთავრობას მისდევდა.

აი რას ამბობდა ამის შესახებ ლენინი 1918 წ. აპრილში, ეკამათებოდა რა კამენევსა და მის ამყოლებს.

„პროლეტარულ პარტიას არ შეშვენის ამ ფაზად იმედები დაამყაროს. გლეხობის ინტერესებთან ერთობას“ (იბ. 1917 წ. აპრილის კონფერენციაზე, წარმოთქმული სიტყვა ლენინისა, ტ. XIV, ნ. 2, გვ. 417).

შემდგომ:

„მოელ რიგ გლეხთა ყრილობების ვადაწყვეტილებებში უკვე ახლავ ეხედავთ იმ აზრს, რომ საჭიროა აგრარული საკითხის გადაწყვეტას მოუკადოთ დამფუძნებელ კრებამდე, — ეს არის შეძლებული გლეხობის გამარჯვება“ *), რომელიც კადეტებისაკენ იხრება“ (იბ. ლენინის სიტყვა 1917 წ. აპრილის პეტროგრადის საერთო საქალაქო კონფერენციაზე, ტ. XX, ნ. 2, გვ. 107).

შემდგომ კიდევ:

„შესაძლებელია გლეხობამ ხელთ იგდოს მთელი მიწები და მთელი ხელისუფლება. მე არა თუ ვივიწყვებ ამ შესაძლებლობას, არა თუ ჩემს პორიზონტს ვზღდულავ მხოლოდ დღევანდელი დღით, არამედ პირდაპირ და ზუსტად ვაყალიბებ აგრარულ პროგრამას და ახალ გარემოებასაც ვლებულობ მხედველობაში. ეს ახალი გარემოებაა უფრო ღრმა გამოთიშვა*) მოჯამაგირებისა და ულარიბესი გლეხებისა მეატრონე-გლეხებისაგან“ (იბ. ლენინის. აპრილის სტატია „წერილები ტაქტიკაზე“, ტ. XIV, ნაწ. 1, გვ. 30).

აი, რა მიაჩნდა ლენინს ახლად და მნიშვნელოვანად თებერვლის რევოლუციის შემდეგ სრულად შექმნილ გარემოებაში.

აი, რა ჰქონდა მხედველობაში ლენინს 1917 წ. თებერვლის შემდგომ პეტროგრადში პარტიის პოლიტიკის განსაზღვრის დროს.

ეს მდგომარეობა ჰქონდა მხედველობაში ლენინს, როდესაც 1917 წ.. აპრილის პეტროგრადის საერთო საქალაქო კონფერენციაზე ამბობდა:

*) კურსივი ჩემია. ი. სტ.

„მხოლოდ აქ, ადგილობრივ გავიგეთ, რომ მ. და ჯ. დ. საბჭოს ხელი-სუფლება დროებითი მთავრობისათვის გადაუცია, მ. და ჯ. დ. საბჭო — არის განხორციელება პროლეტარიატისა და ჯარისკაცების დიქტატურისა, ჯარისკაცებში უმრავლესობა გლეხობაა. სწორედ ეს არის პროლეტარიატისა და გლეხების დიქტატურა. მაგრამ ეს „დიქტატურა“ ბურჟუაზიას შესთან-ხმებია. აი, აქ საჭიროა ვადასინჯვა „ძველი“ ბოლშევიზმისა*). (იხ. მე-XX ტ., ნაწ. 2, გვ. 107).

ეს მდგომარეობავე ჰქონდა შედეველობაში ლენინს, როდესაც 1917 წ. აპრილს სწერდა:

„ვინც ახლა მხოლოდ პროლეტარიატისა და გლეხობის ოევოლუცი-ონურ-დემოკრატიულ დიქტატურაზე ლაპარაკობს, იყი ცხოვრებას ჩამო-რჩენია; ამის გამო იგი საქმით წვრილი ბურჟუაზიისაკენ გადასულა წინააღ-მდეგ პროლეტარული კლასობრივი ბრძოლისა; ასეთები რევოლუციის წი-ნადროს „ბოლშევიკურ“ იშვიათობათა არქივს უნდა ჩაბარდენ (შეიძლება-მას დავარქვათ: „ძველი ბოლშევიკების არქივი“). იხ. ტ. XIV, ნ. 1 გვ. 29)

სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვა პროლეტარიატისა და ულა-რიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგი ძველი ლოზუნგის — პრო-ლეტარიატის და გლეხობის დიქტატურის ლოზუნგის მაგივრად.

შეიძლება სთვათ, როგორადაც ამბობთ კიდეც თქვენს წერილ-ში, რომ ეს არის ტროცკისტული გადახტომი გლეხთა ჯერ მოუთა-ვებელ რევოლუციაზე. მაგრამ ეს იმდენადვე დამაჯერებელი იქნება, რამდენადაც დამაჯერებელი იყო ამნაირივე შეპასუხება კამენცვისა, მიმართული 1917 წ. აპრილში ლენინის წინააღმდეგ. ლენინს სავსე-ბით გათვალისწინებული ჰქონდა ეს, როდესაც სწერდა:

„ტროცკიში—ესაა „მეფე არ გინდა, ხოლო მთავრობა მუშარი იყოს“. ეს არაა სწორი. წვრილი ბურჟუაზია არსებობს, მას ვერ მისაბო-მაგრამ მასში ორი ნაწილია. მისი ულარიბესი*) ნაწილი მუშათა კლასთან ერთად ივლის“. (იხ. ტ. მე-XX, ნ. 2, გვ. 112).

ამხ. კამენცვის მაშინდელი და ამხ. პ.-ს ახლანდელი შეცდომა-ის არის, რომ უნარი არ გაქვთ შეამჩნიოთ და ხაზი ვაუსვათ წვრი-ლი ბურჟუაზიის ორ ნაწილს შორის არსებულ განსხვავებას; ამ შე-მთხვევაში განსხვავებას გლეხობაში; უნარი არ გაქვთ გლეხობის მოე-ლი მასიდან გამოჰყოთ ულარიბესი ნაწილი გლეხობისა და ამაზე ააგოთ პარტიის პოლიტიკა 1917 წ. რევოლუციის პირველი ეტაპი-დან შეორეში გადასვლის პირობებში; მათ არ აქვთ უნარი აქედან ახალი ლოზუნგი გამოიყენონ, მეორე სტრატეგიული ლოზუნგი პარ-ტიისა — პროლეტარიატისა და ულარიბესი გლეხობის დიქტატურის შესახებ.

*) კურსივი ჩემია. ი. სტ.

თვალი გადავავლოთ გულმოდგინედ „პროლეტარიატისა და ულარიბესი გლეხობის ღიქტატურის“ ლოზუნგის პრაქტიკულ ისტორიას 1917 წ. აპრილიდან ოქტომბრამდე ლენინის ნაშრომებში.

1917 წლის აპრილი.

„მიმდინარე მომენტის თავისებურება რუსეთში ისაა, რომ ხდება გადასვლა რევოლუციია პირველი*, ეტაპიდან, რომელმაც პროლეტარიატის ნაკლებად შეგნებულობასა და დარაზმულობის გამო ხელისუფლება ბურჟუაზიას არგუნა, — მის მეორე ეტაპში, რომელმაც ხელისუფლება პროლეტარიატისა და გლეხობის ულარიბეს ფენებს უნდა არგუნოს*) (იხ. ლენინის „აპრილის თეზისები“, ტ. XIV, ნაწ. I, გვ. 17—18).

1917 წ. ოფლისი.

„მხოლოდ რევოლუციონურ მუშებს, თუ მათ ულარიბესი გლეხები*) დაუჭირენ მხარს, შეუძლიათ გასტეხან კაპიტალისტების წინააღმდევობა, წაიყვანონ ხალხი მიწის მოსაპოებლად გამოუსყიდველად, სრული თავისუფლებისაკენ, შემშილობაზე გამარჯვებისაკენ, ომზე გამარჯვებისაკენ, სამართლიან და მტკიცე ზაფისაკენ“ (იხ. ტ. XIV, ნ. 2, გვ. 42—43).

1917 წ. აგვისტო:

„მხოლოდ პროლეტარიატი, რომელიც ხელმძღვანელობს ულარიბეს გლეხობას*) (ნახევრადპროლეტარებს, როგორც ჩვენი პროგრამა ამბობს), შესძლებს დამთვროს ომი დემოკრატიული ზავით, მოაშუშოს მისი იარები, დაიწყოს მართლაც აუცილებელი და გადაუდებელი ნბრუების გადადგმა სოციალიზმისაკენ—ასეთია ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის განმარტება ამჟამად“ (იხ. ტ. XIV, ნ. 2, გვ. 82).

1917 წ. სექტემბერი:

„მხოლოდ პროლეტარებისა და ულარიბესი გლეხების*) ღიქტატურას შეუძლია გასტეხოს კაპიტალისტებს წინააღმდევობა, გამოიჩინოს მართლაც ხელისუფლების დიადი გამბედაობა და გადამტერელობა, უზრუნველყოს მასების აღტაცებული, თავგ ნწირული, შეშმარიტად გმირული მხარის დაჭერა როგორც არმიასა, ისე გლეხობაში (იხ. ტ. XIV, ნ. , გვ. 108).

1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერი, ბროშურა „შეინარჩუნებენ თუ ვერა ბოლშევიკები ხელისუფლებას“. ლენინი ეკამათება „Новая Жизнь“-ს:

„ამ ბურჟუაზიის ხელისუფლება, რასაც თქვენ დიდი ხანია აღარ იცავთ და რაზედაც თვით ბურჟუაზიაც ვერ გაბედავს კონტი დასტრას, რადგან იცის, რომ ხალხმა ასეთი ხელისუფლება ერთის შეტევით დამხო და დაამხობს ახლაც სამკეცად უფრო გადაჭრით და დაუნტობლად. ან*) წვრილი ბურჟუაზიის ხელისუფლება, ე. ი. ისის კოალიცია*) (კაშირი, შეთანხმება) ბურჟუაზიასთან, ვინაიდან დამოუკიდებლად და თავისთავად წვრილ ბურჟუაზიას ხელისუფლება არ სურს და არ შეუძლია მოიპოვოს, როგორც ამას ამტკიცებს ყველა რევოლუციის გამოცდილება, ამტკიცებს ეკონომიური მეცნიერება, ამტკიცებს, რომ კაპიტალისტურ ქვეყანაში შეიძლება იდგე ან

*) კურსივი ჩემია. ი. სტ.

კაპიტალის, ან ზრომის მბარეულები, მაგრამ საშუალო პოზიციაზე დგომა არ შეიძლება. ამ კოალიციამ რუსეთში ნახევარი წლის განმავლობაში მრავალი ხერხი სცადა, მაგრამ ია მაიც დაემხო. ან*), ბოლოს, მთელი ხელისუფლება პროლეტარებს და ულარიტებს გლეხობას, ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომ დამსხვრეულ იქნას მისი წინააღმდეგობა. ეს ჯერ კიდევ არ არის ნასინჯი და თქვენ, „ბატონებო“ „ჩივარ ჟივანს“-იდან, გზას უბნევთ ხალხს და ში-შით შეპყრობილნი ბურჟუაზიის წინაშე, მასაც აშინებთ. სხვა რაიმეს მო-გონებაც კი შეუძლებელია“ (იბ. ტ. XIV, ნ. 2, გვ. 248).

ასეთია ფაქტები.

თქვენ „დამშვიდებით“ გვერდს უვლით ყველა ამ ფაქტსა და მოვლენას ოქტომბრისათვის შზადების ისტორიიდან, „დამშვიდებით“ შლით ბოლშევიზმის ისტორიაში იქტომბრისათვის შზადების პერი-ოდში ბოლშევიკების ბრძოლას იმ „მეურნე-გლეხების“ მერყეობა-სა და შემთანხმებლობასთან, რომელნიც დამშვიდებით ისხდენ მა-შინ საბჭოებში, „დამშვიდებით“ მარხავთ ლენინის ლოზუნგს პროლე-ტარიიატისა და ლარიბი გლეხობის დიქტატურის შესახებ და ამავედროს გვონიათ, რომ ეს არ არის ძალმომრეობა ისტორიაზე, ლენინიზმზე.

ამ ციტატებიდან, რომელთა რიცხვიც შეიძლება გავადიდოთ, თქვენ უნდა ხედავდეთ, ამხ. პ., რომ 1917 წ. თებერვლის შემდეგ ბოლშევიკები ეყრდნობოდენ არა გლეხობას მთლიანად, არამედ მის ულარიბეს ნაწილს; ისინი მიღიოდენ იქტომბრისაკენ არა პროლე-ტარიიატისა და გლეხობის დიქტატურის ძველი ლოზუნგით, არამედ ახალი ლოზუნგით, პროლეტარიატისა და ულარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგით.

აქედან ჩანს, რომ ბოლშევიკები ამ ლოზუნგს ატარებდენ სა-ბჭოების მერყეობასა და შემთანხმებლობასთან ბრძოლაში, გლეხობის იმ ნაწილის მერყეობასა და შემთანხმებლობასთან ბრძოლაში, რომე-ლიც საბჭოებში იყო მოკალათებული და აგრეთვე წვრილბურჟუა-ზიული დემოკრატიის ცნობილი პარტიების—ესერებისა და მენშევი-კების მერყეობასა და შემთანხმებლობასთან ბრძოლაში.

აქედან ჩანს, რომ პროლეტარიატისა და ულარიბესი გლეხო-ბის დიქტატურის ლოზუნგის გარეშე ჩვენ ვერ შევკრებდით საკმაოდ ძლიერ პოლიტიკურ არმიას, რომელიც შესძლებდა ესერებისა და მენშევიკების შემთანხმებლობის დაძლევას, გლეხობის გარკვეული ნა-წილის მერყეობის ნეიტრალიზაციას, ბურჟუაზიული ხელისუფლების დამხობას და ამრიგად ბურჟუაზიული რევოლუციის დასრულებას.

აქედანვე სჩანს, რომ „ოქტომბრისაკენ ჩვენ მივდიოდით და გა-ვიმარჯვეთ ოქტომბერში ულარიბეს გლეხობასთან. ერთად კულაკების

*.) კურსივი ჩემია. ა. სტ.

(ესეც ხომ გლეხობაა) წინააღმდევობისა და საშუალო გლეხობის მერყეობის პირობებში“ (იხ. ჩემი პასუხი ამბ. იან-სკისაღმი).

გამოდის ამგვარად, რომ 1916 წ. აპრილში ისე, როგორც ოქტომბრისათვის შზადების მთელი პერიოდის განმავლობაში, მართალი იყო ლენინი და არა კამენევი; ხოლო თქვენ, ამბ. პ., რომელიც ახლა „კამენევშინის“ რესტავრაციას ცდილობთ, ამით თითქოს არც თუ ისეთ კარგ კომპანიაში ხვდებით.

2) წინააღმდევ ყოველივე ზემოთქმულისა, თქვენ მოგყავთ ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ 1917 წ. ჩეენ ავილეთ ხელისუფლება მთელი გლეხობის დახმარებით. რომ ჩეენ ხელისუფლება ავილეთ მთელი გლეხობის განსაზღვრული დახმარებით, ეს სავსებით სწორია. მაგრამ თქვენ კამოგრჩათ ერთი „წვრილმანი“, მთელი გლეხობა გვეხმარებოდა ჩეენ ოქტომბერში და ოქტომბრის შემდეგ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ჩეენ ბოლომდე მიგვყავდა ბურუჟაზიული რევოლუცია. ეს ფრიად მნიშვნელოვანი „წვრილმანია“, რომელიც ამ შემთხვევაში საკითხს სწყვეტს. ასეთი მნიშვნელოვანი „წვრილმანის“ „დავიწყება“ და მიფუჩებება, ამრიგად უმთავრესი საკითხის მიჩრავა შეუწყინარებელია ბოლშევიკისათვის, ამბ. პ.

თქვენი წერილიდან ჩანს, რომ თქვენ ლენინის სიტყვებს მთელი გლეხობის დახმარების შესახებ უპირისისპირებთ პარტიის ლოზუნებს—„პროლეტარიატისა და უდარიბესი გლეხობის ღიქტატურის შესახებ“, რომელიც იმავე ლენინმა მოვცა. მაგრამ იმისათვის, რომ დაუპირისპიროთ ლენინის ეს სიტყვები ზემომოყვანილ ციტატებს ლენინის თხზულებიდან, იმისათვის, რომ საფუძველი გქონდეთ უარყოთ ლენინის ზემოაღნიშნული ციტატები პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის ღიქტატურის შესახებ თქვენ მიერ მოყვანილი ლენინის სიტყვებით გლეხობაზე შთლიანად,—ამისათვის საჭიროა დაამტკიცოთ ყოველ შემთხვევაში ორი არა მაინც.

პირველი: საჭიროა დაამტკიცოთ, რომ ბურუჟაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა უმთავრესია ოქტომბრის რევოლუციაში. ლენინის შეხედულებით ბურუჟაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა „დამატებითი“ პროლეტერიატის რევოლუციისა, რომელმაც „გზადავზა“ გადაწყვიტა ეს საკითხი. საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, გააძათილოთ ლენინის ეს დებულება და დაამტკიცოთ, რომ უმთავრესია რევოლუციაში არა ბურუჟაზიის ხელისუფლების დამხობა და პროლეტარიატის ხელისუფლების დამყარება, არამედ ბურუჟაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა. სცადეთ ერთი და დაამტკიცეთ ეს, ამბ. პ.! მაშინ მე მზად ვარ აღვიარო, რომ პარტიის

ლოზუნგს 1917 წ. აპრილიდან-ოქტომბრამდე შეაღვენდა არა პროლეტარიატისა და ულარიბესი გლეხობის დიქტატურა, არამედ პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა. ოქვენი წერილიდან ჩანს, რომ თქვენ შესაძლებლად არ მიგაჩნიათ ეს სახითათოზე უფრო უარესი ამოცანა იკისროთ და ცდილობთ მაინც „გაკვრით“ დაამტკიცოთ, რომ ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთ უდიდეს საკითხში, ზავის საკითხში, თითქოს ჩვენ მხარს გვიჭერდა მთელი გლეხობა მთლიანად. ეს, რა თქმა უნდა, შეცდომაა. ეს აზრი სავსებით შემცდარია, ამხ. პ.! ზავის საკითხში თქვენ ამივატელურ თვალსაზრისზე დგახართ. ნამდვილად ზავის საკითხი ჩვენთვის მაშინ ხელისუფლების საკითხი იყო; ვინაიდან მხოლოდ პროლეტარიატის ხელში ხელისუფლების გადასვლით იყო შესაძლებელი იმპერიალისტური ომიდან თავის დაღწევა. თქვენ ალბათ დაგავიწყდათ ლენინის სიტყვები. რომ „ომის მოთავება შეიძლება მხოლოდ ძალაუფლების გადასვლით მეორე კლასის ხელში“, რომ „ძირს იმი — არ ნიშნავს ხიშტის გადაგლებას, არამედ ეს ნიშნავს ძალაუფლების გადასვლას მეორე კლასის ხელში“ (იხ. ლენინის სიტყვა პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე 1917 წ. აპრილში. ტ. XX; ნაწ. 2., გვ. 112 და 109).

ამრიგად ორში ერთი: ან თქვენ უნდა დაამტკიცოთ, რომ უმთავრესი ოქტომბრის რევოლუციაში არის ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა, ან თქვენ ამას ვერ დაამტკიცეთ, — და მაშინ, თავისთვის ცხადია დასკვნა, რომ გლეხობას მთლიანად შეეძლო ჩვენთვის მხარი დაეჭირა ოქტომბერში იმდენად, რაშდენადაც ჩვენ ბურჟუაზიული რევოლუცია ბოლომდე მიგვყავდა.

მეორე: თქვენ უნდა დაამტკიცოთ, რომ ბოლშევიკებს შეეძლოთ მთელი გლეხობის მომხრობა ოქტომბერსა და ოქტომბრის შემდეგ იმდენად, რაშდენადაც მათ ბოლომდე მიჰყავდათ ბურჟუაზიული რევოლუცია, პროლეტარიატისა და ულარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგის სისტემატიური სატარების გარეშე ოქტომბრისათვის შზადების მთელი პერიოდის განმავლობაში, გარეშე წვრილბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ სისტემატიური ბრძოლისა, რომელიც ამ ლოზუნგიდან გამომდინარეობს, გარეშე გლეხობის გარკვეული წრეების და საბჭოებში მათი წარმომაღევნების მერყეობის სისტემატიურად გამომელავნებისა, რომელიც იმავე ლოზუნგიდან გამომდინარეობს. სცადეთ ერთი, ამხ. პ., ამის დამტკიცება. მართლაც, როგორ მოვახერხეთ მთელი გლეხობის მომხრობა ოქტომბერში და ოქტომბრის შემდეგ? მოვახერხეთ იმით, რომ ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა ბურჟუაზიული რევოლუცია ბოლომდე მიგვეყვანა. როგორ

მივიღეთ ჩვენ ასეთი შესაძლებლობა? ასეთი შესაძლებლობა მივიღეთ იმით, რომ დაგამხეთ ბურუუაზიული ხელისუფლება და შევცვალეთ იგი პროლეტარიატის ხელისუფლებით, რომელსაც ერთად-ერთს შეძლო ბურუუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა. როგორ შევძლით ბურუუაზიული ხელისუფლების დამხობა და პროლეტარიატის ხელისუფლების დამყარება? ეს შევძლით იმიტომ, რომ ჩვენ ვამზადებთ ოქტომბერს—პროლეტარიატისა და უდარიბესი გლეხობის დიქტა-ტურის ლოზუნგით, ვეყრდნობოდით ამ ლოზუნგს და სისტემატიურად ვებრძოდით წერილბურუუაზიული პარტიის შემთანხმებლობას, იმიტომ რომ რომ სისტემატიურად ვებრძოდით საშუალო გლეხობის მერყეობას საბჭოებში და მხოლოდ ამ ლოზუნგით შეგვეძლო დაგვეძლია საშუალო გლეხობის მერყეობა, დაგვემსხვრია წერილბურუუაზიული პარტიის შემთანხმებლობა და შეგვეკრიბა ისეთი პოლიტიკური არმია, რომელსაც უნარი ექნებოდა ებრძოლნა პროლეტარიატის ხელისუფლების მოახებისთვის. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ამ წინასწარი პირობების გარეშე, რომელთაც უანსაზღვრეს ოქტომბრის რევოლუციის ბედი, ჩვენ ვერ შევძლებდით გლეხობის მომხრობას შთლია-ნად ვერც ოქტომბერში, ვერც ოქტომბრის შემდეგ.

აი, როგორ უნდა გავიგოთ, ამხ. პ., გლეხთა ომების გაერთიანება პროლეტარულ რევოლუციასთან.

აი, რატომ არის, რომ, როგორც ოქტომბერში, ისე თქვემ-ბრის შემდეგ, მთელი გლეხობის მოძრაობის დაპირისპირება პროლეტარიატისა და უდარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგით ოქტომბრის მომზადების ფაქტისაღმი—იმას ნიშნავს, რომ ლენინის სრულიად არაფერი გავეგბათ.

თქვენი ძირითადი შეცდომა, ამხ. პ., ისაა, რომ თქვენ ვერ გაიგეთ ის ფაქტი, რომ ოქტომბრის რევოლუციის მსვლელობაში სოციალისტური ამოცანები გადაეხლართა ბურუუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანის ამოცანებს, ვერ გაიგეთ ოქტომბრის რევოლუციის ცალკე მოთხოვნათა განხორციელების მექანიკა, რომელიც გამომდინარეობს პარტიის მეორე სტრატეგიული ლოზუნგიდან პროლეტარიატისა და უდარიბესი გლეხობის დიქტატურის შესახებ.

თქვენი წერილის მიხედვით შეიძლება ითიქროს კაცმა, რომ ჩვენ კი არ დავუმორჩილეთ გლეხობა პროლეტარული რევოლუციის სამსახურს, არამედ, პირიქით, „გლეხობაშ შთლიანად“, კულაკების ჩათვლით, თავის მსახურად აქცია ბოლშევიკები. ცუდად წავიდოდა ბოლშევიკების საქმე, ისინი რომ ასე იოლად „შედიოდენ“ არაპროლეტარული კლასების სამსახურში.

1907 წ. აპრილის „კამენევშინა“, — აი, რა გაბორძიკებსთ, ამბ. პ.!

3) თქვენ ამტკაცებთ, რომ სტალინი ვერ ხედავს განსხვავებას 1905 წლისა და 1917 წ. თებერვლის პირობებს შორის. ეს, რა თქმა უნდა, სერიოზული ამბავი როდია.

მე ასეთი რამ არ მითქვამს და არც შემძლო მეთქვა. მე ჩემს წერილში ვლაპარაკობდი იმაზე, რომ პარტიის ლოზუნგმა პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის შესახებ 1905 წელს თავის განხორციელება და დადასტურება პჰოვა 1917 წლის თებერვლის რევოლუციაში. და ეს, რა თქმა უნდა, მართალია. სწორედ ასე ასურათებდა მდგომარეობას ლენინი თავის წერილში „გლეხები და მუშები“ 1917 წ. აგვისტოში:

„მთალოდ პროლეტარიატს და გლეხობას შეუძლიათ მონარქიის დამზადა, —ასეთი იყო მაშინდელი დროის მიხედვით (მხედველობაში აქვს 1905 წ. ი. სტ.) ძირითადი განმარტება ჩვენი კლასობრივი პოლიტიკისა და ეს განმარტება სწორი იყო. 1917 წლი თებერვალშა და მარტშა ერთ-ხელ კიდევ დაადასტურა ეს“*) (იხ. ტ. XIV, ნ. 2, გვ. 82).

თქვენ მხოლოდ კინკლაობას იწყებთ, მეტის მეტად „დიალექტიურო“ ამხანაგო.

4) თქვენ ცდილობთ, შემდეგ, გამოამულავნოთ სტალინის წინააღმდეგობანი; მის თეზისს, საშუალო გლეხობასთან შეთანხმების შესახებ ოქტომბრამდე, თქვენ უპირის პირებთ ციტატას „ლენიზმის საკითხები“-დან, სადაც ნათქვამია, რომ შესაძლებელია სოციალიზმის მშენებლობა გლეხობასთან ერთად პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების შემდეგ. დიდი შრომა არ არის საჭირო, რომ დავამტკიცოთ აბსოლუტურად არამეცნიერული ხასიათი თქვენს მიერობი სხვადასხვანაირი მოვლენის გაიგივებისა. საშუალო გლეხი ოქტომბრამდე, როცა ხელისუფლება ბურჯუაზიას ეკუთვნოლა, და საშუალო გლეხი პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების შემდეგ, როცა ბურჯუაზია უკვე ექსპროპრიაციაშილია, კოოპერაცია განვითარებული და წარმოების ძირითადი იარაღები პროლეტარიატის ხელშია, —ორი სხვადასხვა მოვლენაა. ამ ორი სხვადასხვაგარი საშუალო გლეხის გაიგივება და ერთ სიბრტყეზე მათი მოთავსება, — ეს იმას ნიშნავს, რომ მოვლენები განიხილო ისტორიული პირობების გარეშე და სრულიად დაკარგო ყოველგვარი პერსპექტივა. ეს წააგავს ციტატებში თარიღისა და პერიოდების არევის ზინოვიევისებურ მანერას. თუ კი ამას „რევოლუციონური დიალექტიკა“ ჰქვია,

*) კურსივი ჩემია. ი. სტ:

მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ ამხ. პ. ამგვარი დიალექტიკის რეკორდსმენია.

5) დანარჩენ საკითხებს არ ვეხები, რადგან ვფიქრობ, ისინი უკვე ამოწურულია წერილში ამხ. იან-სკისადმი.

ლენინი საშუალო გლეხთან ჭავშილის საკითხის შესახებ

(პასუხად ამხ. ს. - ს).

ამხ. ს.!

არ არის მართალი, თითქოს ლენინის ლოზუნგი: „გვქონ-დეს უნარი საშუალო გლეხთან შეთანხმების მიღწევისა, ერთს წუთსაც ნუ ავიღებთ ხელს კულაკთან პრძოლაზე და მტკიცედ და-ვეყრდნოთ მხოლოდ ღატაკებს“, მოცემული პიტირიმ სოროკინის შე-სახებ ცნობილ სტატიაში, — იყოს „ღარიბთა კომიტეტების პერიო-დის“ ლოზუნგი, ლოზუნგი „საშუალო გლეხობის ეგრეთწოდებული ნეიტრალიზაციის პერიოდისა“. ეს სრულიად არა მართალი. ღა-რიბთა კომიტეტები დაარსდა 1918 წლის ივნისს. 1918 წლის ოქტო-მბრის დამლევისათვის ჩვენ უკვე გვქონდა სოფლად უპირატესი მდგო-მარეობა წინააღმდეგ კულაკებისა, გვქონდა გლეხის შემოტრიალება საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. ამ შემოტრიალების ჩიადაგზე აღმო-ცენდა ც. კ.-ს გადაწყვეტილება საბჭოთა და ღარიბთა კომიტე-ტეტებს შორის ორხელისუფლებიანობის მოსპობის, სათემო და სასო-ფლო საბჭოების ხელახალი არჩევნების, ახლად არჩეულ საბ-ჭოებში ღარიბთა კომიტეტების გათქვეფის და, მაშასადამე, ღარიბ-თა კომიტეტების ლიკვიდაციის შესახებ. ამ გადაწყვეტილების საბ-ჭოთა წესით ჩამოყალიბება, როგორც ცნობილია, მოხდა 1918 წ. 9 ნოემბერს საბჭოთა მე-VI ყრილობაზე. მხედველობაში მაქვს 1918 წ. 9 ნოემბრის დადგენილება საბჭოთა მე-VI ყრილობისა სასოფლო და სათემო საბჭოების ხელახალი არჩევნებისა და საბჭოებში ღარიბ-თა კომიტეტების გათქვეფის შესახებ. ხოლო როდის დაიბეჭდა ლე-ნინის სტატია — „პიტირიმ სოროკინის ძეირთასი აღსარებანი“, რო-მელშიაც მან საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის ლოზუნგის მაგი-ვრად გამოაცხადა მასთან შეთანხმების ლოზუნგი? იგი დაიბეჭდა 1918 წ. 21 ნოემბერს, ე. ი. საბჭოთა მე-VI ყრილობის ზემოხსენე-ბული დადგენილების თითქმის ორი კვირის შემდეგ. ამ სტატიაში ლენინი აშკარად ამბობს, რომ საშუალო გლეხობასთან შეთანხმების

· 3ოლიტიკას გვიკარნახებს ამ საშუალო გლეხის **შემოტრიალუბა ჩვენ-ბკენ.** აი, ლენინის სიტყვები:

„სოფლად ჩვენი ამოცანა — მოვსპოთ მემამულე, გავტეხოთ ექსპლო-ატატორისა და სპეცულიანტ-კულაკის წინააღმდეგობა. ამ საქმეში ჩვენ შე-გვიძლია დავეყურდნოთ მხოლოდ ნახევრად პროლეტარებს, „ლარიბებს“, მაგ-რამ საშუალო გლეხი ჩვენი მტერი როდია. იგი მერყეობდა, მქრყეობს და ჰვლაფაც იმერყვებს: მორყევებზე ზემოქმედების ამოცანა და ექსპლოატატო-რის დამხობის, აქტიური მტრის დამარცხების ამოცანა--ერთი და იგივე რო-დია. გვექნდეს უნარი საშუალო გლეხთან შეთანხმების მიღწევისა, ერთს წუთსაც ნუ ავიღებთ ხელს კულაკთან ბრძოლაზე და მტკიცედ დავეყურდ-ნოთ მხოლოდ ლარიბებს, — ესაა მომენტის ამოცანა, ვინაიდან ახლა საშუ-ალო გლეხის ჩვენსკენ შემოტრიალუბა აუცილებელია *) ზემოხსენებული მიზეზების გამო“ (ტ. XV, გვ. 564).

რა გამომდინარეობს აქედან?

აქედან გამომდინარეობს ის, რომ ლენინის ლოზუნგი ეხება არა ძველს პერიოდს, არა ლარიბთა კომიტეტების და საშუალო გლეხო-ნობის ნეიტრალიზაციის პერიოდს, არამედ **ახალ პერიოდს**, საშუა-ლო გლეხობასთან შეთანხმების პერიოდს. იგი, მაშასადამე, გამოხა-ტავს არა ძველი პერიოდის დასასრულს, არამედ ახალის დასაწ-ყისს.

მაგრამ თქვენი მტკიცება ლენინის ლოზუნგის შესახებ სწორი არაა არა მარტო ფორმალურად, არა მარტო, ასე ვთქვათ, ქრო-ნოლოგიური მხრით; იგი სწორი არაა არსებითადაც. ცნობილია, რომ ლენინის ლოზუნგი საშუალო გლეხობასთან შეთანხმების შესახებ, როგორც ახალი ლოზუნგი, საერთო პარტიული ხაზით დადასტურდა ჩვენი პარტიის მე-VIII ყრილობაზე (1919 წ. მარტი). ცნობილია, რომ ჩვენი პარტიის მე-VIII ყრილობა სწორედ ის ყრილობაა, რომე-ლმაც საფუძველი ჩაუყარა საშუალო გლეხობასთან მტკიცე კავში-რის ჩვენს პოლიტიკას. ცნობილია, რომ ჩვენი პროგრამაც, სრ. სა-კავშ. კომპარტიის პროგრამა, ნიღებულ იქნა სწორედ პარტიის მე-VIII ყრილობაზევე. ცნობილია, რომ ამ პროგრამაში არის სპე-ციალური მუხლები სოფლად არსებულ სხვადასხვა დაჯგუფებათადმი პარტიის დამკიდებულების შესახებ: ლარიბებთან, საშუალო გლე-ხობასთან, კულაკებთან დამკიდებულების თაობაზე. რა არის ნათქ-ვამი ს. ს. კ. პროგრამის ამ მუხლებში სოფლად არსებულ სოცი-ალურ დაჯგუფებათა და მათდამი პარტიის დამკიდებულების შე-სახებ? ისმინეთ.

*) კურსივი ჩემია. ი. სტ.

„მთელ თავის მუშაობაში სოფლად რ. კ. პ. წინანდებურად ეყრდნობა მის პროლეტარულსა და ნახევრად პროლეტარულ ძალებს, რაზმაც მათ, უწინარეს ყოვლისა, დამოუკიდებელ ძალად, აარსებს რა სოფლად პარტიულ უკრედებს, ლარიბთა ორგანიზაციებს, პროლეტარებისა და ნახევრად პროლეტარების განსაკუთრებული ტიპის პროფესიონალურ კავშირებსა და სხვა, ყოველგვარად უახლოებს მათ ქალაქის პროლეტარიატს და ათავისუფლებს. რა მათ სოფლის ბურჟუაზიისა და წვრილ მესაკუთრული ინტერესების გავლენისაგან.

კულაკების, სოფლის ბურჟუაზიის მიმართ რ. კ. პ. პროლიტიკა — ესაა გადამჭრელი ბრძოლა მათ ექსპლოატატორულ შიდრეკილებათა წინააღმდეგ, ესაა საბჭოთა პოლიტიკისადმი მათი წინააღმდეგობის დაძლევა.

საშუალო გლეხობის მიმართ რ. კ. პ. პოლიტიკა — ესაა მისი თანდათშინი და გეგმაშეწონილი ჩათრევა სოციალისტური მშენებლობის მუშაობებში. პარტია თავის ამოცანად ისახავს ჩამორჩოროს იგი კულაკებს, მისი საჭიროებისადმი გულისხმირი დამოუკიდებულებით გადაიბიროს იგი მუშაოთა კლასის მხარეზე და მის ჩამორჩენილობას ებრძოლოს იდეური ზეგავლენის ღონისძიებებით და არა დათრგუნვის ღონისძიებებით. იგი ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ეხებიან (საშუალო გლეხობის) სასიცოცხლო ინტერესებს, უნდა ესწრაფებოდეს მასთან პარტიკული შეთანხმებისაკენ *) და დათმობის-გზას ადგებოდეს სოციალისტურ გარდაქმნათა საშუალებების განსაზღვრის დროს *). („რ. კ. პ. მე-VIII ყრილობა“, სტერიფრაფიული ან-ში, გვ. 351).

აბა, სკადეთ ერთი და გამონახეთ ოდნავი, თუნდაც სიტყვიერი განსხვავება მაინც პროგრამის ამ მუხლებსა და ლენინის ლოზუნგს შორის! თქვენ ამნაირ განსხვავებას ვერ აღმოაჩენთ, ვინაიდან იგი არ არსებობს ბუნებაში. ესეც ცოტაა. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ლენინის ლოზუნგი არა თუ ეწინააღმდეგება მე-VIII ყრილობის დადგენილებებს საშუალო გლეხის შესახებ, არამედ, პირიქით, — ამ დადგენილებათა ფრიად ზუსტი და ფრიად მოხერხებული ფორმულირებაა. მერე ხომ ფაქტია, რომ საკ. კომპ. პროგრამა მიღებულია 1919 წ. მარტში პარტიის მე-VIII ყრილობის მიერ, რომელმაც სპეციალურად განიხილა საშუალო გლეხობის საკითხი; პიტირიმ სორიკინის წინააღმდეგ ლენინის სტატია კი, რომელშიაც გამოცხადებულია საშუალო გლეხთან შეთანხმების ლოზუნგი, დაიბეჭდა პირველად 1918 წლის ნოემბერში, პარტიის მე-VIII ყრილობის ოთხი თვით ადრე.

განა ცხადი არაა, რომ პარტიის მე-VIII ყრილობამ მთლად და სავსებით დაადასტურა ლენინის ლოზუნგი, გამოცხადებული პიტირიმ სორიკინის წინააღმდეგ მიმართულ წერილში, როგორც ისეთი ლოზუნგი, რომლითაც პარტია ვალდებულია იხელმძღვანელოს.

*) კურნივი ჩემია. ი. სტ.

სოფლად მუშაობის დროს სოციალისტური მშენებლობის მთელი ახლანდელი პერიოდის განმავლობაში?

რა არის ლენინის ლოზუნგის მარილი?

ლენინის ლოზუნგის მარილი ისაა, რომ იგი შესანიშნავი სიცხადით შეიცავს სოფლად პარტიული მუშაობის სამგვარმთლიან ამოცანას, გამოხატულს ერთს მოკლე ფორმულაში: а) დაეყრდენ ღარიბებს; ბ) მოაწყე შეთანხმება საშუალო გლეხობასთან; გ) ერთს წუთსაც ნუ შესწყვეტ კულაკთან ბრძოლას. სკადეთ ერთი, და ამ ფორმულიდან აიღეთ მხოლოდ ერთი მისი ნაწილი აწინდელ მომენტში სოფლად მუშაობისათვის, დაივიწყეთ მისი დანარჩენი ნაწილები, და თქვენ უეჭველად ჩიხში მოემწყვდევით. შესაძლებელია თუ არა სოციალისტური მშენებლობის აწინდელი ფაზის პირობებში საშუალო გლეხობასთან ნამდვილი და მტკიცე შეთანხმების მოწყობა ისე, რომ ღარიბებს არ დაეყრდნო და კულაკთან ბრძოლა არ აწარმოო? შეუძლებელია. შესაძლებელია თუ არა აწინდელი განვითარების პერიოდში კულაკთან წარმატებით ბრძოლა ისე, რომ ღარიბებს არ დაეყრდნო და საშუალო გლეხობასთან შეთანხმება არ გექნეს? შეუძლებელია. განა შეიძლება ამაზე უფრო ხერხიანად გამოხატო განსაზოგადოებული ლოზუნგით სოფლად პარტიული მუშაობის სამგვარმთლიანი ამოცანა? მე მგონია, ლენინის ლოზუნგი ამ ამოცანის კველაზე მოხერხებული გამოხატულებაა. უნდა აღვიაროთ, რომ ლენინზე უკეთესად ვერც იტყვი...

რატომ არის აუცილებლად საჭირო ხაზი გაესვას ლენინის ლოზუნგის მიზანშეწონილებას სწორედ ახლა, სოფლად მუშაობის სწორედ აწინდელ პირობებში?

იმიტომ რომ სწორედ ახლა ემჩნევა ზოგიერთ ამხანაგს ტენდენცია—სოფლად პარტიული მუშაობის სამგვარმთლიანი ამოცანა დაფლითოს და ეს ნაწილები ერთმანეთს დააშოროს. ეს სავსებით დაადასტურა პურის დამზადების პრაქტიკამ ა/წლის იანვარ-თებერვალში. საშუალო გლეხობასთან რომ შეთანხმება უნდა მოვახდინოთ—ეს ყოველმა ბოლშევიკმა იცის. მაგრამ თუ როგორ მოახერხოს ეს შეთანხმება—ეს უკვე კველას როდი ესმის. საშუალო გლეხობასთან შეთანხმებას ზოგიერთი ფიქრობს კულაკთან ბრძოლაზე ხელის აღებით, ან ამ ბრძოლის შესუსტების გზით: შეიძლება კულაკთან ბრძოლამ დააფრთხოს საშუალო გლეხობის ერთი ნაწილი, მისი შეძლებული ნაწილი. ზოგიერთი ფიქრობს საშუალო გლეხობასთან შეთანხმების. მოწყობას ღარიბთა ორგანიზაციაზე ხელის აღებით, ან საამისო მუშაობის შესუსტების გზით: ღარიბთა ორგანიზაცია ღარიბების გამოცალკევებას

იწვევს; „ამ გამოცალკევებას კი საშუალო გლეხობის დაფრთხობა შეუძლიაო. სწორი ხაზიდან ამ გადახვევის შედეგია ის, რომ ჩვენ ვივიწყებთ მარქსისტულ დებულებას: საშუალო გლეხობა არის მერყევიკლასი; მასთან შეთანხმება მხოლოდ იმ პირობით იქნება მტკიცე, თუ კულაკებს გადაჭრით შევებრძოლებით და ღარიბთა შორის მუშაობას გავაძლიერებთ. თუ ასე არ იქნა, საშუალო გლეხობა შესაძლებელია კულაკებისაკენ გადაქანდეს, როგორც ძლიერისაკენ. გაიხსენეთ ლენინის სიტყვები, მის მიერ პარტიის მე-VIII ყრილობაზე წარმოთქმული:

„აუცილებლად საჭიროა გავარკვიოთ ჩვენი დამოკიდებულება იმ კლასთან, რომელსაც გარკვეული შეარი მდგომარეობა არ აქვს *). პროლეტარიატის მასა სოციალიზმის მომზრეა, ბურჟუაზია მასიურად — სოციალიზმის მოწინააღმდეგება: ამ ორ კლასს შორის დამოკიდებულების გამორკვევა ადვილია. ხოლო როდესაც ჩვენ ისეთ კლასზე გადავდივართ, როგორიცაა საშუალო გლეხობა, ვხედავთ, რომ ეს ისეთი კლასია, რომელიც მერყეობს. იგი ნაწილობრივად მესაკუთრეა, ნაწილობრივად მუშავი. იგი არ უწევა სხვა მშრომელთა წარმომადგენლების ექსპლოატაციას. მას ათეული წლობით უხდებოდა უდიდესი გაჭირვებით შეენარჩუნებინა თავისი მდგომარეობა; მან თავის თავზე გამოსცადა მემამულეებისა და კაპიტალისტების ექსპლოატაცია, და იმავე დროს იგი — მესაკუთრეა. ამიტომ ჩვენი დამოკიდებულება ამ მერყევი კლასისადმი — უდიდეს სიძნელს წარმოადგენს“ („რ. კ. პ. მე-VIII ყრილობა“, სტენოგრ. ან-ში, გვ. 300).

მაგრამ არის სწორი ხაზიდან სხვაგვარი გადახვევაც, ზემოხსენებულზე არა ნაკლებ საშიშარი. მოხდება ხოლმე, რომ კულაკთან ბრძოლას აწარმოებენ, მაგრამ ისე უხეიროდ და უაზროდ, რომ ხშირად მათი ლახვარი საშუალო გლეხობასაც და ღარიბსაც ხვდება. ამის შედეგია ის, რომ კულაკი ხელუხლებელი რჩება, საშუალო გლეხობასთან კავშირი იბზარება, ხოლო ღარიბთა ნაწილი დროებით უვარდება ხელში კულაკს, რომელიც საბჭოთა პოლიტიკის ძირის გამოთხრის პოლიტიკას აწარმოებს. ისეც მოხდება ხოლმე, რომ ცდილობენ კულაკებთან ბრძოლა კულაკების ეკონომიურად მოსპობად („раскулачивание“), ხოლო პურის დამზადების საქმე — სასურასათო გაწერად გადააქციონ. ავიწყდებათ, რომ ჩვენს პირობებში კულაკების მოსპობა სიბრივეა, ხოლო სასურსათო გაწერა საშუალო გლეხობასთან კავშირს კრარა, ბრძოლას ნიშნავს.

რისგან წარმოსდგება პარტიული ხაზიდან ეს გადახვევები?

იმის გაუგებლობისაგან, რომ სოფლად პარტიული მუშაობის სამგევარმთლიანი ამოცანა მთლიანი და განუყოფელი ამოცანაა. იმის

*) კურსივი ჩემია, ის სტ.

გაუგებლობისაგან, რომ არ შეიძლება კულაკებთან ბრძოლის ამო-
ცანა დაშორო საშუალო გლეხთან შეთანხმების ამოცანას, ხოლო,
ორივე ეს ამოცანა—დაშორო სოფლად პარტიის დასაყრდენზდ ლა-
რიბთა გადაქცევის ამოცანას.*).

რა არის საჭირო იმისათვის, რომ სოფლად ჩვენი მიმდინარე,
მუშაობის მსვლელობის დროს. ეს ორი ამოცანა ერთმანეთს დაშო-
რებული არ იყოს?

ამისათვის საჭიროა ყოველ შემთხვევაში ისეთი სახელმძღვანე-
ლო ლოზუნგის წამოყენება, რომელიც ყველა ამ ამოცანას ერთ ფორ-

*) აქედან გამომდინარეობს, რომ სწორი ხაზიდან გადახვევა შეუშათა და-
გლეხთა კავშირის საქმეს ორგვარ საფრთხეს უქმნის: საფრთხეს იმათ მხრის, რო-
მელნიც ფიქრობენ, ვთქათ, პურის დამზადების საქმეში ხმარებული დროებითი
საგანგებო ლონისძიებანი გადააქციონ პარტიის მუდმივ, ან ხანგრძლივ კურსად;
საფრთხეს იმათ მხრით, რომელნიც ფიქრობენ საგანგებო ლონისძიებათა მოხსნა
გამოიყენონ კულაკის გასათავისუფლებლად, ვაჭრობის სრული თავისუფლების.
გამოსაცავადლად ისე, რომ მას სახელმწიფოს საგაჭრო ორგანოები არ აქვთ რი-
გებდენ. ამიტომ საჭიროა სწორი ხაზის დასაცავად თუ ფრონტზე ბრძოლა.

ვსარგებლობ შემთხვევით იმის აღსანიშნავად, რომ ჩვენი პრესა ყოველთვის.
როდი იცავს ამ წესს და ერთგვარ ცალმხრივობას იჩენს. მოხდება ხოლმე, რომ
ამხილებენ, მაგალითად, იმათ, ვისაც სურთ პურის დამზადების საქმეში ხმარებული.
დროებითი ხასიათის მქონე საგანგებო ლონისძიებანი გადააქციონ პარტიის მუდმივ
კურსად და გლეხობასთან კავშირისათვის საფრთხეს ჰქმნიან. ეს ძალიან კარგი-
რამ არის. მაგრამ არ ვარგა და არაა მართებული, როდესაც ამავე დროს საქმა-
რის ყურადღებას არ აქცევენ და არ ამხილებენ იმათ, რომელნიც გლეხობასთან
კავშირს საფრთხეს უქადან სხვა მხრიდან, არ ამხილებენ იმათ, რომელნიც წერილ-
ბურუუაზიულ სტიქიას მისდევენ, მოითხოვენ სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებ-
თან ბრძოლის შენელებასა და ვაჭრობის სრული თავისუფლების შემოღებას ისე,
რომ სახელმწიფომ აღარ ითამაშოს მომწესრიგებლის როლი; ამნაირად გლეხობას-
თან კავშირს ისინი მეორე მხრიდან უთხრიან ძირს. ეს კი უკვე არ ვარგა. ეს—
ცალმხრივობაა.

ისიც მოხდება ხოლმე, რომ ამხილებენ იმათ, რომელნიც, ვთქვათ, უარყო-
ფენ ინდივიდუალური წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობების ამაღლების.
შესაძლებლობასა და მიზანშეწონილობას, იმ მეურნეობებისა, რომელებიც აწინდელი-
სტადიის დროს სოფლის მეურნეობის ბაზას წარმოადგენს. ეს ძალიან კარგი საქმეა.
მაგრამ არ ვარგა და უმართებულოა, როდესაც ამავე დროსვე არ ამხილებენ იმათ,
რომელნიც ამცირებენ კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელობას.
და ვერ ჰქედავენ, რომ ინდივიდუალური წვრილი და საშუალო გლეხური მეურ-
ნეობის ამაღლების ამოცანა პრაქტიკულად შევსებულ უნდა იქნეს კოლმეურნეო-
ბათა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ამაღლების ამიცანით. ეს უკვე
ცალმხრივობაა.

რომ უზრუნველვყოთ სწორი ხაზი, საჭიროა ვაწარმოოთ ბრძოლა თუ-
ფრონტზე და ყოველგვარი ცალმხრივობა უკუვაგდოთ.

მულად გააერთიანებს, რომელიც, მაშასადამე, არ დაუშვებს ამ ამო-
ცანათა ერთი-ერთმანეთისაგან დაშორებას.

გვაქვს თუ არა პარტიულ არსენალში ასეთი ფორმულა, ასეთი
ლოზუნგი?

დიალ, გვაქვს. ასეთი ფორმულაა ლენინის ლოზუნგი: „ვიქო-
ნიოთ უნარი საშუალო გლეხთან შეთანხმების მიღწევისა, ერთს წუთ-
საც ნუ ავიღებთ ხელს კულაკთან ბრძოლაზე და მტკიცედ დავეყრ-
დნოთ მხოლოდ ლარიბებს“.

აი, რატომ ვფიქრობ, რომ ეს ლოზუნგი ყველაზე მეტად მი-
ზანშეწონილი და ყოვლისშემცველი ლოზუნგია, რომ საჭიროა წინ
წამოვაყენოთ იგი სწორედ ახლა, სოფლად მუშაობის სწორედ არსე-
ბული პირობების დროს.

ლენინის ლოზუნგი თქვენ „ოპოზიციონურ“ ლოზუნგად მიგა-
ჩნიათ და გვეკითხებით თქვენს წერილში: „როგორ მოხდა, რომ...
ეს ოპოზიციონური ლოზუნგი დაიბაჭდა 1928 წ. 1 მაისისათვის
„პრავდა“-ში... რით უნდა აგხსნათ ამ ლოზუნგის წამოყენება
საკ. კომპ. ც. კ. ორგანო „პრავდის“ ფურცლებზე, ტექნიკური
ბეჭდვითი შეცდომა არის უს, თუ საშუალო გლეხის საკითხში
ოპოზიციის წინაშე კომპრომისია?“ მრისხანედ არის ნათქვამი, რას
იზამს! მაგრამ „მოსახვევებში“ მაინც ფრთხილად იყავით, ამ. ს.:
თქვენი სიფიცხის პატრონი შეიძლება იმ დასკვნამდეც კი მიხვიდეთ,
რომ მოითხოვოთ ჩვენი პროგრამის დაბეჭდვის აკრძალვა, იმ პრო-
გრამისა, რომელიც მთლიანად ადასტურებს ლენინის ლოზუნგებს
(ფაქტია!), რომელიც არსებითად ლენინის მიერ (მგონია, ოპოზი-
ციონერი არ უნდა იყოს!) არის შემუშავებული და მიღებულია პარ-
ტიის მე-VIII ყრილობის მიერ (არც იგი იყო ოპოზიციონური!). მეტი
პატივისცემა გქონდეთ ჩვენი პროგრამის ცნობილი პუნქტებისადმი
სოფლად სოციალური დაჯგუფებების შესახებ! იქნიეთ მეტი პატი-
ვისცემა პარტიის მე-VIII ყრილობის გადაწყვეტილებისადმი საშუალო
გლეხობის შესახებ... რაც შეეხება თქვენს ფრაზას „საშუალო გლე-
ხის შესახებ ოპოზიციასთან კომპრომისზე“, მე მგონია ეს ფრაზა არ
ღირს კამათად: იგი თქვენ, ალბათ, გაცხარების დროს წამოგცდათ.

თქვენ, მგონია, გაფიქრებთ ის გარემოება, რომ ლენინის ლო-
ზუნგსა და საკ. კომპ. პროგრამაში, რომელიც პარტიის მე-VIII ყრი-
ლობაზეა მიღებული, ლაპარაკია საშუალო გლეხთან შეთანხმებაზე,
მე-VIII ყრილობის გახსნაზე წარმოთქმულ თავის სიტყვაში კი ლე-
ნინი ლაპარაკუობდა საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირზე. ალბათ,
თქვენ ამაში ერთგვარ წინააღმდეგობას ხედავთ — თქვენ, ალბათ,

იმასაც ფიქრობთ, რომ საშუალო გლეხთან შეთანხმების პოლიტიკა არის მასთან კავშირისაგან ერთნაირი ჩამოშორება. ეს არაა მართალი, ამხ. ს. ეს დიდი შეცდომაა. ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომელთაც ლოზუნგის მხოლოდ ასოების წაკითხვის უნარი აქვთ, ხოლო ამ ლოზუნგის აზრის მიხვედრისა კი არა. ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც არ იციან საშუალო გლეხთან კავშირის, მასთან შეთანხმების ლოზუნგის ისტორია. ამის ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომელთაც აზრად მოუგათ: ლენინი მე-VIII ყრილობის გახსნისას წარმოთქმულ სიტყვაში ლაპარაკობდა საშუალო გლეხთან „მტკიცე კავშირზე“, შემდგომ კი დაშორდა საკუთარ თავს და იმავე ყრილობაზე წარმოთქმულ მეორე სიტყვასა და მე-VIII ყრილობის მიერ მიღებულ პარტიულ პროგრამაში სთქვა,— ჩენ ახლა საშუალო გლეხთან „შეთანხმების“ პოლიტიკა გვესაჭიროებაო.

რაშია აქ საქმე? საქმე ისაა, რომ ლენინი და, მე-VIII ყრილობის სახით, პარტია „შეთანხმებისა“ და „კავშირის“ ცნებებს შორის არავითარ განსხვავებას არ გულისხმობენ. საქმე ისაა, რომ ყველგან, მე-VIII ყრილობაზე წარმოთქმულ ყველა თავის სიტყვაში „კავშირსა“ და „შეთანხმებას“ შორის თანაბრობის ნიშანს სვამს. იგივე უნდა ითქვას მე-VIII ყრილობის რეზოლუციაზე „საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების შესახებ“, რომელშიაც ცნებები „შეთანხმებისა“ და „კავშირისა“ თანაბრად არის მოხსენებული. და ვინაიდან ლენინსა და პარტიას საშუალო გლეხთან შეთანხმების პოლიტიკა შემთხვევითად და სწრაფწარმევალად კი არა, არამედ სახანგრძლივო პოლიტიკად მიაჩინიათ, მათ ყოველგვარი საფუძველი ჰქონდათ და აქვთ საშუალო გლეხთან პოლიტიკას საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის პოლიტიკა უწოდონ და, პირიქით, საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის პოლიტიკას — მასთან შეთანხმების პოლიტიკა დაუუძინონ. საქმარისია პარტიის მე-VIII ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში და ყრილობის მიერ საშუალო გლეხის შესახებ მიღებულ რეზოლუცია გაიცნოთ, რომ ამაში დარწმუნდეთ.

აი, მე-VIII ყრილობაზე ლენინის მიერ წარმოთქმული სიტყვის ნაწყვეტი:

„ფრიად ხშირად, საბჭოთა მუშაკების გამოუცდელობისა და საკითხის სიძნელის გამო, კულაკების წინააღმდეგ მიმართული მახვილი საშუალო გლეხობას ხვდებოდა ხოლმე. აქ ფრიად ბევრი შეცოდება ჩაეიდინეთ. ამ მხრით დაგროვილი გამოცდილება ხელს შევავიწყობს ყოველი ღონე ვიხმ აროთ, რომ ასეთი რამ მომავალში თავიდან ავიცილოთ. აი ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას არა თეორიულად, არამედ პრაქტიკულად. თქვენ

ჩინებულად იცით, რომ ეს ამოცანა ძნელია. ჩვენ არ მოგვეპოება ისეთი დოკულათი, რომ საშუალო გლეხებას მივცეთ; ის კი — მატერიალისტი, პრაქტიკოსია და მოითხოვს ასეთს კონკრეტულ მატერიალურ დოკულათს. რის მიცემაც ახლა ჩვენ არ შეგვიძლია და ურომლისობაც ჩვენმა ქვეყანამ უნდა აიტანოს, აიტანოს შესაკლებელია კიდევ თვეები მძიმე ბრძოლისა, რომელიც ახლა სრულს გამარჯვებას გვიტადის. მაგრამ ჩვენ ბევრი რისამე გაკეთება შეგვიძლია ჩვენს აღმინას ურატიულ პრაქტიკაში; შეგვიძლია გავაუმჯობესოთ აპარატი, გამოვასწოროთ მრავალი ბოროტმოქმედება. ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვამოვასწოროთ და გავმართოთ ჩვენი პარტიის ხაზი, რომელიც საკმარისად არ მიღილოდა საშუალო გლეხობასთან კავშირის, შეთანხმებისკენ“ *) („რ. კ. პ. მე-VIII ყრილობა“, სტენოგრაფ. ან-ში, გვ. 20).

თქვენ ხედავთ, რომ ლენინი ერთმანეთისაგან სრულიად არ ანსხვავებს „შეთანხმებასა“ და „კავშირს“.

აი, კიდევ ნაწყვეტები „საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულებაზე“ მე-VIII ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციიდან:

საშუალო გლეხობის აღრევა კულაკებში, მათხე ცოტად თუ ბევრად კულაკების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა გაფრცელება, — ნიშნავს არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების ყველა დეკრეტებისა და მთელი მისი პოლიტიკის ფრიად უხეშად დარღვევას, არამედ ეს არის დარღვევა კომუნიზმის ყველა ძირითადი პრინციპისა, იმ პრინციპებისა, რომლებიც გვითითებენ საშუალო გლეხობასთან პროლეტარიატის შეთანხმებაზე ბურჟუაზიის დასაწმობად პროლეტარიატის გადამწყვეტი ბრძოლის პერიოდში, იმ შეთანხმებაზე, რომელიც ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობაზე უმტკიცნეულოდ გადასვლის ერთ-ერთი პირობათაგანია.

საშუალო გლეხობა, რომელ აც შედარებით მტკიცე ეკონომიური ფესვები აქვს (სამრეწველოსაგან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ჩამორჩენილობის გამო არა თუ რუსეთში, არამედ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც), კიდევ დიდხანს იარსებებს პროლეტარული რევოლუციის დაწყების შემდეგაც. ამიტომ სოფლად საბჭოთა მუშაკების, აგრეთვე პარტიის მოლვაწეთა ტაქტიკა ნავარაუდევი უნდა იყოს საშუალო გლეხობასთან თანამშრომლობის ხანგრძლივი პერიოდისოფის...

„ამნაირად, საბჭოთა ხელისუფლების სავსებით მართებული პოლიტიკა სოფლად უზრუნველყოფს საშუალო გლეხობასთან ძლევამოსილი პროლეტარიატის კავშირსა და შეთანხმებას.

„მუშურ-დლეხური მთავრობისა და კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ამიერიდანაც საშუალო გლეხობასთან პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის შეთანხმების გზით უნდა ვიდოდეს“ *) („რ. კ. პ. მე-VIII ყრილობა“, სტენოგრაფ. ან-ში, გვ. 370—372).

როგორც ხედავთ, არც რეზოლუცია ანსხვავებს ერთმანეთისაგან „შეთანხმებასა“ და „კავშირს“.

ზედმეტი არაა აღინიშნოს, რომ მე-VIII ყრილობის ამ რეზოლუციაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვაში საშუალო გლეხობასთან

*) კურსივი ჩემია. ი. სტ.

„მტკიცე კავშირზე“. განა ეს იმას ნიშნავს, რომ ამით რეზოლუცია შორდება საშუალო გლეხობასთან „მტკიცე კავშირის“ პოლიტიკას? არა, არ ნიშნავს. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ რეზოლუციას ერთ-დაიგივეთ მიაჩინა „შეთანხმებისა“, „თანამშრომლობისა“ და „მტკიცე კავშირის“ ცნება. ეს გასაგებიცაა: შეუძლებელია საშუალო გლეხობასთან „კავშირი“, თუ მასთან „შეთანხმება“ არ გექნათ; ხოლო საშუალო გლეხობასთან კავშირი შეუძლებელია „მტკიცე“ იყოს, თუ არ არის მასთან „სახანგრძლივო“ შეთანხმება და თანამშრომლობა.

ასეთია ფაქტები.

ორში ერთია: ან ლენინი და პარტიის მე-VIII ყრილობა დაშორდენ საშუალო გლეხთან „მტკიცე კავშირის“ შესახებ ლენინის განცხადებას, ან საჭიროა უკუვაგდოთ ეს არასერიოზული ვარაუდი და ალვიაროთ, რომ ლენინი და პარტიის მე-VIII ყრილობა „შეთანხმებისა“ და „მტკიცე კავშირის“ ცნებათა შორის არავითარ განსხვავებას არ გულისხმობენ.

მაშ ასე: ვისაც არ სურს ცალიერი ასოთმწამლობის მსხვერპლი გახდეს, ვისაც უნდა ჩახვდეს ლენინის ლოზუნგის აზრს, იმ ლოზუნგისა, რომელიც გვეუბნება: დაყურდენ ლარიბებს, შეუთანხმდი საშუალო გლეხობას და ებრძოლე კულაკებსო, — იგი ვერ გაიგებს, ვერ მიხვდება, რომ საშუალო გლეხობასთან შეთანხმების პოლიტიკა მასთან მტკიცე კავშირის პოლიტიკაა.

თქვენი შეცდომა ისაა, რომ თქვენ ვერ მიუხვდით ოპოზიციის ეშმაკურს ფანდს და აჰყევით მის პროვოკაციას, გაებით მოწინააღმდეგისაგან დაგებულ ხაფანვში. ოპოზიციონური ჟულიკები გაჰყვირიან და ყიუინობენ, გვარწმუნებენ: ჩვენ მომხრენი ვართ საშუალო გლეხთან შეთანხმების შესახებ ლენინის ლოზუნგისაო; თანაც ისინი პროვოკატორულად და გადაკვრით გვაგრძნობინებენ — საშუალო გლეხთან „შეთანხმება“ სხვა, ხოლო მასთან „მტკიცე კავშირი“ კიდევ სხვაო. ამით მათ ორი კურდღლის მოკვლა სურთ: ჯერ ერთი, მათ უნდათ დაფარონ საშუალო გლეხობის მიმართ თავისი პოზიცია, რომელიც საშუალო გლეხობასთან შეთანხმება კი არა, „საშუალო გლეხობასთან გათიშვაა“ (იხ. ოპოზიციონური სიმირნოვის ცნობილი სიტყვა, ჩემს მიერ მოსკოვის გუბკონფერენციაზე გამოქვეყნებული); მეორე მხრით მათ სურთ მიამიტი ბოლშევიკები დაიჭირონ „შეთანხმებასა“ და „კავშირს“ შორის მოჩვენებითს განსხვავებაზე, საბოლოოდ გზა აუზნიონ და ლენინს ჩამოაშორონ.

მერე რას სჩადიან ამის პასუხად ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები? იმის მაგივრად, რომ ნიღაბი ჩამოხადონ ოპოზიციონურ არამზადებს, იმის მაგივრად, რომ ამხილონ იმაში, რომ ისინი პარტიას ატყუებენ თავისი ნამდვილი პოლიტიკის შესახებ, — დიალ, ყველაფერ ამის მა-

გივრად, ისინი მათ ანკესზე ეგებიან, ხაფანგში ებმებიან და ლენინისაგან ჩამოშორების ნებას აძლევენ. ოპოზიციონერები ხმაურობენ ლენინის ლოზუნგის შესახებ, ოპოზიციონერებს თავი ლენინის ლოზუნგის მომხრედ მოაქეთ, — მაშასადამე, უნდა გავემიჯნო ამ ლოზუნგს, რომ ოპოზიციაში არავინ ამრიოს, თუ არა და „ოპოზიციასთან კომპრომისი“ დამბრალდებაო, — ასეთია ამ ამხანაგების ლოლიკ!

ეს ოპოზიციის უულიკური ფანდების ერთად-ერთი მაგალითი როდია. აიღო, მაგალითად, თვითკრიტიკის ლოზუნგი. ბოლშევიკებმა არ შეიძლება არ იცოდენ, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგი ჩვენი პარტიული მოქმედების, პროლეტარული დიქტატურის გამაგრების საფუძველია, კადრების აღზრდის ბოლშევიკური მეთოდის სული და გული. ოპოზიცია ყიუინას სცემს და გვარწმუნებს: თვითკრიტიკის ლოზუნგი ჩვენ, ოპოზიციამ მოვიგონეთ; პარტიამ ჩვენ წაგვგლიჯა ეს ლოზუნგი და ამნაირად პარტიამ ოპოზიციის წინაშე კაპიტულიაცია მოახდინაო. ასე რომ იქცევა, ოპოზიციას სურს მიაღწიოს ყოველ შემთხვევაში ორ რასმე მარც: ჯერ ერთი, მას უნდა მოატყუოს მუშათა კლასი და დაუმალოს, რომ ოპოზიციის თვითკრიტიკას პარტიულობის დარღვევა აქვს მიზნად, ხოლო ბოლშევიკურ თვითკრიტიკის მიზანი — პარტიულობის გამაგრებაა. მათ შორის უფსკოულია. ხოლო მეორე მხრით, ოპოზიციონერებს სურთ მიამიტი ხალხი ანკესზე წამოაგონ და იძულებული გახადონ გაემიჯნონ თვითკრიტიკის პარტიულ ლოზუნგს.

მერე როგორ ეხმაურებიან ამას ზოგიერთი ამხანაგები? იმის მაგივრად, რომ ნილაბი ჩამოხადონ ოპოზიციის არამზადებს და დაიცვან ბოლშევიკური თვითკრიტიკის ლოზუნგი, — ისინი ხაფანგში მიძრებიან, უკუაგდებენ თავის თავს თვითკრიტიკის ლოზუნგისაგან, ოპოზიციის სტვირზე ცეკვავენ... და კაპიტულიაციას ახდენენ მათს წინაშე, ფიქრობენ კი, რომ ოპოზიციას ემიჯნებიან.

ამნაირი მაგალითების დასახელება ფრიად ბლომად შეგვიძლია.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი მუშაობის დროს ვისიმე სტვირზე ვცეკვავდეთ. მით უმეტეს არ შეგვიძლია ჩვენს მუშაობაში ვიხელ-მძღვანელოთ იმით, თუ რას ამბობენ ჩვენზე ოპოზიციონერები. ჩვენ ჩვენის გზით უნდა ვიაროთ და უკუაგდოთ ხოლმე როგორც ოპოზიციის უულიკური ხრიკები, ისე შეცდომები ზოგიერთი ბოლშევიკებისა, რომელნიც ოპოზიციონერთა პროვოკაციას აჰყოლიან. გაიხსნეთ მარქსის სიტყვები: „გაჰყე შენს გზას, დაე აღამიანებმა, რაც სურთ, ის ილაპარაკონ“!

განათლების სახალხო კომისარისტის ცოციალ-
ური აღზრდის მთავარმართველობის კოლეგიის
დადგენილებანი ამს. სტალინის დაგადებიდან
50 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

1. სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლე მოჯამავირე
და უღარიბესი გლეხობის შეილებისათვის დაწესდეს ამს. სტალინის
სახელობის 130 სტიპენდია.

2. დაკმაყოფილებულ იქნეს ტფილისის პედაგოგიური სადგუ-
რისა და პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლის მოწაფეთა და მასწა-
ვლებელთა შუამდგომლობა ამ დაწესებულებისათვის ამს. სტალინის
სახელწოდონების მიეკუთვნების შესახებ.

3. ამს. სტალინის სახელწოდება მიეკუთვნოს პედაგოგიური სა-
დგურის შემადგენლობაში შემავალ სოფლად მომუშავე სკოლებს—
სახელდობრ:

ა) კახეთის ოლქის სოფ. შრომის სოფლის ახალგაზრდობის
სკოლას.

ბ) გორის ოლქის სამთავრისის კომუნის საბაგშო ბაღს.

გ) კახეთის ოლქის თელავის 4-წლედს.

4. ამს. სტალინის სახელწოდება მიეკუთვნოს აგრეთვე:

ა) რკ. გზ. საქართველო-საფაბრიკო 7-წლედს (ტფილისის მე-10
რკ. გზ. სკ.).

ბ) ბათუმის რკ. გზის 7-წლედს.

გ) გორის ოლქის სოფ. ქვემო-ჭალის სოფლის ახ. სკოლას.

5. უურნალ „ახალი სკოლისაკენ“-ის მორიგ ნომერში გაშუ-
ქებულ იქნას ამს. სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა. ამავე ნო-
მერში მოთავსებულ იქნას მისივე რჩეული წერილები.

ხელისმომზარითა საურნადღებოდ.

როგორც წარსულ წელს, ამ წლიდანაც ხელისმოწერა უურნალზე მიიღება ოქტომბრიდან ოქტომბრამდე და ისევ „დაუსწრებელი კურსების“ მასალით. ამის გამო უურნალი წრეულსაც ელირება წელიწადში (12 ნოემბრი, დამატებით) 5 მანეთი.

ერთ წელზე ნაკლები გადით უურნალის გამოწერა არ შეიძლება:

ცალკე ნომრები არ იყიდება.

არ შეიძლება აგრეთვე „დაუსწრებელი კურსების“ მასალის ცალკე გამოწერა.

ხელისმოწერის პირობები შემდეგია:

1. გამოწერისას არა ნაკლებ 2 მანეთისა.
2. შემდეგი გადასახადი (1 მან.) არა უგვიანეს თეპერვლისა.
3. შემდეგი (1 მან.)—მარტ-აპრილში.
4. 1 მან. არა უგვიანეს მაისისა.

უურნალის წესიერი მიღებისათვის ვთხოვთ ერთიდაიმავე სკოლის მასწავლებლებს ერთად გამოიწერონ უურნალი.

წარსული წლების დარჩენილი ვალი უნდა ახალი გამოწერის წინ იყოს განაღებული.

შენიშვნა: ვთხოვთ ამხანაგებს დაწერილებით აღნიშნონ ხოლმე ფულის გადმოსაგზავნ ბლანკზე, უურნალის რამდენ კომპლექტს იწერენ და რა მისამართით უნდა გაეგზავნოთ უურნალი. ვთხოვთ გამოწერისას სრული თანხა გამოყზავნონ ზემოაღნიშნული პირობის მიხედვით.

სარედაქციო კოლეგია.

სტალინი (სურათი)	150
შისალმება სტალინს საქართველოს განსახუობი	151
საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკა და ც. ს. კ. ამს. სტალინს .	152
სტალინი „პრავდა“	155
იოსებ ბესარონის-ძე სტალინი „პრავდა“	157
ლენინის დროშის ქვეშ	163
სტალინი და პარტია ლ. კაგანოვიჩი	170
სტალინი და წითელი არმია კ. ვოროშილოვი	177
სტალინი და ლენინური პარტიის ეროვნული პოლიტიკა б. პოპოვი	199
ამს. ი. სტალინის დაბადების 50 წ. თავი ს. ორჯონიშვილე .	210
ლენინის უველაზე შეუდრეველი და საუკეთესო მოწაფე მახარაძე	213
ი. ბ. სტალინი, როგორც ლენინიზმის თეორეტიკოსი ვ. აღო- ფ. რატსკი	218
სტალინი — ამოცანა მიხ. კოლცოვი	226
ნაკვთები დემიან ბედნი	229

ამს. სტალინის ჩრეული წერილები.

ამს. სტალინის სიტყვა სკპ (ბ) ცეკას პლენურზე 1928 წ. 19 ნოემბერს	236
აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამო- ცანების შესახებ	271
მუშურ-გლეხური მთავრობის საკითხის შესახებ	286
გლეხთა საკითხზე პარტიის სამი ძირითადი ლოზუნგის შესახებ .	294
ოქტომბრის შემზადების პერიოდში პროლეტარიატისა და ულარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგის შესახებ .	306
ლენინი საშუალო გლეხთან კავშირის შესახებ	316
განათლების სახალხო კომისარიატის სოციალზრდის მთავარ- თველობის კოლეგიის დადგენილებანი ამს. სტალინის დაბადებიდან 50 წ. იუბილეს აღსანიშნავად	327

პასუხისმგებელი რედაქტორი მარიამ ორახელაშვილი
პასუხისმგებელი მღივანი ჭ. სიხარულიძე.